

24/4
0

86



ISSN 0132-599 X

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეოგრაფიკა

1

1980



მწერთა კავშირი

საქართველოს მწერთა კავშირის მხატვრული და საზოგადოებრივი-კულტურული მუშაკების

ნაწილი 56-ე

№ 1

იანვარი, 1980 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

მეცნიერული აზროვნების გზაგარეშე (მოწინავე)	3
ჟურის ფრანკონი — ლექსები	5
კოსტანტინე ლოსტოვიჩინიძე — სიტყვა იმყოფებით, მოთხრობა	12
მეზარ კვიციანი — ლექსები	37
რამაზ ჯაფარიძე — მძიმე უკარი, რომანი, წიგნი შეოთხე	43
ზურაბ ლოსტოვიჩინიძე — ლექსები	77
ნოდარ ჯალაღონია — ლექსები	81
ირაკლი გოგოლაური — ლექსები	84
გურამ გიორგოზიანი — ლექსები	86
აკაკი ვიწარი — ფიქციური სანამო, რომანი	89
ირაკლი ნიკოლოზიძე — ლექსები, ჟანრები, ლიტერატურული მ. ქანკულაშვილი	117


მთვინეები ვ. ი. ლენინის

ანატოლი ლენინის — „რა წარმართი მარტო“	120
ილია ბრეხვეტი — „ფიქრები ვისაზრებოდა ვის“	123
ფრანკ კოსტანტინიძე — „კრიტიკული მკვლევარი ჩვენი ქალაქი“	126
ვანო კახალიანი — რა სერიოზული მუშაობა	127
ნიკოლოზ გიორგოზიანი — „როგორც ვინც მათგან	127
მეზარ კვიციანი — მათი კარიკატურის ისტორია	128
კლავდი ზარდანი — სველად დიდი რევილუციური ბენიონი	129
გ. კარგოლიანი — „ვირჩილ რა ვნახეთ პარტი“	132
მარტინი ფრანკოვი — „დი კარტულად შესანიშნავი მხატვარი“	133

კრიტიკა და კულტურული

აკაკი თოფჩია — უკარგო ხმათა ბაღისაგან	135
გურამ ბრეხვეტი — რამაზ ნინოშვილის მოთხრობები	142
ზურაბ ვიწარი — ტექსტოლოგიური კითხვანი	148
დავით ფრანკოვი — ბალკანეთის უკანასკნელი სალიტერატურო საღამო	163
ნიკოლოზ ვიწარი — იმეო ბიკოვსკის იმეოვონისა და ლეკალიშვილის	167

ფქტები, მოგონებანი

ქუჩა-ნაღამ ბარათი — მოგზაურის ნაწარმი	 175
ღმარე მკვირ — მთარგმნის მწარმომად	186
ქიზნების მიმობილვა	
ბ. ღიბარე — კლავინი და ბუნება	191

მთავარი რედაქტორი ზიორბი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, კ. აბაშვილი (პრ. ჯედ. მთადგომე), ზ. ბერუღაძე, თ. ბობოხიძე, თხვიანი, ა. ბოჭორიშვილი, ა. კალაძე, მ. მარტოვიძე, ლ. მკვალაშვილი, ა. ნაშაბადი, ბ. მათათიანი, მ. შანგიანი, ნ. წულუკიძე, ვ. წულუკიძე, თ. შილაძე, ზ. ხარაბაძე, კ. ჯახარაძე, ვ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ხაჩიძე

გადაეცა ანაწობად 11/XII-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/I-80 წ., ანაწობის ზომა 7 1/2 X 12, ჭაღოდის ფორმატი 70 X 108 1/2, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირბითი თანახი 16,58.

რედაქციის მხამართი: თბილისი, რუხთაველის კროსბექტი № 12.

ფე 07221. ტირაჟი 18.700. შევე. 3054 ნაბეჭდი ფურცელი 13, საიდრ.-საგამომეცლო სიჭ. კვ ცე-ის გამომეცლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ბელმონტის რედაქტორის — 95-55-11. მთ. რედ. მთადგომის — 95-55-13, განუ-ღა-ღებებს — 95-55-15, 95-55-17, 95-55-20.

● სიჭ. ცე-ის გამომეცლობა, 1980.



მეცნიერული აზროვნების ბუზბერაში

ლიტერატურაში მჭერი გასაქანი უნდა მოეცეს პარალ თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებას, აზრსა და ფუნქციას, ფორმასა და მინარსს — აღნიშნავდა ვ. ო. ლენინის თავის წერილში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც პირველი რევოლუციის წლებში დაიწერა.

რა ადვილი უშვარავს ლიტერატურას და ხელოვნებას ვ. ო. ლენინის ნაზრევში, კომუნისტური პარტიის ისტორიაში, ხალხთა განმათავსებელელებს ბრძოლაში — განსაკუთრებულ სიმძაფრით დგებიან ეს საკითხები აშშ-ში, როცა ჩვენი ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა ებრძობა ზემოთ აღნიშნულ ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, როცა სვეტ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდებს კომუნისტებს, კონკრეტულად, ყველა საბჭოთა ადამიანს ახალი წარმატებებით შეხედონ ამ სახელოვან იუბილეს.

სვეტ ცენტრალურმა კომიტეტმა დადგინებდა „კლასიკური ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შეხებში“ აღნიშნავს, რომ სწორედ ლენინის იდეებმა განაპირობეს და უზრუნველყვეს მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის ღირებულებათა გამრავლება, საბჭოთა საზოგადოების სულიერი სიმდიდრის განვრცობის წილი. „მთელ თავის მუშაობაში, — ვთხოვლობს ამ დადგენილებაში, — პარტია ეყრდნობა ქვეყნის მძლავრ მეცნიერულ პოტენციალს, ნადავლ ზრუნავს ხალხის განათლების, საზოგადოების სულიერია სიმდიდრის წარდასთვის, მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის ღირებულებათა გამრავლებისათვის, როცა მთელი პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპების საფუძველზე ვითარდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უპირველეს უზრუნველბას უთმობს მშრომელთა კომუნისტური შეგვების განვითარებას, იდეოლოგიური, პოლიტიკური-აღმწიფელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, პროპაგანდას მეცნიერული დონისა და ეფექტიანობის ამაღლებას, მის

საფუძვლად, ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებას, პარტია საზოგადოების ყველა წევრს ზრდის მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა პარტიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულიერადობით, შრომისა და საზოგადოებრივი საქუთობებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, პოლიტიკური საფუძვლის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეუტრიახებლობის საფუძველადობით“.

მეცნიერული აზროვნების ბუზბერაში და შეშინებულად ხალხს ბედადა, მგზნებარე რევოლუციონერმა, კომუნისტურმა პარტიამა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელმა, ლენინმა მთელი თავისი შეხანიშნავი, გზარული სიცოცხლე უძღვნა დიდსა და კეთილშობილურ საქმეს — პროლეტარიატისა და მთელი ჩაგრული მსახტბის სოციალური განთავისუფლებისათვის, მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას.

ვამოუდა რა კლასობრივი ბრძოლის მსოფლიო ასპარეზზე როგორც მარქსისა და ენგელსის ერთგული და მტკიცე მიმდევარი, ლენინმა ყოველმხრივ განავითარა მათი რევოლუციონერული მოძღვრება მეცნიერული განკვრეტის უზადლო ნიჭის, მიმდინარე მოვლენებისა და ამბების დედანარსის უღამებს წყვილის, ახალი ისტორიული პირობების ანალიზისადმი დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდის შემოქმედებითი მიხადვების მეფობით მან პრინციპულად დადგინიშენილადანი დებულებებით ვამდიდრა მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი, დასახა მისა განვითარების ახალი ეტაპი.

ლენინის აზრი წინ მივყოფდეს კომუნისმის მშენებლობის გზაზე: ლენინიზმი, რომელიც XX საუკუნის პარობებში მარქსიზმის შემოქმედებათი განვითარებაა, რევოლუციონერი აზრისა და რევოლუციონერი მოქმედების წყაროს, სოციალისმისა და კომუნისმის მშენებლობის მეცნიერებასა და ხელოვნებას წარმოადგენს. ლენინის იდეების შუქი დიდი ხანია მოუფინა მთელ კლას-

16421

მარქსის სახ. სექ. სსრკ
საზოგადოებრივი მეცნიერებათა
აკადემია

ნებას. „დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი კუთხე, — თქვა სკამ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ხსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, — სადაც ლენინის სახელი წავერის, უფულებოების, ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის მკაცრად მორწმუნებულ, საბრძოლო ერთიანობის უმბოლოდ, კომუნისტურს იდეოლოგიასთან ისტორიულ ბრძოლაში გამარჯვების საწინდარად არ აღდგოდეს“.

ლენინის სახელთან არის დაკავშირებული ამაღი ეტაპი ზელოვნების თეორიის, ესთეტიკის, ლიტერატურის შეცნობების ხელოვნობის, როგორც ყველგან, აქაც ლიტერატურისა და ზელოვნების ფონტზე, გენიალური ხეობადიო გამოვლინდა ლენინური აზრის დიდი სიშაროლუ და ძლიერობაღება. ფადაუღებელი, ვანუშობელი ამაღი დახლო ლენინმა არა მარტო კაცობრიობას ფილოსოფიურ აზროვნებას, არამედ მის ესთეტიკურ შეცნობებასაც: ამ მხრივ ისტორიული როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის მრავალმა ნაშრომმა და განთავსებულთ გენიალურმა წაგნმა „ლიტერატურაში და ეპიკრიოკრიტიკაში“. ლენინური ასაბუთ თეორია იყო ამაღი ნაბიჯი ლიტერატურის გენიოსოლოგიის შეზღობი განვითარების გზაზე, როგორც საზო. დამოუკიდებელი მეცნიერებათა, ასე ზუნებისმეტყველების ამაღი წარმატებათა გათვალისწინებით.

ამანაგნა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობაზე გასკახით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდ ისტორიულ როლს ასრულებენ ამაღი რომანები, მოთხრობები, ფილმები, სპექტაკლები ახალგაზრდა მკითხველის აღზრდის ხელოვნობი. ამ მოხსენებაში მოცემულია საბჭოთა ლიტერატურისა და ზელოვნების წინსვლის ნათელი პროგნოზი. ხეობადი, რეუოლუციური თეორიის უთავალსაზიროები შენაბენა სკამ XXIII, XXIV და XXV ყრილობების დამაწვადილებები, პარტიის საპროგრამო დოკუმენტები, ამანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, პარტიის სხვა ზელოვნებულთა შრომები.

„მთაბის“ წინამდებარე ნომერში ვაქვეუნებით ფრამენტებს ლენინის თანამედროვეთა მოგონებებიდან, რომელთა მეტი წილი ქართულ

ენაზე პირველად იბეჭდება. მოგონებების ავტორები არიან წერელები, ზელოვნების მხატვრები, პარტიული მუშაკებისტიპი მხატვრული კრედიოლოგიონერები. ისინი მოვითხრობენ თუ რაოდენ ფართო და დიდი იყო ლენინის ისტორიისა ლიტერატურისა და ზელოვნების მხარეობებში: მისი თვლი და აზრი სწვდებოდა მთელ საკაცობრიო კულტურის ისტორიას, მოცუდა უზარმაზარ მორიზონტებს — აქ იყო გოთეც, რომლის ლირიკული ლექსებია თან მიაქვს საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასულ ლენინს, აქ არის „ანა კარენინა“, მესიღ რომ იწვევს მის კთხვას ილიჩი, აქ არის ლეონარდო და-ვინჩი, რომლის სურათს ბრიტანეთის მუზეუმში თვალს ვერ აშორებს ლენინი და ამაღი ცუბით ამბობს — „აი მხატვარი, რომელიც ხატავს აზრს“; და მისი ეს ისტორიული ზელოვნებასადმი წარმოთქმევიენებს მ. ფ. ანდრეევის — „უღადავრ ილიჩი ასე გვიჩვენებს ბრიტანეთის მუზეუმს, როგორც ამ მუზეუმის პატარონი“ ასევე მინაურად ვაძნობდა თავის ელაღებრ ილიჩი შევიცარიაში, ქალაქ ბაზელის მუზეუმში, სადაც მთელი საათობით იღვა პოლენინისა და პოკლინის სურათების წინ, ან ავტორიაში, ვენის მხატვრულ-ისტორიულ მუზეუმში, სადაც იგი დამაბული ურადლებით ათვლიერებდა რუბენის ტილოებს. შევიცარია, მატარებელში, ვ. ი. ლენინი და ვ. ა. დუხნიცია ათვლიერებენ ბერმანულ მოროგრაფიას, მიძღვნილს აღბრებლმურებისადმი; კუმეში მათთან ერთად მწავრობენ ვერმანელები, და აი, ირკვევა, რომ მათ არ გაუგონათ თავიანთი გენიალური მხატვრის სახელი, და ილიჩი საამაიეთ ეუბნება დუხნიცის: „ზედაც, მათ თავისები არ იციან, ჩვენ კი ვიცით“.

და კიდევ ვინ მოსთვლის რაც ჩამოთვალეთ, ეს მართლაც რომ ზღვაში წვეთია! კვერით მოთავსებული მოგონებები წაგვიყენენ ლენინის მამარუტებით იმ ძვირფასი საგანძურების დასათვლიერებლად, რომელთაც მხოლოდო ლიტერატურისა და მხოლოდო ზელოვნების ისტორია ეწოდება



სიხსიანი უფლისწული

ფრთებზე გეამბორები,
ფრთები ახლა
თითქოს შენი აფრები, —
შენს სულს ეს მთაგორები
კოტოშებად აფენია.

სიცხე შენი გზნებისა
დრომ ვით გამოგინელოს,
საქართველოვ,
ფასკუნჯივით

ლაქვარდებში ატყორცნილო
ფრინველო!

იქნებ მე ვარ შენი ხემსი,
მაღლი ჰქმენ და
მიმსახურე ამ ორ დღეს,
სისხლნაკლული ჩემი ლექსი
ნეტამც ხვალ-ზეგ
შენს საწვავად გამოდგეს!

სხვა რა გკადრო, რა ვიგიყო,
იქნებ ჩუქვით გამოვიჭრა ყანურატო,
იქნებ ზორცი დავიგლიყო
და გზადაგზა ლექმა-ლექმად გაულაპო.

ნუგეშო და ლეშხო ჩემო,
რა ვრიგალი, რა სიო, —
სული უნდა მოვიპეშვო
და წყალივით მხოლოდ შენ ერთს
გასძიო!

ნუ დამინდობ, სულაც ვინ ვარ,
სიმი ვარ თუ ხმაჩაწყდარი ვოკალი, —
ერთ აფრენად არა ელირვარ,
გვედრები, შენს მიწაზე მომკალი

სიცხე შენი გზნებისა
დრომ ვით გამოგინელოს,
საქართველოვ,
უკვდავებად
ლაქვარდებში ატყორცნილო
ფრინველო!

გლახაკი მტერი

ვინც პირში წყალი დაიგუბა,
როცა ყვირილი იყო საქართო
და ვინც საკუთარ გეამშივე ჩაძვრა,
როს ვულკანივით

გულის ხეთქვა იყო საქართო,
მტერია შენი,
საქართველოვ,
სამშობლოვ ჩემო!



ვინც განზე გადგა,
ვაზი ობლად ვინც მიატოვა,
სიმართლე არ სთქვა
და სიცრულე გაგვიბატონა,
საკმარისია ოცდაათი ვერცხლის მონეტა
და გოლგოთაზე გაგვიყვანს ყველას.

ხალხი მშობელო,
მადლის ნიჭით გულში დაკრძილო,
ვინც არ იარა შენთან ერთად,
როცა ერთობა იყო საჭირო,
შენი გლახაჲი მტერია, მაგრამ
მაინც ყველაზე საშიში მტერია!

პროკრუსტეს სარმსელი

აწონასწორებს,
ვიღაც მაინც აწონასწორებს:
დაბადებასთან — გარდაცვალებას,
მტყუანს — მართალთან,
ქალს — მამაკაცთან,
სულს — სხეულთან და
ბიწს — სიწმინდესთან...

აწონასწორებს,
დრო და ეამი აწონასწორებს:
ლალატს — რწმენასთან,
ჭუჭასთან — ტიტანს...
მხოლოდ სამშობლოს ვერ მოენახა,
ვერ მოენახა ტოლფასი სიტყვა.

ლადო გუდიაშვილი

კვლავ ვიწვი,
ვი არ ვერთობი,
ერთი ვარ ერთადერთობით!

კვლავ ვებრფი,
რასაც ვებრფოდი
სწორედ ამ ერთადერთობით!

ცისფერი შალი

მე მომეჩვენა, სციოდა თბილისს
და თოვლი — შენი ცისფერი შალი
მთაწმინდას
მზრებზე ეფინა, დედა!

ჰადოსური კალიტრა

ქემალ ხუციშვილს

საქართველოს ცრემლები, —
ვარსკვლავები, ლალები.
მზე — მაცხოვრის ხელებით,
ცა — შველის ნუკრის თვლებით.

გზა — წედომის თუ დედოფლის,
წვა — სხვა დღით და სხვა ხატით, —
იბერიით წუხილი!
ივერიით ლაღადი!

ისევ „აღმართ-დაღმართი“
 ზესკნელად თუ ქვესკნელად, —
 ქრისტიანი წარმართის
 შექად ამოფრესება.

მთების, ზღვების, სერების,
 აღდგომად თუ აღდგენად,

ციურ ცისარტყელების
 მუშაბაზე განფენა.

ვამი არდამშვიდების,
 კვლავაც ქვეყნის უღელში, —
 ნუგეში და იმედი
 იმედი და ნუგეში

• • •

არაფრისაგან შექმნილ სამყაროს
 კვლავ სუხველაფერს
 ნუ მოვთხოვთ, ბაღლი

ბრძოლის ცხენი

გათავდა. მორჩა.
 ვტოვებ ბრძოლის ველს.
 ამ ბრძოლის ველზე
 ვით ტროადის ცხენს
 მე ჩემს პატარა სიმღერას ვტოვებ.

აღრე თუ გვიან,
 მწამს, ამ სიმღერას
 შენს ციხე-კოშკში დააბინავენ.
 მე თუ ვერა და ვერ დაგატყვევე,
 ჩემს სიმღერაში
 ჩამალოლი ქარისკაცები
 ჩემივე სიტყვებით დაგატყვევებენ.

გათავდა. მორჩა.
 ბრძოლის ველს ვტოვებ.

• • •

სოფელს რაღაც უძღვნა ზამთარმა:
 ბავშვებს — ციგა და სანტა კლაუსი.
 მოხეტეებს — ცეცხლი.
 პოეტებს — ფიჭვი გაზაფხულზე
 და სინანული...

ჩემი შეცდომა



როგორც ფარვანა,
სამწუხაროდ, როგორც ფარვანა,
მთელი ცხოვრება შენსკენ ვისწრაფი...

ფრთხილად ფერფლილი
ჩემს შეცდომას დღეს ვაღიარებ:
„შენსკენ კი არა, შენგან, ო, შენგან,
შენგან სხვებისკენ, ვით შუქი შენი!!!“

ბებერი შოკის კალუსინაცია

ყალბზე დგება სიჭაბუკე
გადარეულ გენებით, —
ჭიხვინებენ,
ჭიხვინებენ,
ჭიხვინებენ ცხენები!

რა შერია და რა იელი,
რა ბაია ბალახი, —
ბარიერი
ბარიერი
გზნებით გადასალახი!

ცეცხლი — ცეცხლად!
რიტმი — რიტმად!
ქარი, როგორც კედელი
ლტოლვა თავაწყვეტილი და
ქრქოლა შეუწყვეტილი!

გზა ყოყინით იქსელდება.
დღე მოალე და
დღე გრძელი, —
შორსმჭვრეტელი სიბერე და
სიყრმე ახლომხედველი.

სხვა სისხლი და
სხვა მზე ვინდა,
სიფრცვა თუ ფრთები, —
ნაპერწყლოვან ნალღებიდან
ვარსკვლავები ჩნდებიან.

კვალში გიდგას უავშაროდ
იჭვი ფიქრთა მიმრქმელი, —

შიშინებენ,
შიშინებენ,
შიშინებენ ფიქრები.

რა რბოლა და რა ცხოვრება.
დახეთქილი ვენები...
ფინ-შივით ახლოვდება
ქამი განსასვენებო.

დროა, დროა პარტყაპურტყის,
დროა გაუხედნელი, —
ცხენებიდან კატაპულტი
ძირს ცვივიან მხედრები...

რას იტყვიან ახირებით
აწ ბოროტი ვენები, —
სად მიფრენენ დღეები და
სად მიქრებიან ცხენები?!

წინ
შინ ქლომა სატიალე
გულმა როგორ ინატროს
ატრიალებს,
ატრიალებს
ვიდაც ტოტალიზატორს.

ფინიშისკენ!
ფინიშისკენ!
კვლავაც გულგაბელებით! —
ჭიხვინებენ,
ჭიხვინებენ,
ჭიხვინებენ ცხენები!



ი ნ ტ ე რ ე ს ი

მტრისადმი მაინც
 ნუ დაჰკარგავ
 ახლა ინტერესს,
 მოყვარად მოგივია,
 მეგობრულად
 გზას ავიმტვერებს.

გადაგამტვრებს
 მთელ ქვეყანას,
 ისე გიმღერებს,
 მტრისადმი მაინც
 ნუ დაჰკარგავ
 ახლა ინტერესს!

■ ■ ■

ქუძღებს გოლი
 ამდენ ტყვიელს,
 ამდენ ვაებას,

მაშინ როდესაც
 სიხარულსაც უნდა
 გაძღება.

გ ა ვ რ თ ხ ი ლ ე ჯ ა

ყველაფერი
 დაიწყოებით
 დაიწყება!

ს ა მ ს ლ ის უ ზ ლ ე ჯ ა

მე როგორც მინდა
 ისე ჩავეჭრები!

■ ■ ■

რომ ვსთქვა, —
 „სიმღერით დავისტუმრე
 საქართველოს ვალს!“ —
 არ დამიჯერო,
 მე ვიქნები სიმღერით მთვრალი.

არ დამიჯერო,
 მე ვიქნები სიციცხლით მთვრალი.

რომ ვსთქვა,
 „გათავად, მაქვს უფლება
 დავხუჭო თვალი!“ —

როცა არაფერს აღარ ვიხუცა,
 ნებით თუ ძალით,
 მე არ ვიშინები, —
 მე ვიქნები სიკვდილით მთვრალი.

კონსტანტინე ვოვანაძის კრებული

ისინი სიმაღლეზე ხტომაში
 ეჭიბრებოდნენ ერთიმეორეს
 და
 თბუნელებივით

უ
 თ
 ხ
 რ
 ი
 ღ
 ნ
 ე
 ნ

ერთმანეთს
 შიწას.

კვირივი ქალის ვეფხვი

წუხელის
 ღიად დარჩენილ კიშკარს
 არ იქნა,
 აღარ მოეშვა ქარი...

მ ი შ ა

მიწა თითქოს და მიწაა ყველგან,
 მაგრამ,
 სამშობლოვ,
 ვინც კი ფეხი
 შენს მიწაზე აიდგა ერთხელ
 უკლებლივ ყველა
 შენს მიწაში დამარხვას ნატრობს.

• • •

ის ვინც წავიდა,
 მტვერი იყო,
 მტვერს შეერია...
 ხოლო ვინც დარჩა,
 დარჩა, მაგრამ...
 ისიც მტვერია...



• • •

მზეზე ითბობდა მოხუცი ფიქრებს,
 გაყინულ ფიქრებს
 ითბობდა, რადგან
 მას კიდევ
 ვილაყ-ვილაყის სწამდა...
 მზეზე ითბობდა მოხუცი ფიქრებს.

• • •

რაც დაიწერა,
 რაც იწერება
 და რაც ოდესმე დაიწერება,
 არ ღირს უბრალო
 დედის ნანინად,
 ბავშვის აკვანთან
 რომ იმღერება...
 რაც დაიწერა,
 რაც იწერება
 და რაც ოდესმე დაიწერება.



კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სიტყვა იყო ღმერთი

მოთხრობა

ავტორისაგან

ამ ნაწარმოებში მოთხრობილი ამბავი თითქმის ერთსა და იმავე დროს ხდებოდა საბჭოთა კავშირის თვალწინდურ მინაწერზე, — რუსეთში, უკრაინაში, საქართველოში... ამ საგანს მიუძღვნა არა ერთი და ორი ამბულეგებელი ფურცელი კონსტანტინე ფედინმა რომანში — „არაჩვეულებრივი ზაფხული“. დიდებული მოთხრობა დაწერა ამავე თემაზე პავლე ნილინმა, — „უღმობლობა“. სწერდნენ სხვებიც. ყელა მწერალმა თავისებურად გადასწავიჭა ეს ეპოქალური კონფლიქტი, თავისი ეროვნული ყოფისა და სულიერი ნყოფის მიხედვით.

მეც ვაადე ჩემი პასუხი შეკონა ამ ცოდვა-მადლის გამკითხავ ამბავზე, ედენის ვარსის დღიდან რომ მოსდევს ადამიანს, როგორც ყველაზე დიდი გამოცდა მისი კაცური ღირსებისა და ზნეუბნობისა.

თავი პირველი

არ მოიტანა კარგი ამბავი ციხიანთ-ყურედან მობრუნებულმა ბიბილო ბაკურაძემ.

გალმითური პური ალაგ-ალაგ ჩამწვარა და ჩაწოლილა, ერთი-ორი დღე კიდევ და, ყანას ძიძო-ბაღაბი და გარეული კანაფი ვადაუვლის, მერე იქ ნამგალი კი არა, ცელიც ველარ იმუშავეებს და ბევრი ჭირხანული დაგვეკარგებაო, — ქაჭანებდა ბივი და ჯიბიდან მუქამუქა ამოჰქონდა დაღუღულ-დაღმეპილი ნარცვალი.

ათას ცხრასს ოცდათხრე წელს, როდეს-

საც შირაქში პირველი „წითელი ნადი“ ჩამოყალიბდა, ერთი ათიოდე დღიური საყანე მინდორი სადაღაც დასაკარგავში დაიჩემეს ჭედლეუბმა.

მინდორი დროზე მოხნეს და დათესეს, ჯეჭილიც დროზე გამარგლეს და გაწმინდეს, მაგრამ მერე იმ შორეულ მამულს თვალყური ველარ მიადევნეს, — მაშინ აბა ვინ იფიქრებდა, რომ მწირი ყამირის პური ასე აღრეულად შემოვიდოდა.

ცელმა დიდი ბარაქა იცინ, პური ოთ-

1. ნაწინ საერთო დაბუშაყების ამხანაგობა.

ხერ მეტი იმეება, ვიდრე ნამგლითა.

ისევ ბიბილო ბაკურაძე აფრინეს სოფელში და მეორე დღესვე, გათენებისას, ამხანაგობის ეზოში საუკეთესო მცელავები დაეყუდნენ.

ცხრა კაცი შეარჩიეს. ერთმა მცელავმა სახეს კოკას ყურზე თოკი გამოაბა და ზურგზე მოიკიდა, მეორემ ორი დღის სამყოფი მაწონი, ცოტა მწნილი და რამდენიმე თავი ნიორი ხურჯინში ჩაალაგა, მესამემ ერთი ჩანახი ფქვილა და ხშიადის სახელი ტყავი გამოიტანა. დანარჩენებმა ახლად გამოკვერილი და პირაწყობილი ცელები მხარზე გაიდეს და აყინაურის გზას გაუდგნენ.

სანამ ხევგალმა გავიდოდნენ, ბიბილომ ბაღჩაში შეიბინა, იქნებ საზამთრო უკვე შემოვიდა და ჩვენი ღარიბული სუფრა ცოტა უფრო დავამშვენოთ... მაგრამ მტრისას, რაც იმ ბაღჩაში ბიბილოს დახვდა: დაღუწილი, მიწაში ჩატკეპნილი კაცები და კოკასავით შუაზე გადაყრილი უმწიფარი საზამთროები...

ეტყობა, ავისმქნელები ჩქარობდნენ და რჩევამი აღარ შევიდნენ, — ერთიორი მწიფე ნაყოფი რომ ეპოვნათ, მთელი ბაღჩა დაარბიეს, რაც ხელში მოიგდეს, უმოწყალოდ დახეთქეს და იქვე დაჟარეს.

— შეხედე, ოსიკო, აქ უკვე ყოფილან მგლები! — გასძახა ბიბილომ ფერდაზე მომლოდინე ამხანაგს.

ასე უჯიგროდ მხოლოდ ტყის ნადირი თუ გაიმეტებდა ადამიანის ნაამბავს.

ოსიკომ კოკა ძირს ჩამოდგა და ბაღჩას მიაშურა. ერთი კი დაპკრა თვალი დახლეჩილ საზამთროებს და თავი გააქნია.

— არა, ბიბილო, მგელი არასდროს უნდოდა საზამთროს კბილს არ გაპკრავს, კანზე ცხვირს დაადებს და უკვე იცის, საზამთრო მწიფეა თუ არა! ეგ იმას არ შეეშლება.

— აბა დაეჯერო, კაცს გაუწყრა ღმერთი?!

— მშვიერი კაცი მგელზე უარეხიო!

— იცოდეს ღმერთმა, ვერ ქათამი არ

დამიკლავს, მაგრამ ამის გამკეთებელს...

ბიბილომ სიტყვა აღარ დაჟსრულა. მისმა კეთილმა გულმა ბოლომდე მიაჩვენა ვერ გაიმეტა უწმინდური სტუმრები.

— გაღმელი ბიჭები იქნებოდნენ, გაზაფხულზე ოზაანიდან რომ გაიქცნენ. მოშივდათ საწყლებს და ღობე-ყორენ ეღებთან! მოიცა, საღ მიდიხარ, იქნებ გადარჩათ რამე მაგ სვავებს! — მიიძახა ოსიკომ გზისკენ მიბრუნებულ ამხანაგს.

— არ მინდა არაფერი! არ შემიძლია ქვეყნის დაქცევას ვუტკბირო! — ბიბილომ ფერდობზე დატოვებულ ხურჯინს ხელი დაავლო და თავქვეზე დაეშვა.

ციხიანთ-ყურე, სადაც იმ შორეულ დღეს „წითელი ნადის“ წევრები მიჩქაროდნენ, ყველაზე უდაბური ადგილი იყო აყინაურის ხევგალმა. მწირი მიწა და აუტანელი სიციხე — არც სამოსახლოდ და არც სახანავ-სათესად ეს ტაშირი აღარ ვარგოდა.

მხოლოდ ბოგანო გლეხი თუ დაადგამდა თვალს აქაურობას. ამ მიწამ არც გადასახადი იცოდა, არც მიწისშრომელი, აღარც ღობე და სამანი... დაიკვალე მინდორი და დათესე, რამდენიც გინდა. ბედი შენი, თუ ამინდმა გაგიმართლა და მარცვალი არ დაიშვა, მაგრამ უფრო ხშირად აქაური გვალვა კალიის ფეხებით გამოფიტავდა თავთავს.

— მზე უკვე წითელგორას ამოსცილდა, როდესაც ოთხმა მცელავმა და ოთხმა მემწურმა კვალი აიღეს და მუშაობა დაიწყეს. ბიბილო ბაკურაძემ კი ხელდახელ ცეცხლი დაანთო, სუფთა ბალახზე ცხვირს ტყავი დააფინა და ხშიადის ცომი მოხილა.

ცოტა დალილები კი იყვნენ ქედლები, — ერთ მუხლად გამოიარეს ნახევარი დღის სავალი, მაგრამ პირველი გადაიწერეს და მოშურებული მოედნენ ყანას. ხევიდან ჯერ კიდევ მოდიოდა ალაზნის თამამი ნიაგი, არამტუთ დალლას, შიმშილსაც კი დაგავიწყებდა.

გაპირებდა მერე იკითხე, აგერ იმ ხეს ნრდილი რომ გაეპარება და მაღლა ცაში მოწყრიალე ტორილიც კი ძირს ჩა-

მოქანდება, თითქოს შედედებულ ხეატ-ში ფრთა ველარ გაშალა და ჩამოვარდაო.

მაგრამ ჯერ იქამდე შორს იყო, მზეს ჯერ კიდევ რამდენი მთა და ხევი უნდა გადამოეწყო, რომ ციხიანთ-ყურეში ცეცხლისკიდება მოეტანა.

ერთმა მცელავემა შებღზე შემოკრული საოფლეც კი მოიხსნა და ჯიბეში ჩაიდო. გახურდა მუშაობა, მხოლოდ ოსიკოს შეეშალა ხელი. რაღაც ფარსაგად, მის ცელს თითა გაუტყდა, ნაცელი აირია და მეძნეურს მუშაობა გაუჭირდა, ხელეურს უღო ვერ მოჰკიდა.

სანამ ოსიკო გატეხილ ნაწილს გამოცელიდა, მეძნეური ბიჭი, — მინც ტყუილა ვარო და, პანტა-ვაშლის მოსაკრეფად გაიქცა. ორი ძირი პანტისზე იქვე იდგა, ყანის გადაღმა, კაცის სიმაღლეზე აყრილ ვეკალ-ბუჩქებში.

ბიჭი ბუჩქებში მიიმაღა, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, უჯანვე გამოვარდა, რაღაც დაიყვირა და ჯერ ხევისაყენ მოკურცხლა, მერე ერთბაშად მოტრიალდა და ისევ ყანას მოაშურა.

ოსიკომ იფიქრა, გველი თუ გამოეკიდაო, ცელს ხელი დაავლო და ბიჭის დასახმარებლად გაიქცა.

გულგახეთქილმა ბიჭმა ენა ძლივს მოაბრუნა:

— ოსიკო ძიავ, ყაჩაღები მოდიან, ყაჩაღები!

...ისინი ხუთნი იყვნენ. თოფები და გულმკერდზე ჯვარედინად შებმული სავაზნეები თვალისმოშვრელად პრიალებდნენ მკათათვის მზებზე.

ბუჩქნარიდან სწრაფად გამოვიდნენ და, თითქოს დაბარებულები არიანო, პირდაპირ ყანას მოაშურეს.

ელდანაკრავმა გლეხებმა ცელები იქვე დაყარეს და ადგილს ისე მოსწყდნენ, თითქოს მიწის მგელი გამოუყარდათო.

ყაჩაღებს ხმა არ გაუღიათ, მხოლოდ თვალი გააყოლეს გაქცეულებს... ყანაში შევიდნენ, თოფ-იარაღი მოიხსნეს, ტილოს კურტაკები და უსახელო ტყავუ-

ქები გაიხადეს, მერე მკლავები დიკა-პიწეს და ცელებს წამოუწყვეს ხელი.

ისევ ამუშავდა ფოლიადი, ისევ დაეფინა მიწაზე ტალღა-ტალღად წამოსული ნაცელი. მალე ერთმა ყაჩაღმა დინიცი კი წამოიწყო, მაგრამ სხვები რატომღაც არ აჰყვნენ და ისიც გაჩუმდა. ერთი სული არ მოუბრუნებიათ, ისე ჩაათავეს მიტოვებული კვალი და მეორედ გაიშალნენ პურში. მუშაობას მონატრებული კაცის ხელში ეს ცელებიც ისე წკრიალებდნენ, აგერ-აგერ სიხარულისაგან დაიღწეებინათ.

დაფეთებული ჭედელები ჯერ ხევში ჩაცვივდნენ, მერე იქიდან ბალახ-ბალახ გაძვრნენ და ბორანთან ამოყვეს თავი. აქ სული მოითქვეს და ბიბილოს უთხრეს, შენ გაიქეცი და მილიციას შეატყობინე, ყაჩაღები ტყიდან გამოვიდნენო.

იმ შფოთიან წლებში აქაური ყაჩაღები ყველაზე მეტად „წითელი ნადის“ წევრებს ემტერებოდნენ, ბოლშევიკებს მაგნი აცოცხლებდნენ, ამბობდნენ ისინი და ხან ამხანაგობის ბინა-სადგომს დაარბევდნენ და საქონელს გაიტაცებდნენ, ხან კიდევ შემოსულ ყანას ცეცხლს გაუჩენდნენ.

ერთხელ ისე დაკნინდნენ, — ამხანაგობის ცარიელ წისქვილს წყალი მიუგდეს და დოლაბები გააოხრეს. წინაკვირას კი ნადის თავმჯდომარეს კაცი მიუგზავნეს, დაშალე შენი ამხანაგობა, თორემ დედაბუღიანად ამოგაგდებთო...

ბიბილო ბაკურაძე კარგად იცნობდა ციხიანთ-ყურის მისახედ-მოსახედებს. მშრალი ხევიდან არც ამოსულა, ისე სულმოუთქმელად გაირბინა ერთი ცხენის გავენება მანძილი და სიმინდის ყანას შეერია. სიმინდი უკვე ხაშარს იცეთებდა, ახლა ბიბილოს ვერსაიდან კაცის თვალი ვერ მიუღდებოდა და ისიც ცოტა დაწყნარდა, უფრო სულდათქმული ეკეთა ყანას.

წამიდან წამზე ელოდა, როდის დაიქუხებდა თოფი და კაცის ბლავილს ვაიგონებდა, მაგრამ იქიდან ჩქამი არ მოდიოდა.

„იქნებ მძევლების წაყვანას აპირებენ!“

შარშან ყაჩაღებმა სოფელ ნარიანიდან ორი კომკავშირელი გაიტაცეს და წითელწყაროს რაიონის მილიციის უფროსს, ბიჭოია ფურცხვანიძეს შემოუთვალეს, თუ ამ ბიჭების სიცოცხლე მთავრობას რამედ უღირს, ჩვენი ამხანაგები ციხიდან გამოუშვანო...

მოურიდებლად მიარღვევდა ბიბილოს ყანის სიზმოს, თუმცა, ვაი რა მწარედ დაუსერა თავ-კისერი სიმინდის ფოთოლმა. მაინც ძალიან იმარჯვა და შუაღლემდე მიატანა ციხის ნანგრევებს, სადაც წითელწყაროს მილიციას ყველაზე ძლიერი საგუშაგო ჰქონდა გამართული. ეჭვის ცხენოსანი მილიციელი, თავით ფეხამდე თოფ-იარაღში ჩამჭდარი და ჩასილაღებული, იქვე ცხოვრობდა ნასაყდრაღში. ფხიზელი ბიჭები თყვენენ, პირველსავე დაძახილზე თავჯაჭმყვარილი დაეშვებოდნენ ციხის ფერდობზე.

მაგრამ ახლა ასე არ მოხდა. საგუშაგოს უფროსმა დუღე გავაშელმა ყურბი არ შეიბერტყა, როდესაც ოფლად გაღვრილმა ბიბილომ გულზე დააბალა, არიქა, ყაჩაღები დაგვეცენნო...

შისისაგან დაფეთებული კაცი ცოტა მუდამ სასაცილოა, მეტადრე მაშინ, თუ ამ შიშს სხვებიც არ განიცდიან.

ამიტომ მართალი კაცის ფიცმა და მტკიცმა (ცოლი და ორი პატარა გოგო ცოცხლად ჩაყარა მიწაში გულადუღებულმა ბიბილომ) მხოლოდ ღიმილი მოჰგვარა საგუშაგოს უფროსს.

შიშმა ბევრნაირი მოლანდება იცისო, ასე შხისით-დღისით და ისიც ციხიანთურში, ყაჩაღები ტყიდან არ გამოვი-

დოდნენო, უთხრა მან ბიბილოს და ცოტა აგდებულად დაუწყო გამრცხობვა, რა ნახე და სად ნახეო... *ბიბილომ*

და ვინ იცის, ეს გაწამაწია როდემდე გაგრძელდებოდა, რომ რალაც ბედად ციხის ეზოში ბიჭოია ფურცხვანიძე არ შემოსულიყო.

გაქაფულ ცხენზე ეტყობოდა, ბიჭოიას გაღმა მხრის საგუშაგოები უკვე მოველო და მუხლი არსად ჩაეხარა, მაგრამ ბიბილოს ამბავი რომ უთხრეს, იგი წამითაც არ დაფიქრებულა, მხოლოდ ცხენი გამოიცივალა და მისი ხმის გავონებაზე წამოშლილ მილიციელებს მოკლულ უბრძანა, მომყვებით...

წელან გზაში ბიჭოია ფურცხვანიძე ერთმა მეველემ გააჩერა და უჩურჩულა, ამ დღას ლიხში ვილაც თოფიანი კაცები დადიოდნენო. აქ უკვე ხაეჭვო აღარაფერი იყო.

— ცხენები არა, ცხენები არა! გააგონებენ და ლიხში შეგვასწრებენ — გამოვითო ბიბილო ეზოდან გადასულ მილიციელებს.

ბიჭოიამ თავი მოაბრუნა და ბაქრაძის მათრახი დაუქნია, — ყველაფერი ვიცი, ფიქრი ნუ გაქვსო...

მარტოდ დარჩენილი ბიბილო ციხის გალაგებულ იდგა და ბღღვირში გახვეულ ცხენოსნებს გაჰყურებდა. მერე თავი ჩაქინდრა და მხრები ჩამოყარა, ძალა არ შესწევდა — მიწაზე მაინც დავარდნილიყო და თავისი დაძაგრული ნახსმანი ნებაზე მიეშვა. ერთბაშად მუხლებში მოწყდა, ჩაჩოქა, პირჯვარი გადაიწერა და წაიჩურჩულა:

— ღმერთო მაპატიე, ღმერთო მაპატიე!

თახი მორა

საიდან განნდა შირაქში ჩემი პირველი კომკავშირელი, ბიჭოია ფურცხვანიძე, გაიოცებს მკითხველი.

ველარც ბიჭოიამ მოიარა ჩვენი საო-

ცნებო ინდოეთი. მისი ასეული კარგახანს ჩარჩა ქალაქილში და როგორც ეტყობოდა, იქიდან წასვლა უკვე აღარ ეწერა.

ბიჭოიამ ერთი ხანი კადვე უცადა მსოფლიო რევოლუციის დაწყებას, მაგრამ წითელი დროშების ფრიალისა და ბედღურების ქიხინის ნაცვლად ჭერ მხოლოდ ნაჯახის კაკონი და ბარნიჩაბის ხენემა ესმოდა ყოველი მხრიდან.

მოსწყინდა ბიჭოიას ასეთი უმოძრაო ცხოვრება და ათას ცხრაას ოცდაორ წელს წითელ არმიას დაემშვიდობა ისევე ქუთაისში დაბრუნდა და კომკავშირის სამაზრო კომიტეტში დაიწყო მუშაობა. სწორედ იმხანად საქართველოს მილიციის რიგებში დიდი წმენდა ჩატარდა. მოიშორეს მერყევი და ზნედაბალი ადამიანები და ამ ძნელი უბნის მოსავლელად ბრძოლაში გამობრძმედილი კომკავშირელები შეარჩიეს.

წითელ არმიაში ნამსახურ ბიჭოიას დიდი ნდობა გამოუცხადეს, — სიღნაღის მაზრაში მთელი რაიონი ჩააბარეს, წითელწყაროს მილიციის უფროსად გააშწესეს.

მახსოვს, როგორ გაახარა ბიჭოია ამ ახალმა სამუშაომ.

— არ დამეცინო, თუ ძმა ხარ! — თვალანთებული მეუბნებოდა იგი ქუთაისის რკინიგზის სადგურზე: — ჯაცა მსოფლიო რევოლუციაზე ოცნებობდა და საიდან ხად ჩამოეარა, მილიციელი ვაზდაო? — მაგრამ იცი, რა ვითარა? ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვიწვალე და ბოლოს ამ პეუზე დავდექი, — შინაურ მტრებთან ომი და ბრძოლა არანაკლებ სისახელოა და სპატიო, ვიდრე მსოფლიო რევოლუციაში მონაწილეობა, გეყურება შენ?!

— მე თუ მეითხავ, დღეისობით შინაური მტრები უფრო საშიშარნი არიან, ვიდრე თურქები და ინგლისელები. ახლა მაგათ ჩვენთვის არა სცალიათ, ყველას თავისი ვაჰირვება ადგას! — მაშინვე გული გავუკეთე ბიჭოიას.

გაუბარდა, მხარზე ხელი დამადო და უფრო ცხარედ აჩურჩულდა:

— რა შეგნებული ბიჭი ხარ, კოწიო! მხოლოდ ბეცი მემარჯვენეები ვერ ხედავენ, რომ ტყე სავსეა კონტრრევო-

ლუციით. საითაც არ გაიხედავ, ყველგან პოლიტიკური ბანდიტები და ნაკაცარები დაძრწიან. გული შეუტყმებას ბიჭო, დიდი შეტყმულება ეწყობა... დიდი მაგრამ ნურას უკაცრავად, ქონმორეული ბურჟუების ოცნებას მალე მოუღებს ბოლოს მუშურ-გლეხური მთავრობის ალესილი მახვილი!

ცოტა მალალ ფარდებში კი უყვარდა ლაპარაკი ბიჭოია ფურცხვანიძეს, მაგრამ კრებაზე გაგონილი ბრახუნა სიტყვები ისეთი რწმენითა და ალალი გრძნობით ამოჰქონდა გულიდან, რომ შენ უკვე ზედავდი იმ ქონმორეულ ბურჟუებს და იმათ კისერზე აღმართულ მახვილს.

მისი ხმის ყოველი ძაფი, ხმის ყოველი ნათალი უმაღვე მიგახვედრებდა, რომ იგი სიტყვის კაცი იყო და ბოლომდე სწამდა, რასაც ამბობდა და რასაც აკეთებდა.

შან უკვე იცოდა, რისთვის ცხოვრობდა ამ ქვეყანაზე. ეს კი იმოდენა ძალს მატებდა ბიჭოიას სიტყვა-პასუხს, თითქოს იგი ოცდასამი წლისა კი არა, უკვე დაბრძენებული, მრავალ ქირში გამოფლილი კაცი იყო.

ამიტომ მისი აზრი და მსჯელობა მუდამ იქცეოდა გარშემო მყოფი ადამიანების ყურადღებას. ბიჭოიას ნათქვამს ძვირად თუ წაუყრებოდა ვინმე. უპირველეს ყოვლისა, მისი დაუზოგველი სიწრფელის გამო. მისი სიტყვა და საქმე ოჩან ხარებივით განგან არ მიიწვედნენ, მუდამ ერთ კვალში იდგნენ და ამ თვისებას, რა თქმა უნდა, დამფასებელიც ბევრი ჰყავდა.

წითელწყაროს მილიციაში მსახურობდნენ ისეთი მამაცი კომკავშირელები, თოფის ლულიდან გამოსულ ტყვიას შიშველი ხელით რომ იჭერდნენ, — ყოვლად უნაგარო და ერთგული ადამიანები, მაგრამ მილიციის რიგებში მოხვდნენ თავზებელადებული ბედისმადიებლებიც, — ზოგი ანგარების, ზოგიც ფათერაქისა და ძლიერი განცდების მოყვარული გიჟ-კაცები, ყოველდღე გუნ-

დრეკის კმევასა და საეხე ხონჩას რომ მოითხოვდნენ.

არადა, — შარზე იყვნენ. ერთი პატარა წყენა, ერთი ხმადაბალი ოსანა და ბევრი მათგანი მიშინვე რჯულს იცვლიდა, მეორე ბანაკში გადადიოდა. ამ ქუჩის ხალხისათვის სულერთი იყო, რომელი ბანაკიდან ისროდა თოფს, თუნდაც კი ნასროლი ტყვია რაც შეიძლება ძვირად გაეყიდა.

ამგვარი ქრელი თანამშრომლები დახვდნენ ბიჭოია ფურცხვანიძეს წითელწყაროს რაიონში, მაგრამ გულწრფელობა, აკარგის ცნობა და მამაცობა, — სამი დედა-ბოძი, რაზედაც სდგას და არ ინგრევა ეს ცოდვილი ქვეყანა, — პირველი დღიდანვე გულზე მოხვდა ყველა თანამშრომელს, მრუდასა და მართალს... ამ კაცზე დანდობა შეიძლება, სთქვამს და მისი რიდი დაიჭირეს.

იყო მხოლოდ ერთი კაცი, თავიდანვე ცერად ყურება რომ დაუწყო ბიჭოია

ფურცხვანიძეს და ხანდახან ისე უადგილოდ ჩაუჭრიდა სიტყვას, — ბიჭოიას გულისხმა ეკარგებოდა, რა მოხდა, რა არ მოუვიდა თვალში, რომ ასეთი წყრომა დაეიმსახურეო.

ერთი კაცი არაფერიაო, შეიძლება სთქვას მკითხველმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კაცი ვანო მურადაშვილი იყო, სიღნაღის მაზრის მილიციის უფროსა.

მათი ურთიერთობის ამბავს თავის დროზე გაეცნობა მკითხველი, ახლა კი მხოლოდ ვიტყვი, რომ თუ კალამი ცოტა ამიჩქარდა და ერთ-ორი ზედმეტი სტრიქონი მოუძღვენი ბიჭოია ფურცხვანიძის დახასიათებას, — ალოლი და სიტყვის კაცი იყო მეთქი, — ეს ამბავი მწერლის სულწასულობას უნდა მიეწეროს: მინდოდა წინასწარ მეთქვა ყველაფერი, რითაც სამუდამოდ მომეჩადოვა ჩემი სკოლის ამხანაგმა ბიჭოია ფურცხვანიძემ.

თავი მისამო

...ბორანთან ცხენოსანი მილიციელები სწრაფად ჩამოქვეითდნენ, ცხენები მებორანეს დაუტოვეს და ფეხდაფეხ გააყენენ ლიხში დაღამებულ ბილყს. ქედლები უანა ჯერ კიდევ შორს იყო და ისინიც მოურადებლად მიაბოტებდნენ ზევის ნაპირ-ნაპირ, ვიდრე ლიხის ბოლოში არ გავიდნენ. მერე დაანწილდნენ და სამი მხრიდან შემოეწყვენენ აჯინაურის მინდორს. მეოთხე მხარე გასაქცევად აღარ ვარგოდა, კამეჩი ვერ გაატანდა ალაზნის დუბელა კაობებში.

ბიჭოიამ და სავეშაგოს უფროსმა ჯერ კიდევ გზაში მოილაპარაკეს და ისეთი მარჯვე, მისახდომელი ადგილები შეურჩიეს თავდასხმის ყველა მონაწილეს, კაცა კი არა, კერძოვანი ვერ გაქცეოდა იქიდან დამიზნებულ თოფს.

მაგრამ მოხდა გაუგონარი ამბავი: იმ

სალამოს აჯინაურის მინდორზე ერთი თოფიც არ გაეარდინლა.

ბიჭოიამ თვალებს არ დაუჯერა, როდესაც ხრამიდან ამოხოხდა და სამკალში გაშლილი ყაჩაღები დაინახა. ისინი პურს მკიდნენ და ისე გულდანდობილი მიბყებოდნენ ველს, რომ ბიჭოიას ჯერ ეჭვი შეეპარა, ვაითუ, მხარი მეჭედა და სოფლის უბრალო გლეხებს შემოვარტყითო ალყა. მაგრამ მერე თვალი მოატანი იქვე ნამკალზე დაწყობილ თოფებს, შავად მოვლევებულ მაუზერს, ვეება ხანჯალს...

ეტყობა, ყანაღებოც ფრთხილად აყვნენ და, კვალიდან კვალში რომ გადადიოდნენ, იარაღიც თან გადაჰქონდათ.

ამ სურათმა სულის სიღრმემდე შენძრა ბიჭოია ფურცხვანიძე. თვალი გერ მოსწყვიტა ამ უცნაურ ყაჩაღებს. ეტ-

16750/1

მარჯის სახ. სეგ. სსრ
საბჭოთა მწიგნობრობის მინისტროს ბიბლიოთეკა

ყოზოდა, კარგი მცელაგები იყვნენ, დუ-
რბინდში მკაფიოდ მოჩანდა ლამაზად,
ნაფთვე-ნაფთვეად დაწყობილი ნაცელი.

მხოლოდ ერთი შეწვერა ბიჭი იყო
ხელშეშლილი. როგორც სჩანს, ცელი
შეხვდა უთითო და მისი მოჭრილი პუ-
რი ზოგი მარჯვნივ წვებოდა ნაწვერალ-
ში, ზოგი მარცხნივ...

— მერე ძნებად აღარ შეიკვრება! —
უნებურად გაუელვა ბიჭოიას, და კინა-
დამ გაეცინა, რა დროს რა ფიჭრი მომ-
დისო...

ის ბიჭები კი ისე გულიანად მუშა-
ობდნენ და სადღაც ყანაში მწყეროც
ისე უშფოთველად ქეოქითებდა, რომ
ბიჭოიას თითქოს უკვე აღარ ახსოვდა,
რატომ იყო ამ ხრამში ჩაწოლილი, —
რომ იქ, მინდვრის ბოლოში და ხე-
ვალში ჩასაფრებული მილიციელები
სროლის დაწყების ნიშანს ელოდნენ...

ფიჭრად წასული ბიჭოია ფეხის ხმამ
გამოათხიზლა.

მოიხედა.

ნაღვარეუ ხრამში საგუშაგოს უფრო-
სი მორბოდა ორად მოკუზული.

მოირბინა და მდეღვარებისაგან ჩახ-
რინწული ხმით წასაჩუჩულა საფარში
გაწოლილ ბიჭოიას:

— რალას ვუცდით, კაცო, ჩვენ უვე-
ლანი მზადა ვართ!

იგი ცოტა დაფეთებული იყო, ცოტა
გაკვირვებულიც...

ბიჭოიამ გამშრალ ბაგეზე ენა მოისვა
და გავაშელს თვალეში შეხედა. წყნა-
რად პკითხა:

— შეიძლება ახლა ამათი დახოცვა?!

— აბა რა ვქნათ, — ჩაიციანა გავაშე-
ლმა: — ტაში დოუკრათ აქედან?

ბიჭოიამ ყური არ ათხოვა გავაშელის
დამკინავ კილოს, ტუჩებზე ენა ისევ
მოისვა და მშვიდად უთხრა:

— იქნებ დაგვენებდნენ... შეეჩვიანეთ!

— არ დაგვენებდებიან, ბიჭოია, მაგის
იმედი ტყუილა ნუ გექნება! სასტიკად
შეგვებრძოლებიან და შეიძლება ჩვენი
ბიჭებიც დააშავონ! გახსოვს, შარშან რა
მოხდა ტინის ხიდზე?

რა მისი შესხენება უნდოდა! განა

თავად ბიჭოიამ არ იცოდა, რომ ბოლო
დროს აქაური ყანალებზე მტრულად მოქცე-
ვდილს ამჯობინებდნენ? ცხელი ღამეა და
ბარებას და საგანგებო სამეუღლების ხე-
ლში მოხვედრას?

რა უთანასწორო ბრძოლაც უნდა შე-
ხედეს ადამიანს, პატარა იმედი მაინც
არის, რომ ღმერთი ბოლომდე არ გავ-
წარავს.

— აქ კი დახვერტას თუ გადაურჩი, სა-
მუდამო გადასახლებაში ამოგხდება სუ-
ლი! — ამინებდნენ ტყეში გავარდ-
ნილ ხალხს ტახტიდან გადმოყრილი
ნაკაცარები, და ისინიც არავითარ შემ-
თხვევაში ხელეებს მაღლა არ ასწევდნენ,
ერთზე ათიც რომ მოსულიყო, — ეს
ყველაფერი კარგად იცოდა ბიჭოია
ფურცხვანიძემ. მაგრამ ცელიან ყანას
თოფი მაინც ვერ ესროლა.

— ტყუილად ებოდიშები და ენაზები
ამდენს! — თდნავ ხმას აუწია საგუშა-
გოს უფროსმა: — მგელი მგლობს არ
ნოიშლის, მაგათგან კაცი მაინც არ და-
დგება! კესროლოთ და მოვრჩეთ საქ-
ნის!

— აქ მე ვარ უფროსი, ახანაგო დუ-
ღე!

— ნუ შემშალე კაცი, მითხარა, რა
მოხდა, რა გადაწყვიტე?!

— ახლა ლაბარაკის დრო არ არის.
გადაეცი ბუკებს ჩემი ბრძანება: ჩემად
გაეცალონ აქაურობას და ბორანთან
მომიცადონ.

ყველაფერს ელოდა საგუშაგოს უფ-
როსი, ასეთ ბრძანებას კი არა... ამ უფ-
ცარმა გადაწყვეტილებამ კაცი კინაღამ
გააგოცა. ადამიანს ბნედა რომ წამოუე-
ლის, ტუჩ-პირი ისე მოეღრცია და
ჩაუქამდა. მაინც არ დაავიწყდა, რომ
ახლა ისინი საფარში იყვნენ და ჩხუბი
და ალიაქოთი აქ არ შეიძლებოდა.

— გავეცალოთ? ყანალებს გავეცა-
ლოთ?! მგლები ხელში მოვიგდეთ და
ცოცხლები გავუშვათ? რას გვეტყვის
მურადაშვილი? ისედაც ამოგიღოს თვა-
ლში ამ ბოლო დროს! ცეცხლს ეთამა-
შები, ბიჭოია! — ამოიქმინა გავაშელმა

და პასუხს აღარ დაუცადა, გატრიალდა და ეკალ-ღიჭებში მიიმალა.

ბიჭოიამ კი ისევ დურბინდი მოიმარჯვა და მიწდორს გახედა. „შენი ხმალი, გავაშელო, და ჩემი კისერი, თუ ეს ასე არ მოხდეს!“ — შეეხმინა იგი თავის იღვმალ ფიქრს.

თავი მეოთხე

თებერვლის რევოლუციამ პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებში მოუსწრო ვანო მურადაშვილს. იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა სწავლას თავი მიანება და სამშობლოს მოაშურა... სიღნაღში ჩამოვიდა, მიიხედ-მოიხედა, ბევრი რამ აწონდაწონა და სამკედრო სასიცოცხლოდ გამართულ ბრძოლაში ყველაზე ძნელი ზნა აირჩია, — ბოლშევიკებს მიემზრო და იმავე წელს მონაწილეობა მიიღო ლაგოდნის აჯანყებაში. გათენებისას, მენშევიკების გეარდიელებთან შეტაკების დროს, მურადაშვილი მძიმედ დაიჭრა და მტერს ხელში ჩაუვარდა, დაჭრილი კაცი სიღნაღის საავადმყოფოში დააწვინეს, მოარჩინეს და თბილისის ციხეში გადაგზავნეს, სადაც მალე მისი გასამართლება უნდა მომხდარიყო, მაგრამ განგებამ ცოტა უფრო ადრე გამოუტანა განაჩენი თვითონ მენშევიკებს. ოცდახუთმა თებერვალმა მურადაშვილს ციხის კარი გაუღო.

ზორბა ტანის კაცი იყო სიღნაღის მაზრის მილიციის უფროსი ვანო მურადაშვილი.

თუ გაწყრა ღმერთი და პატიმრის დაკითხვის დროს ბრაზი მოერია და სკამზე შეტრიალდა, მერე მორჩა, — ის სკამი დასაჯდომად აღარ ივარგებს, ერთიანად მოირყევა და სახსარში დაიშლება.

სამაგიეროდ, ხმა დაჰყოლია ისეთი წერილი და წრიბინა, რომ ეკვი შეგება-

ტყის კაცებმა ერთი ხანი კიდევ იმუშავეს, სანამ გული კარგად არ იჭერეს. მერე ცელები იქვე დააწყეს, თოფიარალი აისხეს და ისე სწრაფად და ჩუმად გაუჩინარდნენ, თითქოს ამ ქვეყანაზე არცა ყოფილიყვნენ, სიზმრიდან მოვიდნენ და სიზმრად წავიდნენო.

რება, ეს კაცი ხომ არ მამამულებს, აბა როგორ შეძლება ამოდენა დევის ყელიდან ასეთი წრიბინი ამოდიოდნესო.

მაზრაში მალე გაითქვა სახელი, როგორც მოუკერძველმა და სამართლიანმა კაცმა. ვერავითარი ქირა და ქრთამი მასთან ვერ გასჭრიდა, ძმაცაცობა სასწორს ვერ გაუმრუდებდა, მალეიდან წამოსულ სიტყვას ბრმად არ შეუშვერდა კალთას.

ყველას ახსოვს ერთი ამბავი, როდესაც სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ თავის ახლობელს ხელი გადააფარა და მურადაშვილს შემოუთვალა, ამ კაცს ძირამდე ნუ ჩაჰყვები, ნუ ჩააცივდებიო.

— რა თქმა უნდა, არ ჩააცივდები, მაგრამ არც არაფერს ვაპატიებ! — განუცხადა მურადაშვილმა შუაჯაცს.

— შენი უფროსი ვახოვს, კაცო!

— სიმართლეს უფროსი არა ჰყავს, ჩემო კარგო! იგი თავად არის ყველას უფროსი, — მიუგო მურადაშვილმა.

ღარიბულად ცხოვრობდა სამაზრო მილიციის უფროსი.

ჯანგმოცილებული რკინის საწოლები, ერთი ძველი კარადა. — კარის ვალები და — დარკილული ფიცრიდან თეთარი ფქვილი სცივოდა.

ერთი გამოხუნებული ფარდაგი და მამა-პაპის დანატოვარი განიერი ტახტი. მურადაშვილის სამი პატარა გოგო-ბიჭი და მათი ჩინდალეული დიდება ერთად წყებოდნენ ამ ტახტზე.

ერთხელ შეიღი თუ რვა კაცი ერთად ესტუმრა მურადაშვილს. სკამების ნაკლებობის გამო, მისპინძლებმა მიიწიარე ბალები მეორე ოთახში გაიყვანეს და სასადილო მაგიდა ტახტისკენ მიიწიარეს. სხვანაირად საქმე არ გამოვიდოდა.

უთხრა ერთი-ორჯერ აღმასკომის თავმჯდომარემ, სიღნაღიდან გაქცეულმა ნაკლებმა ბევრი ვეჭვი და ავეჭვი დატოვეს ბინებში, ამოირჩიე, რაც გენებოს და შენი ფეშქაში იყოსო... მაგრამ მურად-აშვილმა თავი გააქნია, ჩემო მოსისხლე მტრების გამოხატეალ საწოლში რა დამაძინებს! ხალხიც არ მინდა ვალაპარაკო, ჩვენი მილიციის უფროსს მუქთი კუბო უყვარსო...

ამ დიდი სიკეთის მიუხედავად, ბიჭოია ფურცხვანიძე მაინც ვერ შეეთეთვინა თავის მეთაურს.

წითელი და თეთრი, — ამ ორი ფერიან გარდა, მურადაშვილი სხვას ვერაფერს ხედავდა ამ ქვეყანაზე.

— საიყარო ორად არის გაყოფილი, — ჩაძინებინებდა იგი თანამშრომლებს ყოველ კრებასა და დათბირზე: — წითლების მხარეზე არა ხარ? მაშ თეთრებისა ყოფილხარ და ტყვეია შუბლში სხვა ყოველი დაგვასწორებს!

— არა, ამხანაგო, ვანო, — შეეღიჯო ერთხელ ბიჭოია ფურცხვანიძე: — მე ეს ცხოვრება უფრო ძნელი მგონია, უფრო ღრმად წასული ქვესკნულ-ზესკნელში ცხოვრებაში ხშირად ხდება ხოლმე, რაღაც შენთხვევის გამო კაცი გზიდან გადასცდება, რაღაც შეეშლება, ან თვეოდანვე რაღაცაში დაეშვება და ბრძოლას განზე გაუდგება შეიძლება ამ შეცდომაში ქვეყანა არ დააქციოს და იმ კაცმა მართალი გზა იპოვოს, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ მსაჯულმა მეტი მოთმინება და გაგება გამოიჩინა!

— ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია, მორჩია და გათავდა მოთმინებაში ქვეყანა დაანგრია მუზიზღება ის ხალხი, რაღაც მესამე გზას რომ ეძებენ

აღარ დაასრულა და ისეთი ფეხლებით შეხედა მოკამათეს, უჩუქუნე კე-ღარა სცნობდა.

— მესამე გზის მაძებარი ხალხი მეც არ მოყვარს, ამხანაგო ვანო, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ისინიც აღმიახნები არიან და ასე განურჩევლად ყველა უფსკრულში ვერ გადაუძახებ! დაეჭვებულ კაცს ცოტა უნდა დააცადო, მიიხედ-მოიხედოს, ნიადაგი მოსინჯოს, მეორე იქნებ შენი ხატიც იწამოს და გვერდში ამოგიღვეს! წინასწარ განაჩენი რატომ გამოგაქვს?

მურადაშვილს ეცინებოდა ამ სიტყვებზე, ფიჭვი და ყოყმანი ჩვენი მტრების წისქვილზე ასხამსო წყალს. არათუ მოპირდაპირე სანგარში ჩამჭდარ მტოქეს, წამიერად გზაჯვარედინზე შეიძღვარ აღმიახნაც კი არ შეიწყალებდა, — მკერდზე თოფის ლულას მიიბჯინდა.

შარშან ნაბიანიში ციხიდან გამოქცეულმა ბიჭებმა დამის მებრეებს შეიღი უღელსი ხარკამენი მოსტაცეს და ალაზან-გელმა გაიყვანეს. შვეურავენმა ცნობა მოიტანეს, ამ თავდასხმას ვინმე ვინაძე მეთაურობდა.

მურადაშვილი გაგიჟდა თურმე და ბოროდანი ცოფი ჰყოლა.

— კიდევ არ მოისვენებს მაგ ნაკიცარებმა?! კაცი არ იფიქრო, თუ მათი გვარი და ჭილაგი ძირზე არ დაიფიქრან! თავდადნაწირობის ერთი პროცენტიც არ უნდა დარჩეს საქართველოში, თუ შვეილობა და ახალი ქვეყნის აშენება ვწყურია!

— ვეელას ერთი საზომი ვერ გასწვდება, ამხანაგო ვანო! ზოგი მტერი იქნება, ზოგი მოყვარე! გაიხსენე ჩვენი პარტიის ისტორია! რამდენი დიდებულ რევოლუციონერი გამოსულა თავდადნაწირობის წრიდან...

— მაშინ სხვა დრო იყო, სხვა განწყობილება! ახლა კი სხვა დროა! ვისაც ოქტომბერმა ტკბილი ცხოვრება წააშწირა, იგი ვერასდროს რევოლუციას ვერ შეიფიქრებს, ჩვენი მოყვარე არ გახდება!

— შეიძლება არ შეიფიქროს, შეიძლება

არც მტრად მოეციდოს! — ეტყობა ბიჭოთა და საქართველოს წარსულს გაიხსენებდა:

ლარიბი იყო ქართველი მეფე, ხაზინა მალე დაეცლებოდა, საბოძვარი ადგილმამულიც ხშირად გამოეღეოდა, — აზნაურის წოდებას კი მაინც არიგებდა წაღმა-უკულობა, რომ თავდადებული ქვეშევრდომების ღვაწლი და სიკეთე როგორმე დაეფასებინა.

ისახელა თავი მღაბიო კაცმა? იმ დღესვე უბოძებდნენ აზნაურობის სიგელ-გუჯარს...

რა თავში იხლიდა ცარიელ ქალაქს უმიწაწყლო ვლები, მაგრამ არ იცი ქართველი კაცის ამბავი?! ნუ აქმეფე, ნუ ასმეფე, ოღონდ მოეფერე და კარგი სიტყვა უთხარი! ასე იყო მეტწილად: ამიტომ საქართველოში მხოლოდ გვარსახელის გამო კაცის მოძულება არ შეიძლება, მაშინ ნახევარი საქართველო უნდა ამოიღო გულიდან!

მურადაშვილი კი მაინც თავისას გაიძახოდა: გულში ისინი ყველანი კომუნისტების მტრები არიანო... და არავითარი გარჩევა არ იცოდა, ეს კაცი სისტლის სამართლის დამნაშავე იყო თუ პოლიტიკური მეტოქე, გამოუწვორებელი ქურდი თუ კაცი ვინმე ყიამყარალი... ვისაც ხელში ჩაიგდებდა, აღარ დაინდობდა.

ბევრი მათგანი გზაში „შემოაკედა, გაქცევის დროს“, როგორც მაშინ ეძახ-

დნენ ამ ყოვლად საზიზღარ ვერაგობას.

ასეთი კაცი იყო სიღნაღის მშობრის მილიციის უფროსი ვანო მურადაშვილი.

იმ დალოცვილმა განგებამ სწორედ ეს კაცი შეახვედრა ბიჭოთა ფურცხვანიძეს ჩვენი ცხოვრების ყველაზე შფოთიან დღეებში.

ახლა შენ იფიქრე, მკითხველო, რა ავი ზნე მოუვლიდა მურადაშვილს, როდესაც საგულშაღოს უფროსი დღევე გავაშვლი ციხიანთ ყურეში მომხდარ ამბავს მიუტანდა.

არ დაიჭერა.

არაფრის დიდებით არ დაიჭერა, რომ რაიონის მილიციის უფროსი, ნაცადი კომკავშირელი, წითელ არმიასი ნამსახურები ბიჭი მახეში მომწყვდევულ ყაჩაღებს ასე ჰიპიარად გაუშვებდა.

კაცი უნდა გაგოცდეს ან შემოგზაენილი მტერი უნდა იყოს, რომ ამგვარი ღალატი ჩაიდინოს.

არ დაიჭერა, მაგრამ ეს დღევე გავაშვლი არც იმდენად ბრიყვი კაცი იყო, რომ უმიზეზოდ ასეთი აურზაური აეტეხა. ეტყობა, რაღაც უკვანო ამბავი მართლაც მოხდა ციხიანთ ყურეში... ფურცხვანიძე სასწრაფოდ გამოიძახეს. სანამ იგი სიღნაღში ამოაღწევდა, მურადაშვილს ბოლმისა და მოუთმენლობისაგან თვალები ჩაუსისხლიანდა და ისეთი ქშენა აუვარდა, კაცი იფიქრებდა, სასულე თუ დაეკეტაო.

თავი მესამე

უკვე ღამდებოდა, როდესაც მურადაშვილს მოახსენეს, წითელწყაროს მილიციის უფროსი გეახლათო.

ოთახში შემოსულ ფურცხვანიძეს თვალეზში არ შეხებდა, თავი განზე წაიღო და კბილებში გამოსცრა:

— მართალია, რაც მითხრეს?

— ორი დღეა, ცხენიდან არ ჩამოვსულვარ, ამხანაგო ვანო, ძალიან დავიდლაღე! ნება მომეცი...

მურადაშვილმა სიტყვის დამთავრება აღარ დააცალა, სკამს ხელი დაავლო, მის წინ იატაკზე დახეტქა და უთხრა:

— დაბრძანდი! — მურადაშვილს ხმა უკანკალებდა.

დაჯდომავს შეეტყო, რომ ბიჭოთა ფურცხვანიძე მართლა უბოძოდ იყო დალილი. წელზე ჩამოკიდებული მათური ლაჭებში მოიქცია და ცოტა სულე ჩაიდგა.

— დაწყნარდი, ამხანაგო ვანო, კომკავშირულ სიტყვას გაძღვე, მაგ ყანადებს ხუთივეს ცოცხლად გამოვიყვან ტყიდან! ოღონდ ცოტა მადროვე... — ძალიან მშვიდად და ძალიან ამხანაგურად უთხრა ფურცხვანიძემ.

— რა გადროვო, შე ლაწირაკო! გამოყვანილი არა გყავდა? ყველანი შენს ხელში არ იყვნენ? რა მოხდა, რატომ არ ესროლეთ! მითხარი, გამაგებინე, თორემ სამეულს გადაგცემ დღესვე—

მურადაშვილს ხმა უფრო დაუწვრილდა, კისრის ძარღვები დაებერა, მგელი რომ დატრიალდება გალიაში, ასე მიაწყდა ხან ერთ კედელს, ხან მეორეს და რიყის ქვესავით შეკრული მუშტები დაუშინა.

ბიჭოიას ეგონა, აქედან ცოცხალი ვერ გავასწრებო მურადაშვილს, მაგრამ მერე თვალი მოატანა, რომ ეს აქვლებული დევკაცი ერთბაშად ჩაიხრა და ჩაყურდა. რალაც უცაბედმა ფიქრმა აშლილი პირისახე დაუწყნარა, თვალები დაუშინდა...

ერთი ხანი კედელთან ჩუმად იდგა და ფურცხვანიძეს უჩინოდ მისჩერებოდა. მერე ამოიხრა და თითქოს თავისთვის ჩაალაპარაკა.

— ბოდიში, ბიჭოია, ცოტა გავცხარდი!

ბიჭოიამ ხმა არ გასცა. ასე უსუნთქებლივ ის „ლაწირაკო“ ვერ დაივიწყა და მიმხვედრმა მურადაშვილმაც ცოტახანს იყურა, მერე ფურცხვანიძეს თავზე დაადგა და უთხრა:

— გამოვიყვანო — ადვილი სათქმელია, ჩემო კარგო, მაგრამ რამდენი კუთა და მოხერხება სჭირდება ამ საქმეს, თუ იცი შენ? თავი არ წაავო ტყუილუბრალოდ! მე ჩემი მხრიდან ყოველნაირად შეგიწყობ ხელს...

მისმა მეგობრულმა კილომ იმწამსვე იპოვნა ფონი ახალგაზრდა კაცის გულში. ბიჭოია წამოდგა და ისეთი მადლიერი თვალები მიაპყრო მურადაშვილს, — სად იყო იმ თვალებში წედანდელი წყენა და ჭავრი!

— შენ არ შეგაწყნებ, ამხანაგო ვა-

ნო, მე და ჩემი ხალხი მოუწყლით ამ საქმეს. შენ მხოლოდ პარტბან მოშვეცი, დაწერე და ბეჭედი დაწკარავი, რომ ბიჭოია ფურცხვანიძე ტყიდან ვისაც გამოვიყვან და შემოირიგებს, იმას ძველი ცოდვები ებატება და პატიოსან შრომას დაუბრუნდება!

— ქალაღი რად გინდა, ბიჭო, აგერ სიტყვა და აგერ ჩემი ხელი! დაკარგი! — შესძახა მურადაშვილმა და ხელი გაუწყოდა.

დაკარგეს.

ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს, რალაც ქალაღებში ჩაიხედეს, რალაც გვარები ამოიკითხეს და ერთმანეთს გულთბილად დაემშვიდობნენ.

— ნუ გეშინია, აგუნა, ჩვენი საქმე კარგად არის! — უთხრა ბიჭოიამ მარგილზე გამობმულ ცხენს. დგომის დროს მოშვეებული მოსართავეები ხელახლა მოუჭირა, საძუე გაუსწორა და უნაგირს მოახტა. გახარებულ კაცს რა დაღლა მოერგოდა!

ბიჭოია ფურცხვანიძის ოცნებაც ეს იყო, — დახმარებოდა იმ უბედურ ხალხს, რალაც უბრალო ფათერაკმა. სიბრძევემ თუ სხვათა ჩაგონებამ დედაადგილს რომ მოსწყვიტა და ტყეში შეპყარა.

ბევრი მათგანი მერე მართლაც ავკაცობდა, ლუკმა პურის ძებნაში სოფლებსაც აწიოკებდნენ, მაგრამ ისინი მაინც არ იყვნენ ქრისტეს ფეხის მუშელები მხაკერები... მათი შემოირიგება და გადარჩენა გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა ბიჭოია ფურცხვანიძეს.

დიდი იყო შფოთი და არეულობა მაშინდელ საქართველოში. გახშირდა ყაჩაღობა. ტყეში დაძრწოდნენ არა მართო ძველი, გამოჯანდრული კაცისმკვლელები და მძარცველები, — ამ გადაგვარებულ ხალხს ახლა მხარში ამოუდგნენ ტახტიდან გადმოყრილი ნაკაცარები.

ბიჭოია ფურცხვანიძე მუუზნებოდა, ცხრა თოკში გამოვლილი ყანალი უფრო დაგინდობს და შეგიწყალებს, ვიდრე

ტყეში გავარდნილი პოლიტიკური მოქიშე... ყაჩაღს მართო შენი ფული და ცხვარ-ძროხა უნდა, პოლიტიკურ მოქიშეს კი ყველაფერი მიაქვს, ფულიცა და სულიცო...

მემატინე მოგვიხსობს, რომ 1922 წლის მეორე ნახევარში ამ უკუღმართმა ადამიანებმა დღშეთის მარხაში, სახელდობრ, სოფელ მჭადისჯვრის სანახებში, ისეთი ციხესიმაგრე შექმნეს, რომ მთავრობამ წითელი არმიის ნაწილები ვაგზავენა გათავებდებული თარეშის გასანადგურებლად.

მეტად საშიში ბრბოები დიხეტე-ბოლნენ იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ტყეებში, მაგრამ ყველაზე საეალალო მდგომარეობა მიიწე კახეთში შეიქმნა, სადაც საბჭოთა ხელისუფლებას მეტი მომდურავი ხალხი ვაუჩნდა: თანაც კახეთის ტყეებში ხარჯი უფრო ადვილად იშოვებოდა და ყაჩაღს თავის გატანა არცთუ ისე უჭირდა.

ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ტყეს ერთი ნაცალი ხელი მართავდა. ხშირად შვირალბული გამოსვლა, აჯანყებას მიმსგავსებული ორომტრიალი, სოფლის მოწინავე გლეხების გატაცება, მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა, სახლ-კარის გადაწვა, — რაღაზე არ მოაწერეს ხელი ხალხის მტრებმა, ოღონდაც კი წითელი საქართველო დასუსტებულყო და დაქვეულოყო.

ამ უბედურებას ერთი ჭირი კიდევ მემატა. ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის საზაფხულო საძოვრებს ქისტები ყაჩაღები შემოეჩვივნენ. ისინი თამამად გადმოდიდნენ კავკასიონის უღელტეხილზე და, როგორც მემატინე იუწყება, ბოლო წლებში სამოცი ათასი სული ცხვარ-ძროხა მოსტაცეს ქართველ მწყემსებს.

ყო კიდევ ერთი გარემოება, რამაც ერთობ გააძნელა ტყესთან ბრძოლა და იმი. ტყეში მომრავლდნენ ფეხის ხმას აყოლილი, გზას ამცდარი გლეხები: მეწისქვილე იორამის ბიჭი, ცერცება დუხუნია ლამის მესხრედ ედგა შემოქედებებს. ტყეში რა უნდოდა იმ საცო-

დის, მაგრამ, ეტყობა, კაცი ბედისწერას ვერ გაეძეცვია; იორამის ბიჭზე მუდამ ამზობდნენ, ვე უბედური ხატის დღესასწაულში არ ვაიშვება, ღვინოში ბორბავს, დადის და ხანჯალს აწვალვებს, — ჯერ ქარქაშიდან ამოაშიშვლებს, მერე ხელს დაკრავს და ისევე ჩაავებს, მისი ხანჯლის ქახუნი სუფრიდან სუფრაზე გადადისო...

— ამ დროს დუხუნის თვალბებში არ უნდა შეხედო, სიტყვა არ უნდა შეუბრუნო, თორემ უშაროდ ვერ გადაურჩები — მითხრა ერთხელ მებაზე გოგიამ.

ისე კი, სიფხიზლეში, დუხუნია აბაიძე ყოველად უწყინარი და უბოროტო კაცა იყო.

...იმ საღამოს აბაიძეს ერთი ხამი ბიჭი გადაეციდა სუფრაზე.

— მოეშვი, კაცო, ემაგ ხანჯალს, დაეცა თამადას, სადღეგრძელოს ამზობსო! — დასძახა თურმე იმ ბიჭმა ღვინოსაგან კარგად შეხურებულ დუხუნისა. დუხუნისმა წარბი შეიკრა და სანამ ძმაცაკები ხანჯალს წართმევდნენ, მისი მენიხზე უკვე სისხლში ცურავდა. შემინებულმა მეწისქვილემ შვილი სუფრიდან გააპარა, ალაზნა-გალმა გაიყვანა და ღვების ტყეში დამალა.

— ტყეში რა უნდა, შე უღმერთო, ჩვენს ბიჭს?! მილიციის ტყვიას რომ გადაურჩეს, შიმშილი და სიცივე ამოხდის სულს! — შეიცხადა დუხუნისა დედამ, როდესაც მეორე დღეს მეწისქვილე ალაზნიდან მობრუნდა: — ვეკილმა მითხრა, ჭრილობა საშიში არაა! დიდი-დიდი, წელიწად-ნახევარი მიუსაჯონო! წელიწად-ნახევარი რა არის, შე კაცო, ხელდახელ გაივლის, ციხიდან გამოვა და ისევე კაცი იქნება!

— ნუ გეშინია, დედაკაცო, — დაამშვიდა მეწისქვილემ დაზაფრული ქალი: — იცი, წითელმა დათამ რა მითხრა? ბოლშევიკების დღეები უკვე დათვლილია, დღეს არა ხვალ საქართველოდან გუდა-ნაბაღს აიკრავენ, ატანტის გემები დარდანილში უკვე შემოსულან და მხოლოდ ბრძანებას უცდიან, რომ

ბათუმში ჯარები გადმოსხანო! გაქცევის დროს ეს გამწარებელი მთავრობა, ვინ იცის, რას, უზამს პატივებს! შეიძლება ყველა ერთად მიახვრიტოს, ბრუნდი და მართალი! მერე დაჯექი და უყარე კაკალი... ბეწვის ხიდზე რატომ უნდა შედგეს საწყალი ბიჭი! იყოს ტყეში, ერთი-ორი კვირა გაიჭირვოს და მერე მადლობასაც ეტყვიან, კარგი ბიჭი ყოფილხარ, რომ ბოლშევიკებს არ შეუტრიგდი და ტყეში გაიქცეო...

ამ ხმამ, — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება მალე დამხობაო, ისეთი ძირი მოიდგა სოფლებში, რომ მარტო ჩვენი უბნიდან სამი კაცი გავიდა ალაზან-გალმა. გარბოდა ყველა, ვისაც რაიმე პატარა სასაფელი მინც ელოდა საბჭოთა მართლმსაჯულებისაგან.

ოზანში მეკალოე ბიჭებმა ერთი ბოლოა გლეხი ათვალისწუნეს და ზაქი დაუტყეს, მერე ლექსიც გამოუთქვეს:

გავილანთ ზაქი დაკლებს
 ორი კვირის წინაო,
 ტყეში იყო, ლუკმა პურზე
 დავედიოდი შინაო...

საუბედუროდ, ერთ ბიჭს ზაქის ტყავი უპოვეს და დაჭერას უბირებდნენ. ისიც მაშინვე ტყეში გაეარდა, ისე იყო დაჭრებული, „ამ მთავრობის დღეები დათვლილი არისო“.

ძმები ბენაშვილებიც ასევე უბრალოდ შეიწირა სამების ტყეში:

მეფის ყოფილი ოფიცერი დათიკო წერეთელი კარგი მონადირე იყო და მასთან ამხანაგობა ყველას ეხალისებოდა, მისი ნადირობის ამბავს ზღაპარით ჰყვებოდნენ სოფელ-სოფელ. იმ საღამოს წერეთელს შემოეთვალა, ჯიშისყურეში მივდივარ ტახებზე სანადიროდ და ესა და ეს ბიჭები გათენებისას სამთაყვაროსთან დამხედნენო.

ბიჭებიც თადარიგს შეუდგნენ, მხოლოდ ბენაშვილების შუათანა ძმამ წარბები მალა ახიდა თურმე, ახლა ტახი კავკასიონიდან ჩამოსული იქნება თუ არაო... ალაზნის პირზე ჭერ კიდევ ცხელა, ტახი ამ დროს ტყე-ქალას ნაკ-

ლებად ეტანებაო. ბენაშვილს ცოტა ისიც გაუვირადა, რომ მარტო ბეწვი ხალხი იყო დაძახებული, მაგრამ ამ წვრილმან ამბებს სხვა არავინ ჩაუფიქრდა, ბენაშვილს კი უფროსი მეგობრისა მოეხატრა და თავისი ეპვი ვერავის გაანდო.

გათენებისას ყველანი უკვე დანიშნულ ადგილას იყვნენ... მაგრამ გავიდა ერთი საათი, გავიდა მეორე საათი, — არც დათიკო წერეთელი გამოჩნდა და არც მისი კაცი. ნამი უკვე შეაშრა ბალახს. ხალხს გული გაუწყალდა, ნელა-ნელა დაიშლნენ და წავიდ-წამოვიდნენ. მხოლოდ ორი ქედელი მონადირე და ძმები ბენაშვილები დარჩნენ.

მოშუადღევდა. მინდორში გაშლილმა საქონელმა საჩრდილობელ ხეებს მიაშურა, — ისინი მაინც იდგნენ და გზას გასცქეროდნენ. ბოლოს ვიღაცამ მოიბინა და ბენაშვილებს უთხრა, თავს უშველეთ, ნადირობა კი არა, აჯანყება დაიწყო, დათიკო და მისი ამჟარი უკვე დაიჭირეს, ვიღაცას თქვენი გვარიც დაუსახელებია, — ჩვენი შეთქმულება იცოდნენ, ამ დილას სოფელი ხელში უნდა ჩაგვეგდო და აღმასკომის თავზე სამფეროვანი დროშა აგვეფრიალებინაო... სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, ბენაშვილების მამაც მოვარდა, თავში ხელეობი წაიშინა, „რატომ დამღუბეთ, შეილებო, დილიდან გეძებენ, მთელი სახლ-კარი გადაატრიალესო!“

ძმები მიხედნენ, რომ დათიკო წერეთელმა რაღაც უგვანო მახეში გააბა ისინი, ტახებზე ნადირობა მხოლოდ თვალთმაქცობა იყო. გულში კი, როგორც სჩანს, სხვა ფიქრი უტრიალებდა ყოფილ ოფიცერს, მაგრამ ძმებმა იმდენი მხნეობა ვერ გამოიჩინეს, რომ სოფელში დაბრუნებულიყვნენ და თავიანთი სიმართლე დაემტკიცებინათ.

„ვინ იცის, ამღვრელი წყალი როდის დაიწმინდება, ამიტომ, სანამ გადაიდარებდეს, ტყეში მოვიცადოთო“, — გადაწყვიტეს ძმებმა და სამთაყვაროდან თავქვეზე დაეშენენ, დაღამებამდ ნანკაანის ლიჭა-ბარდებში იმალებოდ-

ნენ, მერე ალაზანი გაეცურეს და ტყეში გაიჭრნენ.

ერთი ადგილი ვერ უძლებდა ამდენი

ხალხის ჩრენას, ბრბოები განუწყვეტ-
ლივ მოძრაობდნენ და აცარიელდებდნენ
ისედაც დამშეულ სოფლებს.

თავი მესამე

დატრიალდნენ სანდო კაცები, გამო-
იყობნენ, გამოიძინეს, ახლომახლო სოფ-
ლებიდან ტყეში ვინ იყო გასული და
იმ ზუთი ყაჩაღიდან ერთი ბიჭის გვარ-
სახელი მერე დღესვე დაადგინეს. თუ-
შე იყო შირაქში ჩამოსახლებული, ში-
ოლა ნაზლაიძე.

შარშანწინ ნაზლაიძეს საცოლვე მოს-
ტაცა თურმე ვიღაც ბელაქნელმა ლეკ-
მა და ხუნძახში მიიძალა. ქვეყანა შეაწ-
რიალა გამწარებულმა ბიჭმა, მისი ასა-
ვალ-დასავალი მაინც ვერ გაიგო. ეს მო-
ხდა გაზაფხულზე. სექტემბრის დამლევს
კი შიოლას ვიღაცამ შეატყობინა, შენი
მოსისზელე ლეკი ალავერდის მინდორზე
ვნახე, სადღეე ცხენები ჩამოუყვანია და
ჰყიდისო...

ალავერდის ხატის დღესასწაული უკ-
ვე ილეოდა, მაგრამ შიოლა ნაზლაიძემ
მაინც ჩამოუხსწრო ბაზრობაზე იმ უბე-
ღურს.

ძმაბიჭებმა ცხენი კი არა, შირაქის
ზენა-ჭარი ათხოვეს ნაზლაიძეს.

არც ხალხისა მოერიდა, არც მილიცი-
ელებს შეეშა, ბერდანა თოფი გულზე
დაახალა და მისი დამლუბველი ლეკი
უსტლოდ დაავდო მიწაზე.

გამოუდგა მდედარი. ნაზლაიძემ დამ-
წვარზე მდუღარე დაასხა. იმ სროლასა
და ცეცხლივლებაში ერთი კაცი კიდევ
დაჰკრა და სოფელში უკვე აღარ დაბრუ-
ნებულა, წავიდა და წავიდა, ტყეს მისცა
თავი.

როცა ბიჭოიას მისი სურათი მიუტა-
ნეს, იგი წამითაც არ დაფიქრებულა,
მაშინვე დაადო ხელი, — სწორედ ეგ
შავწყვრა ბიჭი დავინახე აყინაურის
მინდორზე, მისი პირისახე ყველაზე მე-
ტად დამამახსოვრდაო...

დღეე გავაშელმაც დაადასტურა, ში-
ოლა ნაზლაიძე და ამ სურათზე გამო-
სახული ბიჭი ერთი და იგივე პიროვნება
არისო.

რახან ნაქსოვს ერთი თვალი კი ჩაუ-
ვარდა, მერე საქმე ადვილად წავიდა.
მალე იმ ოთხი ყაჩაღის ვინაობაც და-
ადგინეს, მათი გზა-კვალიც მოიძინეს,
მაგრამ ბიჭოია არ აჩქარდა. „არ შეიძ-
ლება ამოდენა შირაქში რომელიმე მათ-
განს ერთი მესაიდუმლვე კაცი არ ჰყავ-
დესო“, — ფიქრობდა იგი და ფრთხი-
ლად, ძალიან ფრთხილად (არ უნდოდა
ეს ამბავი აღრევე გახშიანებულიყო)
სოფელ-სოფელ ეძებდა მისთანა გლე-
ხებს, ფარულად რომ თანაუგრძნობდ-
ნენ და ზოგჯერ ხელსაც კი უწყობდნენ
შირაქელ ყაჩაღებს.

ბედმა აქაც გაუმართლა ბიჭოია ფურ-
ცხვანიძეს. ასეთი კაციც იპოვეს, ვინმე
ბეროშვილი, ოზაანელი მებორნე, და
არა მხოლოდ იპოვეს, — მებორნემ მა-
შინვე ირწმუნა ბიჭოია ფურცხვანიძის
სიტყვა და შეუაკცობა ოყოყამანოთ რი-
სრა.

— ოღონდ მაგ ბიჭებს რამე ეშველოს
და მე თუ გინდა ცეცხლის კალოში ჩავ-
დგები! — განაცხადა მებორნემ, თუმცა
ერთი პირობა მაინც ჩამოართვა ფურც-
ხვანიძეს: — შენმა ბიჭებმა თვალთვალი
არ დამიწყონ და რამე უკუღმართობას
არ გადაემკიდონ! ჩემი ასავალ-დასავალი
კაცმა არ უნდა იცოდეს, მეტი თვალი
და ყური დაგვიშლის, ის ბიჭები დაფრ-
თხებიან და საქმე შეფერხდებაო...

ბიჭოია შეპირდა, შენი შუამავლობის
ამბავს საიდუმლოდ შევინახავთო, ვი-
თომ ზღვაში კენჭი ჩავარდნილაო, და
რამეთუ ყოველგვარი ეჭვი და უნდობ-

ლობა გვექარწყლებინა, იქვე დასძინა: ჩვენი შეხვედრის ადგილი თვითონ შიოლა ნაზლაიძემ დათქვასო. „სადაც კი მოისურვებენ ჩემთან მოლაპარაკებას, ყველგან ყაბული ვიქნები“ — უთხრა ბიჭოიამ. შემორიგების პირობები ერთხელ კიდევ შეახსენა და კეთილი გზა უსურვა.

ხელიდან წასულ კაცს ცელი და ნამგალი არ მოენატრება!

გეშმა და ალოომ არ უმტყუნა ბიჭოია ფურცხვანიძეს. როგორც კი შუამავალმა ხმა მიაწვდინა შიოლა ნაზლაიძეს და მისი ბედის მოზიარე გლეხებს, მთავრობა შემორიგებას გვიპირებთო, ისინი წინ გაუგვორდნენ მებორნეს, ოღონდ სოფელში დაგვებრუნონ და სიკვდილამდე კისრიდან უღელს არ გადავივლებთო.

მაძახურას ხევში წითელწყაროს მილიციის უფროსი და შიოლა ნაზლაიძე რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს.

ბიჭოიას მოეწონა ეს მალაღი, მხრებში აწურული, ოდნავ წელში მოხრილი ბიჭი. პირველი დანახვისას იგი ცოტა ძაბუნ კაცად მოეჩვენა ფურცხვანიძეს. ყაზადის ხიფათიან ცხოვრებას უკვე დაედარა მისი გაშლილი შუბლი, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, გულში გაეცინა, თვალმა როგორ მომატყუაო.

რა ძაბუნი? მაგრად მოზიდული მშვილდი თუ გინახავს, ისეთი დაძაგრული და შეკრული ტანფეხი ჰქონდა შიოლა ნაზლაიძეს. ასეთ კაცზე იტყვიან, ცხრა გაშლილ ნაბაღს გადაახტებო...

ხშირი, წაბლისფერი უღვასის ძირებში თამბაქოს ყლარტისა და არყის სუნი გასდგომოდა. თაენაღუნული ლაპარაკობდა, მოსაუბრეს შერას არიდებდა, მაგრამ ერთ-ორხელ თავი ასწია და ისეთი სწრაფი თვალი შეავლო ბიჭოიას, რომ იგი უნებურად შეცბა, — თვალისჩინი კი არა, თითქოს ელვის ნატეხი მიაწყდა პირისახეზე.

მაშინ კი მიხვდა ბიჭოია ფურცხვანიძე, რა შეუბრალებელი იქნებოდა იგი შურისძიების წუთებში.

ერთი წვერმოტეხილი სიტყვა არ დასცდენია ნაზლაიძეს, არც ქვიშის თოკის გარეხა დაუწყია, ^{შეხვედრის} განუცხადა წითელწყაროს რაიონის მილიციის უფროსს, თუ მთავრობა შეგვინდობს და პატიოსან შრომას დაგვაწყვებინებს, — დმერთი და რჯული, წინახარების მაგივრობას გავწევთო...

შიოლა ნაზლაიძეს მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა: ტყეს იმ წლებში თავისი წესი და რჯული ჰქონდა, თავისი კანონსამართალი. ამ გამორიყვებულმა გლეხებმა არ იცოდნენ, რომ ტყეში შესვლა ადგილი იყო, გამოსვლა კი მეტად ძნელი და საველლო. ახლოვდებოდა ათას ცხრაას ოცდაათი წელი და უკვე ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ტყეში რალაც დიდი ამბავი ხდებოდა, იღუპლა საქმე იწყებოდა. ამიტომ თუ ვინმე ტყიდან გასვლას დააპირებდა, სოფელში დაბრუნებას მოიწადინებდა, — მისი წირვა გამოსული იყო... ტყე უკან აღარავის აღარ უშვებდა. როგორც სჩანდა, ტყეს თავისი უხილაფი გამგებელი ჰყავდა.

ორმა ყაზადმა, დიდებაშვილმა და ზალიკო კიკნაძემ ცოდვები მოინანიეს და სოფელს შეურაგდნენ. მჭადიჯერის ბანდის მეთაურმა წესი აუგო ორივეს. დიდებაშვილი სოფელში მოაკვლევინა მიგზავნილ კაცს, კიკნაძე კი სახლიდან მძინარე გამოიტაცეს, ტყეში აწამეს და პირუტყლმა ჩაფლეს მიწაში.

დუხუნია აბაიძე მხოლოდ იმიტომ გააქრეს ამ ქვეყნიდან, რომ ერთხელ ღვინოში წამოსცდა თურმე, დანაშაულს თუ მაპატიებენ და ციხეში არ ჩამსვამენ, ტყეში ვერაფერი გამაჩერებდსო...

ასეთმა სისასტიკემ ტყე დააშინა და იმ უხილაფ ძალას დაუმორჩილა. მაგრამ მიწის ძახილი ყოველგვარ შიშზე უფრო ძლიერი გამოდგა. თანაც მილიციის უფროსმა დააიხედა შიოლა ნაზლაიძე, ჩვენც გვექნება თვალყური, რომ ბოროტმა ადამიანებმა ავი რამ არაფერი შეგამთხვიანო.

ყველა სთქმელი უკვე ითქვა, ყველა

ეჭვი და საგონებელი უკვე გაცხადდა და მარიამობისთვის დამლევს, მეზორნე ბეროშვილის ქოხში, შიოლა ნაზლაიძე და მისი ამხანაგები — აბრო ველაშვილი, კვირიკა ზარიძე, ხარება ქავთარაძე და ზაზა ფოცხვერაშვილი წითელწყაროს მილიციის თანაშრომლებს ჩაბარდნენ. როგორც დათქმული იყო, ყაჩაღებმა ჯერ თოფ-იარაღი გამოგზავნეს, მერე თვითონაც მოვიდნენ და შემორიგების ქაღალდს ხელი მოაწერეს. წვიმიდა, ბნელოდა. ბიჭოიამ შემორიგებულ ყაჩაღებს ცხენები ათხოვა და რამდენიმე მილიციელიც გააყვალა, რომ გზაში რაიმე ფათერაკს არ გადაჰყოფდნენ. თვითონ კი ნაბადში გაეხვია და სადაც იქნა, იქვე მიეყვინა კედელს.

და ისე ჩუმად მიიძინა, თითქოს აცუნის ბაღი იყო. ასეთი ბედნიერი ძილი არა მგონია, რომ ოდესმე ჰქონოდა ბიჭოია ფურცხვანიძეს. როგორ გაიხარებენ იმ ბედდამწევი ბიჭების მშობლები და დედამამშვილები, და როგორ გაოცდებიან სამაზრო მილიციის უფროსი ვანო მურადაშვილი, — ეს რა მარჯვე და გონიერი თანაშრომელი მყოლია, საქმე დამში მოიყვანა და რა მოკლე ხანში ხუთი ყაჩაღი შემოირიგაო...

გათენებისას წვიმამ გადაიღო, მაგრამ აციანურის ქალა-მინდორზე ისეთი ხშირი ბურუსი ჩამოწვა, მთლად ჩამობნელა იქაურობა. მეზორნეს ტანმა უგრძნო, რომ უკვე გათენებული იყო: ადგომა მაინც არ იჩქარა, კუთხეში საცოდავად მიუყუებული კაცი არ ვაგაღვიძოო. ბიჭოიას ისევ ისე ხმელათ ეძინა სკამზე და სულის ქვევაც კი ვაჩუყვობა. ეტყობოდა, ჯერ კიდევ ვერ მოესწრო გამოშვება ორი ღამის უძინარ ბიჭს.

მეზორნემ კერაში ჩახვეული ცეცხლი განჩრიკა და ხმელი შემოუწყო. მერე სამფეხზე ქვაბი შემოდგა, რომ წუხანდელი სუფრის მონარჩენი ხინკალი გაეცხლებინა. სანამ ქვაბი წამოდუღდებოდა, საჩხეში გავიდა, სტუმრის ცხენს თევა მისცა.

უეცრად ალაზნის მხრიდან თქარათქური მოისმა. ბურუსში თვალი ვერა-

ფერს ჰკიდა მეზორნემ, აქედან უზოს ჰიშვარიც კი ლანდალ სჩანდა. მანერამ ყველაფერზე ეტყობოდა, ვილაც ვიკეთუ თუ თავმოქმედებული კაცი ცხენს მოაჭენებდა საურმე გზაზე. აბა ამისთანა ბურუსში ცხენის დათხება იქნებოდა?!

არ გასულა დიდი ხანი, მეზორნის ჰიშვართან გაწითლებულმა, ოფლადაღვრილმა მილიციელმა მოაგდო ცხენი.

— საგითა?! — შეიოცა მეზორნემ.

საგითა მეზორნევილი უფროსი მილიციელი იყო სოფელ ოზანში. ბიჭოიადნობოდა ოზანელ მილიციელს. წუხელ სწორედ საგითას ჩააბარა შიოლა ნაზლაიძე და მისი ამხანაგები. ისინი ნაშუალამევეს გაუდგნენ გზას; ნარიანამდე კი ორმოცი ვერსი მაინც იქნებოდა. და მეზორნეს გაუყვირდა, ასე ხელდახელ, ღამიანში, სოფლამდე მიყოლა და უკან მობრუნება როგორ მოასწერესო.

მოსულმა მისი გაოცება არ შეიმჩნია, ცხენიდან ჩამოხტა და ხმამაღლა ჰკითხა მეზორნეს:

— უფროსი აქ არის?

— აქ არის.

საგითამ თავბირზე მკლავი ჩამოსვა და ქოხს მიაშურა. მეზორნე წინ გადაუდგა.

— სძინავს, ცოდევა ახლა მაგის ვალვიძება. გუშინ და გუშინწინ ფეხზე ჩამოწყდა კაცი!

— სასწრაფო საქმე მაქვს! — ხმას აუწყია მილიციელმა.

— რა გაყვირებს, ბიჭო, ნალსა და ჩლოქს შუა ხომ არა ხარ გაჭედილი!

— აბა გამიშვი, რომ ვუტუნები!

— რა ვაჩხუბებო, ხალხო, ეს ბურუსი ვერ გაიყავით? — ქოხიდან ბიჭოია გამოვიდა. სტუმარ-მასპინძლის შელაპარაკებამ ცოტა უდროოდ გამოაღვიძა იგი. აწოდინებდა, ამოქნარებდა, მაგრამ გუნებაზე მაინც იღგა, — წუხანდელი ღამის მოგონება მძლავრად უსხივებდა თვალებს...

საგითას დანახვაზე წარბები მალლა შეჰყარა. იმ წამსვე მიხვდა, რალაც ჰირს გადაეციდნენ ეს ბიჭები, თორემ

ასე უთენებლივ საგითას აქ რა მოიყვანდა?

— გეტყობა, ვერა ხარ კარგი მახარობელი! — უთხრა ფურცხვანიძემ.

— ვერ ვარ, ამხანაგო უფროსო! — მაშინვე გამოუტყდა საგითა.

ბიჭოიამ მებორნეს გადახედა — და ისიც უხმოდ მიტრიალდა, ეზოდან გავიდა. საგითამ ცოტა ხანი კიდევ მოიცადა, სანამ მებორნე თვალს მიეფარებოდა, მერე ნაღვლიანად სთქვა:

— თქვენთან გამოსაჩენი პირი აღარა გვაქვს, ამხანაგო ბიჭოია. სამაზრო მილიციის უფროსმა წაგვართვა შიოლა და მისი ამხანაგები.

— როგორ თუ წაგართვათ, რას მიედმოედები!

— ხეობიდან ამოვედით თუ არა, სამაზრო მილიციაში ალყა შემოგვარტყა, ერთი ოცეული მაინც იქნებოდა. მურადაშვილმა პირადად თვითონ უბრძანა შემორიგებულ ყაჩაღებს, ცხენებიდან ჩამოდიოთ... მერე ხუთივე გაჩხრიკეს, ხელ-ფეხზე ბორკილები დაადეს და წინ გაირიკეს!

ზარდაცემულმა ბიჭოიამ ხმა ვერ ამოიღო. შუა ეზოში ჩემად იდგა და უაზროდ მისჩერებოდა ავის მათუწყებელ შიკრიკს.

— მეტი არაფერი? — ჰკითხა ბიჭოიამ.

— ისინი რომ წაიყვანეს, მერე მურადაშვილმა ჩვენი გვარები გამოიკითხა და მადლობა გამოგვიცხადა, თქვენა და თქვენი უფროსი მარჯვე ბიჭები ყოფილხართო! — მიუგო საგითამ.

რა მწარედ ჩაეცინა ბიჭოიას... ავისი სიტყვა ენის წვერზე ეყიდა, მაგრამ თავი შეიკავა. არ იკადრა, რომ ხელქვეითის გასაგონად მაზრის უფროსის აუგი ეთქვა.

„ღმერთო მომეც ძალა და მოთმინება!“ გაიფიქრა და ქოხიდან უნაგირი და ნაბადი გამოიტანა. მერე ეზოს თვალი მოაგლო და ქასთან დაყუდებულ ცხენს გასძახა:

— აგუნა!

მოისმა ნელი ჰიხინი, მოვდივარო...

ბიჭოიამ ცხენს კისერზე თავი მიადო და ერთი-ორი წუთი ასე გაქვავებული იდგა ეზოში, თითქოს მეტი საძრიაობა აღარა ჰქონდა.

„ესეც ჩემი ბელი! რაღა მე დამადგა თვალი მეთათრმა და ამ კარგი ბიჭის გულის გასახეთქად გამომგზავნა!“ — ფიქრობდა ჰირის ოფლში გაწურული საგითა და მზერას ველარ უსწორებდა ცოცხლად გათავებულ ბიჭოიას.

თაზო მუხვილე

ვერც იმ დილას, ვერც მეორე დღეს ბიჭოიამ სამაზრო მილიციის უფროსი სილნალში ვერ იპოვნა. მერე ახლო-მაზლო სოფლებზე მოიარა, იქნებ სადმე გადაეაწყდეთ. მურადაშვილის ასაჯალდასაველი მაინც ვერ ვაიგო. სილნალში კაცმა არ იცოდა, სად იმყოფებოდა, ან როდის გამოჩნდებოდა სამსახურში მაზრის უფროსი.

და სწორედ მაშინ შეიპყრო ბიჭოია ფურცხვანიძე რაღაც გაუგებარმა, გარეგნულად თითქოს უსაფუძვლო შიშმა თუ მოუსვენრობამ.

იმ პირველ დილას იგი ჯერ კიდევ ფიქრობდა, მოხდა უემქველად რაღაც უბრალო გაუგებრობა და — შეეხვდები თუ არა მურადაშვილს, ყველაფერს ნათელი მოეფინება და შემორიგებულ ყაჩაღებს, პირობის თანახმად, იმწამსვე სახლში გაუშვებენო.

მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ეს უბრალო გაუგებრობა, ასე რომ გაამძაფრა მათი ურთიერთობა, — ამ ამბავს ბიჭოია მაშინ არ ჩაუფიქრდა, შიშის გამო არ ჩაუფიქრდა. არ უნდოდა მორევში შესულიყო, არ უნდოდა ეფიქრა,

რომ ის ბორკილები უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალო გაუგებრობა.

„ალბათ თვითონ მურადაშვილი მოუთმენლად მოელის ჩემთან შესვედრება და საუბარს!“ — აწყნარებდა იგი თავის გულს და გამალებული მიაჩქარებდა აგუნას გვედიქის ხევეში.

და მხოლოდ მეორე თუ მესამე დღეს ბიჭოია ფურცხვანიძეს ტვინი გაუპო უეცარმა ეჭვმა: — „შემალება, ნამდვილად მემალეება, თორემ ამ ამბების მერე ჩემი ნახვა როგორ არ მოუხდა!“.

რა უღვეს გულში ვანო მურადაშვილს?! მიიწყას და მიიწონოს სხვისი ნაშრომი და ნამოღვაწარი, სახელში ჩაეზიაროს ბიჭოია ფურცხვანიძეს?

არა, იგი არ იყო ხარბი და გულნამცეცა კაცი, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგა.

როგორც სჩანს, სხვა რაღაც განზრახვა ამოძრავებს მურადაშვილს, თორემ ასე მოულოდნელად, გაუფრთხილებლად ამ თავდასხმას არ მოაწყობდა.

ან ეს ბორკილები რაღა იყო?

„ნუთუ პირი ვაიშავა და სიტყვა გატეხა!“ — ამ ფიქრმა ტანში აბურძვანა ბიჭოიას და, რახან ერთხელ კი ჩაიხედა მრუდე სარკეში, მერე ყველაფერი უკუღმართად მოეჩვენა...

ისევე ცხენს მოახტა და თიანეთს მიაშურა. თიანეთში მურადაშვილის სიამარი ცხოვრობდა. ბიჭოიას გაგონილი ჰქონდა: როდესაც მურადაშვილს ქლექის გამჩენი მთხოვნელები შემოესტევიან, მაშინვე სიამარის ოჯახში გაიხიზნებო.

შუბლის ძარღვი უნდა გაეწყვიტა ბიჭოია ფურცხვანიძეს, რომ ასლა ოჯახში შეეწუხებინა თავისი უფროსი. მაგრამ მეტი რა ღონე ჰქონდა, — შემორიგებული ყაჩაღები ისევე სიღნაღის მილიციის საპატიმროში ისხდნენ, მურადაშვილი კი სადღაც გადაიკარგა და სუნგალი განაბა.

დღე უკვე ილეოდა, ბიჭოიამ თიანეთს რომ მიატანა და ორღობეში მიმავალ ბერიკაცს სთხოვა, ამა და ამ კაცის სახელი მიმასწავლეო...

— მართალი ვითხრა, არ მოგელოდები, მაგრამ მობრძანდი, სტუმარმა შეგამადგინა! — უთხრა მურადაშვილმა კიშკართან მომდგარ ბიჭოიას.

— ვერ შემოვალ, ამხანაგო ვანო, მალე უნდა გაებრუნდე.

— ხომ მშვიდობაა, კაცო?

— მშვიდობაა... თუმცა რა ვიცი! — არეულად მიუგო ბიჭოიამ.

მურადაშვილს თავი ისე ეჭირა, თითქოს იმ ხეობაში არაფერიც არ მომხდარიყოს. ის კი არა, მისი წრიბინა ხმა რაღაც ფარული დაციწვითაც კი იყო შეფერადებული.

— აბა ვინ იცი, კაცო! მილიციაც შენა ხარ და კომკავშირიც! — ვითომ შეეხუმრა მასპინძელი, მაგრამ მისი მიდარაჯებული თვალები აშკარად მეტყველებდნენ, იგი არ იყო ხუმრობის გუნებაზე.

ეს თამაში ბიჭოიამაც იგრძნო და ჩახმახზე შედგა:

— ბოდიში, ამხანაგო ვანო, რომ ოჯახში შეგაწუხე, ორი დღეა დაგეძებ!

— რა ექნა, ჩემო ბიჭოია, უნავირობა ისე გამომეწვა ლაქები, ცხენზე კი არა, საკაზე ველარ ვჯდები! თურმანძის მალამო მიშოვეს და სოფელში წამოვედდი, ერთი-ორი დღე დავისვენებ-მეთქი! — სწრაფად მიუგო მასპინძელმა.

— იმ ბიჭებს გზა რატომ შეუცვალე, ამხანაგო ვანო! ჩვენ ასეთი პირობა არ გვექონია! — პირდაპირ ჰკითხა ბიჭოიამ.

— საქმემ მოითხოვა, ჩემო კარგო!

— ეოტა ცივად უთხრა მურადაშვილმა. — ბორკილებიც საქმემ მოითხოვა?

მურადაშვილმა თავი დაუქნია.

— შენ წარმოიდგინე, ესეც საქმემ მოითხოვა! ვიფიქრე, ვაი-თუ გზაში ის ბიჭები დაფრთხნენ და გაქცევა დააპირონ-მეთქი და მეც, ასე ვთქვათ, თავი დავიზღვევე, — კარი ჩაუწყატიე ყოველგვარ მოულოდნელ გამოხდომას.

მურადაშვილი გაიღმდა. სტუმარს დააკალა, თავის სათქმელი მოთხარასო, მაგრამ მისი პასუხი დამაჯერებელი იყო და ბიჭოიამ ამჯერად სიჩუმე ამკობინა.

— ახლა მეორე საკითხი: — განაგრძო მურადაშვილმა და ის ცივი მზერა ისევ შეავლო ბიჭოიას: — მე ვიცი, შენ რა გაწუხებს! შემორიგებული ყაჩაღები რატომ მაშინვე სახლებში არ გაუშვებს და სპატიმროში მოათავსესო! ეს ხომ? კეთილი და პატიოსანი! მაგასაც გეტყვი, თუმცა იცოდე, მე ვალდებული არა ვარ ანგარიში ჩავაბარო ჩემს ხელქვეითს. მაგრამ სამსახურის გარდა, ჩვენ კიდევ მეგობრობა გვაკავშირებს.

სული მოითქვა, უფრო კი იმიტომ შეყოვნდა, რომ პირველი სიტყვა ერთბაშად ვერ იპოვა.

— დამიდგე ყური... შიოლა ნაზლაიძემ და მისმა ამხანაგებმა ბევრი ისეთი ამბავი იციან, რაც ჩვენ, მილიციის, ძალიან გვინტერესებს! თუ მოინდომებენ, ბევრი საიდუმლო საქმის ამოცნობაში დაგვეხმარებიან შენი შემორიგებული ყაჩაღები. რამდენი ხანია ტყვეში არიან და ხომ იცი, რა სახეზე გულა ექნება თვითმუცელ მათგანს. ცოტა ხანს გავაჩერებთ, დაველაპარაკებით, რაღაც რაღაცეებს გამოგკითხავთ და გაუშვებთ, აბა რას ვიზამთ! სიტყვა სიტყვა!

ბიჭოიას მწარედ გაეღიმა.

— კი მაგრამ მათთან დალაპარაკება სხვაგანაც შეიძლებოდა, სოფელში... ოჯახში! ტყუილუბრალოდ გული რატომ უნდა გაუხუთებოთ ადამიანებს!

— როგორ გეტყობა, ბიჭოია, რომ ორგანოს ახალი თანამშრომელი ხარ, ჯერ კიდევ გამოუცდელი და უნახავი! — მიუგო მურადაშვილმა და სტუმარს მზარზე ხელი მოუთათუნა: — ოჯახში დაკითხულ კაცს რა ფასი აქვს, ბიჭო! ციხის ოთხი კედელი კი ქვას ააღაპრაკებს! ქვეყანა არ დაიქცევა, ერთი-ორი კვირა ჩვენთან რომ მოათიონ და ზოგი რამ ცნობა მოგვეცენ. ასე რომ, შენ დაწყნარდი, ჩემო კარგო, გულს ნუ აყუვები და ნუ დაივიწყებ, რომ ისინი, ბოლოს და ბოლოს, ყაჩაღები არიან და ნამეტანი „ბოდიში და უკაცრავად“ მხოლოდ გაგვიძნელებს მუშაობას.

— როგორ თუ არიან?! — წამოიძახა

ბიჭოიამ. გულჯიბზე ხელი გაიკრა და შემორიგების ქალღღმობისკენ მიჰქცა.

— იყვენ, ამხანაგო ვანო, იყვენ და უკვე აღარ არიან!

— ვითომ? — ჩაიციხა მურადაშვილმა: — ყალბი ჰუმანიზმი ძალიან ნუ გაგვიტაცებს, ამხანაგო რაიონის უფროსო! გამოსწორებული ქურდი და ყაჩაღი ჯერ არავის უნახავს ამ ქვეყანაზე. — რას ამბობ, ამხანაგო ვანო, რამდენი გამიგონია, წიგნებშიდაც წამოკითხავს...

— მეც გამიგონია, მეც წამოკითხავს, მაგრამ შენი საკუთარი თვალთ თუ გინახავს სადმე?

ამ კითხვას ცოტა მოუშვადებელი დახვდა ბიჭოია ფურცხვანიძე. თავი დახარა და მესხიერების ელვამ თვალისწამში მოირბინა მისი ცხოვრების ყველა კუთხე-კუნძული.

ვერა, ვერსად ვერ იპოვნა ბიჭოიამ გამოსწორებული ქურდი და ყაჩაღი. იგი მხოლოდ ოცდასამი წლისა იყო და დიდი ცხოვრების ორომტრიალში ჯერ კიდევ არ იყო ნაბრუნე.

არადა, გულმართალმა ბიჭმა ტყუილის თქმაც არ იკადრა.

მხოლოდ ესღა მოახერხა პასუხად:

— მაშ რა ექნათ, ამხანაგო ვანო, მივსდგეთ და მუსრი გავავლოთ ყველას?

— ყველას... თუ გინდა ეს ქვეყანა მალე დალაგდეს. შიოლა ნაზლაიძეს ასე ხელწერილი რომ ჩამოართვა, ბოლომდე მისი ნდობა მაინც არ შეიძლება. შეხედე თვალეში, ერთი წლის გამოსახედს ერთად იხედება!

— ვერ დაგეთანხმები, ამხანაგო ვანო, ვერ დაგეთანხმები! გველი რომ გველია, იმასაც კი დაზოგავს ადამიანი, თუ ხერედიდან სალამურის ხმამ გამოიყვანა...

— დაწყნარდი კაცო, რა გაყვირებს! ეინმე გაიგონებს და ჩხუბობენო, იფიქრებს. შემოდი სახლში, იქ ვილაპარაკოთ.

მურადაშვილს თავიდანვე არ მოეწონა, რომ ეს ჯველი ბიჭი, გუშინ გამოცხვარი კომკავშირელი, მზარის უფრო



სის თვითველ ნაბიჯს თავის სასწორზე სწონიდა, ყველაფერზე თავისი მოსახრება და შეხედულება ჰქონდა.

ეგ ვისი ტიკი-ტომარა იყო, რომ ჰეტერბურგელ სტუდენტს ჰქვთის მასწავლებლად დადგომოდა!

„თუ ჩვენი ამბავი დროზე არ გაიჩქვავა და ჩემმა ხელქვეითმა ყველა საკითხი სადავოდ და საკამათოდ გამიხადა, მერე მომივალში უფრო გავვიჭირდება ერთად მუშაობა!“ — გაიფიქრა მურადა-შვილმა და იმ საღამოს გულწრფელი საუბარი გაუმართა ბიჭოთა ფურცხვანძეს.

ბრიალა ბუხართან ხელდახელ პატარა ტანლა და სამფეხა სკამები მოარბენინეს, სუფრა გაშალეს.

— შენ ერთი რამ გეშლება, ჩემო ბიჭოთა, და ის გიფუტებს ცოტა ისტიბარსი — ასე მიუღიბავ-მოუციბავად დაიწყო მურადაშვილმა. საყველო შეიხსნა, ჭრელი ბაღდადი ოფლიან თავ-კისერზე შემოისვა, მერე ის ბაღდადი ხელში გააფრიალ-გამოაფრიალა, ვითომ გააშრო, და ისევ კისერზე შემოიკვცა.

— მაინც რა გეშლება, ამხანაგო ვანო?

— რა გეშლება და... შენ ხანდახან გეჩვენება, რომ ჩემზე უკეთესად იცნობ ამ ცხოვრებას, ადამიანებს, პარტიის პროგრამას. მაცალე, ჭერ ჩემი აღსარება გითხრა!

„იმ დღიდან, რაც მიწა და ზეცა ერთმანეთს გამოიყყო, ადამიანს თან დაჰყვა ერთი უბედურება და იგი ვერავითარმა სახარებამ და მოძღვრებამ მისი გულიდან ვერ ამოძირკვა“, — ლაპარაკობდა ყოფილი სტუდენტი და სიტყვებს საგანგებოდ მარცვლავდა, რომ თანამოსაუბრეს არაფერი გამოპარვოდა.

რა არის ეს უბედურება?

შური და სიხარბე.

სიხარბე და შური...

ქვეყანაზე ჭერ არ მოსულა ისეთი ადამიანი, რომ უფრო დიდი და უფრო სასვე ქისა არ უნდოდეს, ვიდრე ერგება და ეკუთვნის, ყველა-კაცს მეფის

ტახტი ელანდება. ნიჭიერნი და უნიჭიერნი დღეიდანვე ერთმანეთსა ჰამენჭნებენ მომშეს თვისას გაუსწრონ და სიხარბე თავში მოექცენენ. ეს ქვეყანა სწორედ ამ სიხარბემ აშალა...

ადამიანის გაჩენის წამიდან დღემდე ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა... (მაცალე, თავს ნუ აქნევს!)

ზნეობრივად არაფერი შეცვლილა. თორემ სხვა მხრივ როგორ არ შეიცვალა! ჩვენს უძველეს წინაპარს ჰქვთის ნაჯახი ეჭირა ხელში, რომ თავისი მეზობელი მოეკლა და ნანადირევი წაერთმია, მერე მოვიდა შუბი და მშვილდ-ისარი, თოფი და ზარბაზანი... ახლა კი, შეხედდე მეოცე საუკუნის ადამიანს! რა ვაზი და საწამლავი არ გამოიგონას სურათებზე მაინც არ გინახავს, რა შავი დღე დაიყენეს გერმანელებმა გენერალ კულეშოვის ლაშქარს პირველ მსოფლიო ომში. მდინარე იპრის მისადევარზე ქლორის ღრღბელი გაუშვეს და ხუთი ათასი რუსი ჯარისკაცი წამში გამოასალმეს წუთისოფელს!

ყველაზე დიდი მეცნიერები მხოლოდ ერთ რამეში ეჯიბრებიან ერთმანეთს: ვინ უფრო მალე გამოიგონებს ისეთ იარაღს, რაც შეიძლება მეტი ადამიანი რომ გააქროს ამ ქვეყნიდან. ეს არის წინსვლა, კულტურა, განათლება?!

შენ კი ამ დროს რას მეუბნები? ახლა ჩვენი მთავარი იარაღი მართალი ხიტყვა უნდა იყოს, რომ ადამიანი კეთილესაყენ მოეპოვოთო. შური და სიხარბე ჭრისტეს სიტყვამ ვერ ჩაჰკლა ადამიანის გულში, შენი ჰიკიკი და ჰადაგება მოერევა ამ გველშაბებს?! აბა მითხარი, თუ მომხდარა ოდესმე, რომ კართან მომდგარი ომი კაცის სიტყვას და ვედრებას შეგჩერებინოს?

შურმა და სიხარბემ შექმნა ყველა ბოროტება ამ ქვეყანაზე, — გაუთავებელი სისხლისმღვრელი ომებიც და კარის მეზობლების წიოკობაც ერთი მტკაველი მიწის გამო...

ძველი რომაელები ამბობდნენ: თუ მშვიდობა გინდა, ომისათვის ემზადდო... და კაცობრიობაც ემზადებოდა, აუმჯო-

ბესებდა საომარ იარაღს, ამრავლებდა საომარ ლაშქარს, მაგრამ მშვიდობას მანაც ვერ ეღირსა და ვერც ეღირსება, სანამ მსოფლიოში ერთი კლასის, მუშათა კლასის დიქტატურა არ დამყარდება: ამიტომ არავითარი შებრალება ჩვენი მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლებს, ვინც უნდა იყოს იგი, — პოლიტიკური მეტოქე თუ ტყვენი ვავარდნილი ყაჩაღი...

ლაპარაკის ემზზე მოსულ მასპინძელს ერთბაშად მოეჩვენა, რომ არსათქმელი წამოსცდა, რომ მისი აღსარება უარყოფდა წინანდელ დაპირებას — შემორიგებულ ყაჩაღებს მილიციაში ცოტა ხანს გავაჩერებთ და სახლებში გავეშვებთო...

მურადაშვილმა იმ წამსვე კეზი შეაბარუნა:

— ამას საერთოდ ვლაპარაკობ, ჩემო ბიჭოთა, რომ ფხიზლად ვეცდით თორემ მაგ ბიჭებს წინ რა დაუდგება! თრი-სამოდლე და თავისუფალი იქნებიან: ახლა კი მაკმარე, თუ კაცი ხარ, ამ საგანზე კამათი. შეხედე, რა ხაშლამა გვიცივდება!

— ხელის გადაბანა თუ შეიძლება?

— წამოდგა ბიჭოთა, სახელო შეიხსნა.

— ახლავე! — დაფაცურდა მასპინძელი, სტუმარი პარმაღზე გაიყვანა და კვემით ჩასძახა:

— სოფიკო, გოგო, წყალი და პირსახოცი!

ეტყობა, ბიჭოთას გულიდან გადაეყარა ყველა ეჭვი და საწყუხარი, თორემ ახლა იგი მურადაშვილის თჯახში სუფრას არ მიუჭდებოდა...

თავი მარტივი

კვირახალი იდგა. არბილოს კალოში ჩამოსახლებული მთიელები წმინდა გიორგის ხატს ღამეს უთევდნენ. საღუდეში ორმოცი ლიტრი ჭერი მიიტანეს და დიდძალი ლუდი მოხარშეს, არაყიც გამოხადეს, საცლავე დაჰკლეს...

ლოცვას მორჩნენ თუ არა, მინდორში რამდენიმე ადგილას დიდი ცეცხლი დაანთეს და პურის საჭმელად ჯარაჯარად დასხდნენ.

ბიჭოთამ იცოდა, ამგვარი ღრეობა და ტან-ფანდური უქიროდ არ ჩაივლიდა ხოლმე. გაიყოლა ორა მილიციელი და მთელი ის ღამე ფეხზე გაათენა.

ღროს ტარება მეორე დღესაც გაგრძელდა და მხოლოდ შხის ვადახრისას აიშალნენ რამის მთელები. საზღვნიეროდ, ამჯერად დღეობა ისე ჩათავდა, ტყუილა ხელიც კი არავის წაუღია ხანჯლისკენ. უზომოდ კმაყოფილი ბიჭოთა ისევ წითელწყაროში დაბრუნდა... ტანსაცმელი არც კი გაუხდია, მხოლოდ

იარაღი მოიხსნა და ძილად მიეგდო.

კაცუნმა გამოაღვიძა.

რაიონის მილიციის უფროსს რა დამეული კაცუნი და ძახილი გააკვირვებდა... მაშინვე წამოდგა, კარი ნახევრად გამოთაღო და სიბნელეს ჰკითხა:

— რომელი ხარ?

— საგითა ვარ, ამხანაგო ბიჭოთა!

— საგითა? — შეიოცა მასპინძელმა:

— აქ საიდან გაჩნდი, შენ ხომ სიღნაღში გამოგაძახეს!

— სწორედ იქიდან მოვდივარ. ორი სიტყვა უნდა ვითხრა და უკანვე გავბრუნდები. მოკვალი ცხენი, არც კი ვიცი, იქამდე სული ჩააყვება თუ არა!

— რა მოხდა, კაცო?

— ჯერ შემომფიცე, ბიჭოთა, რასაც ახლა გეტყვი, აქვე მოკვდება სამუდამოდ!

ბნელში ისინი ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, მაგრამ საგითას ხმა, მისი გულის ფორიაჟი ცხადად ეუბნებოდა ბიჭოთას,

რომ იგი ამჯერადაც არ იყო ფეხზედ-ნიერი შიკრიცი.

— კომკავშირულ სიტყვას ვაძლევ! სხვა საფიციარი მე არ ვიცი და არცა მწამს!

საგითამ სული მოითქვა და ისევ აჩუჩნულდა:

— ხვალ იმ ბიჭებს წირვას გამოუყვანენ! ხუთივეს...

— რომელ ბიჭებს?! რას ამბობ!

იგი უკვე მიხვდა, რომელ ბიჭებზე იყო ლაპარაკი და სულისთქმა შეეკრა, ტანზე ბეწვი აეშალა...

— გათენდება თუ არა, შიოლას და იმის ამხანაგებს მლიციის საპატიმროდან სიღნაღის ციხეში გადაგზავნიან. გზაში ყველას დახოცავენ, ვითომ გაქცევა დააპირესო...

— ვინ ვითხრა?

— მეტს ნურაფერს მკითხავ! ხომ ხედავ, თავი გავწირე და არსათქმელი გავანდე!

— საიდან გაიგე, ვინ ვითხრა-მეთქი! — ბიჭოია ჩუმად ლაპარაკობდა, მაგრამ ისეთი ზარი და ელდა იყო კაცის ხმაში, რომ საგითა ვატყვდა.

— სწორედ ამ საქმეზე დამიძახა მურადაშვილმა! ექვსი კაცი შეგეარჩიეს, ჩვენ უნდა დავიღოთ იმ ბიჭების ცოდევა... ახლა კი გამიშვი, ბიჭოია, თორემ შეიძლება მომიკითხონ და...

კარი ჩუმად მიიხურა და კიბეზე ჩაირბინა.

ბიჭოია კი ნელა შემობრუნდა ოთახში, ასევე ნელა-ნელა დაეშვა ტახტზე და ხელეები თავზე შემოიდო. რამდენად ნელი იყო მისი მოძრაობა, იმდენად გამალებული უბურღავდა გონებას მხოლოდ ერთი ფიქრი, მხოლოდ ერთი ფიქრი: ნუთუ შეიძლება ასეთი ვერაგობა, ასეთი მზაკვრობა!

ბიჭოიამ იცოდა, რა დაუნდობელი კაცი იყო ვანო მურადაშვილი, მაგრამ ამგვარ ორპირობას მაინც არ ელოდა. მურადაშვილის რჯახში მომხდარმა საუბარმა მხოლოდ ზემოდან წააფარა სიამყარის კალთა ბიჭოია ფურცლებანიძეს, გულში კი მაინც ჩახსნა ჯალად უნ-

დობლობა, რაღაც უბედურების მოლოდინი.

ბიჭოია ებრძოდა ამ გრძნობას, ამ ვიდებდა თავის თავს, შემორიგების ქალაღდს მურადაშვილმაც მოაწერა ხელი, იგი თავის სიტყვას ვერ უღალატებსო... მაგრამ ბიჭოიას ძილი ძილს არა ჰგავდა, ღვიძილი—ღვიძილს. სწუხვდა, შფოთავდა, დღეები გადიოდნენ, ის ბიჭები კი ისევ საპატიმროში ისხდნენ.

ბიჭოია უკვე გრძნობდა, რომ მურადაშვილი ასე ადვილად არ დაეხსნებოდა შემორიგებულ ყაჩაღებს, მაგრამ თუ ასე შეუბრალებლად გაიმეტებდა, ეს კი აღარ ეგონა.

„იი თურმე რატომ მომბატყუა და წამაქეზა მურადაშვილმა, რომ შიოლა ნაზლაიძე და მისი ამხანაგები ტყიდან გამომეყვანა...“

რა შემორიგება და მიწასთან დაბრუნება!

„გამოსწორებული ქურდი და ყაჩაღის უნახავსო!“ — გაახსენდა მურადაშვილის სიტყვები.

ასე რამ გააბეცა ბიჭოია ფურცლებანიძე, როგორ ენდო ამ სიტყვების შქადაგებულ ადამიანს!

ახლა კი ქვეყანამ იცის, რომ შიოლა ნაზლაიძემ და მისმა ამხანაგებმა ბიჭოია ფურცლებანიძის სიტყვა იწამეს, შემორიგების ქალაღდი იწამეს და მთავრობას გულდანდობილი ჩაბარდნენ.

ვინ დაუჭერებს ბიჭოიას, რომ იგი მურადაშვილთან არ იყო შეკრული ის ქალაღდი მზაკვრულად შეითხნეს, ყაჩაღები ტყიდან გამოიტყუეს და ლაჩრულად, უბრძოლველად საღდაც ხევში დახოცეს, ვითომ გაქცევა დააპირესო...

ჩაძალღებენ იმ ბიჭებს, — შირაქის მინდვრებს მონატრებულ გუთნისდედებს, — მერე წადი და უმტყიცე სოფელს, რომ შენ, ბიჭოია ფურცლებანიძე, ამ მუხანათური მკვლელობის მონაწილე არ იყავ...

„ნეტა ერთი ჩემს ლოგინში დამაძინა და დედაჩემის ჩაკრული შოთი გამატყინა!“ — უთხრა ერთხელ შიოლა ნაზ-

ღიძემ ტყეში სათათბიროდ მოსულ ფურცხვანიძეს.

სასოწარკვეთილ ბიჭოიას ღმუილი აღმოხდა.

იგი წელან ერთი წამითაც არ დაეკვებულა, — მაშინვე ირწმუნა საგითას ნათქვამი. თავიდანვე ეტყობოდა, რომ ეს ამბავი ასე უკუღმართად უნდა დაბოლოებულყო, მაგრამ მისი ალალი გული მაინც არ ეთანხმებოდა სინამდვილეს. ბიჭოიას სჯეროდა, რომ ეს ქვეყანა უფრო კეთილი და ფაქიზი იყო, ვიდრე სხვები ფიქრობდნენ.

ახლა კი ცას სვეტი გამოუფარდა, საიდუმლო განაჩენი უკვე გამოტანილია და, თუ ბიჭოიამ რაიმე სასწაული არ მოახდინა, შემორიგებულ ყაჩაღებს ველარაფერი უშველის, — გაივლის კიდევ სამი-ოთხი საათი და ყველაფერი გათავდება, ბოროტება გაიმარჯვებს...

ერთი-ორი წუთი ასე დამუნჯებულა იჭდა საწოლზე, თითქოს აღარა სუნთ-

ქავდა; თვლემსო, კაცი იფიქრებდა, მაგრამ მტრისას, რაც იმ წუთებში ფურცხვანიძის გულში ზღბოდა. ერთიშეორის გამანადგურებელი ფიქრები სიცოცხლეს უმწარებდა ბიჭოიას, მტანჯველი ყოყმანი გულს ორად უპობდა, სიმართლეს ძალას უკარგავდა...

ერთბაშად წამოდგა, ასანთს გაკჭრა და საათს დახედა. შუალამე გადასული იყო. ამ წამოდგომაზე, ასანთის გაკვრაზე, — ყველაფერზე შეეტყო, — რალაც უკვე გადასწყვიტა ბიჭოია ფურცხვანძემ. მან უკვე იცოდა, საითკენ მიდიოდა მისი სიმართლის გზა. უკან არ დაიხევს, ათასი ქაჯი და ალქაჯი წინ რომ გადაუდგეს...

კარი გააღო და ოთახიდან მშვიდად გამოვიდა. მისი შემხედვარე კაცი ვერ იტყოდა, ამ ორიოდე წუთის წინ რა ჯოჯობეთი გამოიარა ამ ახალგაზრდა კაცმა.

თავი მეცხრა

გზაში ბიჭოიამ ცხენი გამოიცვალა.

პატრონის ფორიაკი პირუტყვისაც გადაედო, აგუნას გეშმა უმტყუნა და სიბნელეში გზას უკვე ველარ არჩევდა. ერთი-ორხელ ღარტაფში დაუცდა ფეხი და მიწას კინაღამ დაასკდა. თანაც, ეტყობა, ქანცი გაუწყდა წუნანდელ ნამგზავრს. ბიჭოიამ ბოდბისხევის საგუშაგოს გაუარა და მარქაფა ცხენზე გადაიჭდა.

„თუ იმ ბიჭების საცანს გაძლიერებული ყარაული არ უდგას, მომხედა ღმერთმა და ეგ არის!“ — ფიქრობდა იგი და საგუშაგოს დასვენებულ იორღას თავწყაროს აღმართზე მიამჩარებდა.

მამლებმა მესამედ იყოლეს, როდესაც ცხენის ტქარათქურმა მძინარე ქალაქის ძაღლები და ღობის ძირებში მიყრილი ღორები წამოშალა... მთელი სიღნაღი ბნელში იყო ჩაფლული. მხო-

ლოდ ქალაქის ბაღსა და სამაზრო მილიციის ეზოში ბოლავდა ერთი-ორი პატარა ფარანი.

ბიჭოია რკინის კიშკართან ჩამოქვეითდა.

— ალაზანი! — უთხრა ნიშანი საყარაულოდან გამოსულ ქალარა ბილცკელს.

— გიცნობ, ამხანავო უფროსო! — გაეცინა ყარაულს.

— წესი მაინც წესია, — მეგობრულად დატუქსა ბიჭოიამ.

ეზოს სიღრმეში ბუნდად მოსჩანდა სამაზრო მილიციის სახლი, — აგურის ორსართულიანი ძველი შენობა, — შიშანი დღითაც კი ასე პირქუშად და ქურუხად რომ გადაწყურებდა ალაზნის ველს.

წითელწყაროს რაიონის მილიციის

უფროსმა კარგად იცოდა ამ სახლის ყოველი კუთხე-კუჩქული.

— სასტუმრო თავისუფალია?

— თავისუფალია, ამხანაგო უფროსო!

— ცოტა თუ არ წავიძინე, ხეალ კაცად აღარ ვივარგებ. ორი ღამეა, ხალათზე ქამარ-ღვედები არ შემიხსნია. შეიძლე გამაღვიძე, თუ არ დაგეზარება!

— როგორ გეკადრება, ბატონო! — იწყინა ყარაულმა.

— ცხენსაც მიმიხედე, თუ კაცი ხარ! — უთხრა ბიჭოიამ და ჭიშკარი ისე მშვიდად შეალო, თითქოსდა ძილის გარდა სხვა არაფერი ედარდებოდა ამ საბედისწერო წუთებში.

სასტუმროს ეძახდნენ ქვედა სართულში, საპატიმრო საკანზე. მიშენებულ პატარა ოთახს, სადაც ღამეს ათევდნენ სოფლებიდან მოვლინებული მილიციელები.

ან კიდევ, —

როცა მილიციის საპატიმროში ტევა აღარ იყო, იმ ოთახში პატიმრებსაც შეუძახებდნენ ხოლმე. საკანიც და სასტუმრო ოთახიც გვერდიგვერდ იყო მოთავსებული ვიწრო დერეფნის ბოლოში.

ბნელში გათქვეფილ შენობას მხოლოდ ერთი განათებული ფანჯარა აცოცხლებდა. მორიგეს, ეტყობა, რულა მოეკიდა, რადგან იმ ოთახიდან ჩამიჩუმე არ მოდიოდა.

წალოში შედგმული ფარანი მკრთალად ანათებდა დერეფანს. ბიჭოიამ შორიდანვე მოატანა თვალი, რომ საკანთან მხოლოდ ერთი კაცი იმყოფებოდა. სკამფიცარზე წამოწოლილიყო და თუთუნს ეწყოდა.

მხოლოდ ერთი კაცი. მეტი არავინ.

«გველის ქუჩა გაქვს მურადაშვილო!»

— გაიფიქრა ბიჭოიამ: — არავითარი განსაკუთრებული მეთვალყურეობა, არავითარი გაძლიერებული დაცვა, თუმცა სასიკვდილოდ კი გაიმეტა ის ბიჭები! უველაფერი ისე დასტოვა, როგორც დღემდე იყო, რომ თანამშრომლები არ

დააეპყოს, მათი ყურადღება არ მიიქციოს, ალბათ რალაც ხდებოდა...

თანაც პატიმრებიც აღარ აფორიაქდებიან და უფრო გულდანდობილი გაჰყვებიან ბადრავს...

ფეხის ხმაზე მილიციელი სწრაფად წამოდგა. დაგვიანებული სტუმარი შეიქცინო და გულლიად მიეგება:

— მობრძანდით, ბატონო ბიჭოია! ზეწრები და ბალიშისპირები სწორედ ამ დილას გამოცვალეს. კარგად მოისვენებთ!

ჯველი ბიჭი იყო, შუატანისა. ისეთი ნაზი, ვარდისფერი პირისკანი ჰქონდა, — არც ქარდაკრული, არც მზისაგან გარუჯული, — თითქოს შირაქის მინდვრებზე ერთხელაც არ გაეველოს. ეტყობა, უჯანო ბიჭი იყო და გარე-საქმეებზე აღარ დაარბენინებდნენ.

— დიდი მალეობა, ვაჩეიშვილო — ასევე გულლიად შეხვდა ბიჭოია საპატიმროს გულსაც: — მარა მშიერ კაცს მარტო სუფთა ზეწარი არ უყოფა, ჩემო კარგო. მთელი დღე ვერ მოვიცალე, ერთი ლუქმა ვერსად გადაველაპე! ცარიელი კუჭი და ძალი კი, ხომ იცი, ვერ ეწყობიან ერთმანეთს!

— მაგის მეტი რა ვიცი, ბატონო! — მიუგო ვაჩეიშვილმა და უმწეოდ მიიხედ-მოიხედა დერეფანში.

— აბა დამდე პატივი და ჩაირბინე შავი დათას ღუქანში. წელან გზად გამოვიარე და თონეს უკიდებდა. იქნებ უკვე ამოყარა შოთები! ერთი ცხელი პურის წვერი პირდაპირ დამხატავს! — უთხრა ბიჭოიამ.

— ახლავ, ბატონო! თქვენ აქ თვალყური გეპიროთ და მე ყველაფერს გავანენ! — მკვირცხლად მიუგო ვაჩეიშვილმა, თოფს ხელი დაავლო და ერთ ლანდზე გაჰქრა.

ბიჭოია მაშინვე საცნის კარზე დადებულ ურდულს მივარდა. წითელწყაროდან ერთი ხუთი-ექვსი გამლები მანაც წამოიღო, მაგრამ რად უნდოდა თურმე, — პირველივე გამლების იერიში და ძველი უბრალო ბოქლომი ისე მუშად გაიღო, ვითომ ბამბისა იყო.

სუთივე პატიმარს ეძინა.

განიერ ტახტზე თავფეხშეჭეული იწვნენ შიოლა ნაზლაიძე და აბრო გელაშვილი. შიოლა გულაღმა გაგდებულყო ნაზლაზე და გემოზე ხვრინავდა, როგორც ქორწილიდან დაბრუნებული მაყარი:

დანარჩენები იატაკზე დაგებულ ქეჩაზე ეყარნენ. შიოლას გარდა, ყველანი, ეტყობა, გულის ძილში იყვნენ წასული, თითქოს აღარც კი სუნთქავდნენ.

— შიოლა! — დაუძახა ბიჭოიამ.

ხვრინვა მაშინვე შეწყდა, მოისმა ტუჩების წმარუნე და... ნაზლაიძე ტახტზე წამოჭდა. ტყის ნადირმა იცის ასეთი სწრაფი გამოღვიძება.

— მე ვარ, ფურცხვანიძე... მილიციის უფროსი! — რატომღაც თავის გვარს თანამდებობაც მოაყოლა ბიჭოიამ.

— ო-რ, მობრძანდი სიტყვის კაცო! კიდევ რა ქალაღზე მოგაწერინებ ხელს, ბატონო უფროსო! — ჩაიციან შიოლამ.

ბიჭოიას ვითომ არც გაუგონია მისი მოწამლული სიტყვა, კარი მოიხურა და კი არ უთხრა, — ცივად უბრძანა:

— ყველანი გააოციე! ორი წუთი და, თქვენი ლანდი ამ არემარეზე არ იყოს! ახლა კი ეცვალა ფერი შიოლა ნაზლაიძეს.

— ასეა საქმე?!

— ასეა. — წარბშეუხრელად მიუგო ბიჭოიამ.

დიდი ახსნა-განმარტება არც აბრო გელაშვილს დასჭირდა. დანარჩენებიც იმ წამსვე მიხვდნენ, რომ მათი შემოკრიგების ქალაღი მხოლოდ ენუქას ანდერძი იყო.

სანამ ისინი ტანზე ჩაიცვამდნენ, ში

ოლა ნაზლაიძემ მილიციის უფროსს გადაულაპარაკა:

— შენც წამოდი ჩვენთან, აქ მინც არ დაგედგომება! ხვალ მურადაშვილს ეს ოთახი ცარიელი რომ დახვდება, ხომ იცი, თავზე ხელს არ გადაგისვამს!

— ყველაფერი ვიცი, ჩემო შიოლა, მაგრამ ჭვარზეც რომ გამაყარან, ჩემი ადგილი აქ არის! თქვენ სადმე ორი დღით თავი შეაფარეთ... მე ჩემს სიტყვას ან გაეიტან, ან აღარ ვიქნები! — მშვიდად მიუგო ბიჭოიამ.

— დაფიქრდი, კაცო!

— წადით! ხევიდან მოუარეთ ეზოს... ოთახიდან სწრაფად გაიკრიფნენ.

ვიწრო დერეფანი ისე გაიარეს, იატაკის ქრაქუნიც არ გაუგონია ფურცხვანიძეს. არც მერე გაუღია რაიმე ხმა ხორციელსა თუ უხორცოს.

ბიჭოიამ კარი მიხურა, გულჭიბიდან ფანქარი და რვეულის ფურცელი ამოიღო. გასაწურავად მოქცეული საყელო შეიხსნა და მაგიდას მიუჭდა.

„საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) სიღნაღის სამაზრო კომიტეტს...“

— დაიწყო და მერე ხელი არ გაუჩერებია. სულმოუთქმელად სწერდა. გულზე მოწოლილი სათქმელი ყველა სიტყვას ადვილად პოულობდა...

თენდებოდა. დრო-ჟამი შეუჩერებლად მიიწეოდა წინ და მხოლოდ მან ერთმა იცოდა, რა უფრო მძიმე დანაშაული იყო, — ვანო მურადაშვილის ვერაგობა, თუ ჩემი პირველი კომკავშირელის პასუხი ამ ვერაგობაზე.

კ თ ე ზ ი ა ს

ლახტს მცემდე, არფის ლარებით
მჭრიდე
დაჩოქილს, არც ვარ დასაზოგელი.
გადაიყარე პირიდან რიდე,
როგორც სატანჯველს, უბზოდ მოგელა.

არეულია — ცხადი, ზმანება,
რა ნახეს ან რა ჭირი დაგვეცა;
რომ უკითხავად შენ გეტანება
ყველა რეგვენი და მატრავეცა.

ნუ შეტყვი — სისხლი რად შეყინება,
როცა შენ სახელს ფიცავს თაღლითი;
ალარ იკმარებს მხოლოდ ვინება,
ნუ მკითხავ — თავში რას დავახლიდი.

რა სიმალღეზე იწვი და ვლავ,
ვერ გაგოსწორებს თვალს უწმინდური,
ცად გაფენილი, მოუტეღავი,
ვერ მოიხილონ შენი შინდორი.

თავად არკვიონ — ვინ ვინ ჯობია
(რა საჭიროა თრევა, ქიაქია):
ვინ — თავზედია. ვინ ჩაბწყობია,
ვინ — შებერტყილი და მანიაკი.

არც მიფიქრია მათი მორევა,
ყირაზე დგომა,
შეხლა, შეტევა.
პირქაფიანი ბრუნავს მორევე
ყველა თავისით ჩაიხვეტება.

ქართლი... საქართვეპირი

დავით გურამიშვილი

გულზე მებატე, შენს გარდა არ მიძებნია ჯანძი,
შენს ხრიოკებზე დავეანცე მუხლები დასაქანცი.

როგორ დამეთმე, შენ ჩემო სახლეულო და მრევლო,
შენი გზა დამბედობია, სხვაგან ვის კვალზე შევლო.

რაღა ვთქვა, დასანანია, სხვას ვაუნე, თავიც ვივინე,
რა გულსაკლავად გადახმა ვარდები საივინე.

რა მალე დამლაშებია, თითქოს არ ვიყავ ღირსი,
როდისღა გაიტოტება ხე, მოსხეპილი ძირში.

ამოტეხილი ქვევრები და ჩანგრეული თონე...
სოსანებს დაუტბორია ყანები საბატონე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იხევა მაყვლის ბარდებში შედგებულ მწუხრი,
აქ ფეთქავს ძარღვი დამწვარი და გული დანამდულრი.

აქ დამანათლა ცოდვილმა — მიწა ხარ, მიწამ გქამოს,
ვეღარ გახედო ზედაზენს, მუხრანს და საგურამოს...

კლდეთა დათხრილი თვალები, მზერა ცივი და მკაცრი,
აქ გურამიშვილს დაქონდა ბეჭები გასაბაწრა.

ასი მთა გადაატარეს, შენი მზე მოისურვა,
ცრუსა და გაუხარებელ საწუთროს უთხრა მდურვა.

გადინმაურებს აედარი, ღამე მოვა და წავა,
გლოვა და ლოცვა დავითის შენ გადაგარჩენს კვლავაც

გამოიტირა სოფელი, ბნელი და გაუძლისი,
ხორცი გაღნა და განქარდა, სული აქ ბრუნავს მისი.

ს ო ფ ლ კ დ

ღრუბლებში ჩაძირული
კავკასიონის თხემი,
აქეთ ქედები ლურჯი,
ეს მამულია ჩემი.

ვის ევედრება შველას,
მისული წაქცევაზე,
დაკიდებული ფერდობს,
ჩემი ყანა და ვაზი.

რას მთხოვს შრიალი ალევი,
ნიავეზე ანათროლის,
ზიკრილებულ ციდან
ცვივა ნამსხვრევი ბროლის.

დილიდან საღამომდე
მოწვენას უსტვენს ჩიტა,
პატრონის დანაბარებს: —
„სახლსაც, ეზოსაც ვყიდი“.

სასკვლავოს გიჟკვხული

რკინის ჯვარი, რკინის კარი, რკინისავე მაგიდა,
გაზაფხულმა ხეებს მწვანე ჩინჩილები დაკიდა.

მწვანედ, შავად შეღებილი სავარძლები მყუდრონი...
ბალახს უძალიანდება დატკეპნილი გულდრონი.

ცვრიან ცაზე მზე ტრიალებს — თასი საალავერდო,
როგორ ვიზამ, გულსაკლავი წარწერებით ვავერთო.



კიბე, სვეტი, მოაჭირი, ახვეული სურთითი;
აირნიე, რომელი ჯობს — ქანდაკება, სურათი...

ყველას ლოდი მიჩნევენია, ძველებურად ნათალი,
ქვა ალგეთის, ქვეყანაზე ვერ უპოვოთ ბადალი.

აღუბლებმა, აღუჩნებმა კორდი თეთრად გაბოლა,
ნეკნებს ლეწავს ჩაქცეული თაღების პარაბოლა.

უღღღური ჩემი ნერგი ძირში ვინდა მობელო,
საწუთრო ხარ, ასე ვიცნობ, ყოვლის დამამზობელო!

ბევრის თვალი დააბნელე, ბევრის კეფა გახარი,
მაცოდინა, ვისი ჭაფრი დაგრჩა ამოსაყარა.

ფერდო ჩამოტყავებულო, ჭაგნარო და ხრიოკო,
შენთან მოველ, საბოლოო წყურვილი დავიოკო.

ვერ აგშორდი, შენთანა ვარ, მიწავ, გული ვახსენი,
ოღონდ ზოგჯერ გახაფხულის ტრიალი გამახსენე.

მზის ჩასვლისას...

შენ — ქაობის ბნელო რიდევ — გაკიდულო მწუხრში
მუშლო,
მწუხრის ხმაზე მოშრიალევ, მამცნე შენი საიდუმლო...

რამდენ წვიმას დაუხრჩვიაბარ და რამდენი შხამი შესვი,
შენ — ღრუბელო აბრეშუმის—მაინც რაში ვიდგას ფესვი.

რა იღონე, რომ ვერაფერ მოდგმა შენი ვერ გასრისა,
ვერაფერმა მოგიღალა ფრთები ვარსკვლავების ხნისა.

ხან საწნახელს ეხვეოდი, ხან საქონელს სისხლი სწოვე,
შენ არ იცი, რაა გლოვა, ბედი კაცთა — სიმარტოვე.

არ თვდება წელთა ბრუნვა და ზოზინი შენი უხმო,
დამბადებელს, მაცოცხლებელს — მიწას გული რამ
გაუბმო...

გვიანი, ვიღას კვითხო, რამ დამშრიტა, გამომცვალა,
ვინ წამართვა სიხარული, თვალში — შეუქი, მუხლში
— ძალი.

ანხად კუთხე, ასე დავალ უსაგზალო, უმეფურთო,
ფიდიჭანდა, აფთალილი ტანზე დამეხვია სურთო.

ადამის ძვე ცოდვიანო, ტალახო და მართლა მდილო,
შენ რალა გაქვეს დასამალი, ეგებ მითხრა, გამიმზილო?

სანამ გინდა, გახელეზულს, სდიო სურვილს, რას ესწრაფი,
რას დაახნდეს ყოფნა შენი — შერჩენილი ლოდებს ქაფი.

სატანაც ხარ, ანგელოზიც, ხე კეთილი, ფლიდი, უნდო...
ალარავინ გეგულეზა, სული სანთლად რომ აუნთო.

შფოთავ, ვიდრე მივბარებს გამოთხრილი შენგან ბუდე,
მწერის ფარფატს ისევ შენი მირჩევენია სიჯიუტე.

ქამოველი, მივპტოვე...

გავერიდე ცოდვის ლაქას,
სადაც სუნთქვა მიჭირდა,
ვერ გავძელი, ერთ ალაგას
გული არ გამიჩერდა.

დაბლა დარჩა მათი ზროვა,
არც მინდოდა ვეცანი.
წამოვდედი, მივატოვე
ყრუნი, გულნამცეცანი.

ვერ გავცურე ცაზე ნავით,
სად ღრუბლების ქაფია,
ბრალი მისი, ვინც ჩემსავით
გიღეწავს, გიკაფია.

თან მიმყვება შენი ვალი,
მშვილდის ტარად გამხარე,
მზე გაწითლდა ჩამავალი,
ღმერთებს მისდით სამზარი.

სანამ გინდა ბნელი ვკვეთო,
გემონო და გეზართ,
წვეთო ზორხის გადამკეტო
და სისხლით შემღებართ.

რა ხაფანგი, რისი მახე,
ერთია უმეველი —
არ ყოფილა დასაძრახი
ქამი — ჩვენი მღეპველი.

ბოლო კლგართი

ზუამთა

მოვიდა იგი... უნდო და ტუნწი,
გალეულა სიცოცხლის უნწი.

ცა — შენი წილი — შექანდა, იძრა,
საით წაგიყვანს ბილიცი ვიწრო.

მალალი, მუქი და განურთხმელი,
ტყის ყელთან წყვილი იცდის
ურთხმელი.

ათასი მახით, ზერელით, სორთით,
გზაბნეულებს ხედება ბორთით.

მოარხევს ვაზის და სურთს ლოკონს,
ტანზე აყრია ყვეთელი სოკო.

წვერწამ:ზული ნიყარის ძაბრი
კანს ბურღავს. დაბტის თვალეზი ბაბრის.

გულდაორთქლილი და ფერნაცვალი,
შავად იმღერევა ყურძნის მარცვალი.

მონები ბედის დაუზოგველის,
მოგყვებით, ცეცხლის ორმო

მოგველის...

დაბერწებული ხეების მკვიდრი,
მალე დაზნიქავს წამწამებს ფითრი.

ბოლო მკაპრუბა

(მიწისქვეშა მატარებელი)

ურჩხულის კუზიანი ქეჩო წამოშალა ესკალატორმა.
მწეანედ ამოანთქრია გვირაბში გოგირდის ხაშში, —
გაეკრა ორთქლი შპალებს, კაფელის რომბებს,
ტყვიამოვლებული დენის შიგნეული დაიარა.

გამოაცხადეს:

ალარსად წაფა,

ალარსად წაფა,

ალარსად წაფა,

ვაგონი უნდა დაცარიელდეს!

არცერთი სიმი არ ირხვევა:

მიჯრით ალაგებს გაყინულ ბგერებს

სასაში გამოჭრილი ლითონი,

ენის კლიტზე გადაკრული კალა...

ჩვენ გადმოვდივართ,

ვემორჩილებით უმკაცრეს განრიგს,

დაბნეულები, მგლოვიარენი.

ვაგონი უნდა დაცარიელდეს:

დაცარიელდეს გული და ტვინი,

აზრი და ძარღვი, ქვეყანა დიდი,

სისხლიან ქვეებით ჩაფესვებულ, ამოკრული.

ასე თავდება ულამაზესი ერთფეროვნება —

ცხოვრება ჩვენი.

მოლისფერი პალტო აცვია

თეთრსათვალიან, მოწყენილ ქალს,

მე რომ ხელიც ვერ შევაშველე-

მიაბიჯებს ფერმკრთალი, ოდნავ გაოცებული...

მავთულებით აქედნილ რკალს, ალაგ-ალაგ, —

გადაკვეთის ჩაყანგულ, შედუღებულ წერტილებზე, —

დაკვდომია თაბაშირის მღვრიე ცოში,

ქვესკნელის წყალს დაუცვარავს მახუთის კედელი.

აქ ეფლობა გადაზნექილი, სუსტი წვივები;

გადაელობა, არსად უშვებს ტლანქი,

წერაქვის ნისკარტით დაჭილნილი მიჯნა.

ვერ გაეონავს — შუშის ღეროებში შეწოვილი —

ნეონის დაკუთხული ცილა მინანქრის გუგებში.

ალარ უბნობს ჭაჭვზე გამობმული აბრა:

„ქალაქში გასასვლელი“.

სამი მგზავრი უკანვე გაბრუნდება:

გოგო და ბიჭი (ათი და თორმეტი წლისანი);

ავდარში მობუზული ბელურები.

მესამე — თმათეთრი, საფეთქლებშემტერეული კაცი:


თვალების მაგივრად მოცახცახე, —

მტკვრში ჩასაფლობად გამზადებული, —

ცრემლები უწყევია ამოშწვარ ორმოებში;
 მობრილ ბეჭებში თავისუფლად ატანს
 მარმარილოს ბრჭყვიალა ნესტი,
 ვრთილი სვეტებიდან დაძრული, —
 დამრეცად გადაჭრილი სპექტრები.
 მას უჯობს ლიანდაგზე ედოს მხარი,
 დაწნებილი, ცივი ბორბლები უვლიდეს...
 ბუდიდან გამოცურდნენ,
 რეზინის ღრჯოლები შეერეს მინის კარებმა.
 გახურდა ჰაერი, გასანთლულ ნესტოებს
 სილის ნამცეცები ცვივა...
 ჩუმად მოადგება — გადაკეტილ ყელს,
 თეთრ ნიკაბს, ფანჯარას... —
 გამდნარი მარილის ოკეანე.

გადახრილი მზით გამთბარი ყვავილები —
 მტვრიან შარაზე,
 ყორნის დაქნილი ბოლოებით
 ლურჯად გამოტენილი პირი,
 საავადმყოფოს აშშორებული დერეფანი,
 შემნახველ საკანში ღამეგათეული ჩემოდნები
 (ტყავის მომეაყო, დაგუბებული სუნი),
 ფრინველის ამობურცულ მკერდზე ატალღებულ
 ვერცხლისფერი ატლასი,
 პრიალა, გამოთეთრებული თაბაშირი
 (ალაგ-ალაგ დაბზარული)...
 ყველაფერი ეს სიკვდილია.

იმ ქალის თეთრი ფეხსაცმელი სად არის ახლა,
 იმ ქალის, ჩემთან რომ სეირნობდა?
 ასე ვიკითხავ წლების მერე,
 დიდი ხნის მერე,
 გასრულებული სიცოცხლის ბოლოს...
 და თეთრი ღილი,
 წითელ მიწაში ახელაღი თეთრი ღილი
 მომელანდება.



მამია ჯავახიძე

წიგნი მეოთხე

მეხუთე მუხარამი

თავი პირველი

სულიწმინდის მოფენის დღეს, კვირას, 1765 წლის თიბათვის პირველს, ვიწრო ხეობის ყელში ჩადგმულ ჭრუჭრულს წისქვილებს სამი გლეხაკურად ჩაცმული, თავით ფეხებამდე თოფიარალში ჩამკდარი მხედარი მოადგა, უბრალოდ წეკანზე მუხლმგარი ცხენები სადავით წისქვილის ნაპირა ბოძზე გამოაბა და ათასი გამვლელ-გამოვლელის ფეხით ნაჭვე დერეფანში შემოვიდა.

ახალი გათენებული იყო. წინაღამეს მთებში გადაულეებლივ ეწვიმა, მდინარე აედიდებინა, მოვარდნილ წყალს წისქვილის სათავე დაენგრია, ნაპირზე უამრავი ნარიყი, მოტაცებული სამასაღლე მორები. ძირიანად მოთხრილი ხეები გამოეყარა და სადაც უკან, ბებერი კარტების გადაღმა, კიდევ ერთი წისქვილის კრამიტის სახურავი და ძელური კედელი რომ მოჩანდა, ახლაც მრისხანედ ბობოქრობდა. ჩრდილოეთიდან მომდგარი ტყიანი მთები ჩამუქებულ-ჩამწვებულიყვნენ. იქ ჯერ ისევ წვიმდა, დროდადრო ეღვაც იკლავებოდა

და გამოდარებას მგონი სამისდღემწი-ოლ აღარ აპირებდა.

წისქვილის კარი უცხო მგზავრებს გამოკეტილი დაუხვდათ. დერეფნის კუთხეში, სადაც წყალში დამბალი საგოდრე ტყეჩის ლამაზ-ლამაზი კონები ელაგა, ბუმბულაფოფრილი კრუხი ქოთქოთებდა და სიცივისაგან საცოდავად აბუზულ, აწივწივებულ წიწილებს გარეშემო უვლიდა. ნუთუ არც მეწისქვილე იყო სადმე და არც ახლომახლო სოფლებიდან მოსული მესაფქვენი, რომ მგზავრებს წყლის ამბავი ეკითხათ და გაღმა გასასვლელად ფონის ძებნას შესდგომოდნენ?

მდინარის ამგვარი გადარევა და მოვარდნა დღეს პირველი როდი იყო. ჭრუჭრულს კლდოვანი კალაპოტის ამოსავსებად სულ მცირეოდენი თქეშიც კმაროდა. მთებში ცა რომ შუბლს შეიკრავდა და ერთი ბოლშიანად დაიგრუხუნებდა, წინასწარვე უნდა გცოდნოდა, რომ ორმოციოდე წუთის, ან, სულ ბევრი, ერთი საათის შემდეგ წყალი აუცილებლად მოიმატებდა და თუ არ

გსურდა უცილობელი ზიფათი მოგსვლოდა, რიყეს დროით უნდა გასცლოდი.

მგზავრთაგან ორნი დერეფანში დარჩნენ, იქაურობას თვალი მოავლეს, მესამე კი, ელალი ჩაბალახით თავწაყრული, ასე ორმოცდაათ წელს მიტანებულ მწითური კაცი, ხელისსიფართე ყაბა მუხლზე რომ სცემდა, ღარებისაკენ მიწისმუშის მძიმე ნაბიჯით წავიდა, საწისქვილო არხს, რომელშიაც წყალი დამშრალიყო და აქა-იქ მხოლოდ პატარ-პატარა გუბებში დაეტოვებინა, ზემოთ აპყვა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკან მობრუნდა.

პირამოტეხილ, ხმარებისაგან მთლად დაღუღულ დოლაბზე მოუსვენრად ჩამოშდარმა, დაღვრემილ თვალბში ღრმა ნალევლჩამდგარმა ჩოხიანმა მხედარმა, რომლის ზვიად მიმოხვრასა და სახის დიდებულ გამომეტყველებაშიაც დაკვირვებული კაცი ორი დანარჩენი მხედრის ბატონს ადვილად გამოიკნობდი, მას კითხვის გამოშატეული მზერა დაახვედრა.

— მწისქვილეც და დამხმარე ხალხიც სითავში უნდა იყონ ასული წყლის ვადმოსაშეებად. — მოწიწებით დასძრა ხმა მწითურმა და ჩაახველა, — პატარა ხანს გვედროებინა, არ შეიძლება, ვინმე არ გამოზნდეს, წისქვილს უპატრონოდ არ დასტოვებენ. — და პასუხს აღარ დაელოდა, მესამე თანამგზავრს მიობრუნდა. — შენ რას იტყვი, ნიკოლოზა?

ტყის კაცივით თმა-წვერგაბანჯგულულმა, სავაზნე ფალასკებით მკერდგადაჯერდინებულმა, გოლიათური აღნაგობის ჩაფსკენილმა მხედარმა ცხენების დაურევბას თავი ანება და ურმის მორგევიით მსხვილი და ღონიერი კისერი ზანტად მოიღრიჭა, მე ხომ არაფერი მიბრძანეთო.

— მოვიცადოთ თუ შეგებათ წყალს? — კითხვა მწითურმა, რადგან გატეხილ დოლაბზე ჩამოშდარი მათი ბატონი ველაგ არაფერს ამბობდა. — აქ გაჩერე-

ბა და ლოდინი, მე მგონია, საშიშია, ვაითუ მდევარი წამოგვადგეს — თავს, მაგრამ ნაკლებ საშიშია აბრადნებული ჭრუჭულა გახლავს, თუ ვინმე ღვთისნიერი არ გამოგვიჩნდა და ფონი არ მოგვასწავლა.

ნიკოლოზას პასუხი მზად ჰქონდა და ის იყო, კიდევ უნდა ეპასუხა, რომ დაუქმებული, გამომშრალი ბაყაყის ბუდეებით ჩამოძენილი ღარის მხრიდან ჯერ ფეხისხმა შემოესმათ და შემდეგ თავშიშველი, ჩოხის კალთებამოკარწახებული, წელამდე სველი ჰალარა გლეხი გამოჩნდა. შეიარაღებული უცხო კაცების დანახვაზე გლეხი შეცბა. აქ ვისიმე დახვედრას, თუმცა შარავზა იყო და გამვიღვ-გამომვიღვლს, უცნობს თუ ნაცნობს, დღისით თუ ღამით რა დალევდა, ეტყობოდა, არ მოელოდა, მაგრამ შიშს სძლია, ბედი ღმერთს მიანდო, დერეფანში შემოვიღა, რიყის ქვებზე გამუღმებული ჰახაქუნით პირდაბლაგვებული გრძელტარიანი თოხი ტყეის კონებთან კედელზე მიაყუდა, უცხო მგზავრები ერთხელ კიდევ ქვეშ-ქვეშ შეათვალიერა, სალამი წაიბურბურტა, შემდეგ გვერდზე მიდგა, ჩოხის სველი კალთები სარტყელიდან ამოიშალა და გაუხდელად გაწურვა დაუწყო.

გლეხი ქერა იყო, პირბმელი, სახის ნაკვების მოყვანილობითა და მშვიდი ცისფერი თვალბებით ეკლესიის კედლიდან ვადმოსულ მაკნოვარს მიაგავდა. მგზავრები ერთხანს ხმაამოუღებლივ უყურებდნენ. გლეხმა ამასობაში ჩოხის კალთები შემოიწურა, წისქვილის კარი ჰრიალით შეაღო, ნახევრადჩაბნელებულ წისქვილში შევიდა, მშრალი პაქო-ქალამანი გამოიტანა, ნივადგ ხმარებისაგან გაპრიანებულ ჭოროვზე დაქადა და ფეხზე ჩაიქმას შეუდგა.

— მაგარი ვულის პატრონი ყოფილხარ, მეზობელო, — მოულოდნელად დაარღვია სიჩუმე ელალი ჩაბალახით თავწაყრულმა მწითურმა მხედარმა. — შენს ადგილზე, ამისთანა არეულ დროში, მართალი გითხრა, სხვა შიშით

სულს ვააცხებდა. იქნებ შეეკობრებები ვართ და ხალხს ვიტაცებთ!

გლენმა თავი ასწია, მშვიდი ცისფერი თვალები სამივე მგზავრს ერთად მიაპყრო და შექვებით ნასიამოვნებმა ჩაიკინა:

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ჩემო ბატონო. არ გავხართ იმნაირ ხალხს. მეეკობრეს თავისი ავი ზრახვა შებღვრე აწერია. ისე, შენმა სიკეთემ და გახარებამ, როდემდე დევნივალო. თუ გამჩენმა ღმერთმა სხვის კარზე სულის ამოსვლა მარგუნა, საფლავშიაც რომ ჩაგწვე, ჩემი ყისმათი იქაც მომაკითხავს!

— აგრეა, სწორად სჯი, მაგრამ სიფრთხილედ მაინც გვმართებს. ვინა ხარ, აქ ახლოს ცხოვრობ?

— სარეკელი კაცი ვახლავარ, ავერ, გორს უკან, — გლენმა ხელი გაიშვირა. — აქეთ წისქვილზე გეახელი, ორი კვანჩხი ფეტვი მინდოდა გამომეფქვა და ტყუილა მოვცდა.

— ჭერ აღრეა, შე კაცო, მზე ეს არის ამოვიდა. დაღამებამდე ორი კვანჩხის კი არა, ორი კოდის გამოფქვას მოასწრებ!

— რითი, ბატონო, წყალი თუ არ არი? სათავე პირწმინდად მოუსილავს, გოდორყულები, თუ დამიჭერებ, ვეღარც კი მივაგენით. თუ სათავე არ მოშალე და სილა არ გოუშვი, საწისქვილოში წყალი საიდან შემოვიგია!

— რაგა ატყობ, გალმა გეისვლება?

— ცხენით თუ ფეხით?

— ცხენით, ვერ ხედავ, ცხენებით ვართ?

გლენმა ქალაშნის თანში უკანასკნელად ამოიკრიფა, მარყუჯად ჩასკენა და, მართალია, აღიდებული მდინარე აქედან არ ჩანდა, რადგან წისქვილი ეფარებოდა, პირი მაინც იქით მიიბრუნა, თითქოს თვალდათვალ უნდა შეამოწმოს, შეისვლება წყალში თუ არაო, და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა:

— გუშინ ნაშუადღევს ცხენოსნები გუდასულან. რაჭველებად შეფიცანითო. მთავარი წყალი მაშინ მოვიარდნოდა არ

იყო და არც გაპირებიათ. მერე მღვარი მოპირილა. სროლა და ყოყინა ოუტეხიათ. გალმა დომიანთ გასვლა, მარა წყალი დიდი იყო და უკან დაბრუნებულან. ამ დილას წყალმა, ამ უგამჩნეოზ, მოიმატა და რა ვიცი, რო რამე მოიწიოთ... ძირეული ხეები მოაჭ, ბატონო, ქვა და ლოდი. მამა-პაპასაც არ ახსოვს ამისთანა ამბავი. თქვენ ჭვარი გწერიათ და, სულ ადვილად შეიძლება ცხენმა ფეხი მოიტეხოს!..

ჩაბალახიანმა ხმაგამენდილ თანამგზავრებს მიჰხედა, უსიტყვოდ რაღაც ჰკითხა თუ ანიშნა, რაც გლენს მხედველობიდან არ გამოჰპარვია, პასუხიც მიიღო და ისევე მას მოუტრიალდა:

— გავყვევი ერთი, შენ ფონი გეცოდინება!

— თუ დამიჭერებთ... ხატის და ჭვარის მადლმა... — გლენი საწყალობლად დაიღრწა, ხმაში მუდარა გაურია, — იქნება ღმერთმა ინებოს და შუადღემდი ცოტა იჭიატოს. ბევრი კი არ უნდა! თუ ძალიან დიდი ვასაჭირი არ ვაღგიათ... — მაგრამ როდესაც მგზავრებმა ყური არ ათხოვეს და მაინც აიშალნენ, თავდაც წამოდგა. — ისე, რავარც ვატყობ, აქაურები არ უნდა ბრძანდებოდეთ. გაკვირდებით და ვერ გიცანით.

— არა ვართ შორებლები. მერჯევი ხომ ვაგიგანია?

— იმე, რაგა არა, ბებია მყავდა მერჯევიდან გამოთხოვილი!

— იქაური გლენები ვართ, ვახის ნერგი მიგვაქვს რაქას ვასაყიდად, თუ კი ფეხზე ვიარეთ და ხეირიანი მუშტარი გამოვიჩინდა.

— ვითამ? — გლენმა ექვიანად გახედა უნავირზე გამოკრულ მცირე ბარეს, ნერგის შეეკრებს სულაც რომ არა ჰგავდა, ისიც იანგარიშა, ვახის დარგვა ახლა რომ შეგვიანებული იყო და იგივე ექვიანი მზერა მერე ისევე ჟღალი ჩაბალახით თავწყარულ მგზავრზე გადაიტანა. — მუშტარს რა გამოგილვეთ, რაქაში ნამეტანი ვარგობს აქაური ვახი, ღმერთმა გზა და კვალი

დაგილოცოთ, ხელი მალე დაგაცლებენო!

— სახელი ჰკითხე მაგას, როსაფ, — ხმა დასძრა აქამდე გაჩუმებულმა ჩოხიანმა, პირჩამოტეხილ დოლაბზე რომ იჯდა, ტყის კაცს ცხენის სადავე ჩამოართვა, დერეფნიდან პირველი გავიდა და გზას დაბლა, საწისქვილო წყლის დამშრალი კალაპოტისაკენ დაუყვა.

— გოგიტა! გოგიტა ჰკითხე, ბატონო... — გლეხი გამოცოცხლდა, თვალნათლივ შეემჩნა, რომ რაღაცას ხედებოდა, მაგრამ ჯერ საბოლოოდ ვერ გადაიწყვიტა, მართლა ასე იყო თუ არა.

— შენი სახე მეცნობა. სად უნდა მენახე, თუ იცი?

— ავ საჭმეზე ვერსად მნახავდი, ბატონო, ავი საჭმისაგან მაშიჩემის შეილი ღმერთმა დამიფაროს, ერთი საწყალი მუშაკაცი ვარ, დღე და მოსწრება მარჩენალ მიწას ჩავეკრიკტებ. სად უნდა გენახე, კაცი კაცს გავს, ალბათ, მაგვანებ ვინმეს.

— ხრესილში გიომია?

გლეხს ყოყვი აუთამაშდა, პირში ნერწყვი გაუშრა, თითქოს ყველაფერზე უფრო სანუკვარი რამ უხსენესო, ცისფერი თვალეში სიხარულის ცრემლით იფეხო.

— ხრესილში? ხრესილში რაღა არ მიომია, შე დალოცვილო. ჩვენს ბატონს, ქაინოსროს, სამი ძმა და ორი ბიძაშვილი ვახლდით. ჩვენ ვიყავით, სულწაწყმედილ ბაშადას და გოლაფაშას პირი რო ღორის ქონით ამოვუღესეთ და...

— მაგას ნულარსად გაამხელ, გოგიტა, — შეაწყვეტინა მგზავრმა. — ხომ იცი, დღეს სხვა დროა, ახალი მეფე თეიმურაზი შენისთანა კაცებს სანთლით დაეძებს, რომ გაბაწროს და სოლომონის ჭაგრი აზღვევინოს!

ჰკითხე გაჩერდა, სახეზე ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა.

— მეფობა იმას ვინ მიაშავა? დაჩაგრული გლეხკაცის შემწე და ქომაგი სოლომონი ჯერ ისე არ დაგარდნილა,

რო ურჯულ თეიმურაზი აქამდე მოუშვას!

— შენ კიდევ სულღმერთს იტყვი მაქვს?

— მისი იმედი ღმერთმა და მამაზეციურმა ნუ მოგვიშალოს! — გლეხმა მაცხოვრისებურად მშვიდი ცისფერი თვალეში ზე აღაპყრო და პირჯვარი გადაიწერა. — ამბობენ, პაპუნა ტყვედ ჩავარდნია ჰასან-ფაშას, ქაიხოსრო კი მოდინახეშია გამოკეტილი და არსაით საძრაობა აღარ აქვსო. პაჯი-ალობებს, გაწყდა მაგისი სინსილა, ციხისთვის უსლვაგი ლაშქარი ალყა შემოურტყამს. მეფეც მანდ უნდა ბრძანდებოდეს, მოდინახეში. მართალია? თუ რამე იცით, იწამეთ ღმერთი, ნუ დამიძალავთ!

— ძნელი სათქმელია, — მგზავრმა შორს დაიჭირა. — შეიძლება აგრეც იყოს. შენ კი, გოგიტა ჰკითხე, ფრთხილად იყავი, ყოველ გამვლელს აგრე ადივლად გულს ნუ გადაუშლი, რა იცი, ვინ რით სულდგმულობს, ცოლშვილი მაინც შეიცოდე. აქეთ საით მივდივართ, კაცო?

— კარტნებს უკან ვითამ ფონი მეგულემა ბატონო, მარა, წელანაც მოგახსენებდით, წყალი ჯერ დიდია, მოდის და მოდის. თუ ნამეტანი გასაჭირი არ გეადგია, არ ინდობა, ფათერაკს გადავეყრებით. შეგვეცადა ერწამა. რაქველები კი არსად გადასახლდებიან. იქნება იქიატოს. უბანში ავირბენ, ქადის ნატეხს, წვანილს, ყველს და ღოქით ლეინოს გავაჩენს..

— არა, ჩემო გოგიტა, გაჩერება რომ შეგვეძლოს, მაგდენსაც არ გახვეწინებდით. ყველაფერს ის აჯობებს, თუ სიმარჯვეს გამოიჩენ და როგორმე ფონს გვაპოვინებ. თუმცა სად უნდა ნახო აქ კაცმა ფონი. წყალს მთა და ბარი მოაქვს! გაღმა ჩიტაც ვერ გადაფრინდება.

— მაგას არ მოგახსენებთ მეც? ამისთანა დროს წყალი ერთობ საშიშია. ცივია ყინვასავით, სუნიც გლახა მოსდევს. მტერი ჩოუვარდა მაგას ხელში!

ა, ბატონო, შეხედეთ, თუ ჩემი არ გყავს!

საარაკოდ აღიდგებელი, მაკარივით სქელი, მღვრიე და ქაფმორებული ჭრუჭრული, კარტინებითა და თხმელანებით გადავლილი რიყე კილით კიდემდე რომ დაეფარა და ვალმა, ფრიალო კლდის ძირას გამავალი საურმე გზაც ბოხოქარი ტალღების ქვეშ მოექცია, მართლაც საზარელი დასანახავი იყო. წყალი თავბრუდამხვევი სისწრაფით მოქროდა, მოიზღაზნებოდა, ერთიმეორეზე ახოლინებულ ზვირთებს მოაჭირთებდა, ძირფესვიანად მოთხრილ წიფლებს, სოჭებს თუ თხმელებს ტრიპლ-ტრიპლით მოაქანებდა, ჰაერში ტალახისფერ ბურს აყენებდა და ადგილადგილ, თითქოს უზარმაზარ საარყე ქებაში ჰაჰა აღუღლებიათო, გამაყრუებლად შხუოდა და ბუბუბუბებდა.

გოგოცა კიტაძემ ერთხელ კიდევ სცადა უცხო მგზავრებისათვის როგორმე წყალში გასვლა გადაეთქმევიანებინა, ერთხელ კიდევ შეეხვეწა და შეემუღარა, იწამეთ ღმერთი, თავს ნუ დაიღუპავთ, ცოდვაში ნუ გამხვევთო, მაგრამ როდესაც ყველა მისმა ცდამ და მოწადინებამ ამაოდ ჩაიარა, გაწბილებულმა უკან დაიწია და შიშისაგან ენაჩავარდნილი გამალებულ პირკვარის წერას მოჰყვა.

ქალაქი ჩაბალახით თავწაყრულმა მხედარმა, როსათ მამუკარიანმა, რომელიც კიტაძემ პირველ დანახვისთანავე იცნო, მაგრამ ამის გამხელა, ვაითუ აუტყვიარი თავი ავიტყვიოთ, საჭიროდ არ მიიჩნია, შინდისფერი ულახვი მდინარეში შეაგდო და მღვრიე წყალი ცხენს უმაღვე მკერდზე მოაწყდა, მხედარი კი შხეფების ბურში გაეხვია. კიტაძემ უნებლიედ თვალები დახუჭა აღარ ვგონა, თუ ერთ წამის შემდეგ ცხენსა და კოხს ისევ ფეხზე დაინახა. თვალად რომ გამოახილა და დაფეთებულში იმ ადგილს გაჰხედა, სადაც მაკარიანმა ცხენი წყალში შეაგდო, იქ მართლაც აღარავინ იყო. სამაგიეროდ, ქაფმორებული ზვირთებიდან

ამოჩრილი ცხენის თავი ახლა უკვე შუა მდინარეში მიირწყოდა. აქვე მოჩანდა მხედრის თავი და მალე აწეული ხელიც, რომელშიაც როსათს ბრწყინვალა სალტებით გაწყობილი გრძელი თოფი ეკავა. ორი დანარჩენი მხედარიც მოშორებით ეომებოდა გადაარეულ წყალს და ვალმა ნაპირისაკენ თავგამეტებით მიიწედა.

უჩვეულო სანახაობით შეძრულმა გოგოცა კიტაძემ გვიანდა შენიშნა, რომ აქეთა ნაპირს ხალხი მოსდგომოდა. საწისქვილო არხის სათავეში მომუშავე გლეხებს შორიდანვე დაენახათ გამძვინვარებულ მდინარესთან შესაქიდებლად მიმავალი სამი ცხენოსანი და ერთი ქვეითი, საკუთარი თვალებისათვის ვერ დაეჯერებიათ, ნუთუ მართლა ვალმა გასვლა გადაუწყვეტიათო და სერიის საყურებლად ფონისაკენ წამოსულიყვნენ. ერთმა სისველისაგან დამძიმებული გრძელი ბაწარიც მოიტანა და ქვეშაზე დააგდო. თუ ვინცოხბაა, ცხენსა და კაცს რაიმე გაუჭირდებოდა, ბაწარს დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეეძლო.

— თავს უშველეთ, ხალხო!.. დაბრმავდით და დაყრუვდით? უუუ!.. ვერ უყურებთ, მტერი შემოგვცისა? — ბალის ჩაბლჩილი ზმით დაიძახა ვიღაცამ მდინარის აქეთა ნაპირზე და ყველამ, ვინც კი ეს თავზარდამცემი ძახილი გაიგონა, გველნაკებნივით უკან მოიხედა. ვინ ყვიროდა? სად იყო მტერი? მაღალი თხმელის კენწეროზე, მწვანე ფოთლებში, პერანგშემოხეულ ბიჭუნას მოლანდეს თვალი. ბიჭი გამეტებით ყვიროდა და თავისუფალ ხელს ჰაერში იქნევდა: — ხალხო! წისქვილები ვიკლეს! აქეთ მოდიან, თავს უშველეთ, თქვე უხედურებო!

სოციენასაგან გალურჯებულმა ფეხშიშველი გლეხებმა, რომელთაგან ზოგს მზარზე თოხი ან წერაქვი ჰქონდა გადადებულა, სხეებს კი თავისი იარაღ-ხელსაწყოები ტანსაცმელთან ერთად საწისქვილო არხის სათავეში დაეტოვებინა, ჯერ ურთმანათის შეხედეს, როგორ მათიქცე-

თო, მერე ერთხმად პირი იბრუნეს და ნადირისაგან დაფეთებულ ცხვრის ფარასავით რიყეს აღმა, არხის სათავისაკენ აპყვნენ. წისქვილების მხრიდან თოფ-დამბახის კანტიკენტი სროლა, დამცემთა ყიყინა უცაბედ განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების წივილ-კივილი ისმოდა. ხმალამოწვდილი, თოფ-დამბახამომარჯვებული ოცდაათიოდე იანიჩარი საწისქვილო არხში გამოთქაფუნდა და სროლითა და ყიყინით ერთ მუჭა უიარაღოებს თავი დაუქარა.

— ღმერთო მალალო, შენ გვიშველე!.. ღმერთო, შენი სახელის ჭირამე!.. — უმწეოდ შეპლალადეს ცას გლეხებმა. მანძილი მათსა და იარაღმომარჯვებულ ცხენოსნებს შორის თვალდათვალ მოკლდებოდა. კიდევ წამიც და, ადიდებული ჭრუჭულის მღვრიე წყალი უდანაშაულო ქრისტიაანთა სისხლით უნდა შეღებოდიყო. ხანის სხვა გზა რომ ვეღარ დაინახა, ზოგი ისევ უკან დაბრუნდა, თითქოს ნაპირზე რამე დარჩენოდეს, ზოგი იქვე ჩაიკეცა და თავზე ხელები წაიფარა, უფრო გაბედულებმა კი, ვისაც გული და ღონე ერჩოდა, მძვინვარე მტრის ხელში ჩავარდნას, ძალღერ სიკვდილს ან დატყვევებას ისევ მდინარეში გადაცვენა არჩიეს და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ თავი წყალს მისცეს.

ცხენოსან იანიჩართა გუნდი, რომელიც თანდათან იბრდებოდა და შლაბიან რიყეს ავსებდა, მსწრაფლ ორად გაიყო. ერთმა ზემოდან მოუჭრა გასაქცევი გზა თავის მსხვერპლთ, ხოლო მეორე მდინარესთან მიიჭრა და წყალში ალაღბედად გადავარდნილთ ცხენდაცხენ ტყვია დაუშინა, მაგრამ ისინი უკვე შორს იყვნენ, მღვრიე ტალღებში ხან ჩნდებოდნენ, ხან ისევ იმალებოდნენ და ტყვიის დაწვევის შიში უკვე ნაკლებად ჰქონდათ. ჭრუჭულთა კვლავაც დინჯად მოაგორებდა მთისოდენა ტალღებს, მღორედ ტორტმანებდა და ნაპირებს აწყდებოდა. ვერა, ჰქუთამყოფელი კაცი, თუ თავზე ცა

არ ენგრეოდა, ახლა გაღმა გასვლას ვერ გაბედავდა. რაც არ უნდა მომხდარიყო, აქ წყლის დავარდნამდე უნდა მოეცადათ და გზის განგრძობა მხოლოდ ამის მერე ეფიქრათ!

შეჯგუფებულ ტყვეებს იანიჩრები გარს შემოერტყნენ, ცხენებიდან წინაუკუთო ჩამოხდნენ, მათრახები მოიმარჯვეს და დაკითხვას შეუდგნენ.

— სად არის გიჟური სოლომონი? სად გადამალეთ? ვინ არის აქ იმისი კული? ვის მოყირჭდა სიცოცხლე?

— ვინ გვეტყვის, საით წავიდა სოლომონი? ვინ ახლდა, გარდა ძიძიშვილისა და წერეთლის კაცებისა? აქ როდის გაიარა?

გლეხები აყაყანდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თუნდ მცირეოდენი ურჩობა და გაჯიქება სანუგეშოს არას უქადადათ, ერთიმეორის სიახლოვეთ გული მოიცეს და თავიანთ სულთამხუთავებს პირში შეებნენ:

— სოლომონი? რა ვიცით ჩვენ სოლომონი! სოლომონს აქ რა უნდა, გზა და კვალი აგვრიათ? სადაც არის, იქ ეძიეთ და ჩვენ თავი დაგვანებეთ!..

იანიჩრები ამ როყიო პასუხმა კიდევ უფრო გააფიცა და გააცოფა. ისინი, როგორც ერთი კაცი, დარწმუნებული იყვნენ, რომ გლეხები ცრუობდნენ და ტყეში გავარდნილი თავიანთი გულამშიგირი მეფის გაცემა არ უნდოდათ. ამიტომ ხელახლა მიეძაღნენ:

— ჩვენ ვიცით, სარწმუნო პირები-საგან შევიტყეთ: ამ დილას სოლომონი ამ წისქვილში იყო. მერე ვაჭრა. ცაში ამაღლდა, როგორც თქვენი მატყუარა ღმერთი, კახპის ნაშობი იესო ქრისტე?

— არ გავწყდეთ ცოლით და შვილით, არ წაგვიწყდეს მიცვალბებულები, ჩვენ ის არ გვენახოს და არსად დაგვემალოს, მტერი ვართ ჩვენი თავის? ქრისტეს კი რისთვის გვიგინებთ, თქვე კაი დედმამიშვილებო, ღმერთი ყველა ღმერთია, ქრისტე იქნება თუ მაჰმადი!

— რომელია ეგ, მაგდენს რომ ბედაეს, გამოდი აქეთ!



რამდენიმე წამს ისე გაიარა, არავინ განძრეულა, შემდეგ კი მკიდროდ შეგუფებულ ნახევრადშეველ ტყვეებს თმაქალარა, შუახანს მიტანებული გლეხი გამოეყო, თვალებზე ჩამოფხატული სველი ფაფანაკი მოიხადა და იანჩრებს წინ დაუდგა.

— შენ ამბობ, ქრისტე და მამადი ერთიაო?

— მე ეგ არ მითქვამს, შეილო, მე ვამბობ, რომ ყველა ღმერთი ერთია და ყოველი კაცური კაცი მოვალეა, სხვის ღმერთსაც ისე სცეს პატივი როგორც თავისას!

— შენი სიტყვებიდან რა გამოდის?

— რა უნდა გამოდიოდეს, რასაც მოგახსენებ, ის გამოდის,

— ასი ჯოხი ამას! თუ გაუძლო, ასიც დაუმატეთ! ახლაც გაატიტვლეთ და ხელები ზურგსუკან გაუკარიო!

— რას მერჩი, შეილო, განა იმისთანა რა გითხარი, — მშვიდი საყვედურით თქვა გლეხმა, როდესაც უფროსის განკარგულების შესასრულებლად იანიჩრები მისცივიდნენ და შავი ახალუხი თვალის დახამხამებაში ტანზე შემოახიეს. — აკეცობითა და ღვთის ემობით ვინ გინდა გააკვირვო. მაგის მტეი ჩვენ რა გვინახავს და რა გამოგვიციდა!

— გაინძერით! ახლაც შეაგნებინეთ, ვინ ვის გაუტოლოს, სად ტყუილი თქვას და სად მართალი! დანარჩენები წისქვილში დაამწყვდიეთ და კვამლი უხრჩოლეთ. ვნახოთ, ჩემი სიტყვა შესრულდება, თუ მაგათი!

ხმაგამენდილი ტყვეების გუნდი შუაზე გაიპო და იანიჩრების უფროსს

თხოუმტეი-თექვსმეტე წლის პირტიველა ბიჭი წარმოუდგა.

— შენ ვინა ხარ? რა გინდა? იცი, ვითური სოლომონი სად იმალება?

— მე შეილი ვარ ამ კაცის, — თქვა ბიჭმა. — ჯოხი მე დამკარიო!..

ცოტა არ იყოს შემკრთალმა იანიჩარმა ნიშნისმოგებით ახედ-დაახედა:

— კმ, ჯოხი მოგენატრა? დამკარიო! თლონდ ორივე გააშვივლეთ და ხელები ზურგსუკან გაუკარიო!

გლეხს სახე შეეშალა:

— რისთვის დამლუბე, შეილო, მე შენ ვალმა მგონიხარ!

— შენ ვერ დაგტოვე, მამა, შუა გზიდან მოგბრუნდი.

— მე რა მიჭირდა, შეილო, ან ასე გევიტანდი თავს, ან ისე, ანა ეგ არი კაი, ორივე რომ ამ ძაღლთაპირებს ჩოვეუვარდით ხელში? შენ იყავი, თხმელაზე რომ ყვირილი ატეხე?

— მე ვიყავი! დამინახეს და მესროლეს, მარა ჩამოვასწარი.

— ჯვარი გწერია, შეილო! ამასთან რალა გინდათ, თქვე კაი ღედმამიშვილებო, ბოვეშმა რა დააშავა — გლეხმა ახლა იანიჩრებს მიმართა და უფრო რომ არ აეშხედრებინა, თავისი ნებით მორჩილად დაიჩოქა. — მე ვარ დამნაშავე და ჯოხიც მე დამკარიო!

არ შეისმინეს მისი თხოვნა, თოფის კონდახები ამუშავეს, ჯერ შეილი წაეციეს, მერე მამა და სხვათა დასაშინებლად ცემა დაუწყეს. ამათთან ხუთი იანიჩარი დარჩა, ოთხი რიგარიგობით სახრეს ატრიალებდა, მეხუთეს ცხენები ეჭირა სადავით, დანარჩენებმა კი ტყვეები წინ გაირეკეს და წისქვილისაკენ წავიდნენ.

თავი მორე

სამ დღესა და დამეს უხრჩოლუნ კვამლი წისქვილში გამომწყვდეულ ტყვეებს უბედურებს წყალი და ღვთაეც გაუწყვიტეს. იანიჩრები დღეში ორჯერ შედოოდნენ წისქვილში და აფუფლებულ კე-

რიას წყალში ნაგდებ ფუტურო შეშან უმატებდნენ. დედომისის შეილი ყო და ვინმეს ხელი ეხლო! წისქვილს ერთადერთი სარკმელი ჰქონდა მდინარის მხრიდან. კვამლი იქიდან და ფქვილით შებუ-

მზლული კრამიტის სახურავიდან ამოდი-
ოდა და როგორღაც დამძიმებული მიწის
პირს ზანტად ეგვროდა. იანიჩრები ბო-
ლოს მიხედნენ, რომ ოთხივე კუთხივ
დახშულ ძელურ წისკვილში სარკმლი-
დან სუფთა ჰაერი შედიოდა და შიშო-
ლისა და წყურვილისაგან ქანცგამოლე-
ული ტყვეები ამით სულს იბრუნებდნენ
და ისიც ამოქოლეს. მოდინაზიდან საი-
დუმლო გვირაბით გაქცეული და სად-
ღაც აქ მიმალული სოლომონის გზა-
კვალის გაგება მაინც არ მოხერხდა. და-
ტყვევებული გლეხები არ მალავდნენ,
რომ რიყეზე ჭრუჭულისაგან გულდა-
გულ მიმავალი და მერე წყალთან შეჭო-
დებული სამი ცხენოსანი დაინახეს, რო-
მელთაგან ერთი, შესაძლოა, მეფე სო-
ლომონი იყო, მაგრამ იმ დროს ყველა
არხის სათავეში მუშაობდა და იქიდან
აქ კაცს რაობით იცნობდი. მგზავრების
ვინაობა ერთადერთ გოგოტა ჭიტაძეს
უნდა სცოდნოდა, მაგრამ დატყვევებუ-
ლთა შორის გოგოტა არ ჩანდა და ეს სა-
პყარი ხალხი იანიჩრებს თუნდ გაის ამ
დრომდეც დამწყვდეული რომ ეყოლოფ-
ბინათ, სანამ ჭიტაძეს არ იპოვნიდნენ,
ამაზე მეტს მაინც ვერაფერს შეიტყობ-
დნენ.

მეოთხე ღამეს, ერთი პირი ძილი წყა-
ლსაც რომ მოერია, წისკვილის დერე-
ფანში, გატეხილ დოლაბზე ჩამოქდარ
მზირს რაღაც საეჭვო ხმაური შემოესმა.
მზირი ზეზე წამოვარდა, ჩახმაზი ფეხზე
შეაყენა და ჩამოვარდნილ სიჩუმეს ყუ-
რი მიუგდო. ხმაური აღარ განმეორებუ-
ლა, წელან კი, თუ არ მოელანდა, მზირ-
მა გარკვევით გაიგონა, რომ თითქოს
ვიღაც ფიცარში გაქვდილ ჩაქანგულ
ლურსმანს აძრობდა.

ამ ღამეს ღირშესანიშნავი მეტი არა-
ფერი მომხდარა, ხოლო დილას, მზეთე-
რავ ცეცხლზე ფუტურის შეშის დახამა-
რებლად წისკვილში რომ შევიდნენ, ხე-
განგებოდ ამოქოლილი სარკმელი იანი-
ჩრებში მოლიავებული ნახეს. სანამ უფ-
როსეშს რაიმეს გაუმხელდნენ, უმაღ-
ტყვეები გადათვალეს და, როგორც მო-
სალოდნელი იყო, ერთი კაცის დანაკლო-

სი აღმოაჩინეს. ღამით, ეტყობოდა, ვი-
ღაც თავზე ხელაღებულ და ენიჩრების
სიფხიზლის მოდუნებით შესარგებდა, სა-
რკმელი გაენგრია და გაურკვეველი მი-
მართულებით გაქცეულიყო. ტყვეები,
ვისაც სული ედგა და ფეხზე დგომა კი-
დეც შეეძლო, გარეთ გამოყარეს, იქაუ-
რობა გაჩხრიკეს, ყველა კუთხეკუნძუ-
ლი გადმოაქოთეს, იქნებ აქ ვინმე იმა-
ლებოდასო და, როდესაც ვერაფერ იპო-
ვნეს, ისევ ჩამოხეულ-ჩამოკონკილ, მუ-
რსა და ჭვარტლში ამოზუნხულ, შიშო-
ლისა და წყურვილისაგან ღონეგამოლე-
ულ ტყვეებს მიეძალნენ.

— ვინ გაიქცა, ასლავე თქვით თქვენი
პირით, სანამ ცემით კაულს ამოგხდიდეთ!
— ბრძანა ძილგატეხილმა იანიჩრების
ასისთავმა და ორად მოკეცილი მათრახი
ზე აღმართა. — გაქცეულს — სიკვდო-
ლი! იმას, ვინც მის დაჭერაში მოგვეხმარ-
ება და გზას გვაჩვენებს, გათავისუფ-
ლება და ათი ყურუში ჭილდო! აი, ნა-
ლდი ფული, ჩემი ჭიბიდან ვიძლევი! —
იანიჩრმა უბიდან ვერცხლის ფული
ამოიღო, ყველას თვალწინ გადათვალა
და პირამოტეხილ დოლაბზე დასდო.

ერთხანს ისევ არაფერ იძებოდა, ბო-
ლოს, მეტი ლოდინი რომ შეუძლებელი
გახდა, იანიჩრების ნაცნობი და მათ მი-
ერვე დასჯილი თმაჭალარა გლეხი, აგა-
რიანთ სხვისი ღმერთის პატევისცემას
რომ უქადაგებდა და ამდენი გვემის შე-
მდეგ ცოცხალი აღარც კი ეგონათ, წინ
გამოვიდა და საკვირვალად სუფთა, თით-
ქოს რამდენიმე წუთის წინ გარეცხილი
და მზისგულზე გამშრალი ფიფინა კი
კრძალვით მოიხადა.

— რა გინდა, ქოფივო? — უშაღფე
იენო და სანამ ის რაიმეს იტყოდა, დას-
კვივლა პირზე დუქიმოდგარმა ასისთა-
ვმა, რომელიც ახალ ხელის მოცარვას
ისერიგად გაემწიარებდა, აღარ იცოდა,
ვის სცემოდა, რისზე ვის თავზე დაეტრ-
ხა. — ჭილდი და შინ ვაშვება მოგესუ-
რვილა? ბრძანე!.. აბა, ენახოთ ერთი, რას
იტყვი!

— ჩემი შეილია გაქცეული, — მოუ-
ლოდნელად გამოტყდა გლეხი, ჭალაო

თავი ჩაღუნა და თასმებმოგლეჯილ ქაღალდს დააქცურდა.

— შენი შეილი? — იანიჩარმა ყურებს ვერ დაუჭერა, გლეხს მთრახმის ტარი ნიკაპში ამოსდო და თავი ააწვეინა. — ის ლაწირაკი? ფუ, შითანი!

— შევედით, ბატონო!

— მერე, ქოფაკო, მაგის გამხელას ხედავ? იცი თუ არა, რა მოგელის?

— შენს სიტყვა-პასუხს ვენაცვალე! ჩემი ხნის რომ მოიყრები, ღმერთმა უკეთესი ნურც შენ მოგასწროს. ვიცი, რავე არ ვიცი. ღმერთმა იმის მეტი აღარავინ შემარჩინა. რალაი კი ის შორს მგულუბა, მე უბედური, თუ გინდა, ძაღლებმა შემქამონი..

იანიჩარი მოიღუშა, თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდა, ტუჩებზე დუქი მოაღდა.

— ახლავე გაგვიძები და მიგვაგნებინე ის გველის წიწილი, თუ არა, ალაპს ვფიცავ, ისევე წისქვილში შეგყრით ყველას და ამ შენი მეზობლები:ნა შიგ ვირთხებივით ამოგებუგავთ!

— ჰო, ჰო, გოლძეხი ახლა, თუ კაია. ნეტა ჩვენ რას გვემართლებიან. მაგათ დააშავეს და მაგათ ზღონ!

ასისთავმა ყურები სცქვიტა, ხელი მოიჩრდილა და ძონძებში გახვეულ გაძვალტყავებულ ტყვეებს გახედა, ეს მართლა თქვა ვინმემ თუ მომეკურაო.

სასომიხდილი, მაგრამ რალაც სასწაულით მაინც ფეხზე მდგომი ტყვეები შეიმშუშნენ, თითქოს ყველას ერთად ვილაც უღმერთომ ხელში ცხელი შანთი დააქტრინათო.

— რომელია ეგ, წინ გამოდი! — ბრძანა იანიჩართა ასისთავმა.

სულმოკლემ თანასოფლელებს გვერდიდან მოუარა, გაქცეულის ხანშიშესულ მამას, თავს განსაცდელში ხელახლა რომ იგდებდა, გვერდში გაუბედავად ამოუდგა. ეს იყო სამუალო ტანის, ბეჭებში ოდნავ მოკუზული, ავადმყოფური შესახედობის ოცდაცხრაოცდაათი წლის კაცი, რომლის ციებ-ცხებლებსაგან ჩაყვითლებულ, საგრძნობლად შეშუპებულ სახეს არამქვეყნიური იერი ედო

და ისე დასუსტებული ჩანდა, მისი შემხედვარე ვედარც კი წარმოიდგენდო, თუ კრინტის დამტრა და ხმაამალა დალაპარაკება შეეძლო.

— თქვი გაბედულად, რის თქმა გინდა! — გამხნევა იანიჩარმა, როცა შეატყო, უკვე ნანობს, რაც წამოსცდაო და ხელქვეითებს თვალთ ანიშნა, მისულებენ და ხელი მოეკიდათ, რათა ის უბედური არ წაქცეულიყო. — ნურაფრის ნუ გეშინია, ჩვენ აქ ვართ!

— კაციტა კიტაძე, — სნეული ორიანიჩარს შორის იდგა, ძლიერ მკლავებს დანდობოდა და მთელ ძაღლონეს ძაბავდა, იანიჩარებიც მოემადლიერებინა და, თუ მოსახერხებელი უქებოდა, თავისიანების მხარდაუჭერაც როგორმე მოეპოვებინა. — რას ემართლები ამ საწყალ ხალხს? შენი გულისთვის რამდენი კაცი უნდა დეტანჯოს? რისთვის გინდა, ამ ჩვენს კეთილებს, — ნერწყვი გადაყლაპა და მზერა ირველივ შემოჭარულ იანიჩარებს მთავლო. — ჩვენი თავი ნელ ცეცხლზე დააწვევინო?

— მე ვემართლები, სევასტი? — დროულ კაციტა კიტაძისათვის ეს პირში წამოდგომა და თვისტომის ნიერ გაუგონარი ბრალდების წამოყენება იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ წამიერად დაბნეულმა და გამშრალმა ესლა იკითხა: — მასხარაობ თუ მართლა ამბობ?

— სამასხარაოდ კი გაგვიხადე საქმე! იმ შენს ღვლიბს უნდა ვენაცვალოთ მთელი სოფელი?

ამის გაგონებამ კაციტას მთლად თავზარი დასცა და თითქოს შველას ელისო, თავისიანებს მუდარით შეხედა, მაგრამ ყველა თავჩაღუნული იდგა, ხმას არავინ იღებდა და გულში თითქოს კიდევაც იწონებდა იმას, რასაც საფლავიდან ამოღებული სევასტი ამბობდა.

— მაგ სიმაართლით გარონიოს დღეს ამას იქით მამახეციერმა, სევასტი დავლაძე! — თქვა შეცბუნებულმა კაციტამ, რომელსაც თანასოფლელთა გამოუცნობი დუმილი ავის მომასწავებო

ლად ენიშნა, თავი მარტოღმარტო დაოგულა და პარჯვარი გადაიწერა.

— ბუერს ნუ ყბედობ, ბებრო! — იანიჩრების ასისთავს არ ვამოპარვია, რაც ახლა ხდებოდა, ყოველივეს ზედმოწევნით მიხვდა და მათრახი შემართა. — დაფქვი ახლავე, სად გააპარე შენი ლეკვი, სად გაუგზავნე გაიურ სოლომონს, თუ არა და, იცოდე, ცოცხალი ვერ გადამირჩები!

— სად გავაპარე, ბატონო, წვევიდა, შენც ხედავ და მეც. ახლა გინდა მამკალი და გინდა ღმარჩინე, ჩემი სიცოცხლე აწი მაინც რალა სიცოცხლეა, შენს ხელში ვარ, წელანაც ვითხარი. ფეხი მამტყვდა, წისქვილის სათავის მოსაწყობად ჩამვევდი. რას ჩამვევდიოდი, მე უბედური, მოვშვს რო სიტყვა გვეგონა და არ გამომტყვეოდა. წყალმაც, ეტყობა, ჩვენთვის მოიცილა...

— ხომ მოეხმარე, ბოროტი ხომ ჩაგვინე!

— მოხმარებით რავე არ მეგვხმარებოდი, ბატონო, შეილია ჩემი, ჩაგონებით კი რა ჩემი ჩაგონება უნდოდა, ვაჟავაცია, ბოვში კი აღარ არის!

იანიჩარმა კბილები დაკრიჭა და ზემოთ აღმართულ მათრახი მთელი ძალით გადაჰკრა კაციტას ბეჭებზე. კაციტა მოიკმუნა, ყრუდ დაიკენესა, მაგრამ არ დაბარბაცებულა, ისევ ფეხზე იდგა.

— გოგიტა რა არის შენი, კიტაძე, იქნება არც იმისი გზა და კვალი იცი!

— არ ვიცი სწორედ, მაშის სული ნუ წამიწყდება, ისე, განაყოფია, გულის ბიძაშვილები ვართ.

— მართალს ამბობს? — იანიჩარი ხალხს მოუბრუნდა.

— მართალია, — ვუვლას მაგიერ უბოსუხა ხევასტო დაგლაძემ.

— ჰოდა, ფესვებიანა ამოგადგებთ, კაციტა კიტაძე, სულთნის მარჯვენა ხელის, თეიმურაზ მეფის, ორგულობას არავის შეგარჩინეთ!

— ჩვენ რა ორგულობა შეგვიძლია, შე კაი დედმამიშვილო, ყმები ვართ და ბატონად პირი ქვისკენ მიქნია, ვობივ

რომ დაგვიყენონ, იმასაც უნდა დაგვიმორჩილოთ და ვუერთგულოთ.

— გოგიტა კიტაძემ, შენმა ბიძაშვილმა, გაიური სოლომონი გააპარა და წყალში გაიყვანა, მერე თავდაც მიიმალა, — მუქარით განაგრობდა იანიჩარი. შენმა შვილმა ამდენი ხალხის წინ აქედელი სარკმელი გატეხა და გაგვემცირათი დღის ვადა კიდევ მომიცია. თუ დილას, ადრე, შენი შვილი და გოგიტა კიტაძე არ მოვლენ და ნებით არ ჩაგვბარდებიან, ხეზე ფეხებით დაგვიდებ, რომ გამვლელმა და გამომვლელმა კარვად დაგინახოს, ვინა ხარ და ეს სასჯელი რისთვისაც მოგივლინეს, ამ ხალხს კი, — იანიჩართა ასისთავმა, მდგომარეობის სრულმა ბატონ-პატრონმა, ორად მოკეცილი მათრახი შეგუფებულ ტყვეებსაცენ გაიშვირა. — შუა გაყოფ, ნახევარს შენს გზას გამოვუყენებ, ხოლო ნახევარს დაჭირებს ვაგატან და ყულევში გავვლი.

— არ მინდა... აი... — ძეგლ-ჩხილის გამყინავი დედაკაცი უბოძით დაიყვარა სევასტი დაგლაძემ, იანიჩარების რკინის ხელებსაგან როგორღაც გათავისუფლდა და ხელუკუნებული მუხლებზე დაფშო. — ამით შესცოდეს, კურახულ თეიმურაზ მეფეს ამით უორგულეს და ამით ზღონი სოლომონიც ჩემმა გამწენმა დასწყველოს და მისი შიშყოლა. რა მოგვიტანა სიკვდილისა და ვაუბის მტრი! კიტაძეებს უნდა შეეწიროს მთელი სოფელი? რათა, კაცო, რათა, ლეთის ხამირთალი აღარ არის ჩვენში? ჩვენ კირის მომატება გვინდა, თუ ღმერთი გწამს? მაინც შიშშილმა და სახადმა გავვასაფოთა. ნმა ამილე, კაციტა, შე სულწაწყმედლო, ვერ გვიგონე შენი უჯრათ, რას გვადირთბეს ეს კაცი?

კაციტა კიტაძემ ძლივს შესამწნველ ჩაიღიმა უღვაშებში.

— შენ ასე არ ამბობდი წელან, ხეკოსტი, ჩვენი კეთილები არიანო? თუ კეთილებია, შე კაი დედმამიშვილო, რაღახი გვშინია, ამენდა შენი საწენ და ეს არის!

— შენ კიდევ არ აშლი შენსა, არ გე

ყო, რაც გუშინ გირტყვის, ახლა ფეხებზე
 კონწიალიც მოგნატრა?

— შენისთანა მეზობლის პატრონს რა-
 ტომ მაგაზე უარესიც არ მეკუთვნის!

იანიჩართა ასისთავმა თვლები დააბ-
 რიალა, დაიხარა, გატეხილ წისქვილის
 დოლაბზე გაბნეული ვერცხლის მონე-
 ტები ფულის ყადრის მცოდნე კაცის
 სიხარბითა და მომჭირნეობით აკრიფა,
 უბიდან წითელი ძაფით ნაქსოვი ქისა
 ამოაცოცა, სიხალა მონეტები შიგ ჰეშ-
 ით ჩააცურა, ქისას თავი მოუკრა, ერთ-
 ხელ კიდევ ეჭვიანად დახედა, ხომ ყვე-
 ლა აქ არისო, და უბეში ჩაიღო.

— სათითაოდ შეყარეთ წისქვილში
 და კარი გადაურახეთ! თუ ვინმემ გაქ-
 ცევა დააპიროს, განგაში ატეხეთ და
 ტყვია ნუ დაგენანებათ. ხვალ დიღოს,
 ყველამ იცოდეს, საბოლოო პასუხს მო-
 ველო, ბაწრებიც, ალაპის მადღმა, მზად
 იქნება!

მაგრამ ღმერთმა სხვაგვარად განსაჯა:
 „ხვალ დილა“ ჭრუჭულის პირზე გამო-
 ჭრილ იანიჩართა მცირერიცხოვან რაზმს
 როდილა დახდგომია. ნამულამეს წისქ-
 ვილსა და წისქვილის გარემოში გაშლილ
 სალაშქრო ბანაკს სადღაც ახლოს ჩასა-
 ჭრებულს თუ აქ მთის საიდუმლო ბილი-
 კებით უჩუმრად მოსული მტერი დაეცა
 და ჯოჯობეთის ცეცხლი გააჩალა. იარა-
 ლის მოხმარებაზე ფიქრიც კი ზედმეტი
 აღმოჩნდა. თავდასხმა ისე ანაბდეულად
 მოხდა, კარვებში არხეინად ჩაძინებულ-
 მა იანიჩრებმა თვალის ხეირიანად გამო-
 ხელაც ვერ მოასწრეს. დღისით მათ
 ჭრუჭულის გაღმა-გამოღმა სოფლები,
 საძოვრები და ყანა-ვენახი მოიარეს,
 ვინც ხელში ჩაუვარდათ, კაცი იყო, ქა-
 ლი თუ ბავშვი, ყველა ერთ ადგილზე
 მორგეს და წისქვილში გამოკეტილ
 ტყვეებს ტყვეების ახალი გუნდები მი-
 უმატეს. ვიდრე მამლებმა პირველად არ
 იფიქრეს, ახალ შეპყრობილთა გულის
 მომწყველელი მოთქმა-ბატონილი და ვაი-
 ვიში არ შემწყდარა, მერე ამ უბედურე-
 ბსაც უღალატა ღონემ, ან შებრალების
 ყოველგვარი იმედი გადაუწყდათ და თა-
 ნდათანობით მიიწმუნენ.

იანიჩართა ბანაკზე ღამის თავდასხმას
 შედეგად ის მოჰყვა, რომ თავდასხმე-
 ლებმა დიდძალი იარაღ-საქურველო,
 ცხენები, სალაშქრო კარვები, სოფელ-
 სოფელ მოგროვებული ნუზლი მოიტო-
 ცეს, წისქვილში გამომწყვდეულ ტყვე-
 ებს კარი გაუღეს, აწი თქვენ იცოდეთ,
 ოთხივე კუთხივე გზა ხსნილი გაქეთო და
 ისევე სწრაფად მიიშალნენ, როგორც
 გამოჩნდნენ.

ეჭვი არ იყო, აქ, საწერეთლოს ამ მი-
 ვარდნილ კუთხეში, სოლომონის ნაწილ-
 ნაწილად დაქსაქსული ლაშქრის ერთ-
 ერთი საშიში რაზმი ბუდობდა და რაკი
 ყურისძირში ამდენი მოახერხა, ხვალ და
 ზევ კიდევ მეტი უსიამოვნების მოყენე-
 ბა შეეძლო. დამსჯელი ჭარბთ სარხერე-
 ში მდგომ ჰაჭო-ალიბეგს წისქვილებთან
 იანიჩართა რჩეული ასეულის უწყალო
 განადგურების ამბავი რაჭო-იმერეთის
 საქარავნო გზით მომავალმა ყირიმელმა
 ვაჭრებმა ამცნეს. სარდალი ერთობ გან-
 რისხდა. მაშინვე გასცა ფიცხელი გან-
 კარგულება, ახალი, უფრო დიდი რაზმი
 შეედგინათ და ჭრუჭულის პირაი, მოსა-
 თარეშებლად გაეგზავნათ. ჰაჭო-ალიბეგი
 აქამდეც უფუნებოდ იყო და ახლოს არ-
 ავის იკარებდა. საკუთარი თავისათვის
 ვერ ეპატიებინა, რომ ხაფანგში გაშაშ-
 ლი სოლომონი, როგორც იქ, კვეთთში,
 ამჭერადაც ხელიდან დაუშვა, მაგრამ,
 უკეთუ კვალში ჩაყენებული მღევარი
 უკან ხელსარიელი მობრუნდებოდა,
 იმის იმედი მაინც ჰქონდა, რომ ადრე
 თუ გვიან მიუდგომელი მოდინახის კა-
 რბიჭეს შეანგრევედა და სულთნისაგან
 შერისხული გიჟური მეფის სახლელს
 ხელთ იგდებდა. წისქვილებთან მღევრის
 განადგურება გამოწყვეას ჰავავდა მიმ-
 ხვედრი უნდა მიმხვდარიყო, რომ მტრის
 პატარა-პატარა რაზმების დამ-რცხება და
 განადგურება ტყვეში გასულ სოლომონს
 ყოველთვის შეეძლო. ახლა, რაკი მხო-
 ლოდ მისთვის ნაენობი გუბით მეფემ
 ციხიდან გასვლა მოახერხა და თავისიარ-
 ნების შესაწყენად უკვე გარეთ მოქმე-
 დებდა, ოსმალთ კიდევ მეტი სიფრთხი-
 ლე და გონიერული მოქცევა მართებ-

დათ. ხომ შეიძლება, ერთ ჰეგელიანურ დღეს ციხის ქონგურზე ზავის მაუწყებელი თეთრი ბაირალი დაენახათ, აყრილიყვნენ, ნებით დანებებულთა მისაღებად ციხისათვის მიეშურებინათ და იქ კაცი-სულიერი ვეღარ ენახათ! ეს რომ არ მომხდარიყო, დამსჯელ ჯარს, მაშინდანი თეიმურაზის ტახტის განსამტოვებლად ბეგლარბეგმა ქაიხან-ფაშამ ანიჭა მისი რომ დასტოვა, არა მარტო მოდინახის შემოგარენი, თვით შორეული გზები და ხეობებიც უნდა შეეყრა და მიმოსულაზე მკაცრზე უმკაცრესი ზედამხედველობა დაეწესებინა.

ვაჭრები დამფრთხალი და შეშინებული ჩანდნენ. ფაშას მიციბულ-მოკბული საყვედურიც ჰკადრეს, როდისღა უნდა მოახერხოთ ამ ყაჩაღი აჩუკამების დაწყება და გზების გაწმენდა და, ასე გასინჯეთ, თავიანთი ვარაუდებიც კი გამოთქვეს, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ღამის მეკობრენი, ბედნიერი სულთნის ხაზინას ასე საგრძნობი ზარალი რომ მიაყენეს და შემდეგ, თითქოს აქ რაფერიც, თავი ისევ ტყვეს შეაფარეს.

მაჭიალიბეგმა, დიდსა და მცირე ომებში გაჭალარაგებულმა, თავიანი საქმის ჩინებულად მცოდნე კაცმა, ვისაც ჰქონდა არავისაგან, მით უფრო ფარჩის ზომეასა და დუკატების თვალში გაწაფული ვაჭრებისაგან, არ ესწავლებოდა, ენა მოიკვნიტა. ვაჭრებში ერთი ორი ისეთიც ენა, მოგროვებული სიმღადრისა და ნაცნობობის წყალობით ხელი შორს რომ მიუწვდებოდა, გამოდაცება, ან, რაც ყველაზე უფრო ადვილი იყო — თავის მართლება, საქროდ არ ჩათვალა და ამით არამკითხე შეამბეთ უსიტყვოდ აგრძნობინა, ჩვენ აქ ბედნიერი სულთნის ღვთაებრივი ნებასურვილის აღსასრულებად ვდგავართ, ჯარისკაცურ ვალს პატიოსნად ვიხდით, ყოველი გამვლელის ახირებულ ქირვეულობას კი ყურად ვერ ვიღებთ და ნუ გეოწყენენ, თუ ვერც ავეყვებითო.

ახალი გაგზავნილი რაზმი სადამოკამს მობრუნდა. ჭრუჭულის გაღმა-გამოღმა სოფლები დედა-ბუღიანა გახიზნული

დახვედროდათ. აქა-იქ ხანძარი გაჩენილიყო და გლეხკაცის ნაჰაგარი დარბიული სახლ-კარი, სასიმინდე-თესვით-ბოსელი კვარივით იწვოდა. ცეცხლის ჩაქრობა და რისიმე გადაჩენა არავის უცდია. ქვენა ქარი უბერავდა და აბრიალებული ხანძრის ენები ზეინიდან ზეინზე, ჩერვილიდან ჩერვილზე, ნაშრალიდან ნაშრალზე გადაქონდა.

— სადა ხართ მერე ადენ ხანს? — განრისხდა ყოველივე ამის შეტყობით დაბოლმელი მაჭიალიბეგი და რაზმის თავს, აწყურელი მეუღრის ნაბოლარა ვაეიშვილს, მუსტაფა მინაძეს, სახეში დორბლები შეაყარა.

— საფლავებს ეთხრიდით, თქვენო აღმატებულებავ, — შეპბედა მინაძემ და ნამალევიდ სახეზე ხელი მოისვა, შემოშხეფებული დორბლი მოიწმინდა. — მკვდრები ხომ უნდა დაგვემარხა!

კარვებში და კარვების გარეშე მოსულ სამოცდათექვსმეტი გვამი დაეთვალათ. ყველა, როგორც ერთი, იარაღაყრილი და გაძარცვული იყო. ზოგს წამოდგომაც ვერ მოესწრო და, აშკარად ჩანდა, წყველ გიაურებს იქვე მოეკლათ, სადაც იმ ღამეს სძინებოდა.

მაჭიალიბეგი წვერს იგლეჯდა. ადგილს ვეღარ პოულობდა, აღარ იცოდა, რით და როგორ მოეხელთებინა ტყვეში თავშეფარებული ბოროტმოქმედნი, აგარიანთა ისედაც მცირერიცხოვან ლაშქარს აღნაზღაურებელ ზარალს რომ აყენებდნენ, ქვეყანაში შფოთსა და ამბოხს თესდნენ და სახელოვანი სარდლის მხედრულ ღირსებას ლაშში სერიდნენ.

გულის მომწველი უფრო ის იყო, რომ ღამის თავდასმის დროს მეკობრეებს ისე სუფთად და მოხერხებულად ემოქმედათ, თავიანთი ზარალის უბრალო კვლიც არ დაეტოვებინათ. ამბის გასაგებად და იქაურობის მოსათარეშებლად გაგზავნილი იანიჩრები მარტო წისკვილში წააწყდნენ ერთადერთ უსიცოცხლო გვამს, რომელიც ადგილობრივი მკვიდრისა უნდა ყოფილიყო. გვამის ვინაობის ზუსტად დადგენა იანიჩრებს ვერ

მოხერხებინათ, ვინაიდან ქრისტიანეთ-
გან ძე-ხორციელი ვერაფერს ვპოვნათ და
ძვირ ფაფგს ნაფელათ მიწაში, სადაც

ბრმა შემთხვევის თუ უოვლად გაუმარ-
თლებელი დოყლაპიობის მსგავრად
თავიანთი ამხანაგები დაემარხათ.

თანამშრომელი

მეუღლანოვ ბერები კარგა ხანს ყოყ-
მანობდნენ, ვიდრე ქვეთიკირს ნაღალი
გალანით შემოზღუდული საგანის კარს
გაღებდნენ და უცხო მგზავრებს, რომ-
ლებიც აქ მზის ჩასვლისას მოვიდნენ და
ღამის გასათევი ბინა ითხოვეს, შიგნით
შემოუშვებდნენ, მაგრამ აუცილებელ
სიფრთხილეს, დღეს ყოველ სულიერს
რომ მართებდა, მაინც კაცთმოყვარეობ-
ამ ხდლია და მგზავრების თვალწინ გან-
დგვილი ბერების ჯადოსნური ხელით
ბღანარად ქვეული არცთუ ისე ვრცელი,
აქაიქ შეჭრილ-შემოჭრილი, კლდოვანი
აბო გადაიშალა.

დაუღლებული ბერების მყუდრო სა-
ვანეს ზრგვლივ წიფლის, ცაცხვისა და
რქილის უღრანი ტყე ვრტყა. ტყეში
გამუდმებით, წლის ყოველ დროს, ნეს-
ტისა და დამბალი ნეშოს სუნი იდგა.
ლაღად ნაზარდ, გაბარდნილ ტრატებში
შის სხივი თითქმის ვერსაიდან აღწევ-
და.

აბო უხსოვარ დროს გაეტეათ რაჭო-
დან თუ იმერეთიდან ამოსულ პირველ
მეუღლანოეებს, ამქვეყნოურ სიამეთაგან
განდგომილი კლდის ნაპრალიდან ამო-
ხეთქილ ყინულივით ცივ წყაროს დახა-
რებოდნენ და პატარა სალოცავს აწე-
ნებაც აქვე გამოეწყოთ. შემდეგ დროს
თავისი ექნა, განდევნილი ზერების უბრა-
ლო სალოცავი თაობიდან თაობაში
თლილი ქვით ნაშენებ მშვენიერ საყდ-
რად ქვეულიყო, ხოლო საყდრს ირგ-
ვლივ კლდეში გამოკვეთილმა გამოქვა-
ბულებმა და აგარეთვე თლილი ქვით აგე-
ბულმა და ალაგობრივ მოხედილ-გამო-
მწვარი კრამიტით დახურულმა სენაკებ-
მა დაიდეს ბინა.

უღაბრო თავის სახელწოდებას იმით-

აც ამართლებდა, რომ ყველა დიდი და
მცირე გზიდან, რომელიც ქვეყნის ერთი
კუთხიდან მეორე კუთხეში გადადიოდა,
ძალზე მოშორებული იყო და თუ გულ-
დაგულ არა, აქ კაცი ალაღებდად ვერ
მოხვდებოდა. უღაბროში მტერსაც უჭი-
რდა მოსვლა და მოყვარესაც. ბერები
იშვიათად სტოვებდნენ თავიანთ მუღ-
მივ სამყოფელს და ისიც მხოლოდ მაშინ,
როცა ამის გადაუღებელი საჭაროება
წამოიჭრებოდა. მიდიოდნენ ონში, ჭრე-
ბალოში ან საჩხერეში, უფრო იშვიათად
კი შორეულ ქუთაისში, საიდანაც, ჯორე-
ბზე ამხედრებულთ, ნუსხების გადასა-
წერი ქალაქი, დაბახანაში გამოყვანი-
ლი ხბოს ტყავები, სინგური და ქვა-მარი-
ლი ამოქონდათ. ამასვე მოსდევდა ქვე-
ყნის ამბავ-ხაბარიც, ურომლისოდაც
ცხოვრება თვით იმათაც კი არ შეეძ-
ლოთ, ვინც ცოდვიან წუთისოფელს სა-
მარადისოდ გარიდებოდა და სიცოცხ-
ლის ერთადერთ მიზნად ღვთისაღნი უმ-
წიკლო სამსახური აერჩია.

მგზავრები სულ ხუთნი იყვნენ — ოთ-
ხი მოწიფული ვაჟკაცი და ერთიც უწვე-
რული ჭაბუკი. ამათგან ცხენები მხო-
ლოდ სამს ჰყავდა და სამივე თავით ფე-
ხებამდე თოფ-იარაღში იყო ჩაჩადარი,
უიარაღო ჭაბუკი და მეოთხე კაცი კი
მხედრებს ქვეითად მოჰყვენენ და მათ
უთუოდ გზის მასწავლებლად ახლდნენ.

მგზავრებმა თავი ვაჭრებად გამოაცხა-
დეს და ეს იმ უწვერულ ბიჭს ათქმევო-
ნეს, რამაც ისედაც დაეჭვებული და შე-
ფიქრიანებული ბერები კიდევ უფრო
დააეჭვა და შეაფიქრიანა. თუ ეს დალო-
ცილები მართლა ვაჭრები იყვნენ და
გულში ბოროტი არაფერი ედოთ, ან სა-
ქონლით დასაპაღნებელი ცხენები სად

იყო და ან რამდენიმე ასეული მხედრი-საგან შემდგარი მცველი რაზმი, რომლის თანხლებს გარეშე ამ შიშთანობის დროს ვაჭრების ვერც ერთი ქარავანი ადგილიდან ფეხს ვერ მოიცილიდა.

ბერების ფარული შიში მაშინდა შენელდა და შემდეგ სრულიადაც გაქარწყლდა, როდესაც ცხენებიდან ჩამოხდომისთანავე მხედრებმა პირველი გადაიწერეს, მშვიდობა თქვენს წმინდა სავანესაო, დაწვდურთ მშვიდობიანად მიესალმნენ, ლოცვა-კურთხევა ითხოვეს და, მიიღეს თუ არა იგი, დღიან-ღამიანა კარდია საყდარს მიაშურეს, შიგ მოწიწებით შეაბიჯეს, სანთლები ანთეს, ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლი მოიყარეს და დიდხანს სასოებით ლოცულობდნენ. ცნობისმოყვარეობისა და შიშისაგან ხახვამშრალი ბერებიც ჩუმიდ იწერდნენ პირველს და მაღალ ღმერთს მადლობას სწირავდნენ, ფათერაკისაგან რომ დაიფარა. ახლა უკვე ყველა ხედვობდა, რომ ღვთისა და კაცისაგან მივიწყებული მათი სამყოფელი თავიანთი სტუმრობით ვიღაც წარჩინებულმა ერისკაცებმა გააბედნიერეს და შესატყობი ისლა იყო, თუ რად ნათლავდნენ თავს ვაჭრებად და აქ რისთვის, სამტროდ თუ სამოყვროდ ენებებინათ მობრძანება.

სიფრთხილეს თავი მაინც არა სტკიოდა. ბერები ჩუმიდ შეიარაღდნენ. თუ ვინიცობაა, უდროოდ დროს სავანეს კიდე ვინმე მოადგებოდა და დაუპატივებელი სტუმრები აქაურობის ბატონ-პატრონთა დაუკითხავად კარიბჭის შიგნიდან გაღებას დააპირებდნენ, სხვა გზა უკვე აღარ დარჩებოდა, მათ ხელი უნდა გამოეღოთ და საკუთარი სიცოცხლისა და სავანის გადასარჩენად ყველაფერი უნდა ელონათ.

ლოცვას რომ მორჩნენ, ნამგზავრმა სტუმრებმა დაღლილობა მიზეხად მოიღდეს, გულლიად შემოთავაზებულ სამარხოდ ვახშამზე უარი თქვეს, არც სტუმრებისათვის საგანგებოდ ნაგულეებ სუნაკში მოსვენება ისურვეს და მწვანე კორდზე, სწორედ საყდრის წინ, სალა-

შქრო კარავი გაშალეს. სანამ ისინი გერისეც საყდარში იყვნენ, მხედრებმა ცხენებს უნაგირები მოხსნდნენ, თმისა და უყარეს, დაარწყულეს და ღამის გასათევად, უფრო კი სადარაჯოდ, კარიბჭესთან დარჩნენ.

— ბიჭი! — მოესმა თავის ს სოუმალზე თავმიღებულ ქაბუქს. — მოწი! იქით, დამაჯინე, ნაწვიმარია ეს კურთხეული, მიწაზე კი აღარ დეიფდომება.

— რომელი ხარ? — მკაცრად კითხა დამხედურმა და წამოიწია. უმთვაროდამე იყო, ტყეს მჭრქალი ნისლიც დასწოლოდა და მოსულს ლანდადაც ვერ ხედავდა.

— რომ ვითხრა, მიცნობ? — მოსულმა რაჭულ კილოზე მოუქცია, ხმაზე შეემჩნა, ისიც ყმაწვილი კაცი იყო და თავის კბილა უცხო მგზავრთან გამოლაზარაკებაც ამან გააბედუნა. — ბრავალზლეელი სხირტლამე ვახლავარ, ასტიონი, მამა მღვდელი მყავდა, ბაბუამ აქ მორჩილად მომიყვანა.

— ძალიან ადგილი არ ოურჩევია იმ სულგანათლებულს?

— ცოდვას ნუ ჩადიხარ, ჩემო ძმაო, აქაურობა გერ შენს მეტს არავის დოუწუნებია.

— ღმერთმა მოგახმაროს! რა გინდა, საქმე ვაქ რამე ჩემთან?

— გერ მითხარი, შე კაცო, ვან ბრძანდები, მე ხომ არ დამიმაღავს?

— შენ კი მიცნობ, რომ ვითხრა?

— იქნება ქე გცნობ, შენ ქვე რა იცი!

— ვის ემუსაიფები, ბიჭო, მად, მახარიკა, სიხმარში ხომ არა ხარ? — მოთსმა იმ მხარეს, სადაც დამშეულ ცხენები ახალ გათიბულ სურნელოვან თავას შეექცეოდნენ, წამდაუწუმ ფრთვინავდნენ და ირგვლივ გამეფებულ მყუდროებას დროდადრო მათი ფლოქვების მოუსვენარი ბაკუნი არღვევდა.

— აქაური მორჩილია, გოგითა ბიძია, ბრავალზლეელი ღვდლის შვილი ყოფილა, აქ ბაბუას მოუყვანია.

— მოდი აქ, ბიჭო, ვინ გამოგაგზავნა? მორჩილმა გაუბედვად გადაილაჯა სო-

ბნელეში, საიდანაც ცხენების ფრთხილ-
ვა, ხრამონი და კაცის ხმა ესმოდა.

— არავინ, მამის სული ნუ წაიწყდე-
ბა, მე ჩემით მოვედი.

— ისე წალმა დეიბანე პირი შენ! თუ
ბერებმა გამოგაგზავნეს, მიდი ერთი, იქ-
ნება ბიჭებს რამე დააცდენინო და მერე
ჩვენ ჩაგვიკაკლე ყველაფერიო. ხომ
ასეა, მართალი თქვი!

— აგრეთა, ბიძია, შენი ქირიმი;

— მერე? არა გრცხვენია, რომ გვატ-
ულებ და მამის სულს ტყუილზე იფიც-
ებ? სად ღვთის მსახური და სად ტყუი-
ლი, აქ ამას ვასწავლიან? ახლა წადი და
უთხარი, ვინც გაგაბრწყინა და აქ გამო-
გაგზავნა: ჩემი მოსატყუებელი მე იქ
ვერავინ ვნახეთქვა, გესმის?

— ექსმის, ბიძია, ახლავე ვეახლები
და ვეტყვი.

— მოიცა, ბიჭო, ეს მართლა კაი ბი-
ჭი ყოფილა, ვინცა არის! რა გქვია შენ?

— ასტონი, ბატონო.

— ღვდლის შეილი ხარ მართლა?

— კი, ბატონო, ღვდლის შეილი გახ-
ლავარ.

— მერე რა მოუვიდა მამაშენს?

— სახადმა გამოგვაცალა ხელიდან, ბა-
ტონო. დედაჩემი, ორი ძმა და ერთი
დაც ორი კვირის თავზე მივაბარეთ მი-
წას. ბებია ჯავრს გადაყვია. ოჯახში მე და
ბაბუა დავრჩით. მერე ბაბუამ აქ მამი-
ყვანა.

— რა მითხარი! ამოვარდნილა გლე-
ხი და ეგ არი. ბაბუა ხომ ცოცხალია?

— კი ბატონო. ღმერთმა იბატავა, სუ-
ლი შერჩა. ამოდის ხანდახან ჩემ სანახა-
ვად, ხარჯიც ამოაქვს. დამაბუნდა ძალი-
ან, მუსხლი ძველებურად აღარ მოსდევს,
— ასტონიმა თვით ბაბუასაგან შრავალ-
ჯერ გაგონილი გამოთქმა იხმარა. — მე
აქიდან წასვლა მინდა, გული აღარ მი-
ჩერდება, მარა არ შევება ბაბუაჩემი, ვი-
თუ სულ დევდლებოყე და შენი თავიც
წამართვას მამაზეციერმაო.

— ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა,
მაგრე არ გაგიმეტებს!

— დეილოცოს იმისი მადლი და ძა-
ლი..

— მოგიყევი ახლა მე და მახარეას
მოკლედ, რა ამბავია აქით, რაჭამაა
რამე იცი!

— მე, ბატონო? მე ქვე რა უნდა მო-
გიყევით, თქვენისთანა ნავალმა კაცებმა
რომ არ იცოდეთ!

— რასა იქს როსტომ ერისთავი, ან
ბიჭები რავა არიან მისი, სოლომონ მე-
ფე ხომ არ მოხტომიათ ბარაკონზე?

— ასი თვალი და ასი ყური აქვთ გა-
მოსხმული, ბატონო. არც დღე ძინავთ
და არც ღამე, გზები შეკრულია. თუ ერ-
ისთავის ნება არ იქნა, რაჯამი ჩიტიც
ვერ შემოფრინდება. ხალხი მაინც ში-
შობს, ერისთავებიც შიშობენ, ადრე იჭ-
ნება თუ გვიან, სოლომონ მეფე ხელს
მოიწყობს, მობრძანდება და ლაღატს
სისხლით გვაზღვევინებსო.

— ვითომ მართლა მობრძანდება?

— ვინ იცის, ბატონო, ეგეც ღვთის
ნება გახლავს. საწყალმა ხალხმა ქვე რა
ქნას, ხალხმა რა დააშავა, ჭოსტომის
ნებას ცოცხალი თავით წინ ვინ დაუ-
დგება!

— შენ მართლა გაგებული ბიჭი ყო-
ფილხარ. არ შეგონე, მართალი გითხრა.
წამოდი ერთი, წამომყევი, ბატონთან
მიგიყვანო. შენ დარჩი, მახარეკა, ცხე-
ნებს ყური უგდე, ერთმანეთს არაფერი
მოსწონს!

— წამოყოლით ქვე რავა არ წამოგ-
ყვები, ბატონო, მარა... მიბრძანე და ხა-
ტზე დევიფიცემ! ენუკა ამომწავლე, თუ
ჩემი პირიდან სიტყვა ამევიდებს

— რა გინდა, თქვი!

— ბერები ფეხზე აღარ არიან სიხა-
რულით: შეწიხიანი მხედარი, თეთრ
ცხენზე რომ იჯდა და თავზეც თეთრი
ჩაბალახი ჰქონდა მოხვეული, თავად
მეფე სოლომონიაო. ეგ კურთხეული მა-
შინვე ვიცანიით, რავარც კი ცხენიდან
ჩამოხდა, თავზე მზის სხივებო! ოქროს
ჯილა ადგა და ის ჯილა ისე ბრძღვილე-
ბდა, კაცი თვალს ვერ გაუშრობდაო.
მე დევიანზე და პირჯვარი დევწერე-
სასწაულია! ღმერთმა დღეგრიელჰყო
მეფე-ბატონი, ავაზაკი ტყვისმეიდველე-
ბის რისხვა, შეეწიოს ბრავალზღვის წმი-

ნდა გიორგი, უტოცხლოს ტახტის მემკვიდრე აღექსანდრე, ურჯულოს ჩვენდა საბედნიეროდ მალე მორეოდეს, კვირიგოხერსა და ყისმათისაგან დანაგრულს, რაგარიც მე ვარ, არ გაწყვეტოდეს იმისი იმედის აქ მეფე უშიშარ ადვალზეა, ბიძია ბატონო, ღვთის მადლია. ყველა რომ გაწყვედო-ყვე, ყველა, ხატი და ჯვარი თუ ზედ გადაფეფარებით და ჩვენს მხსნელ მეფეს კი არაფერს გავუქირებთ!

— შენ ძან მოხერხებული ვინმე ყოფილხარ, ასტიონ სხირტლაძე. ვერ უყურებ, ეს დროული კაცი რა ადვილად გამამტეხა? ყოჩაღ! ოღონდ კრინტი არავისთან დასძრა, ბიჭო, ყელი არ გამოგვჭრა, ძლივს სამშვიდობოს გამოვედით, მე და შენს შუა უნდა მოკვდეს ეს სიტყვა!

მაგრამ სასიხარულო ცნობა იმ ღამესვე ყველა სენაკსა და გამოქვაბულს მოუვლო. მამა მათემ, მონასტრის წინამძღვარმა, ის წელს მიტანებულმა, მხნე, მკაცრმა და ასკეტური ცხოვრებით გამხმარმა მოხუცმა, როდესაც დაარწმუნეს, სტუმრად ვიღაც გადამთიელი ვაჭარი კი არა, თვით დიდებული მეფე სოლომონი გვწვევიათ, გათენებას რიდილა მოუცვალა, წინ მასავით მოხუცებული ბერების ასაბია გაიძლოლა, ჯიხი დაბოჯვა და მეფის სალაშქრო კარავს მიადგა.

ძილგამტყდარმა სოლომონმა ბერები მოწყალედ მიიღო, მსცოვანი მათე თანატოლივით გვერდით მოისვია, ლოცვა-კურთხევის მიღების შემდეგ კანშემჭუნარ ხელზეც ეამბორა, თითქოს აქამდეც არა ერთჯერ შეხვედროდეს, შინაურულად მოიკითხა და რაიღო შუბი ხალთში არ დაიძალა, რამდენიმე მიკიბულ მოკიბული სიტყვით ბოდიშიც მოიხადა, რომ ვინაობა მოსვლისთანავე არ გამოამტყანა და დროის უკუღმართობის გამო იძულებული ვახდა აქ, განდგვილია წმინდა საეანეში ერთგულ ყმებს თავი ვაჭრად გამოაცხადებინა.

მათეს გული თუნუქდა. ეს ჩამიჩივით გამოშრობა, გამოუღმებელი მარხვათა და ხანძრის გვემით ძვალისა და ტყავად

ქცეული მიუკარებელი ბერიკაცი ვერ ცრემლმორეული და გულაზრულბული არავის ენახა, ახლა კი კურცხალი გადმოუვარდა და ჯაგარივით ხეშემ უღვაშზე დაეკიდა.

— ღმერთმა და მამაზეციერმა ხელი მოგიმართოს, შვილო სოლომონ, — თქვა შემდეგ ხმამალა და ათრთოლებული ხელით მეფეს ჯვარი გადასახა. — თავად მალალი და ყოვლის მხილველი ღმერთია მოწამე, მრავალი დღე და საათი შენზე ლოცვაში გაგვიტარებია. ზენაარი ყურად იღებს ჩვენს ლოცვას და შენ, შვილო სოლომონ, შენი ბატონისი მარჯვენით სძლევ მტერთა და მწყევართა შენთა. ღმერთმა მომასწაროს იმ სანატრელ დღეს, მაშინ მშვიდად დაეხუტე თვალს და სიკვდილს აღარ ვინაღვლი. უმწეთ ბერები ვართ, შვილო სოლომონ, სად ჩვენა და სად მუხთალი მტრის დამთრგუნველი მახვილი, მაგრამ რაკი მაიცხოვრის წმინდა ჯვარისა და ხამშობლოს ქომავს ჩვენი ულირხე თავე დაგქირავებით და აქ შენის ფეხით მოსულხარ, ვებრძანე დე მტლად დაფედებით...

სოლომონი სულთ ხორცაძე შესძრა მოხუცებული ბერის წრფელმა სიტყვებმა. მას შემდეგ, რაც ბედის ხარხი უყულმა გადაუბრუნდა და ახალი ძალის მოსაკრებად ტყე-ღრეში გავიდა. ასე წრფელი და გულმხურვალე ფიც თუ პირობა აღარავისაგან მოუსმენია. ყოველივე წარსულს ნაბარდა. ადამიანები, თვით ყველაზე უფრო დაახლოებულნიც კი, ბევრად უფრო მოშვირნენი და სიტყვაძვირნი ვახდნენ, ვიდრე ოდესღაც იყვნენ.

— მადლობელი ვარ, მამაო მათე, — უთხრა პასუხად ბერს. — მე არ მიკვირს, მხოლოდ მახარებს, რომ ჩვენთვის ჯვარცხული ჭრისტეს რჯულზე კვლავაც მტყიცედ დგახართ და უმალ ტყვის წერა ვახდებით, ვიდრე სულით დაეცე მოდეთ და შემოსეული ურჯულოს წინაშე ქედს მოიდრეკდეთ! ყწებეარ, ვითუ ჩემმა აქ ყოფნამ თქვენ გამოუსწორებელი ვნება მოგიყენით და უბედურ

რება მოგიტანოთ, თუმცა მდევარი ჯრუ-
ჭულის პირზე ჩამოვიცილეთ და ჩვენი
მეგზურების წყალობით აქამდე ისე
ამოვედით, კაცს-სულიერს აღარ შევხვე-
დრიათ. გათენდება და გამოჩნდება,
საით ვეიჯობს წასვლა. თუ ადგილსამ-
ყოფელი დროით არ მოვიწინაცვლეთ, არ
შეიძლება, კვალში ჩაზღვარა მტერმა
სუნი არ იყრას, მთის ბილიკების მცოდ-
ნე ვინმე სულმოკლე ჩვენანი წინ არ
გამოიძლოლოს და აქ უდროოდ დროს არ
მოგვადგეს. მაშინ ჩვენთან ერთად არც
თქვენ დაგზოგავენ, მაშაო, აქაურობა
გატიადღება და უბრალო სისხლიც
ზღვად დაიღვრება.

— მაგ მხრივ ფიქრი ნურაფრის გეჭ-
ნება, შეილო სოლომონ, — ბერმა აცო-
ლა, სანამ მეფე სათქმელს ბოლომდე
იტყოდა და შემდეგ თავისი მკაცრი, მი-
უჯარებელი სახისათვის საყვებით შეუ-
ფერებელი კრძალვითა და ღმობიერფ-
ბით შეჩინა. — ღვთისათვის ერთხელ
გაჩენილებს ერთხელ საყვლილი გვი-
წერია და ჩვენც მუდამ მზად ვართ,
ღვთის ნებას უღრტვინველად და-
ვემორჩილოთ და სასუფეველის კა-
რი შევალთ. ოთხივე კუთხივ ხალხს
დავგზავნით, მეფემ ბატონო, საქმეს ისე

მოვაწყობთ, რომ გოუგებლათ თოვს ვე-
რავენ დაგვესხას, ხოლო თუ მტრის მო-
ახლოება წინასწარ შევიტყვეთ, ღვთის
შეწყენითა და ჩვენი ლოცვა-კურთხე-
ვით თავშესაფარსაც საიმედოს გამოვნი-
ხავთ.

— რალი აგრეა, მაშაო მათე, მე მზად
ვახლავარ, აქ დღეის სწორამდე მოვი-
ცადო და წმინდა მამების ალალი სტუ-
მართმოყვარეობით ვისარგებლო! —
მოულოდნელად გადაწყვიტა მეფემ და
კარვის ბნელ კუთხეში განაპირებულ
თანამგზავრებს — ასისთავ როსაფ მ-
ჭავარიანსა და ვანუყრელ ძიძვივლ ნი-
კოლოზი ნაფიჩვადეს ვაპხედა, თქვენ
რალს მიჩვენეთ, ხომ ასე აჯობებსო.
არც მაჭავარიანს და არც ნაფიჩვადეს ხმა
არ ამოუღიათ, რაც იმის მომასწავებელი
უნდა ყოფილიყო, რომ ბატონი მეფის
გადაწყვეტილებას ძინიც უსიტყვოდ
იზიარებდნენ და ამის თაობაზე სათქმე-
ლი არაფერი ჰქონდათ. — ოღონდ,
ჩვენგან არ ვესწავლებათ, — სოლომო-
ნი ისევ წინამძღვარს მიმართა და ვაი-
ლიმა. — საიდუმლოს ცხრაკლიტულში
შენახე უნდა ჩვენი აქ ყოფნა მაშინაც
ვერავინ უნდა შეიტყოს, როდესაც აქე-
დან სამი დღის სავალზე ვიქნებით!

თავი მეოთხე

მამლებმა ბარე ორჯერ იყიელეს, ბე-
რებმა რომ კოჭებამდე ჩაფართხუნებუ-
ლი ანაფორის კალთები აიყვეს, ყავარ-
ჩნებს დაეყრდნენ, გვირგვინოსან სტუ-
მარს ძილი ნებისა უსურვეს და ძირჯე-
რის წერითა და გაურკვეველი ბუტბუ-
ტით კარვის კარში სათითაოდ გაიკრიფ-
ნენ.

მტრედისფრად ინათა. ტყემ გამოლ-
ვიძება იწყო. სადღაც ჩხარტვმა დაიჩხა-
ვლა, მას შაშვის ჭახჭახი და ყორნის ნა-
წყვეტ-ნაწყვეტი ყრანტალი მოჰყვა.

— ბიჭო, მახარიაკ, არ გესმის? —
თივაზე გაუხდელად მიწოლილმა და თა-

ვით ფეხებამდე რთვილით დაფარულმა,
ღილის თოშით აძიგძიგებულმა გოგია
ჭიტაქემ წამოიწია და უთვისტომო ლე-
კვივით საცოდავად მოკრუნჩხულ ბიძა-
შვილიშვილს ჯლიკვი გაჰკრა. — აღეჭი,
წასვლის დროა, თავზე უნდა დეთენო
მაინცდამაინც?

ყმაწვილმა თვალი ზარმაყად გამოა-
ხილა, ერთხანს ისევ გარინდებული იწ-
ვა, ნებეგობდა, მერე, თითქოს ბიძის
ძახილი ახლავა ჩაესმო, წამოჭდა და
გალურჯებულ ბუსუსებიან სახეზე ხელი
მოძევა.

— რა იყო, გლახა ხომ არაფერი და

გესიზმრა? — ხმაში გარეული აღერსით ჰკითხა გოგიტამ.

ბიჭი ჭერ კიდევ ვერ გამოორკვეულიყო.

— სად ვართ, ბიძია?

— შეგარცხვინა ღმერთმა! როგორ თუ სადა ვართ, უდაბნოში ვართ, ბერებთან, დაგაფიწყდა, სად ვართ?

— უი მართლა! — ნამძინარევე ბიჭს ყველაფერი ერთბაშად გაახსენდა, გაახსენდა ისიც, თუ აქ საიდან და როგორ მოვიდნენ და უფრო მოიწყინა. — მერე ისინი სად არიან?

— ენ ისინი?

— მეფე და მისი კაცები.

— სუ! რავე თუ სად არიან, კარავში ბრძანდებიან, ალბათ, შენ ხომ არ მოგწვებოდნენ გვერდში!

— ის ბიჭი, ასტიონი, წუხელი რომ გველაპარაკა?

— რა ვიცი მე, შე კაცო, ისე მეკითხები, თითქოს აქაურობის ავანჩაიანი ვიყო. ადექი ახლა, პირზე წყალი შეიხები, მოცოცხლდი, პატარა გზა კი არა გვაქვს გასაღვლედი. მე მაჭავარიანს მოეძებნა, იქნება ჭე დაგვაბარონ რამე და უკან დროით გაგვისტუმრონ. ჰე, გეინძერი!

— მეც წამოვალ! — ბიჭი ადგა, წელზე ქამრის ნაგლეჯი შემოირტყა და მერე ცალ მუხლზე ჩაიხოქა, ქლამნის თასმები ამოიჭიმა.

გოგიტამ ხმა აღარ გასცა, მარტო წავიდა და მალე უკანვე მობრუნდა, ბატონები უკვე აბრძანებულან და ახლაცისკრის ლოცვად დგანანო. არ გაუგლია დიდ ხანს, თავზე ტყის კაცკით თმაწვერგაბანჯგვლული ნიკოლოზა ნაფიჩვაძე წამოადგათ. საფიცარი ძმის, დათუნას, ისე უაზროდ დაღუბვის შემდეგ ნიკოლოზა თანშეზრდილ მეფეს კიდევ უფრო მიეჭაჭვა და გვერდიდას წუთითაც აღარ შორდებოდა. სოლომონმა რამდენჯერმე სცადა, ერთგულ-ძიძიშვილი ცოტა ხნით მაინც დაუთხოვა და საწირეში ძიძის უკაცოდ დარჩენილი ოჯახის მისახედავად და ფეხზე წამოსაყენებლად გაეგზავნა, მაგრამ ნიკოლო-

ზას მბრეც ისეთ ყრუ წინააღმდეგობას წააწყდა, იძულებულად გახდეს მხედრებს დაპყროლოდა და მანამდე მაინც, ვიდრე საქმეს თავის სასარგებლოდ არ შეატრიალებდა, კვლავ გვერდით ეყოლებინა.

მეფის ძიძიშვილი დაინახეს თუ არა, ბიძა-ძმისწული მსწრაფლ წამოდგნენ და თუმცა ისიც მათსავეთ უბრალო გლეხკაცი იყო, პირველნი მიესალმნენ.

— გოგიტა, — ყოველგვარი შესავლისა და მიეთმოვით გარეშე ღაიწყოს დაღვრემილმა ნიკოლოზამ. — ბატონი თქვენი, ღირვესი, ერთობ შადღეერია და წყალობასაც გპირდებით. თქვენ რომ არა, ამ უღრან ტყეში და ყრუტუბებში გზას ვერ გამოვიგნებდითო.

— რა სათქმელი და სამადლოზელი ეგ არი, ჩემო ნიკოლოზა... — ამავის დაფახებით ნასიამოვნებ უფროს ჭიტაძეს ისედაც შექიანი სახე გაეზადრა. — ოღონდ კი ღმერთმა რამე შეგვადლებინოს და სული არ გვეზოგება!..

— ყური მიგდე! — ნაფიჩვაძემ უგუნებოდ შეაწყვეტინა. — აწი, სანამღი ჩვენი კაცები ჭარის შეყრას და დათქმულ ადგილზე მოგროვებას არ დაიწყებენ, აღარ დაგვჭირდებით და ნება გეძლევათ შინ დაბრუნდეთ. მეფემ ეს მცირეოდენი თეთრი შენ გამოგვგზავნა, — ნიკოლოზამ ბანჯგვლიანი ტორი უბეში ჩაიყუ, აბრეშუმის ძაფისაგან მსხვილად ნაქსოვი ძვირფასი ქისა ამოიღო და გოგიტას მისცა. — ეს იმისათვის, ზრესილში რომ იფაქცაცე, ჩემს სახელზე ერთი უღელი მოზვერი იყიდე და ოჯახს მოახმარეო, ახლანდელი სხვა იქნებოა. მახარიკას გული ნუ დასწყდება, მე ვიცოდე და მაგანო.

— რაზე წუხდებოდა, ბატონო, ჩვენ ისედაც მისი ერთგული ვართ, სიღართბეს რა ვუთხრა თუ არა... — ორივეს მაგიერ თქვა გოგიტამ, სიხარულისაგან ცრემლმორეულ ძმისწულს, რომ ბატონმა მეფემ მისი სახელი გაიხსენა და წყალობასაც კი დაჰპირდა, მზერა გადაჰკრა და როგორღაც დარცხვენილმა ქოსა უბეში საიმედოდ შეინახა.

— ყური მიგდე! — ისევ შეაწყვეტო-

ნა ნიკოლოზ ნაფიჩავამ. — ერთი სა-
ქმე კიდევ უნდა გააკეთოთ.

ჭიტაძეებმა სული განაბეს, სმენად
გადაიქცნენ.

— დუნთა ხომ იცით, მოდინაძის უკან
რომ სოფელია?

გოგიტამ გაიკვირვა:

— კი, რაღა არა, დუნთა რაღა არ ვი-
ციით, შეე კაცო!

— აღმასხან თოღაძეს იკითხავთ დუ-
ნთაში. იქნება იცნობთ კიდევაც!

— აღმასხან თოღაძეს? — გოგიტა
დაფიქრდა, ძმისწულს გადახედა, თავი
გადააქნია და მხოლოდ ამის შემდეგ
უპასუხა: — არა, მაგნაირი არაფერ გამო-
ვინია.

— ჰოდა, აღმასხან თოღაძეს ნახავ,
ამას აჩვენებ, — ნიკოლოზმა მარცხენა
ხელის არათითიდან ვერცხლის უბრალო
ბეჭედი წაიძრო და ჭიტაძეს გაუწოდა.
— მეფის ნიშანია. აღმასხანი ქაიხოს-
რო წერეთელთან შეგახვედრებს. მი-
ხვდი!

— მივხვდი, კი ბატონო, რაღა არ მი-
ხვდები, — გოგიტა ჭიტაძე ახალმა დავა-
ლებამ ცოტა არ იყოს შეაერთო და შე-
აფიქრიანა, მაგრამ ცდილობდა კი ეს არ
შეემჩნია. — მერე, ბატონო? რა მოვა-
ხსენო ბატონ ქაიხოსროს?

— ეტყვი, სადაც ვართ და რაც გადა-
გვხდა. მეფემ აქ წულუკიძეებს, აგიაშ-
ვილს და ბატონიშვილებს უნდა მოუ-
ცადოს. როდის რა იქნება, ჯერ კაცმა
არ იცის. ღმერთმა ნუ ქნას, ეს ამბავი
გახმაურდეს და მტრის ყურამდე მივი-
დეს!

გოგიტა ჭიტაძე აიღუწა:

— თუ ჩვენ გვენდობით, ჩემო ნიკო-
ლოზა, გვენდეთ ღვთისა და ხატის წინა-
შე, თუ არა და ნუ ჩადგებით ჩვენს ცო-
ღვაში, ახალ სატყვიარს ნუ გავკრიჩნთ.

— გაფრთხილება ჩემი ვალო, —
კვლავ პირქუშად თქვა ნაფიჩავამ. —
თქვენც უნდა იცოდეთ და ჩვენც, რომ
ურჩულო მტერი ყოველი ქვის უკან
არის ჩასაფრებული და თვალს გვაღვე-
ნებს. თუ დედოფალმა მარიამმა ინებოს
ოა თავად მოიწადინოს შენი ნახვა, ეახე-

ლო და რაგარც მოახერხო, გული გოფ-
კეთე, მეფე ღვთის წყალობით კარგად
ბრძანდება, საშიში არაფერი ერის და
სულ მალე, სამართობოდ, კაცებს გამო-
გზავნის აქედან თქვენს გასაყვანად და
კიდევ უფრო უშიშარ ალაგას დასაბინა-
ვებლად-თქვა.

— ვითამ იქ, მოდინაძეში, უფრო უშ-
იშრად არ იქნებინა? მიუღგომელ ციხე-
ში მტერი რას დააკლებთ!

— ეგ რა მე და შენი ჭკუის საკითხა-
ვია, გოგიტა, რასაც გეუბნებიან, დალუ-
ნე თავი და შენ ის გააკეთე!

— ეთქვით და ვერ ვნახე ის აღმასხა-
ნია თუ ვინცაა, რაგარი სანახავია ახლა
კაცი, შენ ჩემზე უკეთ იცი, რა ვქნა
მაშინ?

— უნდა ნახო, გოგიტა, საქმეც ეგ
არის, რომ უნდა ნახო! თუ აღმასხან
თოღაძე ვერ ნახე, ციხეში სხვა ვერაფერ
შეგიყვანს და სარდალთან ვერაფერ შე-
გახვედრებს. საიდუმლო ხერხელები და
გასასვლელ-გამოსასვლელები მართო
აღმასხანმა იცის. ხატრაპეზოში შედით
ახლა. ბერები გიცდნან. ლუკმა გატეხ-
ეთ. ცოტა საგზალსაც გაგატანენ.

ჭიტაძეებს ბევრი ხვეწნა არ და-
სკირებიათ. წუხელ ორივემ უკანშობლ
მისდო თავი თივაზე, ძილში კი მგლები-
ვით მოშივნოდათ. ბერული ბოლოწო
— ღვთისში ჩაუშენილი ქერნარევი პუ-
რი — დიდი ვერაფერი მაწიერი საქმე-
ლი იყო, მაგრამ სულ არაობას ნაინც
ჯობდა. სამაგიეროდ, აბგა პირამდე აუფ-
სეს კუტი პურით, მწვანე ხახვის თავე-
ბით და ქორფა მწვანელით, რომელიც
ბერებს თავიანთ ნაწარგებ ბოსტანში
უხვად დაეკრიფათ.

გოგიტა და მახარია რომ უღაბნოს
კარიბჭიდან გამოვიდნენ, პირჯვარი გა-
დაიწერეს და წიფლიანში ოაღაღმა
დაეშენეს, იმდენად მოთენებული იყო,
გზის გაგნება უკვე გაუჭირებლად შე-
იძლებოდა. მზე რომ ამოვიდა და ტყე-
ში სინათლის ირიბი სვეტები ჩამოდგა,
განდევილი ბერების სავანოდან ისინი
უკვე შორს იყვნენ და მთის რომელიღ-
აც პატარა მდინარის ვიწრო სეობაში

ეშვებოდნენ. ხეობის ორვე ციკაბო კალთა შერისა და ჭყორის მარჯმწვანე ბუჩქებით იყო დაფარული. ჭყორი ხელფებს ჩხელეტდა და ასისხლიანებდა. დაღმა დაშვება ჭირდა. გაღმ. საურმე გზა ეგულეზოდნა, რომელიც სათიბების მხრიდან მახლობელ სოფელში ჩადიოდა. სოფლამდე აქედან ნახევარი დღის სავალი იყო, მაგრამ მაინც შეიძლება, საღმე მონადირეს, მწყემსს ან ნიბიბეს გადაეკოდნენ და ბარის ამბევი გაეგოთ. ბიძა და ძმისწული ერთმანეთსაც კი არ უმხელდნენ, რომ გული ჭავრაია და გაუნელეგელი ვარამით ჰქონდათ სავსე. ჭერ ერთმა, ხოლო შემდეგ მეორემ გამხეცებულ იანიჩრებს თავი საბარაკო სომარჯვით დააღწია და აღიდებულა ჭრუჭულა მხარულით გადმოსცუა, მაგრამ იქ, წყალგაღმა, დარჩნენ მთი აქლობლები, რომელთაც იგვეს მომუქნეღება ვერ შეიძლეს და ძელურ წასქვილში საცოდავად გამომწყვდეულნი თავიანთ უსიხარულო ხვედრს მოთმინებთ ელოდნენ. რა მოხდა გოგიტასა და მახარიკას წამოსვლის შემდეგ? კიდევ რა ახალი სიავითა და ბორბლებით განაცვიფრეს ჭეყეყანა მოდინახიდან ლტოლვილი სოლომონ მეფის მღვდრად გამოგზავნილმა იანიჩრებმა? ისევ იქ იდგნენ, წისქვილებთან, სადაც გოგიტამ და მახარიკამ დასტოვეს, თუ წისქვილში გამომწყვდეული მშვიერ-მწყურვალე ტყვეება წინ გაირეკეს და კვლავ საჩხერეში დაბრუნდნენ, სადაც ერთი მუქა მეციხოვნეების შეუპოვრობით გამძვინვარებული ფაშა ჰაჯო-ალიბეგი იდგა და ოთხივე კუთხივ მიუყვალ მოდინახის კოშკებს გარს ამოლ უღლიდა?

— ბიძია, — წამოიძახა გახარებულმა მახარიკამ და თოფნაკრავივით გაჩერდა. — თხის კიკინი გეიგონე?

— თხის კი არა, ჭინკის, გამოადგი ფეხი, თუ კაცი ხარ! — დაიღრინა ფიქრში შორს წასულმა გოგიტამ

ყმაწვილი ადგილიდან არ იძვროდა.

— მართლა, მართლა, დედა ნუ მიიკვდება, წმინდა გიორგის მადლმა, დოღვლე ყური!

— თხას რა უნდა, ბიჭო, ამ საღმრთე-თში, ხომ არ გადვირე? შენც კი თქვა, მაგრამ დაეჭვებულმა გოგიტამ ნაბიჯი მაინც შეანელა, სმენა გაამახვილა, იქნება მართლა ქე გაიგონა რამე ამ გასაზრდელმაო.

თითქოსდა მისი ვარაუდის დასადასტურებლად ახლა უკვე გარკვევით მოინხმა თხის მშვიდობიანი კიკინი.

— ბიჭო, მახარიკა, თუ ყური არ გვატყუებს ორივეს და ეშმაკმა არ გვაცთუნა, გოგიტა მწყემსი უნდა იყოს სალაცა, ასე შორს თხის ჯოჯი სხვას არავის ამოყავს. გასძახე, შენს გაზრდას, იქნებ გააგონო.

— ვინ გოგიტა მწყემსი, ბიძია?

— არის ერთი უსახლკარო ბერიკაცი, ზაფხულობით თხის ჯოჯს მწყემსავს მთაში, თოვლს რომ ჩამოყრის და თხები პატრონებს მიყავთ, ისიც დასლა ჩამოდის და ჭრუჭული ბერები ზამთარ ღამეს სამადლოდ ათევიანებენ, — გოგიტა ჭიტამემ ჩაახველა. ხმა ჩაიწმინდა და ტყეს თავად გასძახა: — გოგიტა, უუუ!..

ძახილი ხევიში რამდენჯერმე განმოკრდა და სადღაც შორს მიწვდა. პახუხი არავის გაუცია. გოგიტამ ერთხელ კიდევ სცადა ბედი. ამჯერად უფრო ხმამაღლა დაიძახა. მუშტისტოლად დაბატარავებული ქალარა ბერიკაცი, რომლის ბეჭებამდე ჩამოზრდილ გრძელ თმასა და ასევე გრძელ, დაბურღულ წვერს სავარცხელი, ალბათ, არც არასოდეს მიჰკარებოდა, მათ მაშინდა დაინახეს, როდესაც იელისა და მოცხარის ბუჩქებით გადავილი სამარხილე გზა უცებ ტყიდან გამოვიდა და თვალწინ მართობისთვის კაშკაშა მზით განათებული მწვანე მინდორი გადაეშალათ. გოგიტა მწყემსი პანტა მსხლის ქვეშ იჯდა, ხელში თავკომბალა ჯოჯი ეკავა, ზედ მხრით მინდობოდა, ზურგზე კი ხანგრძლივი ხმარებისა და დარსა თუ ავღარში ცის-ქვეშ გდებისაგან გაქუცული გულა ჰქონდა მოკიდებული. ფეხშიშველს არც ტანზე ემოსა რამე, მხოლოდ წალზე შემოერტყა მისივე გუდასავით გაქუცულ-

განთული ტყვის ნაგლეჯი და სარცხენილსაც, ალბათ, ის უფარავდ. მინდროზე წვერებცანცარა თხები ბალახობდნენ, ნაკერს ტვერდნენ, წინა ფეხებით ხეებს ეპოტინებოდნენ და წამდაუფრემ ერთმანეთს უძახდნენ, თათქოს სხვაზე უკეთეს საძოვარს სთავაზობდნენ.

გოგიელა შეერთა, ზურგსუკან მოულოდნელი ფეხისხმა რომ მოესმა, მაგრამ ზეზე ადგომა არ უცდია, წელში კანდრივით მოკაცული ოდნავ გასწორდა და დაბეზკილი, ხელისგულის სიფართო სახე გაჭირვებით მოაბრუნა.

— ყურს დაგვლებია, გოგელა, — უთხრა გოგიტამ, ბერების გამოტანებული საგზლით საესე აბვა ბალახზე დაავორა, მომალლო ადგილი შეარჩია და თავადაც მწვანეზე მოიკეცა. — გამარჯობა შენი! იყო დრო, კაცი ჩემს ვერ გამოგაპარებდა.

— მშვიდობა ნუ მოგაკლოს, შვილო, — გოგიელა მწყემსი ორივე ხელით დაეყრდნო თავის თავკომბალა ჯოხს, მოსულებს ნახევრად ჩამქრალი, უფერული თელები მიაბყრო. — მივხუციდი. ძალა გამომელა. ძნელი ყოფილა დალოცვილი სიბერე. სული მაინც ტკბილია. არ გეთმობა კაცს. რომელი ბრძანდები? თვალის ჩინიც წამერთვა მე უბედურს. ველარ შეგიკანით.

— მე სარეკელი კაცი ვარ, გოგიტა ჭიტამე, ეს მძისწულია ჩემი, მახარია.

— კაი დაგემართოთ, შვილო! აქეთ საით გივლიათ ამ ქელთვაში? ბატარა გზა არ უნდა გქონდეთ გამოვლალი.

— კი, შორს ვიყავით, მერე მხარი გვიქცა და ამ სამარხილე გზამ აქ გამოგვიყვანა, — იცოდა, გოგიელა მწყემსი ღვთისნიერი, ყოველმხრივ სანლო კაცი იყო, მაგრამ გოგიტა ჭიტამემ მაინც არ ჩათვალა საჭიროდ სიმაართლის გამკლავნება. — ქვევით რომელი სოფელია? ველარ მოვიმხრე...

— უბუნთა ვახლავს, შვილო, ცოტა ქვევით, მთაზე, ჭრუჭის მონასტერია, შეგეწოთ იმიხი მადლი! აგერ გუშინ არ იყო, კურთხეული მეფე სოლომონი

ნი რომ იქ ბრძანდებოდა? ერთად თავმოყრილი იმდენი დიდკაცობა და სიკეთესიო კრებული ჭრუჭში ჯერ კაციშვილს არ მოსწრებია. ამ ხნის კაცი მოვიყარე და... მე სამრეკლოზე ამავხანეს. ზარები ჩამოვრეკე. რა დრო იყო! მაშინ კიდევ მომდევდა მუხლში ღონე. ახლა იმ დაკიდებულ კიბეზე მკვდარს თუ ვინმე ამასვენებს, თუ არა ცოცხალი...

— არ ვიცოდი, გოგიელა, ნამა ნუ წამიწყდებდა, თუ შენც კურთხეულ მეფე სოლომონზე შეგტკიოდა გული. შენი დღე და მოსწრება ამ ტყესა და ღრუში თხებს დასდევ. შენთვის ყველა სულ ერთი მეგონა, სოლომონიც და თეიმურაზიც!..

— მაგას რატომ მეუბნები, შვილო, — იწყინა მწყემსმა. — რა ვუყოთ, თუ ბედმა და ყისმათმა ეს მარგუნა, — მან თავკომბალა ჯოხზე და ტირიფის ფესვივით დაღვლარქნილ, დიდი ხნის დაუბანელ შიშველ ფეხებზე დაიხედა. — მარა მეც ღვთის შვილი ვარ, ქრისტიანი, პირჯვარს ვიწერ... ამა ის არი კაი, თელი საწერეთლო რო ეიკლო ურჯულომ და გღმა-გამომლა სოფლებს ცეცხლი უკიდა? რა რომ დღეი! სწორს წისქვილიკარზე თათარი დახოცეს, მგლის კრძი ფაშა სულ გადარეულა და გადაშლილა. კაცის შებრალება აღარა აქვს. ქალი, მოხუცებული და ბოვში მისთვინ სულ ერთია. გინდა კაცი მოუკლავთ იმ შეჩვენებულებს და გინდა საიდგომო ბატნისთვინ გამოუსვიათ ყელში დანა!

მოულოდნელი ამბის გაგებით განკურფრებული ჭიტამეები საკუთარ ყურებს ველარ უჩერებდნენ. ერთიაც და მეორესაც სულ სხვა რამის მტანჯველი მოლოდინი აწამებდა და სულ სხვა რამ კი ესმოდათ.

— რა, რა მოხდა წისქვილიკარზე? — ჰკითხა ბოლოს გოგიტამ. — თათარი დახოცესო, ასე არ თქვი?

— დახოცეს, შვილო, დახოცეს და მამა ეაცხონე იმათი, ხომ ამეიყარეს საწყალი ხალხის გულისჯავრი!

— ვინ, ვინ დასოცა, ხერიანად გაგვაგებინე, ასე ადვილად ამბობ მაგას, კაცო?

— რაა, ქე გწყინთ, თუ?

— ადგი, ბიძია, წვედიეთ! — მახარიკას შეტი მოთმენა აღარ ეყო და ზეზე წამოხტა. — რა იცის ამან!

— გვადროვე, ბოშო! — შეუტია ყმაწვილს გოგიტამ და აზგას მისწვდა, დაითრია... — შენ არ ამბობდი, მომწივდა, კაი ადგილი ამოვარჩიოთ სადმე და ვისამხროთო? ამაზე უკეთესი ადგილი სად შეგხვდებოდა წყალი არ არის, მართალია, მარა ღვინოს დაუღვეთ, წყალხარევი ღვინო წყლის მაგიერობასაც გასწვებს. აგერ ეს ღვინოს კაციც მოვიპატიოთ, მაღლია. დაგვლოცავს, ამბავსაც გამოგკითხავთ...

— არ იცის ამან არაფერი ამბავი, ბიძია, დამიჯერე, ვინ ეტყობა!

— იცი, მართლა, რამე, გოგიელა, თუ არა? — გოგიტა ბიძა-მძისწულის მოულოდნელი შელაპარაკებით გაკვირვებულ ბერიკაცს მიუბრუნდა. — ხომ ხედავ, ბოვში გადამერია, ვეღარ ვაკაეებ! თათრებს ჩემი ძმა, მაგისი შამა, ყავდათ წისქვილში დამწყვედეული. გესმის შენ? იქ სხვებიც იყვნენ. თავად ესეც დიქორებს და წისქვილში შეაგდეს. ექადნებოდნენ, შიგ უნდა გამოგწვათო. ბიჭს ღმერთი მოეხმარა, თავისიანებმაც ხე-

ლი შეუწყვეს, დამე სარკმელში გამოძვრა და წყალგაღმა გამოვიდა! გავგაგებინე ახლა, თუ მართლა იცი, დაწყვეს წისქვილი, თუ ისევე დგას იმ ადგილზე!

— მე ის ვიცი, შეილო, რაც მოგახსენეთ, წისქვილის კი, ამის მაღლია, — გოგიელამ ბირჯვარი გადაიწერა. — არაფერი გამიგონია.

— ე, ხომ გითხარი! — ნიშნისმოგებით წამოიძახა ცრემლმორეულმა მახარიკამ, რომელიც თვალებიდან შეჩვენებას და შეურიგებელ სიძულვილს აფრქვევდა, ბიძის თანხმობას აღარ მოუცა და და თავდაღმა სირბილით დაეშვა. თხები დაფრთხნენ, აქეთ-იქით მიაწყდმოაწყდნენ და მერე ქვევით დაიწყეს ცქერა.

— მახარიკა, ბიჭო, მახარიკა, შოიკა, მეც მოვდივარ, აქ ხომ არ დაჯრჩები, შე შეჩვენებულო, მაგრე გინდა ირბინო სულ? — გოგიტამ აზგა მხარზე გადაიკიდა, ჯოხს ხელი დააელო და გამოსადევნებლად მოემზადა, მაგრამ შეცბუნებული ბერიკაცი გაახსენდა, აქ კვლავ მარტოდმარტო რომ რჩებოდა, და აზგა ისევე ძირს ჩამოიღო, თავი მოხსნა, სამი კუტი პური, ნიორი და ხახვის თავები ამოალაგა. — ბევრი კი არაფერი მოგვეძეება, გოგიელა, მარა, რაც ღმერთმა მოგვცა, ძმურად გიწილადებთ. ზოგი შენ და ზოგი ჩვენ!

თავი მესამე

— თქვენო უმაღლესობავ, ბატონმა მეფემ კაცი გაახლათ, თავის ამბავს იტყობინება, — მოახსენა დედოფალ მარიამს ზემომხრის სარდალმა ქაიხორასო წერეთელმა, როდესაც პირისფარეშებმა საჯანგებოდ მოფარდაგებული საენის კარი გაულეს და ის მეფის სახლკულის ამ ვიწრო, ჩახუთულ, მაგრამ საიმედო ხიდგომში წელში მოხრილი შევიდა.

მრავალი ღამის უძილარი, გამზდარი, მართო თვალბად გადაქცეული დედო-

ფალი მარიამი ტახტზე იყო მიწოლილი და მხოლოდ მაშინ წამოდგა, როცა ტალანიდან სარდლის მძიმე ფეხის ხმა მოესმა. მოახლებები პატარა ბატონიშვილებს, დარეჯანსა და თამარს, აცემდნენ. დარეჯანის მომდევნო ალექსანდრე თავს უკვე დიდად თვლიდა, ვაეკაცობდა, ქოლებს ოთახში დაძინება სასიარტოდ მიანდა და ღამეს ციხის საკაცებო ნახევარში ათევდა. მამისაგან მალემსრბოლის მთხელა მან ყველაზე ადრე შეიტ-

ყო და დედისათვის მისახარებლად სარდალს დედოფალთან შემოჰყვა.

— ხომ მშვიდობაა? — მარიამმა ვაზომდეკელი მზერა მიაპყრო წერეთელს. — დედოფლისას მადლობას ვწირავ, რომ სისხლისმსმელ თეიმურაზის დამტყვევებს ხელიდან დაუსხლტა! ვინ არიან მალე მსრბოლები?

— სარეკელი გლეხები ვახლავთ. კაცია და ბიჭი. ეს არის, აღმასხან თოღაძემ შემოიყვანა.

— კაცი და ბიჭი? — დედოფალს თვლებში წამიერი შიში და უხელოობა გამოესახა.

— პირიანი ხალხია, ფიქრი ნურაფროსა გაქვთ, საკუთარ თავზე უფრო ვენდობი, — დაამშვიდა სარდალმა. — თუ ინებებ, დავაძახებინებ და პირად მოგახსენებენ ყველაფერს.

— შენ ისე ამბობ, ჭიხოსრო, თითქოს მიმალავდე რაღაცას. განა სულ ერთი არ არის, შენ მეტყვი, თუ სხვისაგან გავიგებ?

— უღვაში შემირცხვეს, დედოფალო, რას ბრძანებ, არ ვაფწყე ცოლ-შვილით!

მარიამმა მოახლეები უსიტყვოდ დაითხოვა, გოგონებიც მათ გაატანა და საკანში ჭიხოსრო წერეთელთან და ბატონიშვილ ალექსანდრესთან ერთად დარჩა. გოგიტასა და მახარიკას ბეერი არ ულოდინებიათ. როგორც კი ყურში ჩაეწვეთათ, თვით დედოფალი მარიამი გზმობილობით, თავი დაღუნეს და იმ ტალანს მიაშურეს, საიდანაც წუთის წინ გაფითქმებული მოახლეები და თოჯინებივით ლამაზად ჩაცმულ-დახურული პაწაწინა ქალბატონები გამოვიდნენ.

— რას გვეტყვი, ჩვენი ბატონი მეფე პირისპირ ნახეთ? — კრძალვით შემოსულთა მოწიწებულ, მდაბალ სალამს დედოფალმა თავის ოდნავი დაკვრით უპასუხა, ახლა ამით მიაპყრო გამჭოლად მზერა და გულბელი დაიქრო.

გოგიტა არ დაიბნა, თუმცა მეფე სოლომონის დიდებული თანამეცხედრე, ოდიშის ბატონი ოტია დადიანის ასული მარიამი აქამდე ხულ სხვაგვარად ჰყავდა წარმოდგენილი, და, როგორც და

რიგებული იყო, მეფის ახლანდელი მდგომარეობა ისე სახარბილოდ წერებოდა დახატა, თუ მის სიტყვებს ერწმუნებოდი, სოლომონს ის-აა აკლდა. სახელეულო დაეზარებინა და მამაბაბეულ ტახტზე ასასვლელად ქუთაისის გზას გასდგომოდა. მარიამი კარგად ხედავდა, რომ სოლომონის მიერ გამოგზავნილი კაცი საქმეს განზრახ აიოლებდა, რათა ციხის ოთხ კედელშია დარჩენილთათვის და თვით მისთვის გული გაეკეთებინა, რის გამოც მადლობის მეტი არაფერი ეთქმოდა, მაგრამ ამაში სანუგეშოც თითქმის არაფერი იყო.

— სად არის ეგ უდაბნო, კარგად გავაგებინეთ, — მიმართა ბოლოს ქადაგად დაეპარინა ჭიჭიძეს, როცა შეატყო, მეტი სათქმელი ვგონებ აღარაფერი უნდა ჰქონდესო. — ძნელი მისასვლელია?

— გაანია, ბატონო. ჩვენ, მე და მახარიკა, ჩემი ძმისწული, — გოგიტამ აქაურობის, დედოფლისა და ბატონიშვილების ხილვით აღტაცებულ, სახეგაბრწყინებულ ყმაწვილს გადახედა. — დღენახევარს მოვუნდი. ცხენო შეიძლება მეტიც ქე დაქირდეს კაცს. გზა არ არი და კვალა მოგვხსენებია...

— მაშ, შენი სიტყვით, ისე გამოდის, რომ მტრის მოთვალენილად დაციმის შიში არ უნდა ექნეთ?

— მტრის? აჰ, არა, ბატონო. თუ ეონმე ღვთის მგზობელმა გულდაგულ არ მიიყვანა, მარა ბატონი მეფე სოლომონი როდი აპირობს იქ დიდხანს გაჩერებას. მე ისე მგონია...

— შენ რა გგონია, მაგას არ გეკითხებით, გოგიტა, — ჩაერია ჭიხოსრო წერეთელი. — მის უმადლესობას, დედოფალს, ჯერ ის მოახსენე, რაც მეფემ დაგაბარა. დაგაბარა, აჰ, უდაბნოში, დიდხანს არ ვაჩერდებით?

— არა, ბატონო, ეგ არ დოუბარებია.

— აბა? შენ საიდან იცი, რომ არ ვაჩერდება?

— მაგას რა დიდი ცოდნა უნდა, ბატონო ჭიხოსრო, იქ უქმად დგომით და გულბელის დაკრფით რომ საქმე კეთდებოდეს, დალოცვილ ბერებს ახლა კა-

ცი-ქრისტიანი ველარ აჯობებდა დედოფალს ღიმი მოერია, ცოტა არ იყოს შემცბარ სარდალს თვალი წიარბდა და ისევე გლესს ჰკითხა:

— ვითომ, შენი აზრით, საით არჩევს წასვლას? თქვენსობას ხომ არავეინ ხლუბია? ისევე მაქვეარიაინისა და ნიკოლოზა ნაფიჩავძის ამბარა ბრძანდება?

— ჩვენ რომ მივედით, მზე ჩადიოდა, დედოფალი, ღამე გავათიეთ და დღლას ადრე უკან გამოვბრუნდით. კაცებსაც სწორედ ამ დროს დაგზავნიდნენ მეფესთან სანდო ხალხის დასაბარებლად, რავეარც ჩვენ გამოგვიტუმრეს აქეთ.

— კი მაგრამ, თუ არავეინ ჰყავს?

— ბერები, ბერები იქ არ არიან, ბატონო? რომელი იტყვის უარს მწყალობელი მეულის სამსახურზე? მართლა ისე კი არ არის საქმე, გასაგზავნ-გამოს-გზავნად მაგათ კაცი არ ჯობია. ყ-ჩადიც ნაკლებად ეტანებათ და თათრის მზიორიც, ბერისაგან ვინ რას ეიღებს!

— კეთილი, ჩემო გოგონა, ტატის ერთგულ სამსახურს არც ღმერთი დაგივწყნებთ და არც ჩვენ. შენა და შენი მძისწული შეიძლება კლდე დაგკვირდეთ, თუ მტერმა ციხე თავზე არ დაგვაქცია და ერთხანს კლდე გავუღელით. ეს მცირე სამსახურით სარტყარი ჩემგან გქონდეთ. ბიძა-მძისწული ხართ. იძვდია, გაყოფაზე არ წაიხსებებით, — მარიაშმა თაროდან ნამზითვი ვერცხლის შინდალი გადმოიღო და ჰიტაძეს გაუწოდა. — აბა, გამომართვი!

გოგონამ ხელები გაასაქცავა, უკან დაიხია.

— არა, ბატონო, რაე გვედრება, ეგ რა ჩვენი საქმეა, ბატონებთან სახმარი ნითვი ისევე ბატონებთან უნდა იყოს, თქვენია და თქვენ მოგახმაროთ ღმერთმა!

— გამოართვი, ბიჭო, როცა გეუბნებოიან! — ისევე ჩაერთა ჰიტაძის წელანდელი პასუხით გაწმობილული ქაიხოსრო წერეთელი. — ამას დამიხედეთ ერთი!

— კი ბატონო, მარა... — კლდე უფ-

როს დაირცხენია გოგონა ჰიტაძემ, შუბლსა და ყერიმალეებზე ოფლიც კი დაასხა, დედოფალს შინდალი გკვირთვა, გულზე მიიხუტა, თავი მდაბლად დახარა და უკან-უკან გასასვლელ ტალანისაკენ წავიდა.

სწორედ ამ წამს დაიქვეა ზარბაზნმა და ვიღრე მისი ხმა ხევეხუვეებში რამდენჯერმე განმეორდებოდა და იქ მიწყდებოდა, ციხე ციხეიანივით შეხანზარდა, მიწა იძრა, კიდევე ერთი გამყრუებული ქუხილი მოისმა და ჰერიდან კარი ხამოცივდა.

— მოხვდა! — ჯაერიანად თქვა თავადმა ქაიხოსრომ.

სარდალის ხმის კილო შეტყვევებდა, რომ ეს პირველი არ იყო. მალევე აგარიანთა ზარბაზნები ციხის კედლებს ჰურეებს ხშირად ახვედრებდნენ და მათ დაქვევით ემუქრებოდნენ. ჰიტაძეები ადგილზე გაქვევდნენ და ხან ჰერს უყურებდნენ, რომელიც შეიძლება ჩამონგრეულიყო და ყველა ქვეშ მოეყოლებინა, და ხან ერთმანეთს. დედოფალი მარიაში კუთხეში დაკიდებულ ღვთისმშობლის ხატის წინ დაიხიჯიჯიყო და ცრემლგამშრალი ჰირჯარს აწერდა. მხოლოდ ოქროს სირმებით გაწყობილ შინდისფერ ქულაგასა და ყვირული მუშის მაღალყელიან წაღებში გამოწყობილი ბატონიშვილი აღუქსანდრე იდგა უძრავად, კოპები სწორედ მამისებურად შეეკრა და წინ დაკვირვებით იყურებოდა. ზარბაზნი კიდევე სამჯერ ვიარდა. სამივეჯერ სხვადასხვა ადგილას. სამიდან ერთი ჰურვი კვლავ ციხის კედელს მოხვდა. ციხე კვლავ ციხეიანივით შეხანზარდა და ჰერიდან ისევე ჩამოცივდა და კირი.

— ბავშვები! — წამოიძახა დედოფალი და მოიხედა. — ბატონო ქაიხოსრო, ბავშვები სად არიან? მოდი აქ, შვილო აღუქსანდრე!

— ახლავე შემოიყვანენ, ბატონო. — მიუთო ჯაერით კრიპაშეკრულმა სარდალმა და მაშინვე ტალანში გაქვევებულ გლესებს დაუტატანა: — თქვენ რაღას გაბლჭილხართ მანდ, გოგონა, გასწით,

ჩემი სახელით უბრძანეთ მოახლეებს, ბატონიშვილები აქ შემოიყვანონ! — დროგორც კი გლებები გავიდნენ, ისევ ხატის წინ დანოქილ მარამს მ-უტრიალდა. — რას მირჩევ, დედოფალ? რასაც თქვენ ბრძანებთ, მეც იმ გზას დავადგები!

— ჩემმა მეფემ და თანამეცხედრემ ჩვენი თავი შენ ჩაგაბარა, თავადო ქაიხოსრო, — შვედიად უბასუხა დედოფალმა და ადგა. — სუსტი და უღიზიან ქაიხოსროს რჩევა, ისიც დედისა, ვაითუ სარდალს ვერაფერში გამოვადგვას არ დავგოვავ, აქამდე იმედი მქონდა, რომ ჩემი საყვარელი ძმა, ოდიშის მოავარი კაცია, უბატრონოდ არ მიმტოვებდა, მცირე ნაწყენობას, მტრის გულს გასაბნაოდ ბოლო დროს ჩვენს შორის რომ ჩამოვარდა, არაფრად მიიჩნევდა და ურჯულო თეიმურაზის წინაშე შენადგომლობას გასწევდა, ციხისათვის ალყას მოახსენებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მოგტყუედი, კაცია თავის ტყვეს ეფრთხილდება, არ უნდა, ურჯულო ტახტის მოცილესთან დოყი ჩამოვადოს და ჩვენ ისევ ჩვენი მცირე ძალების იმედი უნდა ვიქონიოთ. ჩვენ შენი ღირსი ადლიერი ვართ, თავადო, მაგ სალოცო ერთგულებას, შენ რომ ამ გაკრეკების ეამს გავვიწიე, ქვეყანას მოვყენო, სხვებს სამაგალითოდ დაეუსახავთ და შთამომავლობას გადავცემთ, მაგრამ, უკედავ, ყველაფერს საზღვარი აქვს, დაგვიდგა წუთი, როდესაც ჩვენზე მოსული ურიცხვი მტერი შენს ციხეს უნდა ჩამოვაცილოთ და აქაურობას გავერადოთ!

— მე მაგას არ მოგახსენებ, დედოფალ! — მოუჭრა სიტყვა წერეთელმა. — მეფემ თქვენი თავი, როგორც ჩართებულად ბრძანებდი, მე ჩამაბარა და, რაც არ უნდა მოხდეს, ზოლომდე მე უნდა გიპატრონოთ. ხედავთ, თეიმურაზისაგან მოსული წყვეული პაჭიალობევა აღარ გვზოგავს. რაღაი ალყით ვერაფერი დავაკლო, ზარბაზნებით აპირებს ციხის დანგრევას და ჩვენს ხელში ჩადგებას. თავის მოტყუება იქნება, რომ ვცადო თქვენი უმაღლესობის დაჯერება, ციხის

კედლები ამდნენ გაუძლებს და ჩვენ, ციხეში მყოფებს, აქ არავითარი საშარბოება არ გვემუქრებამეთქი. სასწაურობა ერთობ დიდი გახლავს და ჩვენ ის ყოველდღე და ყოველ წუთს გველის. მე მინდა, ეს თქვენ იცოდეთ და მდგომარეობას სალი თვლით შეჩუდეთ.

— სწორედ მაგას მოგახსენებდი, თავადო ქაიხოსრო: ჩვენგანთ მეტი წინააღმდეგობის გაწევა დამლუბველია. იქნებ ამაზე უარესი დღეც მოგველოდეს, მაგრამ ციხე უსიკვდილოდ უხდა დავცალოთ და საიმედო თავშესაფარი, დროებით მაინც, სადმე სხვაგან ვეძიოთ. წელანაც ეთქვი და ახლაც ვიშურობ: მე ჩემი ძმის, ბატონ კაციას, იყედი ნკონდა შეიძლებოდა, სანამ ჩვენი ბედარული მეფე სოლომონი ხელს მოიწყობდა და მტერთან საომრად საცემო ჭარს გარს შემოიკრებდა, მას შევეფარებინეთ. სიხარულით შეინძროდა საბრალე მამაჩემის ძვლები სამარეში. დღეს ეს უკანასკნელი იმედიც წაგვერთვა და წყალწალებულები ჩავსს ვეკედებათ.

— ბატონო დედა, მე ფეხს არ გავდგამ ციხიდან! — მოისმა უცებ ბატონიშვილ ალექსანდრეს ბავშვური, მაგრამ მტკიცე ხმა. — მე მამას აქ უნდა დავხედე!

— დედა გენაცვალოს, შვილო! — უჩვეულო სინანით წარმოთქვა მარიამმა, რომელიც ბავშვებთან ყოველთვის თავშეკავებული იყო და მათ აოხდროს არ ანებებებდა, დაიხარა, ვაჟს თრევე ხელი მოხვია და გულზე მიიხეტა. — რატომ არ გხედავს ახლა საწყალი მამაშენი, რა ვაჟაკი შემკვიდრე გავხარდი! მაგრამ რა ვიღონოთ, შვილო, ალექსანდრე, თუ მტერი ჩვენზე ბევრად ძლიერია, სადაცაა, ციხის კედლებს თავზე დაგვაშობს და ჩვენ ყველას ან უწყალოდ დაგვბოცავს. ანდა სხვებთან ერთად ტყვედ წაგვიყვანს?

— მე ფეხსაც არ გადავდგამ აქედან! — კუშტად გაიმეორა ერთ წერტილზე მიჩერებულმა ყმაწვილმა ბატონიშვილმა და თვალეზზე კურცხალი მოადგა. —

თქვენ წაბრძანდით, სადაც გენებოთ, მე აქ დავრჩები!

— რას ამბობ, შვილო ალექსანდრე, ჩვენ წავალთ და შენ აქ დაგტოვებთ? მერე მარტომმარტომ რა უნდა დაეკლო გამხეციებულ მტერს? ნუ დაგაეწყდებოდა, რომ შენ ჯერ ბავშვი ხარ, ექვთიცი კი არ შეგსრულებია. სად ბავშვი და სად მავნაირი ვაუგონარი სიჭიქტე! ეს ერთხელ მიპატიებია, მეორედ კი, ორთავ ბაბუას სულს გაფიცებ, სიტყვის შემობრუნება არ გაბედო!

ალექსანდრეს ბალღური თავმოყვარეობა შელახული იყო. მან დედას მიტოვარებით აღვსილი მხერა მიპყრო, დაუსხლტა და გააფხული განზე გადავა.

— დიდება შენდა, ღმერთო, — ყოველივე ამის შემსწრე ქაიხოსრო წერეთელმა ტუჩები აიბზუა, არ იცოდა, გაცინებოდა, თუ ბავშვი მორიდებულად დაეტუქსა და აშკარად დედოფლის მხარე დაეჭირა. ბოლოს ისევ ამ უკანსკნელ გზას დაადგა და ალექსანდრეს ალერსგარეული წყრომით მიმართა: — ეს რა მესმის, ბატონიშვილო, ვანა გეკადრება, თქვენზე ზრუნვით დამამერად შშობელ დედას ასე უპატიურად მოეპყრო? შენ ნუ მომიკვდები, მაგას მამა არ მოგიწონებს. არა, მაგას არავინ არ მოგიწონებს!..

ბიჭს მღულარე ცრემლები ღვარღვარად ჩამოსდიოდა და მაწაწანი მუშტებით იმშრალეზდა.

— მე მამას შევფიცე... — სლუქუნით გამოურევედა დროდადრო. — მამამ და მამარა...

— ჰო, ახლა წადი. დაგავიწყდა, ზურაბი რომ დასტოვე? რა ხანია გიცდის. ფრთხილად ივარჯიშეთ. ერთმანეთს თვალში არ ატაკოთ ხმალი. თუ სიძარჯვეს გამოიჩინეთ, ვნახოთ, ხვალ ან ზეგ შეიძლება ნამდვილი ხმლები დაგირიგოთ და მერე თქვენ იცით!

ბატონიშვილმა ცრემლით დასველებული სახე ასწია.

— ხომ ვრჩებით? ხომ არსად მივდივართ აქედან?

— ვრჩებით, აბა? ვინ გითხრა, მივდი-

ვართო? ჯერ მოდი, სანამ წახვიდოდე, დაიხოქე და დედას ბოდიში მოუხადე!

— არა! — ისევ შეპყარა კოხეზი ბიჭმა.

— როგორ თუ არა, ზრდილსა და წესიერად აღზრდილ ვაჟკაცს აგრე უდიერი მოქცევა შეგფერის? რას გეტყვის მამა, ამას რომ გაიგებს? ეტყვი, გიორგი ბრწყინვალის შვილიც ასე აქცეოდათქო? აბა, დაიხოქე ჩქარა, მოუხადე ბოდიში!

ბიჭს გული ამოუფდა.

— ჯერ პირობა დასდოს, ქაიხოსრო ბიძია... ჯერ პირობა დასდოს...

— რისი პირობა, ბატონიშვილო?

— აქედან რომ ფეხს არ მოიკვლის, სანამ ბატონი მამა არ მოვა და ურჯულოების დასამარცხებლად უხლავა ჯარს არ მოიყვანს. კაცია ბიძია მოლაღობა ვიცი მე! ჩვენ იმისი იმედი არ უნდა ვიქონიოთ. არც როსტომ რაჭის ერისთავის, არც გურიელის! მამა ამათ დაღუპეს, თათარი ამათ მოიყვანეს. უთხარი, ნუ ენდობა კაცია ბიძიას. იმას! ძულს მამაჩემი და ჩვენც ვშულვარო!..

— ღმერთო!.. — დაიგმინა ცვილისფერად გაფითრებულმა მარიაშამა და სახე ხელებში ჩარგო.

ქაიხოსრო გულში ზემობდა. მის და მისი ოჯახის წევრების ცდას ანაოდ არ ჩაეგლო. ბატონიშვილ ალექსანდრეს უკვე ღრმად გასჯდომოდა ძვალ-რბილში ღვიძლი ბიძის, კაცია დადიანის სიძულვილი. ეს სიძულვილი და ურთიერთუნდობლობა ორმხრივ საჭირო იყო. ერთი მხრივ იმისათვის, რომ ოდიშის ბატონის ამპარტავნობას და მეფის მხარეში მდგომი თავადების, მათ შორის წერეთლების, არად ჩაგდებას საჩღვარი დასდებოდა და მეორე მხრივ კი იმისათვის, რომ სიძულვილი და ვაუწყებელი ეჭვი მუდამ ვადაულაზავ ზღუდელ მდგარიყო დადიანსა და იმერთ. მეფეს შორის, რაც მეფეს მეტისმეტად გაძლიერების და ციხიანი თუ უციხო თავად-აზნაურობის უზომო დაყმობა-დამორჩელების საშუალებას არ მისცემდა.

სარდალმა თვალთ ანიშნა დედის

ერემლების დანახვით კიდევ უფრო აღ-
გზნებულ ბატონიშვილს, ახლა მინც
ეახელ, სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნი-
ლი დედოფალი დაამშვიდლო, მაგრამ ამ
დროს ისე ძლიერი გრუხუნო მოისმა და
მიწაც ისე ძალუმაღ იძრა, კირთან ერთ-
ად ჭერიდან როქკი ჩამოცვივდა და წა-
მით სამივეს მოეჩვენა, რომ დაიგვიანეს,
ყველაფერი უკვე დაღუპული იყო.

— რა ხდება, ქაიხოსრო? — იკითხა
დედოფალმა, რომელიც ამასობაში თავს
მოერია და, მიუხედავად შიგ გულში
მიყენებული მოუშუშებელი ჭრილობი-
სა, მთელი ნებისყოფის დაძაბვით აღ-
რინდელი მხნეობა დაიბრუნა.

— ნაღმი დაუდეს კედელს, თქვენო
უმაღლესობავ, გავალ და ახლავე ყვე-
ლაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ!

— ვაითუ მოლაღატე შემოგვივიდა
ციხეში?

— არა მგონია, ღმერთმა ნუ ქნას,
თუცა ახლა კაცი ყველაფერს უნდა
მოელოდე!

— ბავშვები რად იგვიანებენ, რად არ
შემოყავთ?

— წელან მე ვანიშნე, ცოტა ხანს შეე-
ცადათ, თქვენო უმაღლესობავ, მე გო-
ვულ და ისინიც აქ გაჩნდებიან. შენ დარ-
ნები თუ ჩემთან წამოხვალ, ბატონიშვი-
ლო? — თავადი წინდახედულად იქცე-
ოდა, არ უნდოდა, ამ უცაბედი შესლა-
შემობლის შემდეგ დამდურებული დე-
დაშვილი ერთად დაეტოვებინა და მათ-
თვის გულახდილი საუბრის საშუალება
მიეცა.

— არა, ბატონიშვილი აქ ღარჩება,
თავადო, — აღექსანდრეს მაგიერ უპა-
ხუხა დედოფალმა მარიაჰმა. — ჩვენ
ერთად მოვემზადებით გაამგზავრებ-
ლად!

ნაშუადღევს ერთობლივ გადაწყდა,
ხელახლა მოეხმოთ სოლომონის დედი-
სამყოფელის მცოდნე გოგიტა და მახა-
რიაჰა ტიტაძეები, რამდენიმე სანდო კა-
ცის თანხლებით გაეგზავნათ და შეფისა-
გან ციხის დაცლის ნებართვა ეთხოფათ,
მაგრამ მზე რომ გადაიხარა და ციხის
ჩრდილი სხეიტორისა და ჩიხის კალებს

დაეცა, კოროხის ნაკალოვარზე ამოტა-
ნილმა ზარბაზნებმა იმისთანა გრძელი
სებური სროლა ასტეხეს და ცოდვის-
კითხვა დაატრიალეს, აღარავის ეგონა,
თუ ვინმე ცოცხალი ვადარჩებოდა. ხუ-
თი თუ ეჭვსი ჭურვი შიგ ციხეში ჩაეარ-
და, სამი მეციხოვნე და ოთხი ცხვარი
იქვე დაფლითა და ხანძარი გააჩინა. ქა-
ლები აკივლდნენ, ცოტაც გაწყდა, გარ-
რეთ გამოსავარდნად და ახალი ჭურვე-
ბისაგან თავის გადასარჩენად ციხის კარ-
ი არ გააღეს. გაცოფებული ქაიხოსრო
წერეთელი პირიდან დორბლებს ყრიდა.
კარიბჭესთან გაძლიერებული ყარაული
დააყენა და ბრძანა, შუბზე განურჩე-
ვლად წამოეგოთ, ვინც კი კარის გაღებას
და გარეთ გასვლას შეეცდებოდა. ციხე-
ში მხოლოდ სასმელი წყალი ჰქონდათ.
თუ გამძვინვარებული ხანძრის ჩასაქრო-
ბად იმას დახარჯავდნენ, მარჯავს აღ-
გენა ძალზე გაძნელებოდა და ვაითუ
ამას ახალი სიძნელეები წარმოეშვა. სარ-
დალს სახარჯო ღვინით საფეჟ ქვევრები
გახსენდა და ბრძანა, ისინი სასწრაფოდ
მოეხადათ და ხანძრის ჩასაქრობად
წყლის მაგიერ ღვინო ეხმარათ. ქვევრე-
ბი მოხადეს. ღვინოს თუნგებით იღებ-
დნენ და ცეცხლისაკენ მორბენიანებ-
დნენ. ხანძარი შედრკა, აშოშინდა, თან-
დათან იკლო, დაღამებისას კი სულ ჩა-
ქრა. მოდინახეს თავზე ერთიმეორეში
არეული კვამლისა და მათრობელა ორ-
თქლის ვეება ბოლქვები ადლიდა.

— მეტი ლოდინი და ყოყმანი შეუძ-
ლებელია, — უთხრა დედოფალმა მარია-
ჰმა ქაიხოსრო წერეთელს, რადესაც
ახალი განკარგულების შესაღებად ის
მეფის სახლულის სადგომში შემოვი-
და. — კიდევ ერთი ამისთანა აწიოკება
და, ფიცავ ილორის წმინდა გიორგის,
ციხისაგან აღარაფერი დარჩება!

— რას მიბრძანებ, დედოფალო? —
მორჩილად ჰკითხა ხარდალმა.

— მოიხმე აღმასხან თოღაძე და ჩვე-
ნი თავი აქედან გააყვანიე!

— აღმასხან თოღაძე უკვე ციხეში
გახლავთ და დილას აქეთ თქვენი უმაღ-
ლესობის ბრძანებას ელოდება.

— გმადლობ, თავადო ქაიხოსრო. აგრეც ვფიქრობდი. თან წსალები ჩვენ ბევრი არაფერი გავგაინია. რაც არის, ქალებს შევავკრევეინე და...

— რა გადაგიწყვეტიათ, საით ვიბრუნოთ პირი?

— ჯერ გავიდეთ, თავადო, მტერს თავი დავაღწიოთ, ქვეყანა დიღია, გზა გამოჩნდება!

— შე წინასწარ თადარიგს დავიჭერდი...

— წინასწარ ძნელია რისამე თქმა. სანამ სოლომონისაგან სიტყვა არ მომივა, საბოლოო გადაწყვეტილებას მე მაინც ვერ მივიღებ.

— ვეგეც სწორი ვახლავს, მაგრამ... — ქაიხოსრო დაფიქრდა. ფაქროსათვის მას ძალზე ცოტა დრო რჩებოდა, არა და სწორედ ახლა უნდა გადაწყვეტილიყო, ვის კალთას შეფარებოდა, კვლავ ტყე ტყე მოხეტიალე სოლომონისათვის ვერ თგულა, თუ სინდისზე ხელი აეღო და გუშინდელ მოყვარეს დღეს მტრად მოჰკიდებოდა. — ალექსანდრეს ვერ ვხედავ, დედოფალი, — თქვა თავისდაუნებურად. — სად ბრძანდება ბატონიშვილი?

მარიამს ოდნავ გაეხსნა სახე, თვალეზი აუციმციმდა.

— ნინოსთან გამოსამშვიდობებლად გავგზავნე.

— ნინოსთან? — ქაიხოსროს ფიქრი კვლავ სხვაგან იყო. — ვინ ნინოსთან, დედოფალი?

— თქვენს ცოლიდიშვალთან, თავადო, აბაშიძის ასულ ნინოსთან, ნუთუ აღარ გახსოვთ?

— ოჰ, ნინოსთან! — მოაგონდა სარდალს და ნაძალადევად, როგორცაც გატანჯულად გაიღიმა, რადგან გარემოება აიძულებდა, ერთი ეფიქრ: და მეორე ელაპარაკა. — პირდაპირ მარცვრებენ ეს ბავშვები. ბავშვობისა თითქმის აღარაფერი სცხიათ, ისე იქცევიან, როგორც დიდები!

— მაგოდენები რომ ვიყავით, ჩვენც, ალბათ, ასევე ვიქცეოდით, ბატონო ქა-

იხოსრო, ახლა კი აღარ გვაბნოეს და ახალგაზრდების გვიკვირს.

— უთუოდ აგრეც, დედოფალი, მაგრამ გამომშვიდობება ჯერ რა ეჩქარებოდათ, ჩვენ ხომ ყველა ერთად მივდივართ აქედან, ნინოც ჩვენთან იქნება და სხვებიც, ვინც ჩვენს ბედს იზიარებს. აი, ისინიც!

ტალანიდან სიხარულით სახეგაბრწყინებული ბატონიშვილი ალექსანდრე და სწორედ მისი ტანის, მისივე კბილს, კოჭებამდე გრძელ ცისფერ კაბაში გამოწყობილი, დაქანებულ ვიწრო მხრებზე ოქროს დალალებდაყრილი ცისფერთვალეზი გოგონა შემოვიდნენ. მათ ხელი ხელში ჩაველთ ერთმანეთისათვის და ერთმანეთის სიხალგოვით ისე ბედნიერები ჩანდნენ, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდნენ, თუ მათი წრეს გადასული ბედნიერება მთელი დანარჩენი ქვეყნიერებისთვისაც ბედნიერება არ იქნებოდა.

— ახლა თავადისაგან შეგიტყე, რომ ნინოც ჩვენთან ერთად მოდის, ალექსანდრე. შენ რას იტყვი, კმაყოფილი ხარ? — მიმართა მარიამს. შეკის და გოგონას სათნოდ გაუღიმა. — მოდი, ნინო, ჩემთან!

ბატონიშვილს აღმური სდოდა სახეზე. ეტყობოდა, აქამდე სირბლით მოსულყვენენ. ამიტომ გვიან ჩახვდა იმის აზრს, რაც დედამ უთბრა და გახარებული შეხტა, ერთ ადგილზე დატრიალდა. ნინო გაუბედავი ნაბიჯით დედოფალთან მივიდა და როდესაც მან თავისი მსუბუქი ხელი მხარზე დაადო და მიიზიდა, თავი ჩაღუნა და მტრედის ბარტყივით გაიტრუნა.

დედოფალ მარიამს შემჩნეული ჰქონდა, რომ წერეთლები, მეტადრე ქალები, ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ნინოსა და ალექსანდრეს დაბლობას, რასაც შემდგომ, ვინ უწყის, იქნებ სულ სხვა სახე და ხასიათიც მიეღო, მაგრამ ამაზე ფიქრი ჯერ ნაადრევად ჰიანდა და ბალღური გატაცებით რაეჭურდაბვეულ ალექსანდრეს არაფრით ზღუდავდა. დღეს მისი დედობრივი თანაგრძნობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას

იძენდა. რაკი მარიამმა ნინო თავად ახსენა, მასთან გამომშვიდობებაც შეილს თვითვე შესთავაზა და, ბოლოს, გოგონა ალერსითაც მიიღო, არ შეიძლებოდა, ქუთავგონებით სავსე ალექსანდრეს,

წლოვანებასთან შედარებით არაჩვეულეობრივ სიბრძნესა და მიხვედრეობას რომ იჩენდა, სინდისის ქენჯნა არ ეგონო და დილანდელი წინდაუზღდავი საქციელი გულში მაინც არ ენანა.

თავი მეექვსე

გაწვილებულმა ჰაჭიალიბეგმა, თავად წერეთლების კუთვნილ მოღობასის ციხეს თითქმის მთელი ზაფხული რომ გარს ადგა და კალიასავით მოღებულ იათას ხუთასი მოლაშქრით ჰყოფ ამ მხარეს უწყალოდ ძარცვავდა და ატილებდა, მალე მხრობლები აფრინა ქუთაისს და იქ იმერთა მეფეების გარჯით აგებულ, მოგვიანებით კი ოსმალთაგან მოსაქუთრებულ სასახლეში მყოფ თეიმურაზს „შამთან სოლომონის“ ციხიდან უკვალოდ გაქრობის სამწუხარო ამბავი ამცნო.

თეიმურაზს, როგორც გიჟურის ყველა ნაშვიერს, როგორადაც ფაშა გურჯთაგან და აჩიკბაშთაგან გომოხულ მამადიანებს თელიდა, ჰაჭიალიბეგი ყოველთვის ზემოდან დაჰყურებდა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, თეიმურაზი, სულთნისა და ვიზირ-აზამის სახელით აქაურობის უპირველესი გასაგებელი, მაინც სულთნის სერასკიარად ითვლებოდა და ძველ ქარისკაცსაც, ვისთვისაც უფროს-უმცროსობის სავალდებულო კანონი ყველაფერზე მაღლა იდგა, მისთვის ანგარიში უნდა გაეწია.

ციხიდან გაპარულ სოლომონს, ფაშა ჰაჭიალიბეგის აზრით, ორად ორი გზა ჰქონდა: ან პერანგას უღრან ტყეებში უნდა დამალულიყო და შემდეგ ქართლში გადასასვლელი გზები ეძი, ანდა დროებითი ბუნავის მოსაწყობად რაჭა-იმერეთის ტყიანი, ხევხუვეზოთ დაღარული მწელიად მისადგომი ქედრ გამოეყენებინა. მოულოდნელმა და ფრიად საინოთირო მხხვერპლმა, იანიჩართა ასეულს ტყეში გაცვენილ მეობრეთაგან

ჯრუჭულის წისქვილებთან რომ მოუფოდა, ქეპა თავისი მეორე ვარაუდის სისწორეში დააარწმუნა.

საქმე რომ გონიერულად ასწონდასწონა, ჰაჭიალიბეგი კმაყოფილიც კი დარჩა, პერანგას ტყეების გზით ქართლში გადაბარგებას და გიჟურ მეფე ერეკლესთან აშკარა დაკავშირებას სოლომონმა რომ ხაპირისპირო მხარეს წასვლა და ქვეყნის შეუგულში თავის გალიაში გამომწყვდელა ამჯობინა. როდემდე უნდა გაეძლო იქ დადგებოდა თუ არა ზამთარი და მთებში ორ ადლთოვლს დასდებდა, რაჭა-იმერეთის ქედზე ყოველგვარი მიმოსვლა შეწყდებოდა და სიცივისა და შიმშილის შინით იქ არამტეთ კაცი, ნადირიც კი ვეღარ გაბედდავა გაჩერებას. თუმცა ამაზე ბევრად უკეთესი დღე სოლომონს არც მაშინ ელოდა, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ რომ დაეხია და ქართლში გადასულიყო. ჰაჭიალიბეგს უშუალოდ ახალციხიდან, რაბათიდან მიღებული უტყუარი ცნობები ჰქონდა, რომ თავისი გადაუდებელი საზრუნავით გართულ, ყელამდე საჭოკმანო საქმეებში ჩაუჭრულ მალაგებულ ერეკლეს ალა სოლომონის გამოსასარჩლებლად არ ეცადა.

თეიმურაზ მეფის აღსრულების შემდეგ, ბავგრატიონთა კახური შტოს კროქაში მდგომმა ქართლელმა დიდებულეებმა იმდენი ჰქნეს, რუსეთს გადახვეწილი და იქვე მიწას მიბარებული ვახტანგ მეფის უკანონო ვაჟი პაატა ბატონიშვილი იწინამძღვრეს და ერეკლეს კარზე შეთქმულება მოაწყეს. შეთქმულება ახალციხის ბეგლარბეგ ჰასან-ფაშას ფა

რული ხელისშეწყობით უზადდებოდა. გაერთიანებული ქართლ-კახეთის ტახტი, ერეკლეს შერე, რუსეთში დიდხანს ნაცხოვრებ, მაგრამ იქაურობის უზომოდ მოძულე პაატა ბატონიშვილს უნდა მიეღო, სულთნის ერთგულებაზე დაეფიცა, რუსხელმწიფის საქმეთა რწმუნებული კაპიტანი ლეოვი სატახტო ქალაქიდან გაეძევებინა და ტფილისისა და გორის ციხეები ოსმალთა შეციხოვნენ ჯარისათვის დაეთმო.

ეს ის იყო, რასაც ნადირ-შაჰის მოკვლის შემდეგ კონსტანტინოპოლი ყოველი ღონით ცდილობდა, მაგრამ განზრახვის შესრულებას წინ თეთრი ვეშაპის ერთგულებაზე კიპოპტრილი ერეკლე ელობებოდა და ტახტის მამებელთა გაუთავებელი შინაბრძოლებით დასუსტებული სპარსეთის უნი-თობის გამო თავის ძალასა და ძლიერებას კავკასიაში დღითიდღე ამტკიცებდა.

უკეთეს შეთქმულნი შეფებს სძლევდნენ და ისინი სასახლე მათ ხელში აღმოჩნდებოდა, პასან-ფაშას საიდუმლო რაყუმის თანახმად, ბეგლარბეგის ბეჭდით დალუქული პირადად რომ მოუვიდა, ფაშა პაჭიალიბეგს ოთხი ათასი კაცია ჰქრათხევი უნდა გადაეცლო და ვიდრე პაატა ბატონიშვილის მიერ გამოგზავნილი ჯარი აქამდე მოაღწევდა, გორი და მისი ციხე დაეკავებინა. სიფრთხილეს თავი არა სტკიოდა. მას შემდეგ, რაც ერეკლესეულ ტახტზე ავიდოდა და ქვეყნის ყველა სადავეს ხელში დაიჭერდა, პაატა ბატონიშვილს, როგორც წინათაც ხშირად მომხდარა ხოლმე, შესაძლოა, ტვინი გადაბრუნებოდა და წინასწარ დადებული ყველა პირობაზე უარი ეთქვა.

დღი სიფრთხილით, ყოველგვარი წერილმანის გათვალისწინებით მომზადებული შეთქმულება სამშვილდელმა გლეხმა დათუნა ფიქარმა გასცა. ქეშიკებმა სასახლეს ალყა შემოარტყეს. ერეკლე იმანაც იხსნა, რომ ქეშიკეთხუცესი ჩოლოყაშვილი, უერთგულესი კაცი, ამ დროს სასახლეში იყო და ქალაქში დაბანაკებული ჯარის დახმარებით მან შეთ-

ქმულების უკლებლივ ყველა მონაწილის დაპატიმრება და დილუგში ჩაყრა მოახერხა.

პასან-ფაშა იძულებული გახდა, მეფე ერეკლეს წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში თავისი მონაწილეობის ყოველგვარი კვალი წაეშალა და განზე გამდგარიყო. დღეს არავინ უწყობდა, რა ბედი ეწიათ შეთქმულთ, ვის ასახელებდნენ ისინი თავიანთ თანაზონაწილედ, მაგრამ თქმა არ უნდა, სიკვდილს ბეწუზე გადარჩენილი ერეკლეს შეწყყნარებლობის იმედი არავის უნდა ჰქონოდა.

პაჭიალიბეგმა თემიურაზს წერილობითაც ურჩია და სიტყვევრადაც შეუთვალა, ახლავე დაეყენებინა ფესზე თავისი საყვარელი სიმამრი, რაჟის ერისთავი როსტომი, და რაჟის მზარეს იმერეთიდან გადამავალი ყველა გზა და ბილიკი შეეკრა. სოლომონი მანდ იმარება, თან თითქმის არავინ ახლავს, გადაცმულია და სანამ ვისმე გაბრწყინდეს და ძალას მოიკრებდეს, პაჭიალიბეგს უნდა ეტაცოთო, არცთუ უსაფუძვლოდ ირწმუნებოდა სოლომონისაგან ეს მერამდენედ შერცხვნილი და პირში ჩალაგამოვლებული პაჭიალიბეგი. თავად გადაწყვეტილი ჰქონდა, მოდინახის მოალყე ჯარი ხუთას კაცამდე შემეცირებინა და დანარჩენი ათასი კაცით სოლომონისათვის საწერეთლოსა და არგვეთის სოფლებთან დამკავშირებელი გზები გადაეკეტა.

პაჭიალიბეგი გამოცდილი სარდალი იყო და ხედავდა, რომ ტყეში თავშეფარებული სოლომონის ხელში ჩასაგდებად და იქ წარსადგენად, საღაც ჯერ არს, ბევრად მეტი ჯარი სჭირდებოდა, ვიდრე მას შეეცადა. ამიტომ უფრო გადაწყვეტი ნაბიჯის გადადგმას, ჯარითურთ ტყეში შესვლას და მტრის კვლის იქ ძებნას, სხვათა დუხმარებელ დერ ბედავდა. ვის, რომელ მეგზურს ცნობოდი? ვინ იყო იმის თავდებო, რომ მეგზურს თავად სოლომონი არ გამოგიგზავნიდა და ჯარს იმისთანა ყრუ ადგილას არ შეგაყვანიებდა, საიდანც ცუცხალი თავით ველარაგის გამოიყვანდი?

წესში, როსტომ ერისთავის კარზე, ბატონი გვირგვინოსანი სიძის, თეიმურაზის, განკარგულებამ, რომელიც მან პაჭია-ალიბაგის ცნობისა და რჩევის საფუძველზე მიიღო, ამაღლება დღეს მიადგინა. ერისთავის მრავალრიცხოვანი სახლეული, უკლებლივ, დილას სადღესასწაულო წირვას დაესწრო ბარაკონის ტაძარში, აქედან კი, დადგენილ ზვეულებსამებრ, სტუმრებმაც და მასპინძლებმაც სუფრაზე გადაინაცვლეს და პურობა გააჩაღეს.

როსტომს მოყვრული ძღვენი მოუვიდა ოდიშიდან. დისწულ კაცია დადიანს ეს ძღვენი ჩიჩუასა და ფაღავასთავის გამოეტანებინა და დიდებულ ბიძას, სტრატიატასა და ვიპატოს როსტომს, ბატონსანი და ცხოველშყოფელი ჭვარის ამაღლებას ულოცავდა.

ნამუადღევს ახალგაზრდები სხიერის გვირგვინზე წასვლას და იქ უამის გათენებას აპირებდნენ, სასურველი ოდიშარების მობრძანებამ კი ეს აურცილი კიდევ უფრო განამტკიცა და ურიგო როდი იქნებოდა, თუ საპატიო სტუმრებსაც თან წაიყვანდნენ და ძველ წაბზართულ ხატობაში მონაწილეობას მიადებინებდნენ. თავად ფაღავას ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მხოლოდ კაცო ჩიჩუა ითრედა ფეხს და სხვებისაგან შეუშინებლად ცდილობდა, თუნდაც რამდენიმე წუთით რაკის ბატონთან მართო დარჩენილიყო.

თეიმურაზისაგან მალემსრბოლის მოხელამ და ფიცხელი განკარგულების მოტანამ უველას ცივი წყალი გადასხა. მაშ, სოლომონი, ერისთავთა სახლის დაუძინებელი მტერი, ომში დამარცხებულ-დამდაბლებული და სულთნისაგან შერისხული, ამკამად რაკეში იყო და მისი შეპყრობა და მართლმსაქულების ხელში გადაცემის პატივი წაღად ერისთავი შეიღებს უნდა ხვდომოდა?

— ნუ ჰქარობთ, შვილებო, — უთხრა შეფიქრანებულმა როსტომმა ვაჟებს,

უპირველეს ყოვლისა გვირგვინი და ნაბერალ მეთოდეს, რომლებიც უკვე მზად იყვნენ, შამის ნებართვის მიღებისთანავე იარაღი აესხათ და გვირგვინოსანი სიძე-ბატონის განკარგულების შესრულებას შესდგომოდნენ. — ეგ საქმე ასაწონ-დასაწონია, ვადროვოვ, ენება ღმერთმა გადმოგვხედოს და ჩვენ ჩაურევლად მოგვარონ.

— რატომ ჩვენს ჩაურევლად, ბატონო მამა? — იწყინა მეთოდემ და მხარდაჭერის პოვნის იმედით ძმებს ქორული მხერა მოავლო. — მტერი კარზე მოგვედგომია და სხვას ვაცალაჲ მისი მოშობა? მერე სირცხვილით თავი სადღა გამოგვეყოფება? შენ რაეარც გენებოს, ბატონო მამა, გენებაეს, გაის ამ დრომდე მოიცადე, მაგრამ მე ჩენდათა ვად ხვალვე ორას ცხენოსანს ვიახლებ, მეტი არ დამჭირდება, და შვიგანას მივდივარ. მე ვიცი, ის ვაებატონი სადაც აფარებს თავს. ეტყობა, აქ წულუკიძეების და აგიაშვილის იმედით არივოდა. ენახოთ ერთი, ბადიდან რაეა დამიძვრება. ვინც ვაეკაცია, წამომყვეს!

როსტომი აიძვრა, აიძრა, სისხლი საფეთქლებზე მოაწვა და სახე უჩაქლივით გაუხდა, როგორც ყოველთვის მოსდიოდა ხოლმე განრისხების ეამს, მაგრამ თავს ლაგამი ამოსდო, უცებვე იაზრა, რომ ის დრო აღარ იყო, მას რომ ახსოვდა, დაგაეკაცებულო შვილების სურვილს ასე იოლად წინ ვედარ აღუდგებოდა და შემპრიგებულურ კილოზე შენიშნა:

— მაცალეთ ერთი დღე. ხვალ დილა გათენდება და ან ასე ვიზამ, ან ისე! ერისთავიშვილებმა მხრები აიწურეს, აბილბილებულ მეთოდეს თვალთ ანიშნეს, გაიწმლიო და შეწყვეტილ ლხინს მიუბრუნდნენ.

მობუცებული ერისთავი საგონებელში ჩააგდო კიდევ ერთმა ახალმა ამბავმა, რომელიც სრულიად საიდუმლოდ ჩიჩუასაგან მოისმინა: კაცია დადიანი

თავის ნაწულიერ თანამეცხედრებს, აფხაზეთის მთავარ შერვაშიძის ასულ ელენეს, საეკლესიო წესით გათვრსებოდა და მეფე ერკლესთან დამოყვრება გადო ეწყვიტა. ერეკლეს და, ელისაბედი, კაციანზე თითქმის ათ-თორმეტი წლით უფროსი, უკვე ხანშიშესული ქალი, თავად დიმიტრი ამილახერის თახაყეცხედრე იყო, მაგრამ პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში გარეული ამილახერი და ბატონიშვილი ელისაბედი გნრისხებული მეფის ბრძანებით ტვიღულ მიტროპოლიტს გაეყარა და ამილახერის ნაცოლარს დღე-დღეზე ოდიშის მთავართან უნდა ექორწინა.

— ეს რა საკადრისია? რა გადაუწყვეტია ჩემს ძვირფას დისწულს? — გოროზად იკითხა უფრო იმით გაბოროტებულმა ერისთავმა, რომ ყურისძირში ამისთანა მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა, ლამის მთვარე და ვარსკვლავები მიწაზე ჩამოეღოთ და მას ყველაფერი ყველაზე გვიან, ისევ სხვებისაგან უნდა შეეცყო. — სრულ კუთაზე?

— ძღვევამოსილ ერეკლესთან, თქვენს მეგობარ და მწყალობელ მეფესთან, დამოყვრება ვგონებ ურიგო ხბიჯ არ უნდა იყოს, ბატონო როსტომ. — ქლესური დიმილით და თავისებური რბილი, შემპარავი ხმით უპასუხა კაცო ჩინუამ. — ბატონი კაცია იმისთანას არას იქს, ასჯერ არ გაზომოს...

— ეს არის, ვეყო, ასჯერ გაზომვა, აფხაზეთის მთავარი რომ ნაპუდნოდ გადაიყიდა? — კვლავ გოროზად ბეაწყვეტინა ერისთავმა და თავა ძღვეს შეიკავა, რომ არ ეთქვა, ენა ძეცელში ჩაივღო, შე გატლავილო, წადი, მესხ ტოლი ნახე, მე რა მჭირს სხვისი სამოწყალოო. — მაგათ ახლა რაღა შეარიგებს:

— აფხაზეთის მთავარი, თავად ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ბატონო როსტომ, არც ისე საშიში ძალაა, რომ...

როსტომს ზიზღი მოეძალა, უკვე მზად

იყო, ამ არამზადისათვის, კინერში ხელი ეტაცა და თავუკულმა კიბეზე დაეგორებინა.

— სვინდისი, კაცო, ნამუსი? — ჰკითხა ამის მაგიერად.

თავადმა ჩინუამ გაიღიმა. წათამამდა და ცოტათი თვალიც ჩაუკრა.

— თქვენგან არ მივიკვრს, ბატონო როსტომ? როცა საქმე სამთავროს ან ტახტის ბედ-იღბალს შეეხება, იქ სვინდის-ნამუსზე ვინ-ღა ლაპარაკობს!

ერისთავმა თავი ჩალუნა, ენა მოიკვნიტა და გაჩუმდა. მიხვდა, ეს ქლესა არამზადა სადაც უკაცუნებდა.

— მაშ, ეგ ვინდოდა ჩემთვის გაგმხილა? — თვალბის აუწვევლად იკითხა მცირე დუმილის შემდეგ. — რაღა დოგვიმოლო, ჩემს ძვირფას დისწულს გვიან გავხსენებოვარ, გვიან გადაუწყვეტია, რჩევა ეკითხა.

— უეცრად მოხდა ყველაფერი, — იტრუა კაცო ჩინუამ და შეეცადა, ამით თავისი პატრონი გაემართლებინა. — ბატონ კაციას თანამეცხედრესთან უკმაყოფილება კი ჰქონდა, მაგრამ...

— რა მაგრამ? თქვი, რაღას ჩუმდები!

— არ ეგონა, თუ დედაცო აიწყვეტდა და ამდენს გაუბედავდა...

— რა გაუბედა მაგისთანა?

— საყვარელი გაიჩინა, ბატონო!

— საყვარელი გაიჩინაო? — როსტომ ერისთავი აიფოფრა, წინ მთასავით წამოვიდა. — ცოდვას ნუ ჩადიხართ ნურც შენ და ნურც შენი ბატონი! მატროსან ქალს, ოჯახის ალაღმართალ დედას, ლაფში რისთვის სერით, იმ საბარლო ელენეზე ენა რაობით გიბრუნდებათ, ღმერთის აღარ გეშინიათ?

კაცო ჩინუას როდი ეგონა, თუ ერთ-თავად საკუთარ საზრუნავზე გაფაციცებულ ერისთავს ოდიშის ბატონის სასახლიდან აფხაზეთის მთავრის ასულის სამარცხენოდ გაძევება ეგოდნ აღამფოთებდა, თავისი სიტყვების მნიშვნელობას ახლადა დაუფიქრდა, გულში

ლმერთს შეევედრა, სხვის ცოდვას მე
ნუ მომკითხავ, შენი სახელის ჭირიმეო
და ხმაალლა კი ესა თქვა:

— მე რა ვქნა, ბატონო როსტომ, ბა-
ტონ კაციას, თუ თავი არ მოსძულდება,
ვენ გაუბედავს, ეგ საქმე აგრე კი არა,
ასეაო. ის ბატონია და ჩვენ ყმები ვართ!

— დაგასხით თავსლაფი! — როსტო-
მმა ხელი ჩაიჭნია და განზე გაიხედა,
მაგრამ ისევე მალე მობრუნდა. — წამ-
ხდარ საქმეს ახლა აღარაფერი ეშველე-
ბა, — თქვა შეცვლილი ხმით. — რაც
მოხდა, მოხდა. აწი მინც უნდა ვატა-
ნოთ გონი საქმეს. ისე კი, მართალი გი-
თხრა, ვერ წარმოვიდგინდი, თუ ბატო-
ნი მეფე ერეკლე დღეს საჩისოდ მოი-
ცლიდა. ტფილისიდან ერთმეორეზე
უარესი არეული ამბები მოდის. ერთი
თქმა ისიც ქვე თქვეს, პირი ქვისკენ მი-
ქნია, ნამგზავრი და ქანცაწყვეტილი
მეფე თავის საწოლში მოუკლავთ შეთ-
ქმულებს და იქაობა ისეა არეული, ძა-
ლი ბატონის ველარ ცნობსო. მეტი რა
უნდა გადამთიელ ლეკსა და ათას სხვა
მამაალას! შევეწუხდით, რაც მართა-
ლია, მართალია. გულზე ლახვარად და-
გვესო ეს უკუღმართი ცნობა. ვინ იფი-
ქრებდა, თუ... ეხუმრებები შეხ? ბიჭებს
წასვლა უნდოდათ ჭარით. ან მე რაღა
დამაყენებდა. შევიკაზმეთ, სამი ათასი
კაცი კიდევაც შევეკრიბეთ. გზას უნდა
გავდგომოდით. დილაუთენია ბატრები
მოვიდნენ გორიდან და იმათ მოიტანეს
ნამდვილი ამბავი. მეთოდემ. ენაცვალოს
მამა, მინც არ დაიჭერა. ძლივს დაიყუა-
ბულეთ და ცხენიდან ჩამოვსვით. ღმე-
რობი ნუ შეგვასწროხ იმ შავ-ბნელ
დღეს, ღვთის რჩეულ ბატონ მეფე ერე-
კლეს რომ მტერი მორეოდეს, წინაური
თუ გარეული, და მის დიდებულ ტახტს
გაფუთხანნი დასეოდეს! შენ ეს მიბრ-

ძანე, კაცო: როდისთვის არის ჯვრისწე-
რა და ქორწილი დანიშნულნი? უკუწუქსა
ნებაგამოკეთებული და გამხხვევებული
როსტომ ერისთავი ისევე საუბრის მთა-
ვარ საგანს დაუბრუნდა.

— მთავარანგელოზობის პირველ სამ-
შაბათს, ბატონო როსტომ, — გაიბადრა
კაცო ჩიჩუა. — დაბატყებულა ბრძან-
დებით სახლეულით და ყველა მოკეთ-
ით. ბატონმა კაციამ ყელე განოგონია
და ასე შემოგითვალა, რომე, არ შემა-
რცხენო, ბიძია, ამ ერთხელაც მხარში
ამომიდექი და მერე მე ვიყოფე და შე-
ნმა პატევისცემამო.

როსტომს ესიამოვნა დაფასება, სახე-
ზე ღმილი მოეფინა და დიდროს ქა-
ღარა უღლაშებზე ხელი გადაისვა.

— რა გაეწყობა, მოვალთ და დავამ-
შვენებთ, თუ გარემოებამ ხელი არ შეგ-
ვიშალა. არეული დროა. ზადლობა
ლმერთს, შენი ყურით გეგონე, რასაც
ქუთაისიდან გვატყობინებენ და გვიბრ-
ძანებენ. რა ვქნა, კაცო ბატონო, აქეთ
მარიამის ხატრი მისიეებს გულს. რაც
უნდა იყოს, ისიც კაციასავით დასწუ-
ლია ჩემი, სისხლი და ხორცი. იქნება
არც კაციას უხაროდეს გულში მისი. სი-
ძის, დისა და დისწულების ასე გამეტე-
ბა. გინდა დამძრახე და სულმოკლე კა-
ცი დამიძახე, აღარ მინდოდა, უბედუ-
რი სოლომონის საქმეში გავრეულიყა-
ვი, იმან მიიღო, რაც ეკუთვნოდა, მაგ-
რამ რა ვქნა, თავად არ ისვენებს, თა-
ვისას არ იშლის, ვერ ამოიღო გული-
დან ჩემი და ჩემი შვილების შეუღლი.
რაც სულწაყმედელი მამა იყო. ის შეი-
ღლია არადა, მარჯვენას გეფიცები, მამ-
წყინდა ამდენი ძალთაპირობა და სის-
ხლისღვრა. აწი რაღა დროს ჩენი ომი,
კაცო ბატონო, მზის გულზე უნდა ვიჭ-
დე და ბებერ ძვლებს ვითბობდე. ეს

თხერი მტერი მაინც მტერია და თუ იქით არ მიუხედავად, კი არ გიხატებებს, აქეთ მოგინტება და ჭერს თავზე ჩამოგაქცევს! აგრე არ არის?

— აგრე განლაგეს, ბატონო როსტომ, ქვეშაირიტად აგრეა, — ხალისიხად და ეთანხმა ვაცო ჩიჩუა. — სოლომონისაგან დიდი ვნება და ზარალი მოგვადგა, გავლარობდით, ორი გროში საქმეები გაგვიხდა. მეფეს ვინ ეკითხება, ბატონო, გავყიდი ჩემს საკუთარ ხმას, თუ მწვეარ-მეძებარზე გადავცვი, საქმე გამოვლია, თუ ღმერთი გწამს? მაგის ძაღლებს შიშით იმერეთში გზად ვე-

ლარ გამოგვევლო და ბატონისა შრომით შეძენილი ტყვე ველად გავგვიყიდა. გაგონილა, ბატონო? ქვეც გადაგვიყიდა თათარი, ცხვირიდან ძმარი გვადინეს. ვისი გულისთვის? სოლომონის... საცოდავი გვანიში ქაჯია რომ გამახსენდება... დასაგლავი ხარივით ბლაიდა თურმე...

ერისთავი ისევე ფიქრში წავიდა, ინევე მოეძალა ზიზლი და გულაცრუება, ხანში შესვლასთან ერთად რომ დასჩემდა და სიცოცხლეს უმწარებდა. რა ელონა, რა პასუხი გაეცა ხელ ჩახმახივით შეწყობული ბიჭებისათვის?

□ ბაზრეილია იმედა □

ზურაბ ლორთქიფანიძე

ზურაბ ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 60 წლისთავი შეუსრულდა. ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია ულოცავს მას ამ ხაიუბაღლო თარიღს, უხურვებს პოეტს დღეგრძელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს საბჭოთა ლიტერატურის საკეთილდღეოდ.

პირველი წიგნის განხილვა

რაც უნდა იყოს, პირველი წიგნი
სულ სხვა თრთოლვება, სხვა სიყმაწვილე:
მის მეოხებით — თვალგახსნილი
სამყაროს ეშხი გავინაწილე.

პირველ წიგნს ამკობს მთა-ბარის ნამი,
თავთვდახრილი ქერი და ჭვავი,
მიწა კვლავ ჭერაც დაუკაწრავი,
ზეცა კვლავ ჭერაც დაუხარჯავი.

ბედმა ბუნების მეჭლის შეწყაბა,
ტანს მაცვიოდა სხივთა ღერლილი,
და დამახვედრა მე ეს ქვეყანა,
ორი დღით ადრე ტანშეღებლი.

ეს მზე და მიწა მეგონა მაშინ,
არა უმეტეს ჩემი ხნისანი,
ასევე მტრობაც — ბნელეთის გარჯა,
ეს ვარსკვლავებიც ნორჩად ვიცანი.

მოჩანდა ია და ლურჯი ზეცა
გამომეღავენებად ოდნავ მორცხვობის,
და მიტომ ტანზე ლურჯი ცა მეცვა,
და ვაფასებდი ციურ მოძღვრებას.

მოხიბლულ ვიყავ ასეთ არეთი
გული მიძღვედა ნაბიჯის ვიზას...
მე იმ პოეტებს შევიყვარებდი,
წუთისოფელი ასე სწამს ვისაც.

• • •

მაღალ ფილტრებად ჩალაგდენ წელნი,
მღვრიე მდინარე გზად ვიფილტრები,
ფიჭობ ადენხანს როგორ გაეძელი
სუსტი გულით და სუსტი ფილტვებით.

ამდენი წელი?

ვისიც არ უნდა იყოს ის ქვეყანა!..
მით უფრო ჩემთვის გამოდგა მწველი
მე ყოველი დღე მზარავს და მცეცხლავს.

ყოველი წამი მზარავს და მღეკავს,
შემომიკიდებს ალს ჭოჯობეთის...
სულ იშვიათად და ისიც იკვით
მომფენს სახეზე ნათელს მოხეთქილს.

არ მავიწყდება მტანჯველ-ტკბილ გზაზე
ვინ გამიღიმა, ვინ იყო მხსნელი,
ვისით სივრცენი მივხაზ-მოვხაზე,
ვინ შემამგელა გრძნეული ზელი...

ამდენი ელდა, ღელვა, ზვირთები,
თუ მოთავსდება ჩემს განვლილ წლებში,
ეს იმას ნიშნავს კავკასის მთები
შემოვიყვანო ჩემს ოთახებში.

წლებო ზვიანო, იცით რას გირჩევთ,
თუ მოხვალთ, მოდით უმძლავრეს
სხივით,

ყველა ჩავლილი წლების ჭინაზე
გადამეხვეთ გზაზე ვეფხვივით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ არსებულან ბაყბაყდევები,
მით ირყეოდნენ გიგანტი მთები,
ამაში ვერვინ შემედავება —
შეგხვდავ, მთელი სიღრმით ვრწმუნდები

ზეცას სანთლებათ შევეღვენთები,
ოცნების თქორად გამფანტოს ქარმა,
რომ არსებულან ის ქალღმერთები,
შენი შერხვეის შეხედვაც კმარა.

რომ არსებულან მზისტივინიანი
პომეროსები, რუსთაველები...
დაგვთოვეს სიტყვა თვირთვილიანი,
სიტყვების ტყეებს ველარ ვერევით.

ეს აამაყებს ამ დედამიწას,
და ეს აღზნების მიზეზათ ექცა —
და სიყმაწვილეს ტანზე ვერ იძრობს.

ჩემთან ხარ...

ჩემთან ხარ, ჩემთან ხავერდის ვარდი,
ხაოიანი და კიდევ რაღაც.
შემოტრიალდი, ვარდით შეღებილ
ბალად მიქციე სივრცენი, ბალად.

ჩემთან ხარ, ჩემთან, ნელა ირწევი
ჩემი ფიქრების მლეღვარ ჰამაკში,
და ტანის შენის გამოკრთის ეღვა
სურნელოვანი თმების გაშლაში.

მაღალ ცას ვეტრფი მუხლზე დაცემით
ლოცვით, ვედრებით.
ვეძებ, არ მიშვებს ახლოს ის „რაღაც“
ისევ ვღონდები, ისევ ვხელდები.

მზის ბუსუსიან ბურუსში ცურავ,
ვარდისფერ ხელით მომხატ-მომხატე-
სიზმარში ცხენმა ქიხენ-ქიხენით
ჩამომიქროლა შმაგი სიცხადე.

გამოვადვენე თვალითა ისარი,
მაგრამ იღბალი ცეცხლზე მტკეარს
მისხამს.
თვალის უმაღლეს მიპქროდა რაში,
მოგაქროლებდა შენდა ჩემს სიზმარს.

წაილო შორეთის ნიაგმა თმები,
ხმათა ხავერდი ყვავილებს გაჰყვა,
წავიდა შენი ხატება წმინდა
და არ წასულა ის მწველი რაღაც.

სიყვარულს უჭირს ამოსვლა ცოტა...

I

დროის ნოყიერ დედამიწაზე
ვთესავ სიმართლეს — მტრებს ეხვევა გველეშაპებად.
ვთესავ სიამეს, —
სივრცეებს გაწვდეს ყელი ყელზე გადაქდობილი.
ვთესავ მხნეობას — უხილაეი მშველის ძალები,
ვთესავ ია-ვარდს — იღებება ცა მეწამულით.
ყველაფერს კარგი ამინდი უდგას:
სიყვარულს უჭირს ამოსვლა ცოტა...

2

ხარ ანთებული სილამაზის ასანთის ღერი,
 ასანთის ერთ ღერს შეუძლია მსოფლიო დაწვას.
 საშიშარი ხარ და შიშით ვმღერი:
 — ზეცავ! დავეშვი ჩემს თავზე თავსხმა;

3

აიშოლტები, ტანთ იცილებ ოქროვან მარცვლებს, —
 ნუ, ნუ იცილებ ჩემ ცხელ ფიქრს ტანზე,
 უშენსხეულოდ, უშენსულოდ იგი ვერ გაძლებს

4

ძნელი ყოფილა მეგობრობის ლამაზი ტვირთი,
 წერილში გული შეუხვდევ, მაგრამ მოტყვილდა.
 ნაღველ-ნარევი მგზნებარება შუბლზე გადაგდის,
 დახვალ და თითქო იმ დაკარგულ გულს ეძებ, ეძებ,
 ფერად მიწიდან ფერად ცაათმდის.

5

მაინი მოვიდა,
 შეგხედა,
 გაფითრდა...
 კლდეს ეცა,
 გაფოთლა.
 და ცისარტყელების მაკრატლით გამოკრა
 შენს ტანზე საკაბე სიყვარულის ფერისა.
 და მერე დალონდა:
 რა უნდა
 მეშველოს
 წასვლისას.

6

შენ გაშიშვლებენ ჩემი თვალები,
 ნისლის სამოსელს ტანთ გხდის ანგელოზს.
 რომ დაგინახო თმებ ჩამოღვრილი
 მარადისობის ოდენ სხეულზე.
 გარს ნადირით დაგტრიალებდეთ,
 სულში ჩაგიძვრა ტკბილი ბუღბუღი —
 აღუბლისა და აბალ ტარხუნის
 ნაზ შეერთებას.
 თავით ფეხამდე ჩაყოლებული
 კოცნის კოცონი შემოგიკიდო,
 შენ გაშიშვლებენ ჩემი თვალები,
 მარადისობის გავსინჯო გემო.

საუკუნენი მოაფრიალებენ

თბილისის
ნიკოლოზის

საუკუნენი მოაფრიალებენ
 სხვადასხვა მოსასხამებს:
 შინდისას,
 ბინდისას,
 მინდერისას.
 მოაფრიალებენ
 და გვერდით ჰყიდებენ
 ჰაერის ლურსმნებზე.
 მალიზიანებენ
 ვნებით და სილამაზით,
 ტანზე მახოშვებენ,
 მაგრამ ვინაა?..
 საერთოდ მაშინებს
 ოქროთი შექმნილი სიბარული.
 და ასე
 არცერთი
 ტანს არ მომერგო.
 და მიაფრიალებენ
 გაბრაზებული საუკუნენი
 ლურჯ სივრცეებზე მოსასხამებს:
 შინდისას,
 ბინდისას,
 მინდერისას.



ნოღარ ჯალალონია

კველი კოლხეთის ჰანგები

ფოლკლორის მობივანეზი

ღ რ თ

ღროვ, ყველაფერი შენ გაბარია,
წარსული, აწმყო და მომავალი.
ყველგან შენი ხმა, შენი თვალია,
შენი კვალი და შენი ნავალი.

ღროვ,

ეს შენ

ერთადერთი

მოწმე ხარ

სამყაროს როგორ ჰქმნიდა ბუნება,
შენ ნახე მზისგან მიწის მოწყვეტა,
მიწის პირველი შემობრუნება.

შენ გახსოვს მართლაც გასაკვირველი,
(ზეცის გახსნა და ცის გამოთვლება).
ეს შენ გინახავს ღამე პირველი,
და იმ პირველი დღის გათენებაც.

გინახავს კაცის შექმნა თიხიდან,
და ის პირველი ცოდვეც კენის.
და ისიც ნახე ვით გაიყიდა,
ის მიწა, წყალი, ცა და ჰაერი.

შენ არაფერი არ გავიწყდება,
არც სიკეთე და არც ბოროტება.
თუმც ყველაფერი შენით იწყება
შენ არასოდეს არ ბოლოვდება.

მიედინები უსასრულოდ და
ყველას,

ყველაფერს წინ შენ მიუძღვი.
იცი ვინ შეეცდა, ვინ საღ ტყუოდა,
ანდა, ამაგი ვის საღ მიუძღვის!

მხოლოდ შენ ძალგომს იმის გაგება
ვინ ქვიშა არის, ანდა, ვინ წყალი.
შენთან არავის არ ეკარგება
წვეთი ოფლი და სისხლი მისხალი.

შენ ხარ მსაჯული მტყუან-მართლის,
შენ არაფერი გრჩება უთქმელი.
სწორი

მხოლოდ შენ

გაქვეს სამართალი,
ხარ პირდაპირი და პირუთვნელი.

ღროვ, შენ არავის ეპირფერები,
და იცი ფასი შენი თავისა.

არც მკვდრებს, არც ცოცხლებს არ
ეფერები

და ყველას უზღავე კეთვნილს თავისას.

პარღის კჳრი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— იმისი ვარ! — ამბობს ვარდი, —
სილამაზე ვინც იწამა.
ვინც დატყება ჩემი ამბრით,
არ მომწყვეტს და ისე წავა.

ჩემი ფასი ვინც კი იცის,
ვით მაკადრებს ხელის ხლებას.
შორით დნება, შორით იწვის,
შორით თვალით მეფერება.

პაჳკაციის სიტყვა

თუ ვაჳკაციის გული ვიღვებს
და კაცური სიტყვა ვითქვამს.
უნდა სახელს გაუფრთხილდე,
გაუფრთხილდე ნათქვამ სიტყვას.

თუ ნამდვილად კაცი გქვია,
ქარს ჯაბან სიტყვებს განა?
ღმერთს

ენა არ მოუცია
მარტო დროის გასაყვანად.

რად ვინდა

რად ვინდა ვინძი, თქრო, იღმბი,
თუკი სიყრთეს ვერ მოახზარე.
რად ვინდა სიტრფო, ქალღ ლამაზი,
თუ სხვის გულსა და თვალებს აბარებს.

რად გვინდა, რისთვის მოგვცა გამრიგემ
თვალსაწიერი, თვალი საჩინო,
თუკი გულგრილად თვალს ავარიდებთ
რისი დანახვაც არის საჭირო.

რად ვინდა ენა — სიტყვის ლამპარი,
ენა მჭრელი და ლაქარდიანა,
თუკი სიმართლის თქმას და ლაბარაკს
ვღდიეჩვია ადამიანი.

ან ყური რისთვის მოგვცა განგებამ,
ან ყურთასმენა რისთვის გვენება,
თუ გასაგების არ გვსურს ვაგება,
არც მთსმენა და არც გაგონება.

ან თქმა რად ვინდა სიტყვათგარი,
(კარგ მთქმელს ჳირდება კარგი
გამგებო).

რად ვინდა ეზო, ბინა, სახლკარი,
თუკი არეინ გყავს კარის გამღებო.

ვიღას ჳირდება ნეტავ ვიცოდე
სხეული,

სულღ თუკი მკვდარი,
აბა რად გვინდა ისე სიცოცხლე,
თუკი ცხოვრება არ გვინბარი.

კახის ჳეა

ტყვიანსა და გველზე ასჯერ
საშიშია კაცის ენა,
ვისაც თავის ლახვარს ნახცემს
ნულად ვლის ვადარწინას.

ნატყვიარის შველა არ ჳირს
და ნატყვიარის რჩება გველის,
გულს, ბოროტი ენით დაჳრილს
არადგრო არ უშველის.

ლენინის სიმღერა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„გეგია, გეგია, აბლო დო ქვეშა“.

ისე რა შნო უნდა ჰქონდეს,
ისე რაა სუფრის ფასი,
თუ ლენინში აღარ ცხონდი,
არც შენ სვი და არც მე მასვი.

აბა კულა, საესე კულა,
მოწყენას რა უნდა ღებინში,
სევდა სადღაც გაბარულა,
ამღერებულ ლენინს შიშით.

დალე, არ დაახანო,
ნუ დაიწყებს ცდას და ლოდინს,
თორემ, ძმაო, გუჯმახანო
სიბერე და დარდი მოდის.

აბა, კიდევ ერთი ჰიქა,
წვეთი აღარ დამიღვრია,
ვენაცვალე იმის ჭივარს,
ვინ ბოლომდე დამილია.

• ლოღ ლოღ აბლიღ დო ბველიღ •

ფ ი ბ ი

არ დამიდგეს არეინ გვერდით,
წყალი არეინ მასვას მწყურვალს.
კურთხევა და ლოცვა დედის
გადამეძეეს წყველა-კრულვად.

დამე ეკლის საწოლს ვიწვე,
დღისით ტანზე ცეცხლი მეცვას,
არ მიმილოს ქვევით მიწამ,
არ მიმილოს მაღლით ზეცამ;

ჩემი ცოდვა, ჩემი მადლი,
ქვეყნად არეინ ილოს ყურად.
თავს მშვიერი ლომი მადგეს,
მაგრამ მჭამდეს მელა-ტურა;

ეს ქვეყანა ასე ვრცელი
გადამეძეეს ვიწრო შუკად,
არსით მქონდეს ხსნა, საშველო,
წინ მეწყერა, წყალი უკან.

აღარ მქონდეს კაცის სახე,
ნადირივით ტყეში ვძრწოდე,
ჩემს დაწყველილ გვარს და სახელს
მოსვენება აღარ ჰქონდეს,

ვიყო ასე დაგვა-წვაში,
ჩემო ღმერთო, ჩემო ხატო, —
თუ გაგცვალო ვინმე სხვაში,
თუ ოდენსმე გიღალატო!

• • •

სანამ უმზერ ცას და
სანამ გიჭრის მკლავი,
თუნდ სიცოცხლის ფასად
შეაყვარე თავი.

სანამ იღებ ხმას და
გული გიძგერს ვინმე.
თუნდ სიცოცხლის ფასად
შეიყვარე ვინმე.

იბაკლი ზოგოლაური

ძ კ ხ ი ლ ი

მძიმე ტვირთს
მძიმე სუნთქვა სჭირდება
და მკერდი გულით ყელამდე სავსე
და ხალხს რომ სწამდე,
ნუ გავიწყდება, —
პირველი მსხვერპლი თვით უნდა ვასცე!
სხვათა ვაყობას
გძრახავთ თუ ვამკობთ,
ერთიც ვიფიქროთ: თვით ვართ რანილა?
საკუთარ ვალზე რად არას ვამბობთ, —
და გაჩენის დღე თუ გვწამს თარიღად!
სხვათა ძრახვაც და
ჭებაც ძველია,
სდგება დაცემაც და აღზევებაც,
ცდას თორემ დასტურ მართლა ძნელია
მამულის ცაზე ამოშეგებაც;
მეგრამ თუ გულში

ხვალის ნობათის
გვაქვს მონატრება და მოლოდინი,
მზრებით ასწიე ქვეყნის მყოფადი
და მძიმე ტვირთი
ზიდე ლოდივით!
თუ კი უბრალოდ დახურდავდება
შენი სიცოცხლე,
რას ცხოვრება?
მზესთან პირისპირ
როგორ დადგება
გუშინდელი დღის გამეორება!
მერეა საქმე, როცა ჩვენ წავალთ
და მთებს ჩაუვლის ახლა სხვა
მგზავრი,
ამიტომ დღესვე ვედიოთ „ხვალას“ —
და დღესვე ვაცხოთ მერმის
საგზალო!



მალმალე შემომიქროლე,
შენ, ჩემო სულის ხვარამზე,
რომ ეშხი სწევადეს სტრიქონებს,
სხვად შეგაწუხებ არაზე...
ჟურზე მიმდგარი მთვარე ვარ
და ცხადად სხივებს ვპარავ მზეს,
თუ მომკლავ.

მომკალ ბარეღამ
შენივე მკერდის ქარაფზე!
„ბედშავს იკითხავს მრავალი,
თვალეები რამ დაუნისლა!“
„მოაკლდა, — იტყვის მაგანი, —
ლიმილი ნანდაურისა!“


რას უძღვებს ქედი მიწინა,
ან ცა შზის შუქის თოვითა,
ან რად არ ძღვება საწუთრო
ამდენი რჩომა-კვდომითა!
ზოგის ქალაზე ნისლი წევს,

ზოგის ქალაზე — სიცილი...
სანამდე უნდა გაგრძელდეს,
გულზე მიწვევა ბინდივით,
ცოცხალს არ ვინდობთ კვი კაცს,
მოკვდება, უკან მიეჭრით!

ნაზი მუკლ-ქალკ

მთებში ჩაწნული სიმღერა,
„დალაღე დალიე დალაი“,
ფშაფი, —
ფარშაფი...
იალაღს
გაკიდებული ფარაი,
გვრინი,
მთიბელი
და მწვემსი
წვიგმორგვა, ბოტიტანაი,
სული,
მამულის ტარიგი
და იმის მეტი არაი!
მთას ჭიხვი,
დაბლა ხევს სირი,
არაგვიანი ქალაი,
ხვესურაი,
ცხენთა თქარუნით
ვალგიძებული შარაი,

სიბით ნაკეშსი
სხვარიგი
ქაუხი, —
ქარის ჭარაი
ჩუმი არაგვის წყალ-ქალა
ვღემის ბაღის დაარაი,
ვაფაი — დილის ცისკარი
ქათიბიანა ქალაი,
ცაი
ვარსკვლავთა წალიკით,
ლურჯ მკერდზე
მთვარის შანაით,
ჩუმის პაპის შატილი,
ნიშში... სახარე ზეარაი...
ციხე კლდეს გადაშატილი
ზედ ცრემლიანა თვალაით,
ისე ლამაზი,
ვერც იტყვი!
და არსად იმისთანაი!



ზურაბ გომრეზიანი

• • •

მცუნვარე მზეში თუ მზესუმზირა მიწას დაჰყურებს,
კეთილ მგზავრო, შეიცადე, თავი დახარე,
(თავად მცუნვარე გვიხმობს ასე),
მიწას სულმნათი ჩაეკონა, —
ძნელბედობის ჟამს ვისაც ჰქონდა გული მზისებრი.

• • •

სრულქმნილით უმაღ ვიზიბლები,
გონებაში გასხივოსნებაც შემინიშნავს,
და ვგალობ, როცა ქეშმარიტებას შევეხები,
თორემ მეც სხვებსავეთ ვახამზამებ თვალებს,
ტენში სპირალური ზვრელი შემვიგრძენია
და ზოგჯერ მკვდარი მზეც ჩამყდარა ჩემში.

• • •

დიად სულში სამართალი სუფევს აურაცხელი,
იგი ხშიანობს და გალობა, ამ სამყაროსთან შედასებული,
ჩამწვდომია უფრო მეტად,
ვიდრე სამეფოს დიდი ორკესტრი.

• • •

ო, მიწავ დიდო, ქართველით გაქვს ასეთი პეწი!



თვითმკვლელობის ჰკიდია უფლფი და მასში სატურნიციით ვართ მონუსხული,
მე კარგად ვიცი ჩემი უფლფი, ო, როგორ როკავს ეს მგრძნობიარე

უფორმო რგოლი


და იგი განა ჩვენგან შორსაა — ანგსტრემებშია დაცილებული,
აბსოლუტურ დამთხვევას ეძებს, რომ ჩაგვიტრიოს და ჩაგვიტანოს.
სხვისი უფლფი ლივლივს იწვევს, ვითარც წყნარი ზღვის ჰორიზონტი,
და წამიერად თუ შეგვატოკებს ვინმეს პორტრეტი — უიშვიათეს

სოცარულისთვის,

ესეც ხომ ზღვის აზღვაგების მიღანდებია.

უ. უფლფო, შიშის წარმოდგენავ, შემაზრზენი ხარ,
როგორც გლახა ზაფხულის მზეში თბილ მოსასხამით,
ყოველივეს საწყისი ხარ, შენი რიტმია რაც ჩაგვესმის სიერცულ ორმოში
ღ: ყოველივეც შენით მთავრდება.

დაუკარით მუსიკა, ისიც უფლფივით ჰკიდია, როცა მართლაც და მართლაც
ბივილტვით მარადიულ ჩვენზე თავისკენ!



საბავი გეზამი

ფხვშიშველა სასიომ

არც თუ ისე სასაცილო ამბავი

ამირანი ლმერთს მონათელინეს. ლმერთმა ამირანს დაანათლა: ღაქანებული ზეაის შეუპოვრობა, თორმეტი უღელი ხარ-კამენის ძალ-ლონე და მგლის მუხლი, ბავშვობისას — ობლობა და გაპირევა, ხოლო ვეკაცობის ეამს — ომი და გამარჯვება.

ქართული ზღაპრის ერთი ფოთოლი.

პროლოგის მავიძე

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, ამ დალოცვილ მიწაზე ვილი არ გაჩენილა და რა არ ყოფილა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი. იყო მთის ერთი სოფელი ბერხევი, ცხოვრობდა იმ სოფელში ერთი მაღალ-მაღალი ჭაბუკი ტუხა, რომელსაც ფეხშიშველა საიარული უყვარდა.

მაგრამ, არა! გვეყოფა აქ ზღაპარი!

ამ ბიჭის არც თუ ისე სასაცილო ამბავი იქნება რაღაცით ოდნავ მიაგაედეს

ზღაპარსა და ეგებების დროდადრო მეც ზღაპარივით გიამბოთ, მაგრამ ნამდვილად არ არის ზღაპარი, ჩვენს დროში მოხდა, აგერ, ჩვენს თვალწინ.

არც ბერხევია ზღაპრული ქვეყანა, ისიც ისევე ნამდვილია, როგორც მზე ამოდის ყოველ დღით, როგორც ერთ-მანეთის მიყოლებით მიჰყვებიან წუთით სოფლის გზას გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.

ჩვენც ამ გზას გავუყვებით!

საპატივივმლო პატიმარი

— მომყევი! ზა მნოი! ეპერიოდ! — მილიციის უფროსი არისტო კორჩიოტაძე წინ გაუძღვა მაღალ ყვრიმალეზიან, ჩოფურა ზედამხედველს.

არისტო ასე აქარებული ჯგერ არავის უნახავს. მთრფევივით კოცი თაიფით

კი არ მიდის, კასრივით მიგორავსო. გულ-მკერდი გაიღელა, მაინც სცხელა. ოფლად გაღვარულ სქელ კისერზე წამდა-უწუმ ისევამს უშველებელ კუბოკრულ ცხვირსახოცს. კორგად თუ დიაკვირდებოთ, ცხვირსახოცი დაქმუჭენილი ჭად-

რაცის დაფა გეგონებთ. არც არისტონ კისერია ჩვეულებრივი, იფიქრებთ, როცა ბუნების გამგებელი, თუ ღმერთი ამ კაცის ძეალ-ხორცზე გადასაკრავად ტყავის გამოჭრას შეუდგა, ეტყობა, რივიანად ვერ მოზომა, საკმაოდ გრძელი მოუვიდა, დამოკლებაც დაეზარა, კისერზე რამდენჯერმე შეუკეცა და თათარიანად მოითავა საქმე — ეს არის, რაც არისო. აქაურების თქმისა არ იყოს, აბა, რა არისტოს ბრალია, მამაზეციერი, თუ ბუნების იღუმალი გამგებელი თთქმის ყველა ადამიანს ერთ რაღაცას ზედმეტად რომ აძლევს და რაღაცა ერთს რომ აკლებს!

ჩემების ბრახაბრუხმა გააღვიძა ქუტალა ნათურით ოდნავ განათებული ყრუ ღერეფანი.

არისტო მეხუთე საკანთან შეჩერდა.
— გამიღე! ატკროი, ბალვან!

ზედამხედველის მსხვილ თითებში აჩაკუნდა სამი ვასალები და კარმა მძიმედ გაიჭრიალა.

მილიციის უფროსმა ქუდი მოიხადა, ერთხელაც მოისე-მოსისვა ცხვირსახოცი ძველი გარმონივით დაკმუჭვილ კისერზე, საბერველივით ამოიხვნეშა და ჭერის ეტხესთან, მაღალ კედელში გამოჭრილ და რკინის რიჯულებით აქედნილ ცილამტყაველა სარკმელს ახედა.

— ბნელა აქ! ტემნო! აანთეთ შუქი!

ჩოფურა ზედამხედველი უმაღვე ღერეფანში გავარდა და ჩამრთველი გააჩაკუნა. საკნის ჭერზე სოკოსავით მიკოსებული თავის ხელა ნათურა უნიათოდ აბეუტდა, თითქოს ცოცხალმკედარმა დასამშვიდობებლად თვალი გამოაბილაო.

— გამოცვალეთ! ეს დანჯღრეული შიშველი ტახტიც გაიტანეთ და რბილი დივანი დადგით!

— ამხანაგო მაიორო, ხომ იცით, ტახტი დაბმულია... დაბმული კი არა, დაკედილ-ჩადულაბებული. — შებედა ხელქვეითმა.

— ააძვრეთ!.. თუმცა იყოს! ესეც იყოს და გვერდით რბილი საფარძელიც მიუდგით.

— საფარძელი?! აქ საფარძელი სად ემოვოთ ბატონო უფროსო?! **გაიკვირვა ზედამხედველმა.**

— რაო? სად იმოვოთ?.. დურაკ! პო, მართლა, სად უნდა იმოვოთ?.. ბოლოს და ბოლოს, ჩემი კაბინეტიდან გამოიტანეთ. ფუ! რასიბინჭურეა! ახლავე სარკესავით დააწკრიალეთ! მერე შემოიტანთ ლამაზ მაგიდას და ჩემს დაბრუნებამდე ისეთ სუფრას გაშლით, ჩიტის რძეც არ აკლდეს. რესტორნის დირექტორმა იაგელომ იცის ყველაფერი. ამ ამბავს ის მოუვლის, თქვენ მხოლოდ მიეხმარებით.

— ბატონო უფროსო, გამაგებინე, რა ამბავია?! — კვლავ შებედა ხელქვეითმა. — პატიმარი მოგყავთ თუ... ციხეში ქორწილის გადახდას აპირებთ?

— პატიმარია, ოღონდ საპატივცემლო...

— თუ საპატივცემლოა, რატომღა აპატიმრებთ?!

— ასე მოითხოვა დიალექტიკურმა გარემოებამ, ჩერჩეტო! იცი, დიალექტიკური გარემოება რას ნიშნავს, რეგვენო? არ იცი. სხვათა შორის, აგიხსნიდი, მაგრამ... არც მე ვიცი ზუსტად. გაიგე?

— ბოდიში და ვერაფერიც ვერ ვიგე.

— ვერ გაიგე და არც არის შენთვის საჭირო. მე რაც მიბრძანეს, იმას ვაკეთებ, შენც ის შეასრულე, რასაც გეუბნებიან და ორივე ბირნათელი გამოვალთ. მორჩა! ვსიო! მეტის გაგება არ გვევალება მე და შენი ახლა წავედი! ზუსტად ერთ საათში ისევე აქ ვიქნები! — არისტომ მაჯის დიდრონი საათი ხელქვეითს დაუტრიალა თვალებთან, წავიდა და უმაღვე შემობრუნდა. — შენც შაკოსავით მსუნავი მყავებარ, ღმერთი არ გაგიწყრეთ, სულმა არ წაგძლიოთ და აქ გაწყობილ სუფრაზე ხელი არაფერს ახლოთ, თორემ, იცოდეთ, ვერაფერს გამომაპარებთ, ჩემი ჩიტი მომიტანს ამბავს და ცხრავე ტყავს გაგაძრობთ! — თითი დაუქნია ხელქვეითს, დაკრა

ფეხი და წაგორდა ჰადრაველი ცხვირ-სახოცის ფრიალით.

• • •

სიტყვის კაცია არისტო. ზუსტად ერთ საათში ისევ გამოჩნდა, ყრუ დერეფანი ბრაზუნა ჩექმებით აახმაურა, მესხეთე საენის მძიმე კარი ჰრიალით გამოაღო და პატიმარი მოწიწებით შეიპატივა:

— შებრძანდი, შებრძანდი შენი ჭობიბე!

საკანში თამამად შევიდა ზორბად ტანაშოლტილი, ფართომხარბეჭიანი, წელწვრილი, მსხვილმკლავება და დიდრონთვალემა, სქელწარბა და სქელლულვაში თციოცდღერთი წლის შეგვერემანი, პირმშვენიერი ვაჟკაცი. თუ ახლოდან შეხედავთ, მარცხენა წარბზე ნაჭრილობევი ემჩნევა. ესეც შვენის, თითქოს მისი ვაჟკაცური იერის თავისებური ბეჭედილო.

პატიმარმა რუხი ნაბდის სევანური ქული მოიხადა და გრუზა ჭოჩორზე ნაბიბით ფართო ხელი გადაისვა.

— მშვილობა სახლსა ამას! — თქვა და გაკვირვებით მიმოიხედა, — ეს რაა, მილიციელთა თავკაცო?! სად მომიყვანეთ?! საპატიმროა, თუ?!

— რაცაა ესაა! — შვებით ამოისუნთქა არისტომ. — ბოდიშს ვიხდი, უკეთესი ვერაფერი დაგახვედრეთ, პი, პი, პი! — თვითონვე გაეცინა.

დაწკრიალეხულ საკანში, რბილი დივანის წინ, პლასტმასის მოზრდილ მაგიდაზე თითქოს ნატერის სუფრა გაუშლიათო, ხეაერიელად ალაგია პურ-მარილი, როგორც არისტომ დაიბარა, ჩიტის რძეც არ აკლია.

— მოგწონს? — ჰკითხა არისტომ პატიმარს.

— მხოლოდ ერთი რამით, — პატიმარმა უმაღლე გაიხადა დიდრონი წულეები, კუთხეში მიყარა და ცემენტის იატაკზე ფეხშიშველამ გაიარ-გამოიარა, — აქ მთელი დღე ასე შემძლია ვიარო, არაეინ დამძრახავს.

— მე სუფრაზე გვეკითხები, ჩე... — კინალამ წამოსცდა, ჩერჩეტოთ, ენის

წვერზე დაკიდებული სიტყვა უმაღლე გადაყლაბა და მაშინვე მიმშველა შემცველი: — ჩე... ჩემო კარგო!

— განა აქამდე ვერ გაიგე, მილიციელთა უფროსო, მე მუქთა სუფრის კაცია რომ არა ვარ? აქ არხეინად ქეიფს, მე და ჩემმა ლმერთმა, მთაში ცელის ქნევა მიჩვევია. აქ არც სათიბია, არც...

— უჰ, რა დავიღარაბა აგვიტეხე, შე... — ახლა სულელის თქმა დააპირა არისტომ, მაგრამ ისევ მალე მოეშველა ფხიზელი გუმანის ვარაუდი, ვაითუ ალერსით ნათქვამი „სულელოც“ კი ეწყინოს და მერე წყენა ავად შემომიბრუნდესო, ეს სიტყვაც ენის წვერზე შეიტეხა და პატიმარს მოუფერა: — შე დალოციელო!

— რა გინდათ ჩემგან, რას მერჩით? ჩემით არავისთვის ამიტეხია დავიღარაბა, ველარ გაიგეთ, დავიღარაბაში რომ გამხვიეს?!

— ასეა თუ ისე, მამაშვილურად გეხვეწები და გემუდარები, კარგად დაუფიქრდი! ბედი შინ მოგიბტა, დალოციელო, შენ კი... ბედი არ იყიდება, ბიჭო, ბედს ლმერთი არიგებს! ბოლოს და ბოლოს, დააჭერე თავი, ესაა ჩემი ბედითქვა და შეურთიგდი ლმერთის ნაჩუქარ ბედს! ითხოვე ის გოგო და დააწყნარე ქვეყნიერება! ვიცი, ქრისტე-ლმერთი აღარ გწამს, მარა, ფესვით ხომ ხარ ქრისტიანი? ჰოდა, ქრისტიანულად გორჩევი...

— ეგ თუ ქრისტიანული რჩევაა და... რატომ დამატუსალეთ?

— იმიტომ... იმიტომ, რომ ასეა ამ ეტაპზე საჭირო.

— ვისთვის?

— უფრო შენთვის. ციხეში დაგმალეს დროებით, გაგულისებულ ვინმეს შემთხვევით არ შემოაკედდესო. გიფრთხილდებიან, ბიძიკო!

— მართლა? ისე ვიცხონდათ ბებია შენც და შენი ჰკუთის დამრიგებლებსაც. ასე ახლო რატომ მიდგახარ? არ გეშინია, იარალი წუთში რომ აგყარო და...

— შენ რა ჭირად გინდა, ბიჭო, ეს ეშმაკის მოგონილი იარალი, ბედი უამო-

არაღოდაც გაძლენს ყველაფერს. ითხოვე ის გოგო და მამაძალი ვიყო, თუ ეს ლაპლაბა რეველოგერი ქორწილზე წარწერით არ გიფეშაშო.

— ვერა. თქვენი არც ეშმაკის ნაბიჯვარი იარაღი მინდა, არც სხვა რამე.

— არა ხარ შენ ამ ცხოვრების კაცი.

— მე ჩემი ცხოვრების კაცი ვარ და სანამ ვიცოცხლებ, მწადია, ასევე დავრჩე

— ჩემი ცხოვრების კაცად.

— თუ დაგლუპავს, ეგ ახირება დაგლუპავს შენ, ასე მითქვამს მე. დაუფიქრდი ბიჭო, მაინც დაუფიქრდი!

— დიდი ხანია ყველაფერი ნაფიქრალიც მაქვს და გაზომილ-აწონილიც.

— დაუფიქრდი და დამიჯერე. თუ დამიჯერებ, ბედს ეწევი, ისეთ ბედს, ქვეყანა შემოგნატროდეს. ეს შენთვისაც კარგი იქნება, ბიძიკო, და ჩვენთვისაც. შენც გადარჩები, ჩვენც. შენც იხიერებ, ჩვენც...

— თუ ღმერთი გწამთ, დამანებეთ ჩემი თავი და ჩემი ბედნიერება. თქვენებურ ბედნიერებას ნუ მომახვევთ თავზე, სულ ერთია, ვერ ვიკუთბ.

— ეჰ, მოგველი კაცი ამდენი ჭკაწანით. ძნელია შენთან ლაპარაკი. ბოდიშს ვიხდი, ახლა წვაღ მე. მარტო რომ არ მოგეწყინოს ამ უფერულ ოთხკედელშია, ვინმეს შემოგიგზავნი ჩემად — კარგ მომლხენს და მოქვიფს.

— არავენაც არ შემომიგზავნო, ასე მირჩევნია ყოფნა, მარტო.

— შენ იცი. არ გეწყინოს და, კარი უნდა ჩაგიკეტო, მეთვალყურეც დაგიყენო. შენ რომ არსად გამეჭკვიე, დიხაც, ვარ დარწმუნებული, მარა, რა ვქნათ, ასე მითხოვს ჩვენი წესდება. გამიგე?

— ვიცი. ადრეც ხომ გყავდი აქ. ოღონდ მაშინ სუფრა არ გაგიშლია, ორი დღე-ღამე მშვიერ-მწყურვალი მაყურყურტე! მხოლოდ ლანძღვა-გინებით გამიმასპინძლდი უხვად!

— გასოვს, ბიჭო? ეჰ, ვაი ჩემი ბრალი თქვენ ხელში! ეჰ! — ერთიც ამოიოხრა არისტომ, გავიდა და კარი ფრთხილად მოხურა.

გასაღებებმა ყრუდ გაიჩხაკუნეს. მერე რკინის კარის ბაღურთან მომცრო სარკმელში ჩოჯურა ზედამხედველმა შემოიხედა და გაკვირვებულს თვალები ვიწრო შებლზე აუცვივდა:

— ტუხა?! ტუხა ნატყველი არა ხარ შენ?! დარიკოს ბიჭი?! ეს შენზე თქვეს საპატივეცემლო პატიმარია და არაფერი აწყენინოთო? შე ღმერთძაღლო, როდის აქეთ გახდი ყველას საალერსო და საპატივეცემლო? თანაც შენ ციხეში რა გინდა, რა ჩაიღინე ასეთი?!

— სიბერემდე რას არ მოესწრება ადამიანი! — მშვიდად მიუგო პატიმარმა და ზედამხედველს ზურგი შეაკცია.

დაკითხვის ფურცლები

— ბოდიშის მოხდით. ცოტა ხანს შეგაწუხებთ. ბატონო ტუხა. საქმის ფორმალური მხარეა მოსაგვარებელი. ეგების ეს არც არავის დასჭირდეს, მაინც... ყოველ შემთხვევისთვის, წინასწარი დაკითხვის ფურცლები შეეავსოთ. ბევრს არაფერს ჩაიწერ, ოღონდ გულახდილად კი ეისაუბროთ. წარმოიდგინე, თითქოს აღსარებას ეუბნები საკუთარ თავს. დაბალბის წელი.

— ოცდაერთისა გავსდები მალე, თუ დამაძალეს.

— ღმერთი გწამს?
 — თეთრწვერა ღმერთი — არა. ზოგჯერ ეპვი გამკრავს ხოლმე, ქვეყნად რალაც ღმერთისმაგვარი არსებობს-მეთქი. მე, მაგალითად, ღმერთად დედაჩემი მწამს. დედაჩემი და მიწა... ზოგჯერ მგონია, მზესაც კი მიწა აწოვებს-მეთქი ძუძუს. მთები დედამიწის ძუძუებია... ამ ძუძუების რძესა სვამს მიწაც და მზეც... მთებში მზის ჩასვლა-ამოსვლა გინახებო? თითქოს დილით და საღამოზე დედამიწა ჩვილ მზეს ძუძუს აწო-

ვებსო. დედამიწამ თუ არ აწოვა მზეს ძუძუ, მზეს სიბო გაუქრება, დახუჭავს თვალებს და მოკვდება.

— უცნაური ბიჭი ხარ.

— რაკი ასე ვფიქრობ-ხოლმე? აი, თქვენც რომ ხშირად დარჩეთ მთაში მარტო, იქნებ ჩემსავეთ იფიქროთ მამინ...

— შენზე ამბობენ, ვიღაც-ვიღაცეები სასტიკად სძულსო. მართალია?

— ჩემს ლმერთს, დედაჩემს გეფიცები, არაინაც არა მძულს. მე მხოლოდ მეცოდება ზოგი ადამიანი.

— ეგ ვიცო, ბევრს ეხმარები, ვისაც უჭირს.

— ვისაც უჭირს და ვეხმარები, ის არ მეცოდება.

— აბა, ვინ?

— აი, ვისზედაც ამბობენ, სძულსო. სწორედ ის ხალხი მეცოდება, უკუღმართი ხალხი. ვინც არ უნდა იყოს, თუნდაც ჩემზე სამტროდ გადავიდებული.

— იმათ რა სჭირთ შენი შესაცოდებელი?

— სწორედ ის, უკუღმართები რომ არიან. მე რომ მკითხონ, ასეთ ადამიანებს სიძულვილი კი არა, დახმარება სჭირდებათ, მაგრამ, ეტყობა, ვერაფერ ეხმარებათ. ვინმე ხელს დასახმარებლად რომ გაუწოდებს, ეშინიათ ამ ხელის...

— ესე იგი, მთელი ქვეყნიერების ზურგზე არაფერ გძულს?

— არაფერ. სიყვარულით კი სამი რამ მიყვარს ყველაზე მეტად — დედა, თეონა და თიბვა.

— ვინაა თეონა? თქვენებური გოგოა?

— ჩვენებური არაა. დედა არც ახსოვს, აკვანში დაობლდა. მარტოხელა მამას ჩვილის შოვლა გაუჭირდა და გოგონა ჩვენში გამოთხოვილ დას ჩამოუყვანა — თეკლეს. უშვილძირო თეკლე მალე დაქვრივდა. თეონას მამამ სხვა ქალი მოიყვანა და გოგონა მამიდასთან დარჩა სულ. ის და მამიდამისი ვალმა უბანში ცხოვრობენ, ცისფრად შეღებოლი ლამაზი ოდა უდგათ. თეკლე ფერმარში მუშაობს, თეონა შეენაცვლება ხოლმე.

— შენ ფეხშიშველა სიარულიც ძალიან გიყვარს თურმე. **მარტოხელა**

— თუ ამას სიყვარული მქვია, ფეხშიშველა სიარულიც მიყვარს. ფეხსაცმელი მზორკავს და ასე მგონია, ძალ-ღონესაც მაკლებს-მეთქი. ფეხებზე განსაკუთრებით მცხელა ხოლმე, ზოგჯერ ზამთარშიც კი. ერთხელ ახალ თოვლში ფეხშიშველა გავვარდი გარეთ და არაფერი, ოდნავაც არ შემცივნია, გოგობიჭებისკენ გავკურცხლე საგუნდაოდ. სკოლაში წასვლის დრო რომ დამიდგა, დედამ წითელი სანდლები მომიტანა. ჩვენი სოფლის ხარაზს შეაკერინა, გრივოლას. გრივოლას მარჯვენა ფეხი ომმა წაართვა, შინ ომბოხით მოკელანდა, მერე ხარაზობა ისწავლა და ახლა სანდლებს ჩინებულად კერავს. ჰოდა, ჩავიცვი ეს ნაკვერცხლისფერი სანდლები და გავკურცხლე სკოლისკენ. ფეხზე კარგად მქონდა მორგებულო, მაინც ვერ ვიგუე. საწისქვილე დელეზე გადებულ წანწალა ხიდზე რომ გადავედი, გავიხადე, დედის შეკერილ ნაჭრის ჩანთაში ჩავიწყვე და ჰერი. კაციშვილს არ მოუქცევია ყურადღება არც სკოლაში და არც გზაზე. შინაც ფეხშიშველა მოეტანტალდა.

— სანდლები, შვილო?! — დედამ პირველად ეს მკითხა, სანდლები სად დატოვე?

— არ დამიტოვებია.

— აბა, დედა, არუქე ვინმეს?

— აგერ მაქვს, ა — ნაჭრის ჩანთა დაეპირქვავე და სანდლები აივნის ატაკზე დავყარე.

— ჩანთაში ფეხსაცმელებს რა უნდა, ბიჭო, იზოგავ?

— არაფერსაც არ ვიზოგავ.

— კი, ეტყობა, იზოგავ... გზაზე არ გინდა გაცვიოთ. სანდლები მარტო სკოლაში კი არ უნდა გეცვას, დედა, შენხელა ბიჭისთვის უკვე გზაზეც სირცხვილია ასე სიარული.

— მე არც სკოლაში მცმია! — ვუთხარა სიმართლე.

— ა, რითა, შვილო?! სკოლაშიც არ

გვინა? მომიკვდეს თავი მერე, მასწავლებელმა არაფერი გითხრა?

— არც დაუნახავს.

— ვერ გუობ, შეილო?

— ასე მგონია, ფეხები ნაკვერცხლებით სავესე თონეში მიწყვია-მეთქი.

მეტი რა გზა ჰქონდა, დედამ ჩემს ნებაზე მიმიშვა დაზამთრებამდე. მიწას სითბო რომ გამოეღია, გოგო-ბიჭებს უპირველეს ყოვლისა, ფეხებზე შესცივდათ. ზოგმა მაღალყელიანი წინდებიც არ იქმარა, რბილი თომიც ჩაიფინა ფეხსაცმელებში. დედამ ახლა ჩემთვის ფერმის მწყემსს, ინდიკო დავლიანიძეს, ქალამნები ამოასმევინა. მართალია, ზამთარში ფეხები ძალიან აღარ მიხურდა, მაინც ფეხშიშველა სიარული მერჩინება.

— ეს უკვე, შეილო, ნამეტანია, არ შეიძლება ასე. დიდი ბიჭი ხარ უკვე, ზამთარში შენი ფეხშიშველა სიარული სად გავიწილა?

— თუ არ მცია, დედა?

— მაინც არ შეიძლება. სხვა თუ არაფერი, უხერხულია ხალხის თვალში. ფეხსაცმელ-ტანსაცმელს მარტო სიცივისთვის არ იცვამენ, დედა!

დედის ხათრით ჩავიცვი ქალამნები. ასე მხოლოდ სკოლაში დავიარებოდი. გაკვეთილი რომ დაიწყებოდა, თუ ჩემი მერხისქვეშ შემოიხედავდა ვინმე, უმაღლეს თვალს მოჰკრავდა იატაკზე დაყრილ ქალამნებსა და იქვე შიშველ ფეხებს. როცა მასწავლებელი დაფასთან გამიძახებდა, უმაღლეს ჩავყრიდი ფეხებს ქალამნებში.

ახლა უკვე ყველაზე წვეტიან ეკლებზეც კი ისე შემიძლია გავიარ-გამოვიარო, როგორც ხალიჩაზე. ერთხელ ბავშვებს ზღარბი დაეჭირათ და მომიტუნეს: თუ ბიჭი ხარ, შიშველი ფეხი ამას დაარტყიო. დიხაც, შემეძლო ფეხი ორიოდუჯერ დამებრაგუნებია და ზღარბი მიწაზე ლავაშვით დამებრტყელებია, ვერ გავიმეტე. ტყუილუბრალოდ, ჩემი ფეხის სიმაგრის გამოსაჩენად რატომ მოვკლა-მეთქი. რაც უფრო ღონიერია ადამიანი, მით უფრო უნდა მოე-

რიდოს ნიადაგის და თავისი ძალის გამოყენებას, ძალიან ბევრეფეხეულია დაიხაროს.

ჰოდა, იმას ვამბობდი, ორი წლის წინათ ჩემი თანაკლასელის, რუსიკო ბაჩელიძის დედამ, სილონიამ ასე უსაყვედურა დედაჩემს:

— დარიკო, ბეჩა, ეს შენი ტანტრე ბიჭი ქრისტესავით რავე სულ ფეხშიშველი დადის?!

დედაჩემმა სიტყვა ბანზე აუგდო:

— ჩემო სილონია, ვინ ნახა ფეხშიშველა მოსიარულე ღმერთი?

— შე ქალო, ასეა ნათქვამი და მეც... უკვე დიდა შენი ტუხა, მალე ცას ამტრევეს თავით, სირცხვილია ამხელა ვაყკაცის სოფელ-ქვეყანაში ასე ტრატუნო. მუყაითი ქალი ხარ, ვიცო, ფეხსაცმლის ყიდვა არ გიჭირს და...

— ყიდვით, დიხაც, ვყიდულობ, ჩემო სილონია, ვერ გუობს. ვერც ფეხსაცმელს ვგუებ, ვერც ბევრ სხვა რამეს. თავი მოვიკლა?

— მტერმა და შენმა ავის მოსურნემ მოიკლას თავი, მაგრამ... რალაენაირად გაუწყვრი; დატუქსე! დედა ხარ, გვეალებ!

რუსიკომ დედას სახელოზე ჩამოჭანა, გაჩუნდო.

— დიხაც მევალება, ჩემო სილონია, მაგრამ, რა ვქნა, ვერ ვამტყუნებ. ეტყობა, ასე დაანათლა ბედის მწერელმა თუ ბუნებამ. რალაცა უცნაურობა ყველა ადამიანს გეჭირს.

— უნდა მიაჩვიო, გენაცვალე.

— ძალიანაც მინდა. ყველაფერი ჩვენს ნება-სურვილზე კი არაა გარიგებული. გენაცვალე, თვარა კაი შენ. ვნახოთ, იქნებ თვითონ მოიგუნებოს და...

— არ დაგვივიანდეს, შენი ჭირიმი. ისე მე გავიხარო ჩემი შვიდი შეილიანად, რავერც შენთვის და შენი შეილისთვის ყოლიფერი კარგი მინდოდეს. ჩემი ცხონებული კაცის სული არ წამოწყდება, ტუხა ჩემ შვილებში არ გამომერჩევია...

რუსიკომ დედას ახლა იდაყვი გაპ-

კრა — გაჩუმდითო. მაგრამ სიღონია არ გაჩუმდა.

— დროა უკვე ფეხსაცმელს შეაჩვიო, თვარა... ამ ყველაფრით შემკობილ ბიჭს მალე ქალი უნდა მოჰგვარო და, ვაითუ, ამ უცნაურობამ დაგიჩაგროს.

— ნუ, დედა, ნუ!.. ასე ნუ ამბობ! — შენებდა ქალიშვილმა. — ტუხას არც ერთი გოგო არ დაიწუნებს, თუნდაც სულ ასე ფეხშიშველამ ჩაროს.

— შენ ბევრი იცი! — ხელი თავზე წაჰკრა დედამ.

— ბევრი არა, მაგრამ, ეს ვიცი. — არ დაუთმო რუსიკომ.

— გოგო თუ არ დაიწუნებს, სასიდედრო დაიწუნებს, შე სასიყვდილე! ფეხშიშველა სიძეს ვინ შეუშვებს შინ? — სიღონია ისევ დედაჩემს შემოუბრუნდა. — ჩემო დარიკო, ყველაფერს რო თავი დაეანებოთ, ქორწილში პატარძალს კანჭებშიშველი სიძე ხომ არ მიუჭდება გვერდით?

— ქორწილს მოვესწრო და... მოვეღებამ ამ ამბავს. — მიუგო დედაჩემმა და თვალი ღელის გაღმა გაეჭვა, ცისფრად შეღებილი ოდისკენ. თითქოს ჩემს სულში იჭდა, დედაჩემსაც კარგა ხანია თვალი თეონასკენ ეჭირა.

— შეილო შენია, ჩემო დარიკო, მაგრამ, ჩვენც შეგვტყვივა გული. შიშველი ფეხები ზედისწერად არ ეჭკეს! მიხედვე, დროულად მიხედვე შენს ბიჭს! — ანდერძივით დაუტოვა სიღონიამ დედაჩემს.

ბოდიში, ჩემი ფეხების ამბავზე ამდენი რომ ვილაპარაკე. რაკი, მკითხეთ.

— რაა საბოლოო, მე ყველაფერი მაინტერესებს, ბატონო ტუხა. ერთი ეს მითხარი, მაშინ ზღარბი კი დაინდე, მაგრამ... ვითომ მთლად უცოდველი ხარ? კაცი რომ არ მოგიკლავს, ვიცი, მაგრამ არც ვინმეს მოკვლა გაგიზრახავს? ვთქვათ, დანით ან თუნდაც უდანოდ?

— ბავშვობისას ჩემს ტოლ ყველა ბიჭს შურდული ეჭირა და მეც გავიყე-თე. ოღონდ ჩიტებზე არასდროს მინა-

ღირნია. ჩიტები თავიდანვე ისე მიყვარდა, მოსაკლავად როგორც გავიშტებდი. დედაჩემმა მითხრა ერთხელ: ჩიტები ციური ანგელოზები არიან, კეთილი სულებით და ასეც დაიჭიკრე. მართალია, მაშინ ანგელოზიც არ ვიცოდი ნამდვილად რა იყო, ოღონდ კარგ რა-ღაცას რომ ნიშნავდა, ამას კი ვხედე-ბოდი. იმ შურდულით კენჭის მიზანში მორტყმას ვსწავლობდი, თვითონაც არ ვიცი, რატომ. განა ბავშვი რასაც აკეთებს, ყველაფერს გონებით ზომავს? იქნებ ამით ბიჭებსაც ვანამუსებდი — ა, შემომხედეთ, კენჭს დიახაც თქვენზე უკეთ ვახვედრებ ყველაფერს. მაგრამ ანგელოზისსულიან უწყინარ ჩიტებს კი არა ვხოცავ-მეთქი. მხოლოდ ერთხელ, მუხის კორძს შურდულით რკო რომ ვესროლე, ანაზად ჩიტმა ჩამოიჭროლა და მონიხვდა. ამის გარდა არც ნადირი მომიკლავს, არც ფრინველი. დიდი ბოდიში, ეს, მგონი, თქვენთვის საინტერესო არ უნდა იყოს.

— საინტერესოა. ერთიც და... შენზე ამბობენ, ოფლი არ იცისო, მართალია?

— ოფლი ძალღმა არ იცის. ოფლი დიახაც ვიცი, ოღონდ მაშინ მომდის, მუშაობა რომ დამიგვიანდება. ბავშვობისას, როცა ვენახს ვზარავდი, ან თაკარება სიციხეში კისერწაწედილი ვთოხნიდი, მიწას ოფლით ვრწყავდი. მერე თანდათან შემომელია. რაც უფრო მეტ ოფლსა და ჯან-ლონეს ვხარჯავდი, ოფლი მაკლდებოდა, ჯან-ლონე კი მემატებოდა. ახლაც, რამდენიმე კვირას ზედიზედ თუ დავისვენებ და ჯან-ლონის დასაზარავად საქმეს არაფერს ვავაკეთებ, ასე ვთქვათ, საჩემო საქმეს, მერე პირველ დღეს მუშაობისას ვოფლიანდები. მუშაობა ჩემი წამალია. კიდევ რა გაინტერესებთ?

— ახლა ცოტა ხანს შევეისვენოთ. მე გავივლ-გამოვივლი, სიგარეტს მოვწვევ და მალე მოვალ. აბა, შენ იცი, არ მოიწყინო.

საგვიგებობის რეკლამა

საქართველო
საგვიგებობის რეკლამა

სანამ საპატივცემლო პატივით სანამ მარტოა, გავიგოთ სადაურია ეს ადამიანი, ვადახედოთ იმ სოფელ-ქვეყნის პატარა რუკას, სადაც ეს ამბავი ხდება.

ტუხას სოფელს ბერბევი ჰქვია. ბერბევის მთების გაღრმავება არტყია. კლდოვან-ტყიანი ქედებიდან თუ ვახედავთ, პირველად თვალში გვეცემათ სოფლის შუაგულში ამოზიდულ გორაკზე თავმოყრილ წამოჭიმული ორსართულიანი ახალი სახლი და მის მოპირდაპირე მხარეს, საწიქვილო ღელის გაღმა ფერდობზე კენტად მდგარი ძველებური ორთვლიანი, ღიაიანი ოდა, რომელსაც კბედი ვათლილი თეთრი ქვები უწყვიან.

ახალი სახლის ქვედა სართული ქვიტკირისაა, თეთრად შეფუთილი. მეორე სართული წაბლის ხის ფიცრებითაა ნაგები. რიყელებით და ჩუქურთმებით დამშენებული გრძელი აივანი ვასდევს, როგორც წინათ იტყოდნენ, ცხენი გაქედება.

ამ ახალ მდიდრულ სახლში სოფლის თავკაცი ცხოვრობს, ნესტორა ჩიხრაძე. ნესტორას სახლი დიდი აქვს და ოჯახი — პატარა. ცოლმა არიშამ ერთადერთი შვილი გაუჩინა — ისიც გოგო, მანანა.

იმევე უბანში სახლობს ნესტორას დიდი და, პოპინა. პოპინას ქმარი თურმე კავკასიონის ქედის გადაღმა წავიდა სამუშაოდ და... მისი ამბავი მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ ვაიგვს. იმ სხვა ქალი ვადაპყიდება და პოპინას არსებობა სულაც დაეწყება. არც ვაეიშვილი მონატრება, რადგან მეორე ცოლთან ორჯერ ზედიზედ ტყუილი ქალ-ვაჟი შესძენია. უმამოდ დარჩენილ დისწულს, ნადირას, ლეილი შვილივით უფლის ნესტორა, მანანაში არ გამოერჩევა.

ნესტორა ბერბევის თავკაცად ახალბედა არ გახლავთ. მანანას აყვანს ურწყევდნენ მამინ, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ რომ აირჩიეს, ახლა კი მანანა უკვე ვასათხოვარი ქალი-შვილია.

ბერბევი ყველა სუფრასე ტრეზლის იქნება თუ ლხინის, თამადად ნესტორაა გამოკომული. ეს დაუწერელი კანონია.

ხელ-ფეხზე იმდენი თითი არ ახვია ნესტორას, რამდენი საყვედურიც სოფლის თავკაცობისას აპყიდეს და საჩოთირო საყვედური ყოველთვის პირად საქმეში იმიტომ ჩაუწერეს, რომ მალე გამოეწივებინა. კი, ბატონო, მტყიცე პირობას დებდა უმალვე და მოსაყვედურე ხალხს ჭერ არ ახსოვს, ნესტორას სიტყვა ვაეტეხოს. რა ენაღვლებოდა, სიტყვა ნესტორასი იხარჯებოდა. საქმე კი... საქმით მისი საყვედურობის გამოსწორებას კოლმეურნეობის ფერმის გოჭები, ქათმები, ინდაურები და ბოჩოლები ეწირებოდნენ.

ის ძველი ოდა-სახლი, ბერბევის თავკაცის სასახლის მოპირდაპირედ რომ დგას ობლად, ღელის გაღმა ფერდობზე, ტუხასია. უფრო სწორად, იქ ორი სული ცხოვრობს, ტუხა და დედამისი დარიკო. ეზოში დგას ბეზერი კაკალი, საადრეო გულაბი, შაფრანის ვაშლი, სამი ქლიავი, ერთი დიდრონი ბეოლა, ორლოლნაშო, თხილის რამდენიმე ბუჩქი. ეზოს აკრავს კარის ვენახი, აქვეა ბოსტანი. ოჯახს ჰყავს ერთი ძროხა, ნოთია.

ნესტორას და ტუხას პირველი გაცნობისთვის ეს ვიკმაროთ და სოფელშიც ვაგისიერნოთ.

ბერბევი არც ისე დიდია, რამდენიმე თავმეყრის ადგილი კი აქვს: მალაზია, სადალაქო, სამლოლაბიანი წისქვილი, სახარაზო და რიყე.

მალაზიას გამგეც და დახლიდარიც ერთი ჰყავს — ტანდაბალი ჭუბიკა. დახლს ზემოთ მხოლოდ მისი მსხვილი თავი ჩანს ხოლმე. ჭუბიკა თუ ავად გახდა, ცოლი ცვლის — ვასანია.

ბერბევიში, ცხადია, არის სადალაქოც. აქაც ერთი კაცი მუშაობს — აბე-ლა.

წისქვილთან ბერიკაცები იყრიან თავს და ახალგაზრდებს უჩივიან.

სახარაზო ისეთი პატარაა, ცალფეხა

გრიგოლაც ძლიერ ეტყევა შიგ. აქ დიდხანს არავენ ჩერდება.

ბერხევეს მოზრდილი მდინარე გიყურა ჩაუდის. მდინარის ვადმა კლდოვანი ფრიალოა. გამოღმა მოზრდილი ვაკეა — მდინარისთვის თავისუფალი სირბილი, გიყურა მაინც იმ კლდოვან ნაპირს ეტანება, კბოდეებს ებრძვის. სადაც დაუბრკოლებლად შეუძლია სირბილი, იმ გზაზე მხოლოდ ტოტი გამოუშვია, როგორც დედა ბავშვს ეტყვის ხოლმე: წადი, ეზოში ითამაშე და შინ მალე შემოდიო. ტოტში მხოლოდ კუჭმალაობა შეიძლება. რიყე მხოლოდ ზაფხულობით იქცევა სოფლის ცენტრად — როცა ქალაქებიდან სააგარაკო ჩამოსულთა შვილები თითქმის მთელ დღეს იქ ატარებენ და მათში სოფლის გოგო-ბიჭები ირევიან.

სოფლიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით გიყურას ერთვის პატარა, მაგრამ უფრო მუხლმარდი მდინარე — ორგულა. ორგულას ხევიდან მაღალი მთებისაკენ მიდის საურამე და სამარხილე გზა. ზოგი მთა ტყიანია, ზოგიც მხოლოდ შიშველკლდოვანი, შვაცრი და პარქუში. ამ მთებიდან თოვლიანი მწვერვალებიც ჩანს.

თვითონ ბერხევეს შუაზე კყოფს საწისქვილო ღელე. ღელემ დიდწვიმობისას ისეთი გადარევა იცის, პატარა-პატარა წისქვილებს ზურგზე კურტანით ვით მოადგებს და ჰერა! მიარბენინებს გიყურასთვის ძღუნად.

ჰო, მართლა, კინაღამ გამომჩინა ბერხევეში არის მოყვითალო კრამიტით დახურული ორსართულიანი ცისფერი სკოლა. აქ მოწაფეთა რიცხვი თანდათან კლებულობს, სამაგიეროდ მასწავლებლები მრავლდებიან. ამჟამად სკოლის დირექტორი გახლავთ პლატონ ლივაბიძე, იგივე ქიბობის მასწავლებელი. ქართულ ლიტერატურის შტაბის ხანდიანი, კორგი თვალტანადი ქალი, მირიამ კაპაშვიძე მასწავლებელი, ასტორიის — მელიქი ბიბიანი მუხურელია. გეოგრაფიის მასწავლებელი ტერენტი ტაბლაძე ბერხევეში მოსული კაცია. ვინა-

ლების განყოფილების გამგე თადეოზ მეშველიანი მისი ღვიძლი დედაშვილა გახლავთ და... კოლეგებმა დირექტორზე ნაკლებად როდი სცემენ პატივს ტერენტის, ზოგჯერ უფროც ეფერებიან.

აქვე იმასაც დაგვინ, რომ ბერხევე თავის ნაკუჭში, ესე იგი, მთების გალავნის ნაკუჭში ჩაყვრილი არ ცხოვრობს, უშუალო მეთვალყურე ჰყავს, პირველ პატრონად წოდებული ღარულა.

ღარულა ათიოდე წლის წინათ პატარა დაბა გახლდათ. ერთ კიდემ რომ ვინმე ცხვირს დააცემინებდა, მეორე კიდემ გამოსძახებდნენ — ხეირიო. მეორე ბევრი არაფერი მომატებია, მაგრამ აქაურებმა დაიციენეს, ქალაქად უნდა მოენათლოთო, ხოლო ამ ნათლობის უფლება რომ მიეღოთ, განგებ გაბერეს და გაადიდეს დაბის მცხოვრებთა რიცხვი. ვისაც აქ ოდესმე ცხვირი მოუხოცია, ყველა ღარულელად მიითვალეს. ღარულელს თუ სადმე ნათესავ-მოყვარე ან მირონი ჰყავდა, ყვავი ჩხიკვის მამიდა, უკლებლივ მიიწერეს. მაინც ჩაუვარდათ კოეზი ნაკარში — ორქუჩიანი ქალაქი ვინ თქვაო! თაკილეს უარა, ადგნენ და ბერხევეთ ცალკე დაყუდებული ძველისძველი, მოქონქვილ-მოფამფალბულ-ორთვლიანი უზოგო ხის სახლისკენ მიმავალ გზასაც ქუჩა დაარქვეს. მერე ამ სახელს სქლად წაუსვეს ქონი, ცხრა ტყავი გაიძვრეს, ბევრი იწვეალეს, ბევრი იწალიჩეს, რა არზები არ წერეს, ვიღა აღარ შეაწუხეს და დიდი ჯახირის, ვაი-ვაგლახის და თითქმის მათხოვრობის წყალობით, ბოლოს და ბოლოს, მიადწინეს დაბა ღარულას ქალაქად კურთხევას. მართალია, განდევლივით დაყუდებული ის მოფამფალბული ხის სახლი მალე თავისით დაინგრა, მაშბგადევილ გზას ქუჩის სახელი მაინც შეუნარჩუნეს ყოველგვარი ხიფათის თავიდან ასაცილებლად.

მხოლოდ ერთი რამ გადასხვაფერდა ღარულაში, სასადილოს რესტორანს დაერქვა, თუმცა იქ ისევე ძველი მაგიდები დგას და ჩამ-ქურჭელიც ძველია, არც მხარეულები ვამოუცვლიათ და არც

სხვა რამე — ფასების გარდა. ლოყებ-
აყვიყვიანებულ იაგვლოს წინათ თუ სა-
სადილოს გამგე ერქვა, ახლა რესტორ-
ნის დირექტორი ჰქვია და ყველა მეტა-
მოფიწებით აძლევს სალაშს.

გაიხარეს ღარულელებმა — ქალაქე-
ლები გეჭკიოა და ამჟამად დააბიჯებენ
იმ ქალაქში, რომელსაც სულ ორი მოკ-
ლე, ნამდვილი ქუჩა გააჩნია და ერთი
გრძელი — ოღონდ გაუქმებული. აქ
ყველა ერთმანეთს იცნობს და ყველამ
ყველაფერი იცის ერთმანეთის, ისიც კი,
გულში ვინ რას ფიქრობს.

როგორც ყველგან, ღარულაშიც არის
მილიცია და ძველისძველი ციხე-სატყ-
სალო. ციხისა და მილიციის შენობა შე-
ყვარებულებივით გადახვევიან ერთმა-
ნეთს. ჰოდა, აქაური ციხეც მილიციის
გამგებლობაშია, მილიციას კი ჰყავს უფ-
როსი — არისტო კორჩიოტაძე. არისტო
ტყვენ უკვე იხილეთ, რა ვაციცაა. არის-
ტყენ, რა თქმა უნდა, ხელქვეითებიც
ბლომად ჰყავს... ღარულას რაიონში
წესრიგის დასამყარებლად და ყოველ-
გვარი მამაძაღობის მოსასობად. ამ
ხელქვეითთაგან ხშირად წყვილად და-
დის ორი მილიციელი: ქონდარა ეზუცია
და გრძელნაბიჯიანი, აყლაყულა შაკო,
რომელსაც მარცხენა მხარჩამოგდებით
სიარული სჩვევია.

ღარულაში პირველი კაცი, ვის დაუ-
კითხავადაც ჩიტვი ვერ გადაფრინდება
ამ სოფელ-ქვეყანაში, გახლავთ მიტრო-
ფანე გვიმრაძე, რომელსაც ზურგს უკან
„რაიონის პატრონს“ ეძახიან, პირში კი
— კლასიონიჩს.

რვა წლის წინათ, მიტროფანე ღარუ-
ლას პატრონად რომ მოველინა, ხალხმა,
უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მი-
აქცია მის ხელში მოფართქალე ცხვირ-
სახოცს. იოფლებოდა თუ არ იოფლე-
ბოდა, მიტროფანე კლასიონიჩი წამდა-
უნწმ ისევედა მწითურ პირსახეზე რაი-
ონული ვახუთის ერთი ფურცლისხელა
კუბოკრულ ცხვირსახოცს, რომელიც
ქადრაკის დაფას წაგავდა.

მანამდე ასეთი ცხვირსახოცები დას-
ტა-დასტად ეყარა ღარულას ერთსარ-

თულიან გრძელ უნივერსიტეტშიც და რა-
იონის სხვა პატარ-პატარა მადამუშეშიც.
ზედაც არაფერი უყურებდა, ძველს რუ-
რიაო. დახლსა თუ თარობებზე სქლად
მტვერდადებულები ჩამოწვრას ელოდ-
ნენ და უცებ... მოხდა სასწაული ბუ-
ზივით მივხვია ხალხი. ორიოდ დღეში
ერთიანად დაიტაცეს. ქადრაკული
ცხვირსახოცი იმ ხალხმაც კი იყიდა,
ქადრაკი თავის სიცოცხლეში რომ არ
უთამაშია. ერთმა, მავალითად, ასე
იკითხა: ქადრაკი შახმატში მერევა, ის
ხომ არ არის, დანობრულ ბურთულა
ქვებს გრძელი ჯოხით მწვანე მალდიან
მაგიდაზე რომ აჯახუნებენო.

გადამყიდველებმა უმაღვე იყნოსეს
ხალხის სულსკვეთება და ქადრაკულ
ცხვირსახოცებს მამასისხლად დაუწყეს
გაყიდვა. ხოლო როცა ღარულას მიწა-
წყლის ყველა მალაზიოდან გაქრა ქად-
რაკული ცხვირსახოცი და გადამყიდ-
ველებთანაც გაქორდა შოვნა, მეზობელ
რაიონებში დაუწყეს ძებნა, უფრო შო-
რსაც.

ახლა ღარულას ყველა დაწესებულე-
ბაში, ჩინიანი თუ უჩინო ხალხი ქად-
რაკის დაფასავით კუბოკრულ ცხვირ-
სახოცს აფრიალებს. თითებზე ჩამოით-
ვლება, ვისაც ასეთი ცხვირსახოცი არა
აქვს. მეფანმა, ეტყობა, ვერ ვერ იშოვა,
მეფანიც რაღაცით უქმყოფილოა მიტ-
როფანესი — ან დააქვეითა, ან სათანა-
დოდ არ შეაფასა მისი ნიჭი და დაწინა-
ურება არ შესთავაზა, ამ უქმყოფილე-
ბას კი სწორედ იმით გამოხატავს, ქად-
რაკული ცხვირსახოცი რომ არ უღვეს
ჯიბეში...

მივხედოთ ისევ ჩვენს საპატივეცემლო
პატიმარს.

— ბატონო ტუხა, შენი დედ-მამის
ამბავსაც ხომ არ მომიყვები მოკლედ?
ოქმისთვის არა, ეს ისე, საკუთრად ჩემ-
თვის... აქ ჩემმა ინტერესმა უფრო მო-
მიყვანა, მწადი, შენი ბუნება-ხასიათის
უკეთ გაგება... ეგებ ფესვი გაქვს ისეთი,
რო... ნუ დამზარდება.

— კეთილი რაც ვიცია...

უსილაკთან ჰიდოლი



ღმერთად მხოლოდ დედაჩემი მწამს-მეთქი, გაგენდეთ. მაგრამ ჩემს ღმერთს ციდან არ ჩამოფუყვანივარ, არც მსხვილი კომბოსტოს გულში ვუპოვივარ ვინმეს, არც ჩემით ჩამოფერენილვარ ციდან. სხვებივით მეც ამ ცოდვა-მადლიან მიწაზე გაჩნდი. ეს ამბავი კი თურმე ასე მოხდა.

ყავარჩნებზე დაყრდნობილი ფარაფიანი მაღალი კაცი ვაება-წვალებით მიუყვება აღმართს. მუხლში მოხრილ მარჯვენა ფეხს საცოდავად მიაქანებს. თითქოს აღამიანის ხენეშას თანაუგრძნობსო, ორივე ყავარჩენი კენესაშერეულად ქრიალებს.

კაცი მოხრილ ფეხს მიწაზე არ აყარებს, ეტყობა, მაინც სტკივა. თვალებს სიმწრით ხუჭავს ხოლმე და კბილებსაც ყავარჩენებივით აქრიალებს.

გზაგასაყართან შეჩერდა. ყავარჩნებს მარტოოდენ იღლიებით დაეყრდნო, ხელები მოტეხილი ფრთებივით დაუშვა, წინ წაიხარა და თავი ჩაქინდა. ასე გარინდებული იდგა ერთხანს, მერე ფერდობზე დაკიდებულ, ცაში აზიდული მთისკენ მიმავალ გზას ახედა, თავი გადააქნია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— არა, იმ აღმართის მომრევეი აღარა ვარ მე დღეს.

ოქვთ, მწვანე ხავსმოდებულ ღარში მომწყვდეული დღლის წყალი შხუის და ერთბორბლიან წისქვილს აგრუტუნებს. წისქვილის გზისკენ მოქცეულ კედელთან, ზედ კარის გვერდით, ორ ბრტყელ მოთეთრო ქვაზე, მოკლე ფიცარი დაუდვიათ, სამიოდე კაცის ჩამოსაქდომად. ჭარისკაცი ფიცართან მიკლანდა, ზურგნანთა მოიხსნა და ფიცარზე დააგდო ისე, თითქოს ვიღაცას უწყურებო. ფრთხილად ჩამოკდა და წინ გაშვერილი მტყვიანი ფეხი ქვაზე ჩამოკო. ჯიბე მოიხსრია, თუთუნ რაც აღარ ჰქონდა, რას იპოვიდა, ხელი ჩაიქნია, წისქვილის ჭარგვალა კედელს მიეყრდნო და მიმოიხედა.

ჭარისკაცი ფერდობს რომ მოუყვე-

ბოდა, ფარაფა გახსნილი ჰქონდა და მაინც სტკელოდა, აქ კი ღელემ სიგრილედ შემოაგება, ფარაფის შეყვრა დაპირა და გადაიფიქრა. თანდათან ესამოვენა ეს სიგრილე და თვალები მილულა.

— უიშე, ბენა, ვინ არის?! — თითქოს ძილში ჩაესმა ფარაფიანს და უნებლიეთ შეერთა.

წისქვილის ბილიკზე შევკაბიანი მომცრო ქალი იდგა და უფრო შეშინებულ, ვიდრე გაკვირვებული, უცნობ ადამიანს მიშტერებოდა.

— ბოდიში, ბატონო, მგონი, შევაშინე. — ჭარისკაცმა ყავარჩენი მოიმაგრვა წამოსადგომად.

— ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ... შიში რა შუაშია, უცებ მეგონა... ახლა იმდენი მოულოდნელი რაღაც ხდება ხოლმე... კაცი ყველას საიქიოში რომ ჰგონია, ვახიხდავ და ავერ არ მოაბიჯებს გზაზე საღ-საღამაო!.. ეჰ! — ამოიკენესა ქალმა. — არ მეცნობი, ბატონო, აქაური არ უნდა იყო...

— ჰო, საქორიელი ვარ.

ქალი მიუახლოვდა და უფრო დააკვირდა:

— ბენა, შენ ბეკო არა ხარ? გვარი აღარ მაგონდება.

— კი, ბეკო ვარ, ხატეველი.

— ფეხში დაგჭრეს?

— ფეხში და სხვაგანაც... ამ ფეხს ვერ სულ ვერ ვაკარებ დედამიწას, ელემტროდენივით მირტყამს მაშინვე. არ მიშვებდნენ ლაზარეთიდან, ძალით გამოვიჭეცი — იქნება ჩვენებური ჰაერი და წყალი უფრო მომიხდეს-მეთქი. რაც არ უნდა იყოს... თუ სიკვდილია, სიკვდილიც აქ მირჩენია.

— ეჰ, ავი ამბავი მოგსვლია, შე საცოდაო. რა ბიჭი იყავი, რა ბიჭი, ახლა კი საფლავიდან ამოლებულს ჰგავხარ, უბედურო!

— გვაგარ კი არა, ორჯერ ვიყავი დამარბული... ჩემი ამქვეყნად გამობრუნება აღარავის ეგონა. მადლობა უფალს, რაყილა მიცანი, ცოტა რაღაცა მაინც

დამჩენია იმ ძველი ბეკოსი. შენ კი, ბოდინი და, არ მეცნობი?!

— ჰო, შენ საიდან უნდა გეცნობოდეს... დარბო ვარ კლდისუბნელი. აგერ, დარბოელიძეებში გამოთხოვილი... ენება გაგიგონიათ კიდევ აბესალომ და რახველიძე. დიაცვის შვილი. ისტორიასა და ქართულს ასწავლიდა ომამდე და რბოლს საშუალო სკოლაში.

— აჰ, იმ კაი კაცის წყვილი ხარ? აბესალომს ჩვენებური დედა ჰყავდა, ხშირად ამოდოდა დედულეთს, სამწყემსურშიც კი გვივლია ხოლმე ერთად... ომშიც ერთად წაგვიყვანეს, ოღონდ ის, რაკი ნასწავლი კაცი იყო, მალე მეთაურთა სკოლაში გაამწესეს და დავსორდით... ისე, როგორ არის? — გაუბედავად იყითხა ბეკომ.

— მტერი გეყოლოთ ისე, ახლა ის რომ არის, ჩემო ბატონო. ორმოცდარბი მომივიდა შავი ქაღალდი. ქაღალდს კი არ დაუფერე უბედურმა, მაგრამ, მერე ჩემი დეიძლი ბიძაშვილი დაბრუნდა შინ დაქრილი და იმან გამოიხილა: ნულარ ელოდები, მიწა ჩემი ხელით მივაყარეო. ქერჩი რომ არის, ის ჩემი ცოდვით საესე, იქ დაუმარხავს. ერთი ტყვია მოხვედრია, მაგრამ, ის ტყვია ცხრად გამსკდარა და სულ ლუკმა-ლუკმა დაუფლეთია ცხონებული, — ქაღალდა თავსაფრის ყური თვალებში ამოისვა.

— კი, დასტურ, იყო შავისთანა ოხერი ტყვია. ტყვიას, იცოცხლე, ნაირ-ნაირს იგონებენ. ნატყვიარის წამლები იციან ცოტა. კაი კაცი იყო აბესალომი, კაი კაცი, განათლოს ღმერთმა მისა სული, ხალხი ქუთას ეკითხებოდა, გულიც კაი ჰქონდა, ყველას მოსიყვარულე...

— ეჰ, ცოტა ხანს დაგვეცალდა ერთად ყოფნა. ახლა მის დატოვებულ წიგნებსა ვეფერები... სხვა აღარაფერი დამარჩა მის ფეხთაზე... არც კარგი ჰამა-სამა უყვარდა, არც ჩაცმა-დახურვა აინტერესებდა, წიგნი და წიგნი!.. მიწაც უყვარდა ცხონებულს და წიგნიც... ერთი ოთახი მთლად წიგნებით ჰქონდა გამო-

ტენილი, მეც ხშირად მაკითხებდა, ფეხი ამოწყვეო...

— ასეთი ადამიანი ომში რაღა უნდა დაიღუპოს, მაგრამ, ომის ჰყუა ვინ თქვა. ეჰ! — ამოიხარა ბეკომ. — წისქვილს მოაკითხე?

— ჰო, ცოტა სიმინდი მიფურჩევ, ორიოდგ ბათმანი. ჩემი სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა, მაგრამ, სანამ მიწაზე დავლოდავთ, ბატონო, ქამაც გვირდა და სმაც. წუთისოფელი თავისას გვთხოვს.

— დასტურ, დასტური! ჰეშმარიატად! თვარა ლახარეთშივე უნდა მომეცლა თავი. წისქვილს შენ რომ მიიკარებ, მერე სხვა მიუჩივებს, თუ გააჩერებ?

— ჩვენ უბანში, მგონი, აღარაფერია აქვს საუქვავე, გაღმელსაც არავის უთხოვია. ამას რაზე მეკითხები, შენი ქირიბე?

— ისე.

— ისე ამისთანა რამეს არ იყითხავდი. რამ შეგაწუხა, ბატონო?

— დღისით ძლივს დავდივარ და ღამით ეშმაკმა იცის... ხვალ იქნება ვინმე ჩვენებურმა ურმით ამოიაროს და თუ ძალიან დატვირთული არ იქნა, წამათრობს. ამ ღამეს კი, თუ არ გეწყინებათ, აგერ ვავაფე, ცარიელ წისქვილში. არ გამოთევია თუ...

— უი, მომიყვდეს თავი გაჭირებულ კაცს წისქვილში ღამის გათევას რაღა დაემაღლი. მაგრამ, რას იტყვის სოფელ-ქვეყანა?

— რა უშავს, სულ ასე არ ვეგდე მთელი ოთხი წელიწადი, ხან სად და ხან სად. ყინულზეც მძინებია, დამპალ მიწაზეც. აქ სიცოცხლე მაინც არ არის. შემცივდება და, აგერ, მაზარის ერთ კალთას დავიგებ, მეორეს წაეხურავ და...

— რაღა გეკადრებათ, ჩემო ბატონო, უსახლკარო ხალხი კი არა ვართ...

— ღამით ეს ურჯულო ტყვილი წამომაყვირებს ხოლმე ტურასავით, აქ მიჩვენია, მარტო, არავის შეგაწუხებ... ახლა ისედაც ყველა შეწუხებულია.

— ისეთი რა უნდა შეგაწუხებ, შენ კაი კაცი, ერთი ღამე ვეღარ გავუძლოთ?! ხანდახან ადამიანი თუ ადამი-

ნის ლავის არ შეწყობდა... ადამიანობა კი არ დაგვიკარგავს... შენ რომ აქ დაგტოვო ღამით, სხვა თუ არაფერი, ჩემი აბუსალომის სული მიწყენს, ღმერთმანა.

ღარიკომ გაჭირვებული კაცი შინ მიყვანისთანავე სახელდახელოდ წააგებშმა და გალმა უბანს მიამურა. ავადმყოფს თეკლეს დედამთილი მაკრინე დააყენა თავს.

მაკრინეს „სოფლის აქიმს“ ეძახდნენ. სვანეთიდან გამოთხოვილი ქალი ტყე-ღრეში დაფხოწილობდა, ათასწიარ ყვავილს კრეფდა, ბალახბულახის ფესვებს აგრძობდა, ახმობდა ზოგს ჩრდილში, ზოგს მზებზე, ცალ-ცალკე ხარშავდა, ერთმანეთში ურედა და პატარ-პატარა ქილებში ინახავდა. სხვადასხვანაირ მალამოსაც ბლომად ამზადებდა. რა თქმა უნდა, მაკრინე ყოვლისშემძლე არ იყო, არც — ყოვლისმცოდნე. მევანს უხდებოდა მისი დამზადებული მალამო თუ ნახარში, მევანს — არა, ზოგს სწყენდა კიდევ. ვისაც უხდებოდა, „სოფლის აქიმს“ ანგელოზად ნათლავდა, ვისაც სწყენდა — ეშმაკად და კუდიანად. ერთი ლოცავდა, მეორე წყევლიდა. მაკრინე გულგრილად უსმენდა ლოცვასაც და წყევლასაც: რა ვქნა, ბატონო, ჩემს მეტადინეობას, ხელსა და გულს არ ვაკლებ, ყველასთვის ერთნაირად მწადია სიკეთე, ვისაც ჩემი წამალი არჩენს, ღმერთმა შეარგოს, ხოლო ვისაც არ არჩენს, ღმერთმანა, ჩემი ბრალი არ არისო.

თორმე ერთხანობას გააფრთხილეს: ბალახბულახა წამლების ხარშვას თავი დანებე, თორემ ექიმბამობისთვის ციხეში ჩაგაყუდებთო. სამიოდე წელიწადს სამაკრინეო ბალახები მთებში მოუკრეფავად ჰკნებოდა. ბერბევში ბეერს ნამდვილი ექიმის გამოწერილ წამლებზე მეტად მაკრინეს ნახელარისა სწამდა, ჰოდა, თუმცა შეშინებული „აქიმი“ თვითონ მოეშვა ტყე-ღრეში ყვავილების საკრეფად ხეტიალს, ხალხმა არ დაანებებინა თავი: თავედხად დაგიდგებით, ოღონდაც ჩვენზე ხელს ნუ აიღებო.

ახლა მაკრინე უკვე დაუძღვრებულ

მოსტეცი იყო, მინც ხარშავდა შინაურულ წამლებს. ფულს არაქვისა სთხოვდა. თუ ვინმეს მოარჩენდა და მადლობრი ადამიანი პატარა მოსაკითხს მოუტანდა, იმაზეც კი დიდ მადლობას უხდოდა: რატომ შეწყობდი, ჩემი ყველაზე ძვირფასი გასამრჯელო ავადმყოფის გამოჯანმრთელებათ.

ამ ღვთისნიერმა და გულტკბილმა დედამბერმა ბეკოს ფეხზე სახვევი ფრთხილად შეხსნა, თავისი მოტანილი წყლით მობანა ქრილობა, კარგა ხანს სინჯა, მერე ღარიკო შინ წაიყოლა და თავისი მალამო რჩევა-ღარიგებასთან ერთად გამოატანა.

ღარიკომ მაკრინეს ღარიგებისამებრ ჯარისკაცს მალამოთი კარგა ხანს უშილა მტკივანი ფეხი, თვითონ ბეკოსაც აზღვლინა.

— უფრო, უფრო! — ურჩევდა ღარიკო. — თავს მეტად დაატანე ძალა, ტკივილის ნუ შეგეშინება. უფრო მაგრაად, უფრო მაგრაად! ჰო, ასე.

იმ დამეს ბეკოს თვალი არ მოუხუჭავს, ხარიგით ზმოდა პირმოკუმული და კბილებს ახრჭიალებდა. დიღამდე ვაკეკუტრად ითმინა ტკივილი, მერე კი გამწარებული წამოხტა, ყავარჯენს წამოავლო ხელი და მასპინძელს შეუტია:

— ეს რა მიქენი, ალქაჯო, რა მიქენი? დასტურ, ჩემი უბედურება არ მყოფნიდა, კიდევ მომიმატე?

შემართულ ყავარჯენს ქალმა ძენწი ღიმილი დაუხვედრა ფარად და შემოიღვივით სახემღერეულ ადამიანს კვლავ მალამო გაუწოდა:

— დიზილე, კიდევ დიზილე! მე შენ უფრო მაგარი კაცი მეგონე. გამომართვი-მეთქი! კიდევ უნდა დიზილო!

— კიდევ? შენ... შენ მართლა ალქაჯი ხარ, დასტურ! კლდე გგონივარ? მომამორე კუდიანი დედაბრის წამალი, ნუ მახელებ მინც, თვარა, მოგკლავ დასტურ, მე და ჩემმა ღმერთმა!

— ეს სხვა მალამოა, სტუმარო.

— არ მინდა შენი მოტანილი მალამო, არა! მომამორე!

— გინდა. — მშვიდად მიუგო დარიკომ.

— ვერა, ველარ გავუძღვებ სხვის ოჯახში მოგვედებ?

— არ გლომებია მორჩენა, თავი სასიკვდილოდ გადაგიდგია და ეგ არის.

— მორჩენა დიხასაც მწაღია, მაგრამ, გაგიყვება არ მინდა, ადამიანო! გიყვად სირბილს ხეიბრად ყოფნა მირჩევენია, ანდა, სულაც სიკვდილი. არ შემძლია, მეტს ველარ გავუძღვებ, დასტურ შევიშლები...

— გაუძღვებ, ადამიანო, გაუძღვებ! ეს მალამო კაცს არცა კლავს, არც აგიყვებს. ერთს გაგამწარებს კიდევ, იქნებ უარესადაც, და მორჩები. თუ თანდათან არ დაგვიმდეს, მომკალი! შენი ასე გამწარება იმის ნიშანი იყო, რომ წამალმა გასჭრა და მოგიხდა. ვინც მოითმენს ვერცხლით, ვინც არადა, ცეცხლით.

ბეკომ ნებისყოფა მოიკრიბა და დარიკოს მტკივნეულ ფეხს დააშეკინა.

სულიან-ხორციანად გამწარებული ადამიანი მერეც უარობდა, დამანებე ათეო, მაგრამ დარიკო არ ეშვებოდა, ხან წიგნის კითხვით უწყურებდა ტყვილს, ხანაც — მალამოთი, ბავშვივით უფლიდა ზოლზე და ბეკო თანდათან მომწობინდა, ჭერ ცალი ყავარჯენი გადააგდო, საბოლოო კვირამი მეორეც მიაციოლა, ერთხანობას კოჭლობით დადიოდა, ბოლოს კი სულ გამართა მუხლი.

— ა, ხედავ, რა ძლიერი ყოფილხარ! რა არ ვიღონე შენს მოსაკლავად და ვერაფერი დაგაყვლი!

— დამცინი, დარიკო?

— ადამიანის გამამწარებელ ტყვილს დაეცინი. რწმენა რომ დაგიკარგა და გაძახებინა — მოგვედები და მოგვედებითო. ა, ხედავ, როგორ მოგვდი! წაღი ახლა, ცხრა მთხს გადავლაც არ გაგიჭირდება.

— სად წავიდებ, ადამიანო?

— სადაც მოდიოდი, დალოცვილო! ეს შენი ყავარჯენი შეგიძლია სახსთვრად წაიღო.

— დარიკო, დარეჯანი... ნუ, ასე ნუ! — საქორიამში მე არავინ მელოდება, არც

ყავარჯენიანს, არც უყავარჯენოს... მარტო ვარ... ერთი პატარა ოდა მიდგას... ახლა რა დღეშია, არც ვიცი. სულის გარდა, არაფერი გამაჩნია... ეს სულიც შენ მაჩუქე... შენც არავინ გყავს... თუ გამაგდებდი, ნეტავი სულაც არ შემოგეყვანე აქ და არც ასე მოგვევლო... ამხელა გულიც არ გეჩვენებინა.

დარიკომ შორს დაიჭირა თავი:

— იმიტომ არ მომირჩენისხარ, ჩამომისიძღი-მეთქი.

— ვიცი, შენ ეგ არც გიფიქრობ, მაგრამ... მე უსიკვდილოდ აქედან ფეხს არ გავადგამ. თუ გინდა, ისევ წამართვი შენი ნაჩუქარი სიცოცხლე... უსიკვდილოდ კი ვერ შეგელგვი. დასტურ, უშენოდ ველარ ვიცოცხლებ. სასიკვდილოდ გადამარჩინე?

იმ დღეს დარიკომ ხმა არ გასცა ბეკოს, არც მეორე დღეს, არც მესამეს... მაგრამ როცა ნახა, საღსალამათმა ბეკომ მთელ ერთ თვეს მისი სახლიდან ფეხი აღარ მოიცვალა, ძალიანაც აღარ გაჯიუტებულა. ჭარისკაცის ჭერიც ცხოვრებამ თავისი მოსთხოვა და შავი კაბა გახადა.

წლისთავზე ვაყი შეეძინათ. იმ ჩვილს იმდენიც არ უცოცხლია, დედის ბუდეში რომ დაჰყო.

მეორე ბავშვიც აყენიდან გადასვენენს კუბოში.

გამწარდნენ და ჭიბრში ჩაუდგნენ სიკვდილსა და წუთისოფელს.

ისევ ვაყი შეეძინათ და... არ დაარქვეს სახელი.

ერთმა ბერიკაცმა ურჩიათ: ვიდრე ჩვილს აყენიდან არ ამოიყვანთ, სახელს ნუ დაარქმევთ და შეგზრებათო.

ორ წლამდე ბიჭს მხოლოდ „აღუას“ ეძახდნენ. მერე დარიკოს მამის სახელი დაარქვეს — ტუხა.

ასე მოეგლინა ქვეყნიერებას ის ტუხა ხატველი, დღეს თქვენს წინაშე რომ დგას ფეხშიშველი, ვითარცა დაბადებისას იყო.

ბეკო მალე გამოსაღსალამათდა და ძალ-ღონეც ისე მოუზღვავდა, გეგონე-

ბოდათ, რაც ქრილობებისაგან დასუსტებულმა დაკარგა, ათმაგად დაიბრუნაო.

თურმე თავის ყანა-ვენახსა თუ გაბიროვნებულ ნაკვეთზე ორი კვირის საქმეს დღენახევარში ზურგზე რომ დასცემდა, მერე ზოგიერთივე მხარ-თეძოზე როდი წამოწებოდა, დასვენებას ვერ იტანდა, ესმარებოდა უკაცო ოჯახებს, ომმა ასე ბევრი რომ დატოვა, და იქაც ისევე თავდავიწყებით, გულმოდგინედ და მუყაითად ირჭებოდა, როგორც საკუთარ ყანა-ვენახსა თუ სათიბში. გასამრჯელოს გამორთმევა გულში ფიქრადაც არასოდეს გაუვლია, თუ ვინმე რაიმეს შეაძლევდა, შეურაცხყოფად მიიჩნევდა: ჯან-ლონე კი არ მიყიდა, ვაჭარივით ღავეყილო, უფასოდ მოცემულმა მაკრინეს წამალმა დამბრუნა ჯანი და ახლა ეს ჯანი ფულზე დავახურდით?! ადამიანი იმისთვის იზადება, მეორე ადამიანს შეძლებისდაგვარად დაეხმაროსო.

სოფელში ბევრი ემაღლიერებოდა ამ ოჯახს, ცოლ-ქმარიც ერთობ მაღლიერი იყო ერთმანეთის. ბეკო ხშირად ამბობდა, დარიკომ გადამარჩინაო. დარიკო ბეკოს ლოცავდა, ქვრივობით დასევდიანებული და გულდაღამებული სიხარულისკენ შემომბარუნა, ჩემს სიცოცხლეს ახალი ქეშმარიტი მიზნად გაუჩინა, თორემ რაა დასამალი, ცარიელი ვრწმბოდი და ამ სიცარიელეს თანდათან კიდევ ვეგუებოდი, ახლა კი გაივსო დაცარიელებული ჩემი ცხოვრებაო.

ჰოდა, ამ ბედნიერად შესმატბილებულ ცოლ-ქმარს რომ ეგონა, სული მოვითქვით და ამიერიდან აღარაფერი გვიქირს, დამშვიდებით ახალ სახლს ავიშენებთ და ახალ ვაზს ჩავყრიით, უნილავემა ისევ უბედურება მოაყენა ბეკოს. გეგონებოდათ, მთელი ძალ-ლონე ანაზღად შემოეხარჯათ, უცნაური ავადმყოფობა თუ რაღაც იმგვარი დასჩემდა. დილით სახლიდან ისეთ ჯანზე გავიდოდა ხოლმე, ეგონა, მთა-ბარს გადავებარუნებო და საქმესაც დევეით შევბემებოდა, მერე კი, უცებ, მთელი

სხეული მოუდუნდებოდა, თითქოს ხელ-ფეხი ვიღაცამ წაართვა და კაცი კუნძად აქციაო. ხილულ მიწასთან ბრძოლა-ქილილი არ უქირდა ბეკოს, ამ უხილავეთან კი ვერაფერს გახდა. დარიკო დიახაც კარგად უვლიდა ქმარს, ამჟამად ოდნავადაც ვეღარ უშეღავათა. ამ დროისათვის მაკრინე ცოცხალი აღარ იყო. იმ ქალმა თან წაიღო თავისი წამლების დამზადების საიდუმლო, ბეკოს კი თეთრხალათიან ექიმებთან მისვლა არ უნდოდა, ისინი ლაზარეთს აგონებდნენ და იმ დღეთა გახსენება უფროს შესამავდა ადამიანს.

პირველად ფიქრობდა, ეს რაღაც სენი თავისას მოიჭამს და უექიმოდ გამოვილისო. არ გაუარა. დარიკომ ქმარი ძალით წაიყვანა ღარულას ექიმებთან. ვერაფერი გაუგეს და ბეკო შინ გულმოსული დაბრუნდა, აღრწინილი. ვის უღრუნდა, თვითონაც არ იცოდა.

— მაინც რას უჭივი? — ეკითხებოდნენ ხოლმე მნახველები.

— არაფერს... დამზლას არა ჰგავს. ბნედა არ არი... რაღაც უცნაური ავადმყოფობა შემიჭდა ტანში და აღარ გამოდის... კარგად რომ ვარ, უცებ ვიკარგები... ვეთიშები ქვეყნიერებას... რა მაკარგავს, ეშმაკმა უწყის... კი, კი, თქვენი ჭირიმე, დასტურ, ახალი ჭირია რაღაც.

— ფეხი ხომ აღარ გაწუხებს, ან იქნება სხვა ნაჭრილობევი გტკივა? ტყვიან ყუმბარის ნატები ტანში ხომ არ დაგრჩენია?

— არა, კაცო, არაფერი. ფეხიც მომირჩა და სხვა ნაჭრილობებიც, ტანში არაფერი დამრჩენია, მაგრამ... ღმერთმა თუ ეშმაკმა იცის... ეს ოხერ-ტიალი რაღაც უჩინარი ფარსავი მჭირს, უსამეგლო ვაი-უბედურება. დამალული ჭირი ასხელა და ასფეხა, ყველგან არის და არსად არ არის. ამ ბოლო ხანს ერთი ექვი შემომიჩინდა: თითქოს ომიდან წამომყვა და დღემდე ვერ მოვიშორე თოფისწამლის სუნს... მეგონი, ერთხელაც მაგრად გამოიჭდა ძვალ-რბილში და... ამა, სხვა რა უნდა იყოს? ნაჭრი-

ლობევი სულაც არ მაწუხებს, თითქოს ეს სუნი მელანდებდა და მახრჩობს. მახრჩობს და აქამდე ვერ დამახრჩო ამ ვერანამ. აღარც ცოცხლებში ვწერივარ, აღარც მკვდრებში.

— ნუ გეშინია, ბეკო, ბევრი ქირისთვის გაგიძლია და ამასაც მოინებლებ, მომგობინებები მალე! — ანუ გეშებდნენ მეზობლები და მნახველები. ავადმყოფის გულს კი ნუგეში აღარ ეკარებოდა, დაკარგა საკუთარი თავის რწმენა, ხელი ჩაუქნია წუთისოფელს:

— ეკ, აღარაა ჩემი საშველი, მიწა მეძახის უკვე.

მერე, ერთ ჩვეულებრივ დღეს, დარჩოს რომ ეგონა, ნაჯახირევი კლდეკი ქეიშად დაიშალა და განძრევის თავიც აღარა აქვსო, ავადმყოფი ტახტიდან წამობორძიკდა და ბელლის კედელზე ცელი ჩამოხსნა.

— სად მიხვალ, კაცო?! — გაუწყრა თენიერი ცოლი.

— ხომ ხედავ, ქალო, ეზოს და კარმიდამოს რა ურჯულოდ მოერია ბალახი! მალე შინაც შემოვა. უბალახო ეზო შიშველი ადამიანივითაა, მაგრამ, ასეც ბტერს აუბალხდეს კარმიდამო. გაეთიბავ. — ცელს პირი გაუსინჯა.

— მოუსვენარი კაცი ხარ, მოუსვენარი! მაგან მოგინელა შენ.

— ჭას თუ არ ხმარობ, შრება, ბალახს თუ არ თიბავ, ფესვი უხმება. დასტურ, ასეა. ცელმობხედრილი ბალახი მერე უკეთ იზრდება, ფესვი უღონიერდება.

ჯანი აღარ მოსდევდა, გაუჭირდა ცელის მოქმევა, მაინც არ მოეშვა.

— დაანებე, კაცო, თავი, დაანებე! მაგ ბალახს გინდა დააკედ? მოვიცილი და ნამგლით გაეთიბავ. მოეშვი, მოეშვი, კაცო! ბეკო არა ხარ შენ?! სიჭიუტე ყოველთვის კი არ გარგია! — წამდაუწყემ ეძახდა დარიკო. ბოლოს გაცეცხლდა და ცელის წართმევაც კი დაუპირა.

არ შეებუა ქმარი. ვადრე ეზო და კარმიდამო მთლიანად არ გადაპარსა, ცელი ხელიდან არ გაავდო.

შვიდი დღის მერე ამ გათიბულ ეზოზე გადაატარეს ბეკოს გრძელი კუბი.

მაშინ ხუთი წლისა არც ვიყავი და მამის ავადმყოფობა ბუნდოვნად მახსოვს. არც სიკვდილი დამამახსოვრდა კარგად. დილით რომ გავიღვიძე, ეზოში მეზობლების უჩვეულო ფუსფუსი დამხედა. მერე ტახტზე გულაღმა მწოლარე თვალდაბუქული და გულზე ხელებდაკრფილი მამაც ვნახე, მიწისფერი. მამის მიწისფერმა კი არა, ღუმილმა შემაკრთო. უცებ უცნაური სუნი მეცა, უსიამოვნოდ გამაფრეოლა და უმალვე განვერიდე. მერე იქითვე აღარც გამიხედავს. არა, ეს მხოლოდ უსიამოვნო სუნი როდი იყო, მასში რაღაც სხვაიც ერია, ჩემთვის მანამდე უცნობი სუნი. აღბათ, ბავშვმა პირველად მაშინ ვიგრძენი სიკვდილის სუნი და ამან კი არ შემამაშინა, რაღაც ბუნდოვნებაში გამხვია.

თითქოს რაც იმ დღეს ჩვენ სახლში ხდებოდა, მართალია, უჩვეულო იყო, მაგრამ მე სულაც არ მეხებოდა.

ორიოდე კვირის წინათ ლეკვი გამილაბეს, ცუგრია, და მთელი სამი დღე ვტიროდი. გალახულ ლეკვს კი სასოებით გულში ვიკრავდი და ვეფერებოდი. ლამით ლოგინში ვიწვევდი. აი, მამა მომიკვდა და ერთი ცრემლიც არ გამომომიგდია, ისიც კი მიკვირდა, დიდები რომ ტიროდნენ. გაბუსუნებული მიმოვდიოდი ეზოში და ისევ ჩემს ცუგრიან ვეხაფიფებოდი.

ასლა მამას რომ მოხსენებენ, ან თვითონ რომ მოვიგონებ, არასოდეს წარმომიდგება თვალწინ, როგორ მისვენებენ. მხოლოდ ერთ რამეს ვხედავ — რა მარჯვედ უჭირავს ლაპლაპა ცელი და გულმოდგინედ თიბავს... მარტო ჩვენი ეზოს მიდამოში კი არა, ყველგან, სადაც ბალახი ამოდის.

— შეიტ და შეიტ! შეიტ და შეიტ! — შხუის ცელი და ყვავილებმერეული მუქმწვანე ბალახი ნება-ნება წვება, მაგრამ კენესით კი არა, ღიღინით.

სადაც მოუთიბავ მინდორს დაეინახავ, იქაც უმალვე ცელმომარჯვებული მამა

მელანდებდა, ისეთივე, მაშინ რომ ვნახე. პოდა, რაკილა ის აღარ მეგულებოდა ამ ქვეყნად, მწაფია, ბალახი ყველგან მე ვაგვითბო. ალბათ, მამაჩემის უკანასკნელი ვაბრძოლება და დედაჩემთან საუბარი თავისთავად დამებუქდა გულზე, სულში შევირახე და იმ დღიდან ვიწყებ, რომ თიბვა ბალახის სიკვდილი კი არაა, სიცოცხლის განახლებაა, ცელი მისთვის სიამე კი არაა, ისეთივე სიკეთეა, როგორც აღამაინისთვის წვერ-ულვაშის პარსვა. ამიტომაც მგონია ხოლმე, თითქოს თვითონ ბალახი მეხვეწება, მომცელე, რომ ფესვი უფრო გამიღონიერდეს და გაისად უკეთესად ამოუბიბინდეო. ამას რომ ვფიქრობ, ჩემი ცელი კი არ კივის, გალობს და ეს სივილ-შხივილი ყველა საგალობელს მიჩნევნია. არც მოცელილი ბალახი კვნისის, ისიც ცელივით მღერის. მეც ამიტომ ვლილინებ თიბვისას — ცელივით ვგალობ და ბალახივით ვმღერო. თუვის ზვინებოც ამიტომ მეჩვენება შხის მასაზრდოებულ

მიწის ძუძუებზე. ამით თითქოს მამის სსოენასაც ვცემ პატისს. მისი ხელისუფლი ბევრი არაფერი დამჩინია: ცელი, ბალახწარას კანის ჩანთა, მამისავე ხელით დაწნული, და ფრონტიდან ჩამოყოლილი ალუმინის თეთრი მათარა, ხუფიანი. აღრე, მთავი სათიბავად მიშავალს, ეს სამი რამ ყოველთვის მიმქონდა. ჩანთაში საგზალს ჩავილაგებდი, მათარაში ლეინოს ჩავისხამდი, დაკეცილ ცელს მხარზე ვავიდებდი და წვევლაგუნდებოდი. ბლის კანის ჩანთა გამიცვდა, ცელიც გამიცვდა ლესვით. არ გადამიყრია, ბელის დახურულ კედელზე ჩამოკიდედი ორივე. ჰამა-სმას არა მთხოვს და არაფერი ეკილოს მამის სახსოვრად.

თეთრი მათარა მთავი ახლაც დამაქვს ხოლმე. ბოდიში, მგონი, თავი შეგაწყინეთ.

— როგორ გეკადრებთ! ახლავა გავიგე ნამდვილად, რასაც ზოგი შენს აბირებულ უცნაურობად ნათლავს.

მხუპვალე თოვლი

თქვენ უკვე იცით, მე და თეონა ხაწისქვილიო ღელის გაღმა-გამოღმა ვცხოვრობთ. პატარაობისას ჩვენზე დიდები ღელეს რომ დააგუბებდნენ, შიგ ჩვენც გვაბანავებდნენ. ბაყაყებივით გავშლილით ხელებს და ვიყავით ერთ ამბავში. მერე აღმა-დაღმაც ერთად დაერბოდი. მე მზაბედა, ისიც ფეხშიშველა დაცუნულბოდა. არავისთან ყოფნა ისე არ მსიამოვნებდა, როგორც თეონასთან. თონად მაშინ არ ვიცოდი, რატომ. მსიამოვნებდა, ეს იყო და ეს.

სკოლაშიც ერთდროულად წავედი და ერთ მერხზე დავსხედით.

სამწყემსურშიც ერთად დავდიოდით ხოლმე. იქ გოგო-ბიჭები ხშირად თამაშობდნენ ქორწილობის. ნეფე-პატარაღს ყვაილებს გვირგვინით მორთავდნენ და სხვები მყარითონივით მოყვებოდნენ. მერე ვითომ უკვე ცოლ-ქმარი იყვნენ და ერთად ამენებდნენ ხულას.

მე და თეონას რა არ გვითამაშნია: რიქტაფელაო, კუკუდამალობანაო, ესაო, ისაო, ცოლქმრობია კი არასოდეს.

მალე გაზრდა კი ძალიან ენატრებოდა.

— აი, მე უკვე შენზე დიდი ვარ! — მეტყოდა ხოლმე.

— კი, ბებია ვიცხონდებამ!

— დიდი ვარ, დიდი აბა, დავეტოლოთ!

— დავეტოლოთ! — მხარში დავუდგებოდი.

— ასე არა.

ერთმანეთის პირისპირ გავშლილით მკლავებს. ზოგჯერ ისე ახლოსაც, ჩვენს შუა ნიავიც ვერ გაივლიდა.

— აი, ხომ ვითხარი! ჩემი მკლავები უფრო მაღლაა! — ისე უხაროდა გოგოს, თითქოს ოდნავი ამადლება რაიმე უპირატესობას ანიჭებდა.

— შენ ქვეშ ბელტი გიდევს და ფეხსწვერებზეც დგები.

— არ ედგები ფეხსწვერებზე. პა! თითქმის ყოველ მესამე დღესა მოხონდა, დამეტოლეთ. ხან მე გამოვიდოდი მაღალი, ხან — ის. სწყინდა, თუ ჩემი მკლავები უფრო მაღლა გაიშლებოდა. არ ატირდეს-მეთქი და ზოგჯერ განგებ ვიდაბლებდი თავს. მაშინ ღიმილის ჰეპლები აუფართქალდებოდნენ პირისახეზე.

მუდამ შეხმატებილებულად ვთამაშობდით, მხოლოდ დატოლებისას წაეკრკლავდებოდით ხოლმე.

ზამთარში თბიფეხა ტაბლას ავაცუნტულუბდით გორაკზე, გადავბარუნებდით. მე წინ დავდებოდი და ტაბლის აშვერილ ფეხებს საშესავით დავიქვრდი. თეონა უკან შემომიჭვებოდა, ხელებს შემომხვევდა მაგრად და პერა. ციგადქციული ტაბლით დავეშვებოდი ფერდობზე. აღარც ჰამა გვახსოვდა, არც სხვა რამე. მე ფეხებზე რომ არ შემცივდებოდა თოვლში, ეს იცით. თეონა თბილად იყო შეფუთვნილი. პოდა, დილიდან საღამომდე ვცივავდით. ავლოდით, დავეშვებოდი. ავლოდით, დავეშვებოდი. ორივეს ძალიან გვიხაროდა. კიდევ უფრო გავიხარებდით ხოლმე, თუ ციგა ბექობზე გადავბარუნდებოდა და თოვლში ამოვიგანგლებოდა.

ყოველთვის ვეფერებოდი თეონას და ვცდილობდი, არაფერი სწყენოდა. იქნებ იმიტომაც, რომ ჩემსავით ფეხსწველა ხიარული უყვარდა. მარტო გვიან შემოდგომისა და ზამთარში იცავდა ყელიან წულღებს.

მხოლოდ ორიოდჯერ ვაწყენინე. ერთხელ მე და ნადირა ერთმანეთს შურდულის სროლაში ვეჭიბრებოდით. ვკობნიდი. ათი კენჭიდან მიხანს ჩემი შეიდა-რვა ხედებოდა, ნადირასი — მხოლოდ ხუთიოდე. ამ დროს დავინახეთ, მზარზე კოკაშედგმული თეონა მოდის წყაროდან.

ბიჭი იქნები, იმ კოკას თუ მოარტყამ შორიდანო, ამაგულთან ნადირამ. კი მო-

ვარტყამ, მაგრამ არ ვესერი-მეთქი. ვერ მოარტყამო, შორიდან ვერ მოარტყამო, გამახელა, გაჩერებული მიხანს სხვა და მოსიარულე სხვაო. დამენიდავეო. თავდაჯერებული, ზუსტი სროლა ვიცი-მეთქი, შემაქვინა ეშმაკმა, გამოვსწიე შურდული, კენჭი კოკას ოდნავ წინ დავუმიწვინე და...

მთლად გალუმულ და დამფრთხალ გოგოს ხელში კოკის სახელურილა შერჩა. კოკის მუცლის ანატეხი თეონას ფეხზე დაეცა. საბედნიეროდ, არ გაუჭრია. გალუმულს თეთრკაპლებიანი ლურჯი კაბა ტანზე უცნაურად მიგვრა, თითქოს ასეთი სხეულია ჰქონდა გოგოს. ატირებული გაიქცა. წყალი წურწურით ჩამოსდიოდა და შიშველ წვივებს ბანდა.

სანაძლეო დიხაც მოვიგე, მაგრამ... ეს კი ველარ მოვისაზრე ადრევე: ვათუ კოკა შემომატყდეს-მეთქი. საესე კოკა თურმე უფრო ადვილად ტყდებოდა.

ერთხელაც ჩემით ჩავიღინე პატარა სისულელე. წყაროსთან ქალების ლაპარაკი გაევიგონე: ჰინჭრით ფეხების დასუსხვა კარგიათ. პოდა, ვირტყი და ვირტყი ჰინჭრის კონა კანჭებზე და ბარძაყებზე. მერე გზაზე მშვიდად მომავალი თეონა დავინახე და... უცებ მომიფრინდა თავში: მოდი, ამ უფასო წამლით გოგოსაც „უეჭიმიტ-მეთქი“. ახალი ჰინჭარი დავგლოჯე, ცოცხისხელა კონა შევკარი, მივებარე არხინად მიმავალ თეონას და დაუეშინე შიშველ წვივებსა და მუხლებზე. წივილ-კივილით გაიქცა.

მე არაფერი: ფეხები ოდნავ ზედმეტად შემისურდა და საღამოზე გამიარა, გამწარებულმა გოგომ კი მთელი დამე ვერ დაიძინა თურმე, თონესავით უხურდა არა მარტო ფეხები, მთელი სხეული. ჰინჭრით დასუსხული ადგილები კი პილილივით დაუწითლდა და დაუსივდა კიდეც.

მამიდა თეკლე სასთუმალთან უჯდა და აწყენარებდა:

— რა გაწივლებს, გოგო? ნუ გეშინია! რამდენჯერ დამსუსხვია ჰინჭრით ფეხები, მაგრამ, არაფერიც არ მომსე-

ლია. ზოგი განგებ ირტყამს ქინჯარს, ქარები აღარასოდეს გამიჩინდება, არც ქინჯრის ციებათ.

— მატყუებ! ერთი ავდგე, ვუჩვენებ იმ შეეტუხას, რავარც უნდა ქინჯრით დასუსხვა! — იმუქრებოდა გამწარებულ გოგო, — ჩემ სიცოცხლეში ხმას აღარ გავცემ.

მესამე დღეს ტკივილმა გაუარა, დასუსხული ფეხები მოურჩა და იმ ტკივილთან ერთად დააიწყდა ყველა მუქარა. თვითონვე შესტუმრა და შემირიგდა.

— ტუხია, თვალე მამიდამ იცი, რა მითხრა? ქინჯრით ფეხებს რომ დასუსხა, აღარც ქარები ვაგინდება, აღარც ქინჯრის ციებათ. შენ ეს იცოდი, თავქარიანო?

— აბა, არ ვიცოდი! — უმაღვე შევიმშვენე სიკეთე, რადგან ეს არცთუ ისე ტყუილი იყო. — იმიტომ დაგსუსხე, გულო, ვიცოდი, შენით ვერ გავბედავდი და მოგვეყვლე.

რაც ქვეყნიერებაზე სიკეთეა, ყველაფერი მგნებება თეონასთვის და ადამიანის უწვალებლად გაზრდილი ქინჯრის სიკეთე დამენანებოდა!

როდესაც წამოვიზარდეთ და მივუახლოვდით იმ ასაკს, ბიჭს ხმა რომ უბოხდება და გოგოს მკერდზე ორი ბორცვა უჩნდება, თეონას სიმალლეში თანდათან ერთობ გაეასწარი და ჩემზე დატოლება აღარც უფიქრია.

ბავშვობისდროინდელი ერთი შეჯიბრი კი არ მოიშალა. აბა, წამწამებდაუხამხამებლად ვინ უფრო მეტხანს გასძლებსო, ერთმანეთს თვალეში ვაშტერდებოდით, ხან მე ვიმარჯვებდი, ხან — თეონა. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვხედავდით ჩვენს გაშტერებულ თვალეებს ერთმანეთის თვალეებში და ეს იყო ჩვენთვის მაშინ მხოლოდ შეჯიბრება, სხვა არაფერი. ვთამაშობდით თვისუფლად, მოურიდებელი სითამაშით. ზოგჯერ დიდი გატაცებითაც, რადგან ეს თამაში ორივეს ძალიან ვესიამოვნებდა.

მეცხრე კლასში, ზამთრის არდადეგებისთვის რომ დაგვითხოვეს და შინ

გბრუნდებოდით, თოვლის ბილიცზე თეონა ჩვეულებრივ წინ გავედით და მე ფეხდაფეხ გავყვი. უცებ მომიტრიალდა: შენ წადი წინ, მე გამოყვებიო. რატომ-მეთქი? მეჩვენება, რომ ზურგზე მომშტერებიახარ და მეწვისო. ჰო, ასე მითხრა. წინათ სულ ასე არ დავიარებოდით-მეთქი?! — გამოვიკირდა. დღეს ასე მომეჩვენა და მეწვისო. რომ გამომეორა, ღიმილის პეპლები აუფართოვლდნენ პირისახეზე და თვალეები მომარბდა. თვითონაც არ ვიცი, რამ მივარინახა, უცებ გოგოს ხელი ვკარი და თოვლში გულაღმა გადავაგდე. კატის სისწრაფით წამოხტა და ახლა თვითონ დამიბირა ხელისკვრით თოვლში გადაგდება. აბა, თეონა მე რას მომერეოდა, განგებ წაიქციე, უმაღვე წამოვხტი, გარი ხელი და ისევე გულაღმა გადავაგდე თოვლში. ახლაც სწრაფად წამოხტა და დამიწყო ძიძგილაობა, ქიდაობა, ბლარბლნი. გავხურდით თოვლში ამოგანგულელები. გოგო, რა თქმა უნდა, ვერ მჯობნიდა და მთელი ძალ-ღონით მიტევედა, მე უბრალოდ ვიგერიებდი. თეონამ მკლავების გაკავება მომიხდომა და მაგრად ჩამეჭიდა, ერთმანეთს უნებლიედ ჩავეხვიეთ და წამით ორივე გავირინდეთ. მერე გოგომ ისევე მიბიძგა ხელი და თვითონ კი წაიქცა. წაქცევისას ხელი ჩამავლო და გადამიყოლია. თოვლში მე ქუდი გადამივარდა, თეონას — თავშალი. გოგოს თმა აებუწა და ლოყაზე მომელამუნა.

მისი თმა, ვინ მოთვლის, რამდენჯერ შემხებია და არაფერი. ახლა კი ამ წამიერმა მოლამუნებამ უჩვეულო ერთმანტელად დამიარა მთელ ტანში და რალაცნარად შემაცბუნა კიდევ. ანაზლად თეონას თმის თავბრუდამხვევი სურნელებაც ვიგრძენი და ამან კიდევ უფრო ამიფორიაქა სული. წუთით ისევე გავირინდეთ თოვლში ჩაწოლილები. მერე გოგოს თვალეებში ჩავეხდე და თუმცა შიგ ჩემი თავი წინანდებურად დავლანდე, მივხვდი, გოგო ადრინდელივით აღარ მიყურებდა. თეონას თვალეებში მე კი ეჩანდი, მაგრამ ჩემ გარდა შიგ იმდე-



ნი მოკიფე ნაპერწყალი რიალებდა, იმ ნაპერწყლებში ვიყავი მთლიანად გახვეული. ალბათ, ასე სხვანაირად ჩანდა თეონაც ჩემ თვალებში. ვიგრძენი, რომ რაღაც შეიცვალა ჩვენს ურთიერთობაში. იგივენი ვიყავით და აღარც ვიყავით იგივენი. ჩვენი თვალებიც უკვე სხვა თვალები იყვნენ: ერთი ვაყის, მეორე ქალის.

იმ წუთში პირველად განვიცადე გულის ტკბილად აჩქარებული უცნაური ყრფოლა და მომეჩვენა, თეონამაც ასე განიცადა-მეთქი.

თეთრი მსურველება შემომენტო მთელ სხეულზე, თოვლის თეთრი მსურველება. თითქოს თეონამ თავისი ფარული ცეცხლით თოვლიც გაახურა, დაუდნობლად გაახურა. მუდამ მიყვარდა თოვლი, ასე საამო კი არასოდეს მიყენებია. ამ მსურველებამ მიმიზიდა და შემამინა კიდევ. გეგონებოდათ, ორგველი უხილავი ნაკვერცხლების მოციხვრო ალი გიზგიზებს და ხელის ხლებს არ შეიძლებაო. არადა, ამ წუთში ძალიან მიწოდდა ამ მსურველებაში გახვეულიყავი და თუნდაც დაფერფლილი დაგვარგულიყავი.

დამთავრდა ზავშეური თამაში და დაიწყო რაღაც სხვა, ჭერჭერობით ბუნდოვანი. ამ ერთი თვალის დახამხამებაში თითქოს ერთმანეთს რაღაც დანაშაულზე წავსწართ და ორივემ ვამობინეთ ერთიმეორისათვის თვალის მორიდება.

მე გოგოს ველარ გავუსწორე თვალი. გოგომ — მე.

იმ უწმინდეს მოციხვრო სითეთრეში, იმ გულცივ თოვლში დაიბადა რაღაც ბუნდოვანი და თბილი, ჩვენთვის ბანამდე გამოუტყდელი, უჩვეულოდ თბილი და თითქოს ორივე დაგვაფრთხო ამ ამბავმა, ამ სითბომ, მთელი სხეულის გამხურებელმა სითბომ... უფრო სწორად, ამ სითბოს მოტანილმა გაურკვევლობამ და გაოცებამ: ნეტავი ისეთი რა მოხდა, ორივე ასე თვალსა და ხელშეა რომ გადაგვასხვაფერა და ერთმანეთი-

სადმი მორიდების გრძობა? ვიღაცეები ნაო?!

თეონა პირველი მოეგო გონს, ორივე ხელი მკრა, ფეთიანებით წამოხტა, თავშალი აიტაცა და თავზე კი არ წამოიხურა, პირისახეზე მიიფარა.

უბრებოვით ვავუყვებით გზას. ეტყობა, ხმის ამოღებისა და დუმილის დარღვევის ორივეს გვეშინოდა. ორივე რაღაცის აღმოჩენამ არა მარტო გაგვაოცა, გაგვაოგნა და დაგვამუნჯა კიდევ. ჭერ კარგად ვერ მივმხედარიყავით, რა აღმოვამინეთ, მაგრამ რაღაც ახალი რომ აღმოვამინეთ ერთმანეთში, ამას, ეტყობა, ორივე ვგრძნობდით უკვე.

ის დღე იყო და ის, თვალგამტერობა-ნა აღარ გვითამაშნია. თვალგამტერობანას ვინდა დაეძებს, უბრალოდ ერთმანეთისთვის წამით თვალის გასწორებასაც ველარ ვახერხებდით. ერთიმეორისთვის თავისუფლად ხელის მოკიდებასაც ველარ ვებედავდით, თითქოს ესეც აგვარძალა ვილაცამ. სკოლაში კვლავ ერთ მერხზე ვისხვდით, მაგრამ უბრებოვით და თანაც აქეთ-იქეთ კიდევში.

ჩემთვის მაშინ რომ ეინმეს ეკითხა, ვერ ვეტყვოდი, რისი გვრცხვენოდა და რას ვერიდებოდით. ვითომ ისეთი რა მოხდა, რომ... თოვლში ერთად ჩავკოტრივდით, ეს იყო და ეს... ჩვენი ჩაბურსალება არც არავის დაუნახავს და არც არავის დაუხრახავს. არც ჩვენ გვითქვამს ერთმანეთისთვის თუნდაც პიტარა საყვედური. ჰოდა, ეინ ან რა ჩადგა ჩვენს შორის ასე უხილავად, ერთდროულად ორივეს კიდევ რომ გვიზიდავს და კიდევ რომ გუთიშავს? ერთდროულად ერთიმეორეს რომ ვერიდებთ და თან სულ ერთად ყოფნა რომ გვწადია?!

ერთხელ, წყაროზე რომ ჩავედი ჩაფით, თეონაც იქ დამხვდა. ორი უბნის ქალებს მოეყარათ თავი თა რიგი იდგა. სამიოდეჭერ თეონასკენ გამექცა თვალი, რაღაცის თქმა დაეპირე და მეუხერხულა.

გაღმაუბნელმა მინადორამ აგველდაგვხედა და გეკითხა:

— დამღრებულები ხომ არა ხართ?

— დამდურებული კი არა!.. რა გვეტყვი დასამდურებელი — მიუგო თეონამ და თავი ჩაღუნა.

მე სულ ვერაფერი ვთქვი.

— ქალებო, მე მოგიყვებო, თუ ამ გოგონას ერთმანეთი არ უყვარდეს! — გადაუჩურჩულა მეზობლებს.

თეონამ ეს რომ გაიგონა, დაავლო ცარიელ კოკას ხელი და გაიქცა.

ნეტავ რამ დააფრთხო ასე?!

მეც შემრცხვია, ოღონდ წყაროდან ცარიელი ჩაფით არ გავეცეულვარ.

მეორე დღეს თეონა ჩემი მერხიდან შორს გადაჯდა, უკანა კედელთან.

შინაც აღარ წამოვსულვართ წყვილად.

სიზმარ-ცხადად თეონას ველაპარაკებოდი გულში, თუ სადმე გულის გამთბობი სიტყვა მეგულეობოდა, მისთვის ვაგროვებდი, დავინახავდი და ენა მეზმებოდა, მუნჯს ვემსგავსებოდი.

ვამჩნევდი, ასე ემართებოდა თეონასაც.

არადა, ორივეს გვენატრებოდა ერთმანეთის ხმის გაგონება.

თეონას რომ ეთქვა: მდინარე აღმა შეატრუნეო, შეეცებებოდი, დიდ გოდორ-ყულებს ჩავყრიდი წყალში და შევაბრუნებდი. ერთხელ ისიც კი გაიფიქრე: ზამთარში მზე თეონას სახლს გვიან ადგება და გაღმა მთა უნდა გადავანგრეო იმ ადგილას, საიდანაც თეონასთვის მზე ამოდის-მეთქი.

როცა რაიმეს თქმა იყო საჭირო უტყველად, ხმა გვითრთოლდებოდა ორივეს.

კარგა ხანს ვაგრაძელდა ასე.

გაზაფხულზე თეონას მამიდან თეკლემ მთხოვა: ვენახის ბარჯაზე მომეხმარეო. ამასზე მეტად, მგონი, ქვეყანაზე არაფერი გამხარებია.

დილაადრიან მივადექი და თეონას მამიდან რომ ეგონა, ვერ დაწყებული არ ექნებოაო. ნახევარი ვენახი ბელტა-ბელტა გადაშავებული დაჯახვედრე.

ისე არაფერი მეჭაერება, მუშაობისას კაცი რომ ცუდლუტობს, თავის საქმეს აკეთებს თუ სხვისას, ეს სულ ერთია.

ამ ვენახს კი განსაკუთრებული გულმოდგინებით ვბარავდი, ურმად დაფრთხილად, ვაზებს ფესვები არ დავუხიანო-მეთქი.

მალე თეონაც მომადგა ბარით: ცოტას მაინც მოგეხმარებო. ვენახის ბარჯა მაშაყაცებსაც უჭირთ და გოგოს როგორ დაეანებებდი. ის კი მიწოდდა, თეონას ახლომახლო ეტრიალა და ვუთხარი:

— გულო, ბარი რა ქალის საქმეა, შენ ვენახი გაწმინდე, შარშანდელი ჩაღლის ნაღერალები ამოთხარე და ნაპირზე დაყარე, ქვა-ლორდი და წალმის ნარჩენები აყრიდე!

სტვისთვის სამიოდე დღის გასაკეთებელი საქმე შუადღემდე მოვთავავე.

ნეტავი გენახათ, რა ბედნიერი ვიყავი.

მეგონა, ეს დღე მე და თეონას მორიდების ბორჯილს მოგვხსნიდა. თქვენც არ მომიკვდეთ, არაფერი შეიცვალა. კვლავინდებურად სდუმდა თეონა გაბუტულივით და მენატრებოდა მისი ხმა. მერედა, რა ლულუნა ხმა აქვს, ხავერდოვანი, თბილი.

მამი კი გადავწყვიტე, რაც იქნება, იქნება, თეონას ჩემს გულს გადავუშელი, კმარა სიყვარულის კუჭდამალობანას თამაში-მეთქი.

შეეხვდი ერთხელ, ვერ გავუბედე სიტყვის თქმა. შეეხვდი მეორედ, ისევ ვერ დავძარი კრინტი. ვერც მესამედ გავუბედე და... მერე სულ ველარ გავუბედე. თანდათან მომაკლდა გაბედულება. ცხოვრებაში არაფრის მეშინია, არც შიმშილ-სიცივის, არც ტყის ნადირის, არც ამბოქრებული მდინარის, არც უსაშველო თავსხმა-დეღვმის, მთავი მართოდ ყოფნის და ღამის თევის ხომ სულ არ მეშინია და არ მეშინია, ხოლო გოგოს რომ ვუთხრა, მიყვარხარ-მეთქი, ამის გაბედულება არ მყოფნის. ვითომ ეს სიყვარული რა არის ისეთი, რომ... იქნებ ის მაშინებს, ვითომ თეონამ უარი მითხრას-მეთქი? ამბობენ: ქალის ბუნება ისეთი უცნაურიაო...

ძალიანაც მომდის ჩემ თავზე გული:

გაბედულება რამ წაგართვა-მეთქი, მაგრამ, ეს ცარიელ მუქარად მჩნება. თურმე ზოგჯერ ყველაზე ძნელი ყოფილა, შენს თავს აჯობო.

რაც თავს მასსოვს, დარსა თუ ავღარში თეონა ლურჯი ჩითის თეთრკოპლებიანი კაბით დადის. ასე ერთნაირს აკერუნებს მუდამ მამიდამისს და სანან მთლიანად არ გაუცვდება, არ იხდის. ზამთარშიც კი, პალტოსქვეშ თავისი საყვარელი კაბა აცვია. მამიდამისი თეკლე ამბობს: მიწას ძლივს რომ აჩნდა, იმდროიდან ამოიჩნდა და სხვანაირის დანახვაც არ უნდა, რამდენჯერ შეეუყვრე წითელ-ყვითელი, შინდისფერი, მწიანე, კუბოკრული, ამაზე ათასჯერ ლამაზი, სათოფეზე არ გაიკარაო.

ახლა თეონას ტანზე სხვა კაბა მეც ვეღარ წარმომიდგენია. თეთრი კოპლები ძალიან აღამაზებს ლურჯ ჩითს, თითქოს დამეულ ცაზე თოვლისფრად მოკაფე ვარსკვლავები გაბნეულანო. ამის გამო ვარსკვლავიან ცასაც ვულგარილად ვეღარ ვუყურებ, ეს ცაც თითქოს თეონაა.

ტანმოსხლეტილ კალმასაც ჰგავს ამ კაბაში თეონა და როცა ჩვენი მთის მდინარეში ფორეჯებიან კალმასს მოგვრავ ხოლმე თელს, ესეც თევზადქცეული თეონა მგონია, ოღონდ მის დაჭერას სულაც არ ვფიქრობ, დაე, ასე თავისუფლად ინაიარდოს კამკამა წყალში, თევზად ყოფნა რომ მოწყინდება, ამოვა და ისევ თეონად იქცევა-მეთქი.

ორი მსხვილი ნაწნავი ჭამბარასავით ჰკილია და კოჭებაშიც ცემს.

თეკლესა და ჩვენს უბანს ერთი წყარო გვაქვს, საზიარო. ორლობეში დილა-ძალიან თეონა კოკით როდის ჩაივლ-ამოივლის ხოლმე, ვიცი უკვე ზეპირად და, ცოდავ გამხედილი სჯობია, ხშირად ვუთვალთვალებ.

თავლის სანთლით დაკერებული მუქ-წითელი კოკა მარჯვედ უდვას ტილო-დაფენილ მხარზე და ისე მჩატედ მოდის, გეგონებათ, ნიავ-ქარიაო.

ასე კალმასებით მოსხლეტილი, მხარზე კოკაშეღმულია, ჩემსავით ხშირად

ფეხშიშველა მოსიარულე თეონა ყველაზე მეტად მიყვარს. თელს რომ დავხუჭავ ხოლმე, სწორედ ასეთსა ვხედავ.

დავდივარ და ვფიქრობ: ეს რა დღეში ჩამავდო იმ მხურვალე თოვლში, რა იყო ისეთი ძლიერი, ღმერთო, გამაგებინე-მეთქი. ვფიქრობ და პასუხი ვერ მიპოვნია.

— შენისთანა ბიჭმა სწავლას რატომ დაანება თავი?

— მანიცდამინც გწადიათ, ყველაფერი მართლაც აღსარებასავით გაგანდოთ? კი, ბატონო, ამ ციხის ყრუ კედლებში სხვას მაინც ვერაფერს გააკეთებს აღამიანი. ვერც ვთიბათ და ვერც ყინა-ვენახს მოუვლით. ჰოდა, ისევ ჯობია, საუბრით მოვიოხო გული. სწავლისთვის თავი არ დამინებებია, სკოლას შევაქციე ზურგი. აღამიანი მართო სკოლაში არ სწავლობს, ცხოვრება ყველაზე კარგი მასწავლებელია.

— წიგნი გიყვარს?

— კარგი — რატომაც არა. როცა წვიმს და ყინა-ვენახსა თუ სათიბში მუშაობა შეუძლებელია, წიგნის კითხვას რა სჯობია, ან ზამთარში, როცა მიწას, თიხს, ბარსა და ცელს სძინავთ, უსაქმოდ რა გამაძლებინებს. მაშინ კარგი წიგნი წამალივითაა.

— რას ეძახი შენ კარგ წიგნს?

— სადაც აღამიანებს ერთმანეთი უყვართ, ჰირში ერთიმეორეს ესმარებდინ, უბედურების ქამს შველიან, ვარამს უქარგებენ და ანუგეშებენ. ხოცვა-ყლეტის წიგნების კითხვას გულს ვერ ვუდებ, ასე მგონია, სისხლი აცხია-მეთქი. ზოგი ზღაპრის წიგნიც მიყვარს. ზღაპარში ყოველთვის ყეთილი იმარჯვებს და ბოროტი მარცხდება. ზღაპარი სულს ანათებს, იმედივითაა.

— სკოლაში რამდენი წლისა შეხვედი?

— ჩვეულებრივ, როგორც სხვა ბავშვები. ოღონდ, მერხს რომ მიუუყვები, წერა-კითხვა უკვე ვიცოდი, თანაც გაწაფულად. დედამ მასწავლა. დედა პირველი ქმრის დანატოვარ ყველა წიგნს

ახლაც სასოებით ინახავს, შინიდან არც არაფერს ატანს. პოდა, მეც აღრე დამაწყებინა ამ წიგნების კითხვა.

— სკოლაში როგორ სწავლობდი?

— ორიანი არასოდეს გამომყოლია. ფრიადოსანიც ვიყავი ხოლმე. ზოგჯერ სამიანსა და ოთხიანსაც მიწერდნენ. ვუღალხდილად რომ ვითბრათ, როცა წამოვიხარადე, სკოლის წიგნებზე მეტად დე-

დაჩემის პირველი ქმრის დანატოვარი წიგნები მიზიდავდა. ვეფხვეფხვეფს გვევრი ნაწერი ზეპირად ვიცი და მიინც, რამდენჯერაც არ უნდა წაეკითხო, არ მწყინდებდა.

— მით უფრო დასანანია, შენისთანა ბიჭს სკოლისთვის თავი არ უნდა დაენებებინა. ისიც ამ დროს. მაინც რა მოხდა ისეთი?!

დაფუძვნილი ცარცი

ნესტორას დისწული ნადირა წინათაც შეეთამაშებოდა ხოლმე თეონას, წამდაუწყებ უბრაწავდა თვალებს და გამომწყევლად ახელებდა. მერე, აქაოდა, თეონა ტუხას გვერდით აღარ უზის და უტკომავოდ დარჩაო, გოგოსთან შეთამაშებას მოუხშირა. ხან ნაწნავებზე ჩააელებდა ხელს ქურდულად და მოქაჩაედა, ხანაც უცაბედად წიგნს გამოგლეჯდა ხელიდან და გაიქცეოდა — მღიფო. მოკლედ, ამჟამა იყო, სხვანაირად დაუწყო ბიჭმა გოგოს თამაში — გახელებით ეარსოებოდა. პატარები კი აღარ ვიყავით, იმ წელს საშუალო სკოლა უნდა დაგვემთავრებინა.

დღევანდელ დღესავით მახსოვს. შესვენებაა. თმაგაჩეჩილი მანანა ლილინით დასეირნობს მერხებთან. ფანჯრის რაფაზე იდაყვებით ჩამოყრდნობილ თეონას თავი წიგნში ჩაურგავს და ბუტბუტებს. რუსიკო ბაჯელიძე აქეთ-იქით იყურება. ვტყობა, ზვერავს, ვის მიეპაროს ქურდულად და თვალებზე ხელები ჩამოაფაროს. კარგი ხანია ეს პატარა ეშმაკობა დასჩემდა. ახლა მიზანში თეონა ამოიღო, ფეხაკრეფით მიუახლოვდა, ზურგსუკან დაუდგა, მკლავები წინ გადაისროლა და ხელები სწრაფად ამოაფარა თვალებზე.

— გიციანი, გიციანი, რუსიკო ხარ ბაჯელიძე! მომეშვი გოგო, გაკვეთილს ვიმეორებ!

სანამ რუსიკო ხელებს მოაშორებდა თეონას, ნადირამ აიღო ცარცი და ისე გათაყებდდა, მთელი კლასის თვალწინ

დაფაზე გაკრული ხელით წაწერა: „თეონას მივეუმატოთ ნადირა უღრის სიყვარულს“.

რუსიკომ ეს უმაღლესე შეამჩნია, თეონა დაფისკენ განგებ შეაბრუნა და ხელები გაუშვა:

— ა, უცებ რა კარგი რამე დაგინახო!

— სულელი! — ამრეზილად ჩაილაპარაკა თეონამ და წარწერის წასაშლელად დაფისკენ გაეშურა.

დაეასწარი. ნადირას მაჯაზე ვტაცე ხელი და ის წარწერა თავისი ხელითვე წაეაშლევინე ისე, სიტყვაც არ მიოქვამს.

ეს დიხავე აღვიღად მოვახერხე, მაგრამ ის წარწერა თითქოს უმაღლესე გულზე გადმომწერაო, გულიდან კი ვერ ამოვიშალე. იმდღევანდელმა ამბავმა ძალიან დამაფიქრა: ეს ბიჭი აღარ ხუმრობს და ვაითუ გოგოსაც მისი სიყვარული გულში ჩაუვარდეს-მეთქი. მით უმეტეს, ზოგმა მერე მათი შესახებაც კი დაიწყო: ფერი ფერს და მადლი ღმერთსო, ბარემ ხელი მოაწერეთო. გოგო-ბიჭს ასე ერთხელ შესახებლებს ვინმე, ორჯერ შესახებლებს, სამჯერ, ოთხჯერ და... ცეცხლი გაჩაღებულაო. მერე თვითონაც იწყებენ ფიქრს, ვტყობა ერთმანეთისთვის ვართ განენილებიო. სიყვარულს თურმე რას გაუგებ, ერთი ღმერთი და ათასი ეშმაკი უზის გულში!.. ამის მეტი რა წერია წიგნებში!..

რამდენჯერმე დაეპირე ნადირას გაფრთხილება — მაიმუნობას თავი დაა-

ნებე-შეთქი. ყოველთვის რაღაც შეაკვებდა.

ერთხელაც შესვენებაზე შევიმჩინე, ნადირას რვეული დაუფორგლებია, დუბრინდევით თვალზე მიუდვია, მერბზე მკერდით გადაწოლილა და ფანჯარასთან მდგომ. წიგნში თავგარგულ თეონას უპკრიტინებს, ცალკე, გამორჩეულად.

ვეცი და რვეული ხელიდან გამოგვლოყე.

— რა გინდა, დარტყმული? — დამიყვირა ნადირამ.

— ნუ უყურებ!

— ვის ნუ უყურებ?! — განგებ ვაკვირვა.

— ვისაც მიშტერებოდი.

— რა იცი, ვის მივშტერებოდი? — ამრეზილად მომიგო.

— ალბათ, ვიცი. ბრმა არა ვარ, ძალიან კარგად დავინახე, ვისზედაც გქონდა დამიზნებული რვეულის ლულა.

— ვთქვათ, დაუმიზნე, მერე? — სალოკი თითო ცხვირწინ შემითამაშა.

— არ შეიძლება. ასე არ შეიძლება, — რბილად ვუთხარი.

— რატომ?

— იმიტომ.

— იმიტომ და იმიტომ, შენ მეტი არაფერი იცი. ჩემი რვეული შართლა თოფის ლულად იქცა და გოგოს მოსაკლავად დაემიზნა? ა, ასე რომ გავხედო, შეიძლება? — ნადირამ ორივე ხელის ცერა და საჩვენებელი თითი ბეჭდის რგოლებივით დაიჭირა თვალებთან.

ხელი მივაფარე უხმოდ.

— ჩერჩეტი ხარ შენ, ტუხია!

— ჩერჩეტი თავი გაბია, ცხრაჯერ ჩერჩეტი! — არ შევაწიე ლანძღვა.

— ბიჭოს, რა დიდგულზე ხარ? სიყვარულმა შეგილიტინა გულში? — ნადირამ ამ ორიოდ სიტყვაში უზომოდ შხამი გაურია. შხამიც, ზიზლოც და დაცინავეც.

— შენი მოკლე ჰკუის საკითხავი არ არის, რამაც შემილიტინა. თუ თეონასკენ ასე სულელურ ყურებას არ მოიშლი, კისერზე ლოდს ჩაგაბამ და ძაღლივით ჩაგაგდებ გიყურაში! — ეს წყნა-

რად ვუთხარი, ჩუმი თავდაჯერებით. იქნებ უფრო იგრძნოს, რომ ეს რვეული გაფრთხილება არ არის-მეტრე, თორემ ჩემი ნამდვილი ავი მუქარა ვერ არავის გაუგონია არც სკოლაში, არც სხვაგან. ნადირას თავისი რვეული ცხვირზე მივახალე და გამოვწოვრდი.

ეტყობა, ნადირამ იგრძნო ჩემი გულშევიდი გაფრთხილების სუსხი, კრინტი არ დაუძრავს. ვითომ აქ არაფერიო, გარეთ გაიძურწა.

იმავე დღეს მოხდა ის, რომ გეოგრაფიის მასწავლებელმა ტერენტი ტაბლაძემ, რომელსაც ისეთი ფერის წვერულვაში აქვს, თითქოს თეთრეული ქუჩიან წყალში გაურეცხიათო, თეონა და მანანა ერთდროულად გაიძახა. ბეჯითმა თეონამ ვაკვეთილი ჩაუბუღებულა ხვერდოვანი ხმით, მანანამ კი ერთობ მშველედ უძასუნა. ტერენტიმ თავმჯდომარის გოგოს ხუთიანი დაუხატა, თეონასთვის კი სამიანი ძლივს გაიმეტა.

გული იშვიათად მომდის, იმ წუთას კი ავლელდი. ჩემი შერხის საცეკმა ისე დაიქუხა, თითქოს თოფი გაეარდაო. ეს იმის ბრალი იყო, ანაზლად რომ წამოვხტი.

ყველა შეცბა. ნადირამ უნებლიეთ მერბშიც კი შემალა თავი.

— რა იყო ბიჭო, რა ბზიკმა გიკბინა? — მომახალა ტერენტიმ.

ვალში არ დაერჩი, მთელი კლასის თანდასწრებით მასწავლებელს პირში მივახალე:

— შეგიარცხვეს უღვაში და ბებია უცხონდეს შენს პატიოსნებას!

— დაეგდე, დარტყმული! — მიკივლა ტერენტიმ. — ვის უყვირი აქ? სად გვინია შენი თავი?

— შენ ვიყვირი. მაგ სამართლიანობით დაბერდი შენ, ახლა რომ ნიშნები დაწერე!

— შენ მასწავლი, ვის რა დავუწერო! ხეპრე! ბაღვან! ვისაც რა გუთუნის, იმას ვუწერ!

— მართლა? ნესტორა თავმჯდომარე კოლექტივის საწყობიდან თავლსა და ყველს მუქთად რომ არ გიგზავნიდეს!

შინ, მაშინაც ხუთიანს დაუწერდი მიმ ჭალიშვილს?

— პატივცემულო მასწავლებელო, ყურს ნუ უგდებ მაგ ვაჟს! — უცრემლოდ ატირდა მანანა.

მესამე დღეს თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ტერენტიმ ისევ ერთ-ღორთულად გაიძახა ეს ორი გოგო. მანანას ყველა კითხვაზე აპასუხებინა და ისევ ხუთიანი დაუხატა, თეონა კი განგებ დააბნია და კუდიანი სთხლიშა. ჩვენ კუდიანს ორიანს ვეძახით.

— აი, ხომ ხედავთ, გუშინწინ რა მართალი ვიყავი მარტო ერთხელ გაკვეთილის მოყოლა არ წყვეტს საერთო ცოდნის გამორკვევის საკითხს.

ასე გამეორდა ათიოდე დღის შემდეგაც, რამდენჯერმე მერეც. თეონამ ითმინა, ითმინა, ბოლოს წამოიძახა, სკოლაში აღარ მოვალა, დაპყრა ფეხი და გაიქცა შინ.

— აი, ხედავთ! ზოგიერთი თავქარიანი რომ გამოექომაგა ერთხელ, თავისი თავი მართალი ეგონა და შემოგვწყრა ჭალბატონი თეონა!

ტერენტის, ეტყობა, იმდროინდელი ბოლშა ისევ გულში ედო და ახლა დრო რომ იშოვა, ღვარძლიანად მიჰბინა.

გავუჩუმდი. იმ დღესაც გავუჩუმდი და მერეც.

იმ მასწავლებელზე დიხაჯ აღრენილი ვიყავი, თეონა რომ გაიქცა სკოლიდან, მაგრამ ვერჯერობით სიავეზე თავს ვიკავებდი, უხეშადაც კი არ ვექცეოდი. ურთიერთობის გამწვავებას ვერიდებოდი, თეონას ამით საქმე უფრო არ გაუფუჭდეს-მეთქი. მხოლოდ ეს იყო, ტერენტის ვუბღვერდი ხოლმე.

კარგა ხანს გაგრძელდა ასეთი ნაძალადევი მშვიდობა, მაგრამ ნაძალადევი, ეტყობა, ყველაფერი თავიდანვეა განწირული.

ერთ დღეს ტერენტიმ ჩვეულებრივ ჩახედა ეურნალში სიას, მერე თითქოს დაფიქრდა, ლოყები მეზურნესავით დაიბერა და გრძლად ამოიფშვინა — ფუო! ფუო, ამოიფშვინა და მიმოიხედა.

ასე სჩვევია ტერენტის, როცა ვინმეს

გაძახებდას აპირებს. ლოყების დაბერვით და „ფუო“ ამოიფშვინებით, თითქოს უფრო საქმიანი კაცის იერს იძენს — მეტი დაფიქრებითა და თავდაკვირვებით ვიქცევით.

— ხატეველი ტუხა!

— აჲ ვარი! — მივეუგე, მაგრამ ფეხზე არ წამოვმდგარევი.

— ფუუ! რუკასთან ვახვალ!

მომაყოლა გაკვეთილი, წვრილმანებიც კი გამომკითხა. თითქმის ყველაფერი ვუპასუხე.

— ფუუ! — ამოიფშვინა ტერენტომ ისევ, — არ იცი, დაჯექი! — გამაღობინებელი გულმოსვლით მომახალა და ორიანი დამიწერა.

ისევ გავუჩუმდი.

მეორე დღესაც გამიძახა, არც ახლა მიპასუხნია ურიგოდ, სულ პატარა რაღაცა შემეშალა.

— ფუუ! — კვლავ ორიანი გამიშანშალა და დამციანავადაც მითხრა: — გაიგე, რატომ გიწერ ორიანს?

— გაიგე. ასეთი მარტივი რომ თუ ვერ გაიგე და კარგად ყოფილა ჩემი საქმე. — წყნარად მივეუგე მე.

ეტყობა, ჩემმა სიმშვიდემ ააფეთქა, მეკახედ მომახალა:

— რატომ მიბრუნებ სიტყვას, ვინ გგონივარ მე შენ?

— აი, შარი?! სიტყვა როდის შემოვიბრუნე?!

ასე გამეორდა ხუთჯერ.

მოთმინება იმდენი უნდა, მე რომ მაქვს. მარტის დამდეგის ღრუბლიანი დღე იყო. ჩვეულებრივ მივედი სკოლაში. ჩემი მერხის საკეცი გადავწიე, ჩანთა უჯრაში შევაგდე, დავჯექი. გრიგოლა ხარაზის ნაოსტატარი სანდლები გავიხადე, ზედ თხელწინდებჩაცმული ფეხები დავაწყე და თეონას მერხისკენ გავაპარე თვალი. კვლავ ცარიელი იყო. იმ დღის შემდეგ თეონა სკოლაში აღარ გამოჩენილა. ტერენტი არ კითხულობდა, სხვა მასწავლებლებს კი ალბათ ეგონათ, ავიდაათ. სამიოდე კვირაც და საგაზაფხულო არდადეგები დაგვეწყებოდა. მერე ცოტაც და, საშუალოს დაგამთავრებ-

დით. აქამდე გულის კუნძულში კიდევ მედო პატარა იმედი, თეონა სკოლაში დაბრუნდება-მეთქი. დღეს ეს იმედი საბოლოოდ გადავიწყვიტე. ამან ერთობ მომშხამა და ცუდ გუნებაზე დამაყენა. გულაღუღებულები ტუჩებს გამაწარებით ექამდი, აღარავის დანახვა არ მეწადა, არც მერბების, არც იმ მერბებზე ჩამომსხდარი თანატოლების, კედლების დანახვაც მაღიზიანებდა, შავი დაფა ურჩხულის შუბლად მიჩვენებოდა, ნახევარსფეროების რუკა ორი ბოროტი ქრელი თვალივით შემომეყურებდა. ტერენტი მასწავლებლის დანახვა ხომ აღარ მინდოდა და აღარ მინდოდა. არადა, პირველი გაკვეთილი გეოგრაფია გექონდა.

დაირეკა ზარი. ის ზარი, რომელიც ჩემ დაბადებამდე ოცი წლით ადრე ნესტორას მამას ჩამოეხსნა ეკლესიის სამრეკლოდან, ახლა კი სკოლის ღია დერეფანში ეკიდა. ახლა ამ ზარის ხმაც ბოროტად ჩამესმა. ვაილო კარი და შემოაბიჯა თავშიშველმა ტერენტომ. ხელში დაჭერილი ფეტრის ქუდი ფანჯრის სახელურზე ჩამოკიდა. საკლასო ფურნალი მაგიდაზე აგდებულად ისროლა და ქრელი ბიჭაყის გულისჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო. ფუო, თავისებურად ამოიფშვინა, და, როგორც იტყვიან ხოლმე, სიფთაზე პირველად ჩემი სახელი ახსენა.

— ვარ! — მერხის საკეცი ფრთხილად გადაეწიე და წამოვდექი.

— მორიგით რომ დაეყუდე, გადი დაფასთან!

— დაფასთან?! დაფასთან რა დამკარგეა, მასწავლებლო?! — ტერენტის უზუსტობის გამოსაჭერად გავივირევე მე. — დაფასთან, თუ რუკასთან?

— ბედოვლათო, შენ დაბადებულეც არ იყავი, მე რომ მასწავლებლობა დავიწყე. ტერენტი ტაბლადეს არაფერი ეშლება. — ზიზღით გამოსცრა კბილებში. — ფუუ! გადი დაფასთან და ჩამომიწერე ევროპის ყველა ქვეყნის დედაქალაქი! ვერ გაიგე?

— მეგონა, გაკვეთილს მეკითხებოდნი,

მასწავლებლო. ეგ ხომ ძალიან ადრე ვისწავლეთ, წინა კლასებში? **ეროვნული ცენტრი**

— ეს სულ ერთია, როდის ვისწავლეთ. ჩამომიწერე-მეთქი! ფეხები სანდლებში ჩაგყარე, სწრაფად შეფიკარი, მერხის საკეცი გადმოვიე და დაფისკენ გულმოსული წავედი, თითქოს ზღაპრულ ურჩხულს უნდა შეერკინებოდი. ავიღე ცარცის მოზრდილი ნატეხი და დაფას შევახე თუ არა, თითებში შემომეფშვინა. ნაფშვენები იატაკზე მტვრად დაცვივდა.

— აჰ, არ იცი და ცარცზე იყრი ჯავრს? — იქედნურად ჩაიხითხითა ტერენტომ, თავმომწონედ გაიბადრა და თავის ფერგაურკვეველ წვერ-ულვაშს ხელის ჩამოსმით მოეფერა. — აღარ გახსოვს?

— ეს თუ აღარ მახსოვს და... კარგად ყოფილა ჩემი მახსოვრობის საქმე.

ცარცის სხვა ნატეხი ავიღე. ისიც უმაღლე შემომეფშვინა ხელში. არა, ძალა არ დამიტანებია, ჩვეულებრივ მოეკიდე სამი თითი და მაინც მტვრად იქცა. მესამედ ერთობ ფაქიზად დაეჭირე ცარცი და მსუბუქად შევეუდექი წერას: მოსკოვი, ბერლინი, პარიზი, ლონდონი, რომი, მადრიდი... უცებ ისევ შემომეფშვინა ცარცი და სხვა ავიღე უფრო ფაქიზად: ლისაბონი, ვარშავა, სოფია, პელსინკი, ვენა... წამით შევჩერდი და ცარცი ისევ მტვრად დამიცვივდა ძირს. ეტყობა, ამ დღეს ხელი ადვილად არ მემორჩილებოდა.

— არ იცი! — შემომიღრინა ტერენტომ. — ავი ვთქვი...

— ვიცი. ცარცის აღებას და ამოსუნთქვას აღარ მაცლია?!

— არ იცი, არ იცი, არ იცი! არც არასოდეს გცოდნია! — სეტყუასავით მომაყარა ტერენტომ და მკვებედ დაუმატა. — ასეთი მარტივი რამეები რომ არ იცი, გეოგრაფიის ანაბანა, სხვა რაღა მოგთხოვო, ბედოვლათო? ორიანით გასაჩუქრებ, გაიგე?

— გაიგე, — მივუგე წყნარად, — ჩინებულად გაიგე...

ტერენტო წინანდებურად ააფეთქა ჩემმა სიმშვიდემ:

— თავზედო, არ იშლი მასწავლებლისთვის ისტყვის შემობრუნებას, ხომ?

— ისევ შარზე ხართ, მასწავლებლო. მკითხეთ, თუ გაიგო და მეც მოგიგეთ. ჩინებულად-მეთქი. ხოლო ახლა ისიც ჩინებულად გაიგე, სამუდამოდ რომ გადამედიდეთ, ჩემთვის უმეპელად ორიანის დაწერა რომ ვწადაით და შარზე დგახართ...

— არ იცი არაფერი, შე ბატისტინა, და, აბა, რას დაგიწერ?

— ვიცი, ჩემი ხუთი თითივით ვიცი! ჯერ მახსოვრობა არ მალატობს! დანარჩენს, აგერ, ზეპირად ჩამოგითვლი: ბუდაბეშტი: ბუქარესტი, ბელგრადი...

— ხმა ჩაიწყვიტე, ყოყინა! დადუმდი! — უფრო მკვებედ მესროლა ტერენტომ. — ახლა დიახაც ჩამომითვლი, როცა გიკარნახეს.

— არავისაც არ უკარნახია.

— გიკარნახეს! ყრუ არა ვარ, არც ბრმა!

საქლასო ოთახში არც აქამდე იყო ხმაური, ახლა კი მთლად სამარისებური სინთუე ჩამოწვა. ჯერ ბუზი არ იყო, თორემ იმის გაფრენის ხმაც გაიგონებდა კაცი.

— რუსიკო ბაჯელიძე, დაგაყენებ მე შენ კუთხეში.

— ვაიმე?! — წამოიბუზა რუსიკო. — ჩემთან რა გინდა, მასწ?!.

— რატომ უკარნახე?

— შე, მასწ?! არავისთვის არაფერი მიკარნახია?! — გოგო-ბიჭებს გადახედა. — კრინტი დამიძრავს?

— ფუუ! უკარნახე. შე თვალი კეფი-ზედ მაბია: წინაც ვხედავ, უკანაც ვერაფერს გამომაპარებთ. შენც ორიანს გრეხავ, თუ...

— არ მიკარნახია, მასწ... ვაიმე?!.

— შენ სამჯერ ვაცემაკუნე წინ წამოშვებული ტუჩები. ეს კი ნიშნავს, რომ სამჯერ დაიწერა უღელ „ბუ“... შეიძლება უბმოლაც, მხოლოდ მინიმუმით. ხამ „ბუს“ კი ბუდაბეშტი, ბუქარესტი

და მათი ძმა ბელგრადი მოსდევს. შე უტვინო ბუ!

— ვაი, მასწ... როგორ დაგიმტკიცოთ, რო... სხვა თუ არაფერი, ტუხას ჩემი საკარნახო რა სქირს, ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის...

— თავუ ნუ იმართლებ, თორემ მამით ობოლი რომ ხარ, ეგ არ გიშველის, იცოდე!

— დედას გეფიცებით, არ... ტუჩები კი არ გავაცემაკუნე, უნებურად დამემთქნარა და... კლასში დამთქნარება, ასე თუ ისე, უზრდელობა-მეთქი, თავის შეკავება ვცადე... პირზე ხელის მიდებით. — აიწურა რუსიკო.

— მაშასადამე, მე რომ გაკვეთილს ვატარებ, შენ გემთქნარება, ქალბატონო რუსულან? — ვოტ კაქ! — ახლა სხვა მხრივ შეედავა ტერენტო.

— არა, მასწ, ისე დამემთქნარა... უნებურად...

— ისე გაკვეთილზე არ ამთქნარებენ. ვერ მომატყუებ, ცრუებტელი ქალო! შენ უკარნახე, მაშასადამე, ჯერ შენ დაგიწერ ორიანს.

რუსიკო ბაჯელიძე ატირდა და მოწყვეტით დაქდა.

მოთმინება დაკვარვე და გაბრახებულმა წამოვიძახე:

— ტერენტო მასწავლებლო, შარიანობას მოეშვი! დმერთი, რჯული! არავის კარნახი არ ვამიგონია. რასაც შეკითხები, თავის დროზეც კარგად ვიცოდი და ახლაც ვიცი. ბოლომდე მოტყვევინე!

— არ იცი, რეგვენო! არ იცი, არ იცი, არ იცი! არაფერი არ იცავ ორიანი შენც და მოკარნახესაც!..

— ამას ჰქვია სწორედ, შარიანმა კაცმა შარისათვის შარა მოხნაო.

— არ იცი, უფიკო, არ იცი და ძალით ვერ დამიმტკიცებ — ვიციო. დაქექი! დაეგდე!

კბილები ბრაზიანად გაეხარკვიალე და ტერენტისკენ გავეშურე.

— ხელი არ მახლი, ხელი არ მახლი, თორემ! — გადამორძიდა მასწავლებელი, იქნებ კიდევაც წაქვეუღიყო, მაგიდას რომ არ მოსქიდებოდა. — ხე-

ლი არ მახლო, ნადირო, ხელი, თორემს..

— აცახცახდა საქციელწამხდარი.

ხელი არ მიხლია, ჩემი მერხისკენ გა-
ვაბორტე და საყვიცი გადმოვატყაცუნე
თოფის დაქუხებასავეთ. დამფრთხალი
ტერენტო შავი დაფის უკან შევარდა. მე
უკრიდან ჩანთა გამოვიღე და კარისკენ
გავეშურე. უმაღლვე შემოვტრიალდი და
ის ჩემი ჩანთა წიგნებიანად ვერსოლე
აცახცახებულ ტერენტის.

— ეს ხომ ვიცი, ჰა? ეს ხომ ვიცი!..
შევარცხენინე შენი წვერ-ულვაში, შენი
კაცობა, შენი მასწავლებლობა და შენი
სიმაართლე!

ტერენტის თავში მოხვდა ჩანთა, გა-
იხსნა და ჯერ წიგნები დაცვივდა ძირს,
მერე ჩანთაც დავარდა. იმ წუთში მას-
წავლებელი ცარცივით გათეთრდა, თი-
ტქოს სისხლისაგან სულ დაიცალაო.

წიგნებისაკენ აღარ გამიხედავს. მხო-
ლოდ ეს წავიბურღლუნე:

— ერთი თქვენი სკოლაც და თქვენი
სწავლაც! ვინც აქეთკენ კიდევ პირი
ქნას, თქვენისთანა იყოს!

დავკარი ფეხი და გავიქეცი. მე შენ
გეტყვი, სირბილი არ მემარჯვება.

ის იყო და ის, სკოლაში აღარ წავ-
სულვარ. მე ჩემი სიტყვის კაცი ვარ.

თავიდანვე გაგიმხილეთ, ციურნი
თეთრწვერა ღმერთის მორწმუნე არ
გახლავართ-მეთქი. დედამ ჩამაგონა
ობოლ ბიქს ასეთი რამე: შვილო, ადა-
მიანი ცოდვას სჩადის, როცა თვითონ
არ მუშაობს და სხვის ხარჯზე ცხოვ-
რობსო, როცა სიტყვას გატეხავს, მაში-
ნაც ცოდვას სჩადისო. ცაში თეთრწვერა
ღმერთი ნამდვილად არის თუ არა, არა-

ვინ იცის, ქვეყანაზე კი ცოდვა-მადლა
ნამდვილად არსებობსო. ღმერთი სიტყ-
ვა და წმინდა გულით ნათქვამ შემს-
სიტყვას არასდროს გადახვიდე, უსიკვ-
დილოდ არ უღალატო და მხოლოდ მა-
შინ ივლი ქვეყნად მართალი და უოდ-
ველიო. ასე ვიწამე პატარაობიდანვე
შრომისა და სიტყვის ღმერთი. როცა
არ ვმუშაობ, ყოველთვის მარტო ვარ,
თუნდაც ხალხში ვერიო. ხოლო გულით
ნათქვამი ჩემი სიტყვა სიტყვის ღვთაე-
ბისადმი შეფიცულად მიმანია, მოვეკ-
დები და არ გადავთქვამ. თუ ჰაიპარად
წამოვიტროლე რამე, გულის გარეთ, ეს
არაფერია, ჩემი ნათქვამი სიტყვა არაა
თითქოს, მაგრამ თუ სიტყვას გულოც
დავაყოლე, ეს უკვე ჩემ ქეშმარტ
სიტყვად მიმანია და უეჭველად უნდა
შევეასრულო. ვინმეს რამეს რომ დაე-
პირდები, ან — თუნდაც გულში ჩემთ-
ვის ვიტყვი რამეს, მგონია, ეს ჩემი
სიტყვა ღმერთს ესმის და თუ არ გავანა-
ლდე, ცოდვად ამეკიდება-მეთქი. ასეთი
რწმენა არ ვიცი, რამდენად კარგია და
რამდენად ცუდი, ვინაიდან მთხოვეთ,
ყველაფერი აღსარებასავეთ მეთქვა, ვე-
რაფერს დაგიმალავთ. ოღონდ, სულ მე
ნუ მალაპარაკებთ. ასე ვთქვათ, მარტო
მე ნუ მენდობით, ზოგი ჩემი ამბავი
სხვებს ჰკითხეთ. რაც არ უნდა ჩაიდი-
ნოს აღამიანმა, თავი ცამდე მართალი
ჰგონია... ყოველ შემთხვევაში, ცდი-
ლობს, ასე მოაჩვენოს ყველას თავი.
ჰოდა, თუ ქეშმარტების უკეთ დადგენა
გწადიათ, გიმეორებთ, ზოგი რამ სხვებ-
საც ჰკითხეთ.

იოანას ნაპროშიუსი

ქ ვ კ თ კ ს ი ნ კ ზ ე

ღვწები ქართული ციკლიდან

უცნობი სოფელი

მოჰგავს მერცხლის თუ არწივის ბუდეს
და ხელისგულზე ღრუბელი უდევს
— მაგ მაღალ მთაზე, ზეცასთან ახლოს,
მიინც რას ფიქრობ, პატარა სახლო!

მითხარ რას ფიქრობ, სოფელო, ნეტავ,
(მალიდან შენ ხომ ყველაფერს ხედავ),
როს მთათა მწვეანე კალთებზე ცხვრები
დაგორაობენ ვით თეთრი ქვება.

რას ფიქრობ, როცა მხნე და მზეგრძელი
ცაში არწივთა ლოვლივს შესცქერი,
როცა ქარბუქი და ქვათაცვენა
ჯოჯობეთურად აიდგამს ვნახ.

ქვიან პეიზაჟს შენგან და შენით
სიცოცხლის მწველი ღიმილი შვენის...
თქვით, რაზე ფიქრობთ, თვით მზესთან
ახლოს
მთებს ბუდეებად მიდგმულთ სახლონ?

ქასკრომბი ქველ მინა-სიმაკრესთას

ვაეკაცობა რაოდენი,
ძალ-ლონე რაოდენი,
სიყვარული რაოდენი,
სინაზე რაოდენი
დაგვირდათ,
რათა
მთები შეგენარჩუნებინათ,
მდინარეები დაგეცვათ,

კერები გადაგერჩინათ,
ვაზები გემრავლებინათ,
ვარდები გეხარებინათ!
და როცა კვდებოდით,
გაყინული ტუჩებით
პკოცნიდით
ცეცხლმოდებულ მიწას.
და გაკვირვებით ამბობდნენ მტრები:
— ეს რა ამაყი ხალხი ყოფილა!



ილია ჭავჭავაძე

ირგელოვ სუფევდა ღუმილი სრული,
მყუდრო აივნით შევედი სახლში,
მარადისობას შეეხო სული,
თვით უკვდავებამ ჩამხედა თვალში.

ის ხალხის გულს და მომავალს ენდო,
გულით განჭვრიტა დღეის სინათლე,
ბრძოლაში უჭრობ ჩირაღდნად ენთო —
უფრო ღამაზ ბედს ვითლა ინატრებ...

ყვარლის ცა მთები. პოეტის ბრძენის
წინათგონობა და წყვედიადთან ბრძოლა:
„ველარ განუძღვებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრივალის ქროლას“.

ირგელოვ სუფევდა ღუმილი სრული,
მყუდრო აივნით შევედი სახლში,
მარადისობას შეეხო სული,
და უკვდავებამ ჩამხედა თვალში.

განსაკუთრებული ესა კვთ მთებს

განსაკუთრებულ სინაზეს ჰბადებენ მთები —
ვით ცოცხალ არსებებს უყურებ ქვებს.

განსაკუთრებულ გრძნობას ჰბადებენ მთები —
ბაზალტზე უმტკიცესია სიყვარული შენი.

განსაკუთრებულ მეგობრობას ჰბადებენ მთები —
ერთგულების ფიცს ვერ ჩაახშობს ჩანჩქერაა გრგვინვა.

განსაკუთრებულ თვალმახვილობას ჰბადებენ მთები —
შიგ გულის გულში შედის შენი თვალების შუქი.

და იმ განსაკუთრებულ სიჩუმეს, მთები რომ ჰბადებენ.
უსმინე! უსმინე! უსმინე!

გაკვეთილები

სიამაყეს ასწავლიან მთები,
სივადკაცეს ასწავლიან მთები,
ბობოქრობას ასწავლიან წყლები,
მოთმინებას ასწავლიან ქვები,
სინაზეს ასწავლის ცა,
გაფრენას — არწივი მთის.
ხოლო დედები,
შრომისმოყვარე,
ნაზი და კეთილი დედები
სამშობლოს სიყვარულს ასწავლიან.

მთიელთა გლოვა

ეროვნული
ზიზლიროთქვა

ქალებმა ჩაიარეს
როგორც ცოცხალმა ტკივილებმა...
ძაძისფერია სამოსი,
ძაძისფერია შუადღე,
თოვლიც კი — მწვერვალზე.
მზე თითქოს გამჟვარტლული მინიდან იმზირება,
მწუხარების ჩრდილით ჰფარავს ღედამიწას.

ქალებმა ჩაიარეს
როგორც ცოცხალმა ტკივილებმა...
მოედანზე კი არა,
ზედ გულზე გადადიამი
ჩიტებს სიმღერა ნისკარტებზე შეეყინათ
და არავის ხმა გლოვის სკერცოა.

ქალებმა ჩაიარეს
როგორც ცოცხალმა ტკივილებმა...
შედგა და ჩავდა სიცოცხლე წამით.
როგორი სევდა!
როგორი წუხილი!
შენ კი, შენ სად ხარ, ბედნიერბავ?!
რამდენად
დიდი
უნდა ჰყოფილიყავი!

დასრულებული სურათი

პალიტრა —
ალაზნის ველი,
ალგები —
ფერმწერლის ფუნჯები.
შემოდგომის სუნთქვაში
დასრულებული სურათი:
ღრუბელი წვება
ვერცხლისფერ კლდეზე,
ისტორიის სიდიადეს
ასურათებს
ციხე-სიმაგრეთა ქვის გრაფიკა;
შემოდგომის სუნთქვა
ვაზის ღერწებში

იქცევა სიტკბოდ.
სივრცეში მიფრინავს სოფლისაგან
თქმული სიმღერა;
ქარი ნაბადს ჰგლეჯს
მზედარს მხრებიდან.
ალაზნის ველის პალიტრაზე
ამღვრებული
ალგები — ფუნჯები
სიცისფრეში იძირებიან.

მხატვარი სადღა?
ღუმლილი...
ჩემს წინ კახეთია.

მ კ კ ა ტ ი ე თ

იმისათვის, რომ თან წავიღე შე თქვენი შთანი,
შაბათიეთ,

იმისათვის რომ მივითვისე შე თქვენი მტკვარი,
შაბათიეთ.

რომ შემეყვარდა მშვენიერი ქართველი ქალი,
შაბათიეთ.

ვარ ღამნაშევე—


გამისამართლეთ!

გადამიწყვიტეთ მეკუთნის რაიც —

გული ჩამომართვით —

ახლა იგი თქვენია შინც.

ლიტერტიდინ თარგმნა თეიმურაზ ჯანაშვილი



ეოზონაზანი ჟ. ი. ლენინზე

საქართველოს
რევოლუციური
პარტიის

„რა წარმტაცი დარგია!..“

ანატოლი ლუნახარსკი

ვ. ი. ლენინი მეტად დახვეწილი გემოვნების პატრონი იყო. მას უყვარდა რუსი კლასიკოსები, უყვარდა რეალიზმი ლიტერატურაში, ფერწერაში და ა. შ.

ჭერ კიდევ 1905 წელს, პირველი რევოლუციის დროს, მას ღამის გათევა მოუხდა ამხანაგ დ. ი. ლეშჩენკოს ბინაზე, სადაც, სხვათა შორის, იყო ენაფუსის გამოცემათა მთელი კოლექცია, მიძღვნილი მსოფლიოს უდიდესი მხატვრებისადმი. მეორე დღით ვლადიმერ ილიას ძემ მითხრა: — „რა წარმტაცი დარგია ხელოვნების ისტორია, რამდენი სამუშაოა აქ კომუნისტისათვის. წუბელ დილაზე ვერ დავიძინესულ ამ წიგნებს ვათვალიერებდი ერთი მეორეზე მიყოლებით. და საწყენად დამრჩა, რომ არა მაქვს და არც მექნება დრო ჩავუჭდე ხელოვნებას“. ილიას ეს სიტყვები ძალიან მკვეთრად დამახსოვდა.

უკვე რევოლუციის შემდეგ რამდენჯერმე მომიხდა მასთან შეხვედრა სხვადასხვა მხატვრული ეიურის ნიადაგზე. ასე, მაგალითად, მახსოვს — ლენინმა გამომიძახა და ჩვენ კამენევიან ერთად წავედით ძველთა პროექტების გამოფენაზე, რათა შეგვეცვალა მდიდრული გვარცხოვეტიდან ჩამოგდებული აღუქსანდრე III ფიფურა, რომელიც ქრის-

ტე-მაცხოვრის ტაძრის მახლობლად იდგა. ვლადიმერ ილიას ძე ძალიან კრიტიკულად სინჯავდა ყველა ამ ძეგლს. არც ერთი მათგანი მას არ მოეწონა განსაკუთრებული ვაოცებით შეჩერდა ფუტურისტული ყაიღის ძეგლის წინ, მაგრამ როცა მას ჰკითხეს, როგორია თქვენი აზრიო, მან უბასუხა: „მე აქ არაფერი მესმის, ჰკითხეთ ლუნახარსკის“. ჩემმა განცხადებამ, რომ მე ვერ ვხედავ აქ ვერც ერთ ღირსეულ ძეგლს, ძალიან გაახარა იგი და მითხრა: — „მე კი მეგონა, რომ თქვენ რომელიმე ფუტურისტულ საფრთხობელას დადგამდით“.

მეორედ საჭმე ეტეობდი კარლ მარქსის ძეგლს. ცნობილმა სკულპტორმა მ.-მ განსაკუთრებული გულმოდგინება და დაყინება გამოიჩინა. მან გამოფინა ძეგლის დიდი პროექტი: „კარლ მარქსი, ოთხ სპილოზე მღვრიში“. ასეთი მოულოდნელი მოტივი უცნაურად მოგვეჩვენა ყველას და ვლადიმერ ილიას-ძესაც. მხატვარი შეუდგა თავისი ძეგლის გადაყეთებას და ერთი სამჯერ მაინც გადააყეთა, რადგან არას დიდებით არ სურდა დაეთმო გამარჯვება კონკურსზე. როცა ეიურიმ ჩემი თავმჯდომარეობით საბოლოოდ უარყო მისი პროექტი და თავისი არჩევანი იმ მხატვართა ჯგუფის კოლექტიურ პროექტზე შეაჩერა, რომე-

ლსაც ხელმძღვანელობდა ალიოშინი, მოქანდაკე მ. შეიკრა ვლადიმერ ილიას-ძის კაბინეტში და მიჩივლა მასთან. ვლადიმერ ილიას-ძემ გულთან ახლოს მიიტანა საჩივარი და სპეციალურად დამირეკა, რომ ახალი ყოური მომეწვია. მიიხრა, მე თვითონ მოვალ ალიოშინის პროექტის და მ.-ს პროექტის სანახავად. მოვიდა. დიდად კმაყოფილი დარჩა ალიოშინის პროექტით, ხოლო მოქანდაკე მ.-ს პროექტი უარყო.

იმავე წელს,* სამიისო დღესასწაულზე, იმავე ადგილას, სადაც მარქსის ძეგლის დადგმა იყო განზრახული, ალიოშინის ჯგუფმა მსიერი მასშტაბის ძეგლი ააგო. ვლადიმერ ილიას ძე საგანგებოდ მივიდა იქ. მან რამდენჯერმე შემოუარა ძეგლს, იკითხა, რამოდენა იქნება იგიო და ბოლოს მოიწონა მოდელი, მაგრამ მიიხრა: — „ანატოლი ვასილევინ, განსაკუთრებით უთხარით მხატვარს, რომ თავი მიმსგავსებული გამოვიდეს, რომ ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს კარლ მარქსისაგან, როგორც მისი კარგი პორტრეტებისაგან გვრჩება, თორემ მსგავსება თითქოს ცოტა“.

ჭრ კიდევ 1918 წელს ვლადიმერ ილიას ძემ გამომიძახა და განმიცხადა, რომ საჭიროა ხელოვნების, როგორც საავტაუიო საშუალების წინ წაწევა. ამასთანავე, მან დასახა ორი პროექტი. პირველყოვლისა, მისი აზრით, საჭირო იყო იმ შენობების, ღობეებისა და ინდაგარი ადგილების შორთვა, სადაც ჩვეულებრივ აფიშებს აკრავენ, ფართო რევოლუციური წარწერებით. ზოგიერთი ასეთი წარწერა მან მაშინვე შემომთავაზა...

მეორე პროექტი ეხებოდა დიდი რევოლუციონერების ძეგლების დადგმას უფართოესი მასშტაბით, — თაბაშირის დროებითი ძეგლების დადგმას როგორც პეტროგრადში, ისე მოსკოვშიც. ორივე ქალაქი ხალისიანად გამოეხმურა ჩემს წინადადებას, რომ ილიაის იდეა ვაგვეხორციელებინა, ამასთანავე

განზრახული იყო, რომ ყოველი ძეგლი სახეიზოდ უნდა გახსნილიყო სტუკით რევოლუციონერის შესახებ და ყოველ მათგანზე უნდა ვაკეთებულყო ახსნა-განმარტებითი წარწერები. ვლადიმერ ილიას ძე ამას „მონუმენტურ პრობანდას“ უწოდებდა.

პეტროგრადში ეს „მონუმენტური პრობანდა“ წარმარტებით ჩატარდა. პირველი ასეთი ძეგლი იყო შერაგულის რაიონშივე. მისი ასლი დადგეს მოსკოვშიც. სამწუხაროდ, ძეგლი პეტროგრადში დაიმსხვრა და აღარ აღუდგენიათ. სერთოდ, პეტროგრადის კარგი ძეგლების უმრავლესობა ვერ შემოგვრჩა თვით მასალის მსხვრევადობის გამო, მაგრამ მე მახსოვს ძალიან კარგი ძეგლები, მაგალითად, გარიბალდის, შეენჩენკოს, დობროლიუბოვის, გერცენისა და ზოგიერთი სხვების ბიუსტები. უარესად გამოდიოდა ძეგლები მემარცხენული გადახრით, — ასე, მაგალითად, როცა კუმბისტურად სტილიზებული პეროვსკაიას თავი გაიხსნა, ზოგიერთები უკუიქცნენ, ხოლო ზ. ლილინამ გადაჭრით მოითხოვა, რომ ძეგლი დაუყოვნებლივ მოეხსნათ. მახსოვს, რომ სწორედ ასევე ბებრს მეტისმეტად უმგვანოდ მოეჩვენა ჩერნიშევსკის ძეგლი. ყველაზე კარგი ლასალის ძეგლი იყო; ეს ძეგლი, დადგმული ქალაქის საბჭოს წინ, დღევანდლამდე შემორჩა. ის, მგონი, ბრინჯაოდან იყო ჩამოსხმული, ძალიან კარგი იყო აგრეთვე მოქანდაკე მარტვევის მიერ შექმნილი კარლ მარქსის ძეგლი სხეულის მიელი სიმაღლით. სამწუხაროდ, იგი დაიმსხვრა და ამჟამად შეცვლილია მეტნაკლებად ჩვეულებრივი ტიპის ბრინჯაოს თავით, მარტვევის ორიგინალური პლასტიკური ტრაქტოვის გარეშე, იმავე ადგილას, ესე იგი, სმოლნის მახლობლად.

მოსკოვში, სადაც ვლადიმერ ილიან ძეს შეეძლო ძეგლების ნახვა, ისინი ვერ იყო კარგი... ყველას გადააქარბა მოქანდაკე კ.-მ. დიდი ხნის განმავლობაში ადამიანები და ცხენები, რომლებიც მოასნიციკის ქუჩაზე მიმოდიოდნენ, შიშით

* 1920 წელს. რედ.

შეპყურებდნენ რალაც გაცოფებულ ფიგურას, რომელიც ფიცრებით იყო დაფარული სიფრთხილის გამო. ეს ბაკუნინი იყო პარტიკულური მხატვრის ტრაქტოვკით. თუ არ ვცდები, ეს ძეგლი ანარქისტებმა დაამსხვრიეს, რადგან ანარქისტებს, მთელი მათი მოწინავეობის მიუხედავად, არ სურდათ მოეთმინათ თავიანთი ბელადის ხსოვნის ასეთი სკულპტურული „მასხარად აგდება“.

საერთოდ, დამაკმაყოფილებელი ძეგლები მოსკოვში ძალიან ცოტა იყო. სხვებზე უკეთესი, შეიძლება ითქვას, პოეტ ნიკიტინის ძეგლი გახლდათ. მე არ ვიცი, ისინი დაათვალიერა თუ არა ვლადიმერ ილიას ძემ დაწერილებით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მან როგორღაც უკმაყოფილოდ მიიხრა, რომ მონუმენტური პროპაგანდიდან არაფერი გამოვიდაო. მე პეტროგრადის გამოცდილება და ზინოვიევის მოწმობა მოვუყვანე პასუხად. ვლადიმერ ილიას ძემ იქნებულად გადაიქნია თავი და თქვა: — „როგორ, მაშ ყველა ნიჟიურმა პეტროგრადში მოიყარა თავი, და ყველა უნიჭომ კი მოსკოვში?“ ასეთი უცნაური მოვლენა მე ვერ აეუხსენია მას.

ერთგვარი ეჭვით ვკიდებოდა იგი კონსტაქოვის შემორიულ დაფას. იგი მაინც და მაინც დამაჯერებლად არ ეჩვენებოდა. თვითონ კონსტაქოვი, სხვათა შორის. ამ თავის ნაწარმოებს ხუმრობით „ცრუმორიალურ დაფას“ უწოდებდა. მასხოეს აგრეთვე, როგორ აჩუქა მხატვარმა ალტმანმა ვლადიმერ ილიას ძეს ბარელიეფი ხალტურინის გამოსახულებით. ვლადიმერ ილიას ძეს ძალიან მოეწონა ბარელიეფი, მაგრამ მკითხა ეს ფუტურისტული ნაწარმოები ხომ არ არისო? სავართოდ, ფუტურისტებისადმი იგი უარყოფითად იყო განწყობილი. მე არ დავსწრებივარ მის ბასს „ვხუტემასში“, რომლის საერთო საცხოვრებელში მას როგორღაც შეუვლია, ვინაიდან იქ ცხოვრობდა, თუ არ ვცდები, მისი ნათესავი, ახალგაზრდა ქალი. მერე მიამბეს, რომ ლენინსა და მემარცხენე

„ვხუტემასელებს“ შორის ყველაფერი გაჩაღებულა. ვლადიმერ ილიას ძემ უნებურად ხუმრობით იგერიებდა მათ, ცოტა ცოტას დასცინოდა კიდევ, მაგრამ იქაც განუცხადებია, რომ ასეთ საგნებზე სერიოზულ ბასს ვერ გამართავს, ვინაიდან თავის თავს არასაკმაოდ კომპეტენტურად გრძნობს. თვით ახალგაზრდობა კი ძალიან მოსწონებია და გახარებია. მათი კომუნისტური განწყობილება.

ვლადიმერ ილიას ძე, თავის სიყოცხლის უკანასკნელი პერიოდის მანძილზე იშვიათად ახერხებდა დამტკბარყო ხელოვნებით. იგი რამდენჯერმე იყო თეატრში, მგონი, მარტო სამხატვრო თეატრში, რომელსაც ძალიან მაღლა აყენებდა. ამ თეატრის სპექტაკლები ყოველთვის ჩინებულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მასზე...

საერთოდ კი, წარსულის ხელოვნებას, განსაკუთრებით რუსულ რეალიზმს (მათ შორის „პერედვიჟნიკებსაც“, მაგალითად), ვლადიმერ ილიას ძე დიდად აფასებდა.

აი ის ფაქტიური მონაცემები, რომლებიც შემიძლია მოვიყვანო ჩემი მოგონებებიდან ილიის შესახებ. ვიმეორებ, თავის ესთეტურ სიმბათიებსა და ანტიბათიებს იგი არასოდეს არ სახავედა სახელმძღვანელო იდეებად.

ხელოვნებით დანტერესებულ ამხანაგებს ასრავთ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ხელოვნების საკითხებზე, რომელიც საკმაოდ მკვეთრად იყო წარმართული ფუტურისტების წინააღმდეგ. მე ახლოს არ ვიცნობ ამ საქმეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მასში თვით ვლადიმერ ილიას ძის თაფლის დიდი წვეთი ერიამ ხანად, ვლადიმერ ილიას ძე მე ფუტურისტების მომხრედ, ან მის საგანგებოდ ხელისშემწყობ კაცად მთვლიდა და, ალბათ ამიტომ ცენტრალური კომიტეტის ამ რესკრიპტის გამოცემის წინ ჩემთან არ მოუთათბირებია მის შესახებ...

არ მეთანხმებოდა ვლადიმერ ილიას ძე და საკმაოდ მკვეთრად პროლეტკულტისადმი დამოკიდებულების სა-



კითხვიც. ერთხელ ძალიან მაგრად დამტუქსა კიდევ. უპირველეს ყოვლისა ვიტყვი, რომ ვლადიმერ ილიას ძე სრულიადაც არ უარყოფდა მუშათა წრეების მნიშვნელობას პროლეტარია წინააღიდან მწერლებისა და მხატვრების წამოსაწევად და მიზანშეწონილად მიაჩნდა მათი გაერთიანება სრულიად რუსეთის მასშტაბით, მაგრამ მას ძალიან ეშინოდა იმისა, რომ პროლეტკულტიც ედილობდა შესდგომოდა პროლეტარული მეცნიერებისა და საერთოდ პროლეტარული კულტურის გამომუშავებას მთელი მოკულობით. ეს, პირველ ყოვლისა, მას სრულიად არადროულ და მეტად ძნელ ამოცანად მიაჩნდა: მეორე მხრივ, იგი ფიქრობდა, რომ ასეთი, ბუნებრივია, ჭერ ნაჩქარევი გამოგონებებით პროლეტარიატი გაემიჯნებოდა შესწავლას უკვე მზა მეცნიერებისა და კულტურის ელემენტების ათვისებას და, მესამე მხრივ, როგორც ჩანს, ვლადიმერ ილიას-ძეს ეშინოდა იმისაც, რომ პროლეტკულტში არ ჩაბუდებულიყო რაიმე პოლიტიკური ვადახრა. იგი საკმაოდ უარყოფითად ეკიდებოდა, მაგალითად, იმ დიდ როლს, რომელსაც

პროლეტკულტში თამაშობდა იმ დროს ა. ა. ბოვდანოვი.

პროლეტკულტის ყრილობის დროს. მგონი 1920 წელს, ვლადიმერ ილიას ძემ დამავალა წავსულიყავი იქ და გარკვევით მიმეთითებინა, რომ პროლეტკულტი უნდა იმყოფებოდეს განათლების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობის ქვეშ და თავის თავს მის დაწესებულებად სთვლიდეს, და ა. შ. ერთი სიტყვით, ვლადიმერ ილიას ძეს უნდოდა, რომ ჩვენ პროლეტკულტი სახელმწიფოსთან დაგვეახლოვებინა, და იმავე დროს, იგი ზომებს იღებდა იმისათვის, რომ იგი პარტიასთანაც მიეზიდა. სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი ყრილობაზე, მე ჩამოვყალიბე საკმაოდ ორჭოფულად და შემრიგებლურად... ვლადიმერ ილიას ძეს ვადასცეს ეს სიტყვა უფრო რბილი რედაქციით. მან დამიძახა და მაგრად შემახურა. მოგვიანებით, პროლეტკულტი რეორგანიზებულ იქნა ვლადიმერ ილიას ძის მეთითებათა მიხედვით...

უველასათვის ცნობილია ის უდიდესი ინტერესი, რომელსაც იჩენდა ვლადიმერ ილიას ძე კინემატოგრაფიისადმი.

„ფიქრებში ვმსაუბრებოდი მას“...

ილია მრანაშვილი

ბუტურკის ციხიდან გამოიმშვეს დროებით; მე უნდა ვყოფილიყავ პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ, ვიდრე ჩვენს საქმეს სასამართლო გაარჩევდა. ამასთან, მიბრძანეს დაუყოვნებლივ დამეტოვებინა მოსკოვი და წავსულიყავი კიევში. კიევიდანაც სას-

წრაფოდ გამასახლეს და რატომღაც ამიკრძალეს ცხოვრება კიევის, ვოლინსკის, კამენეც-პოდოლსკის გუბერნიებში. ნება დამრთეს წავსულიყავი მხოლოდ პოლტავაში, აქ ცხოვრობდა ჩემი ბიძა (დედის ძმა), ლიბერალი ვეჭილი. პოლტავიდან ისევ კიევში წავედი.

იქიდან — მოსკოვში: პოლიცია დიდხანს მეძებდა. საზღვარგარეთ წასვლა არ მინდოდა: ყველაფერი, რაც მაეცხლებოდა, იყო რუსეთში. იმ ხანებში შევხვედი ერთ ამხანაგს; მან მითხრა: „წადი საზღვარგარეთ, შენ უნდა მიიღო საფუძვლიანი პოლიტიკური განათლება. ლენინი ახლა ეწეწევაში კი არა, პარიზშია. წადი პარიზში, იქ არიან საეჩენკოც, ლიუდმილაც“.

1908 წლის 7 დეკემბერს უკვე პარიზში ვიყავ, აქ ჩამოვედი მხოლოდ იმ მიზნით, რომ ლენინი მენახა.

დაიწყო 1909 წელი...

ბოლშევიკური ჯგუფი ამ ხანებში იკრიბებოდა კაფეში ორლეანის აგენიუზე; ბელფორის ლომის მახლობლად. იქ, მეორე სართულზე იყო მომცრო დარბაზი. როგორც ეს სჩვევიათ პარიზში, ამ დარბაზს უფასოდ უთმობდნენ ემოგრანტებს; მომსვლელები იხდიდნენ მხოლოდ ყავისა და ლუდის ფასს. ჩვენ ერთ-ერთი პირველი მივედი. მე ვკითხვ სავჩენკოს — რა შეეცკეთო-მეთქი. მან მიპასუხა: „გრენადინი, ჩვენები ყველანი გრენადინსა სვამენ“. მართლაც, ყველასთან მიჰქონდათ ღია-წითელი ფერის მეტისმეტად ტკბილი სიროფი, რომელსაც ზელტერის წყლით აზავებდნენ. მხოლოდ ლენინმა შეუკვეთა ერთი ტოლმა ლუდი. შემდგომში მე არაერთხელ ვავიგონე თუ როგორ უკვირდით ოფიციალტებს: რევოლუციონერები არიან და გრენადინს კი სვამენ! სიროფით ფრანგები მხოლოდ ერთობ მწარე მაგარ სასმელებს აზავებენ. ხოლო კვირაობით, როცა მომსვლელები კაფეში მთელი ოქაბებით მოდიან, პატარებს უფასოდ აძლევენ გრენადინს.

კრებზე ოცდაათი კაცი მოვიდა; მე სულ მხოლოდ ლენინს ვუცქეროდი. მას ვცემა მეტი კონსტიუმი განამებული სიყვლოთი... არ მახსოვს რაზე ლაპარაკობდა, მაგრამ რაეცა მე საეცაოდ თაყვანი ბიჭი ვახლდით, სიტყვა ვითხო-

ვე და რაეცაზე შევეცაბეთ, მან რბოლად მიპასუხა, არ დავუტუქსოვარ, მხოლოდ განმიმარტა — ესა და ეს ვერ გავიგო. ლიუდმილამ მაშინვე მითხრა, რომ სულელურად მოვიქეცი. როდესაც კრება გათავდა, ვლადიმერ ილიას ძემ თავისთან მიმიხმო: „თქვენ მოსკოვიდან ხართ?“ მე ვუპასუხე, რომ იანვრის თვემდე ვმუშაობდი მოსკოვის ორგანიზაციაში, შემდეგ დაპატიმრებული ვიყავ, მეორე ვცადე მუშაობა დამეწყო პოლტავაში, იქ ამხანაგები მოვინახე. ლენინმა მითხრა, რომ მე მივსულიყავ მის ბინაზე.

მე მოვქებნე სახლი პატარა ქუჩაზე, მონსიურის პარკის მახლობლად (ახლა შევამოწმე — ეს თურმე იყო ბონიეს ქუჩა). დიდხანს ვიდექი — ვერ ვხედავდი ზარი დამერკეა. ამას წინანდელი ჩემი სითამამე სადღაც გამქარალიყო. კარი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა გაძილ. ლენინი მუშაობდა. ჩაფიქრებული იქდა, წინ ქაღალდის გრძელი ფურცელი ვღო. ილიაი ოდნავ მოქუტუტული თვალებით მასუქეროდა ქაღალდს.

ვუამბე ლენინს მოწაფეთა ორგანიზაციის მარტზე, ჩემს წერილზე „ორი წელი ერთიანი პარტიისა“, პოლტავის მდგომარეობაზე. ის ყურადღებით მისმენდა, ხანდახან ძლივს შესამჩნევად იღიმებოდა, და მე მეჩვენებოდა — ის ხვდებოდა, რომ მაინც ვერ პატარა ვიყავ, და ამისი შეგრძნება მაბნედა. მე ვუთხარი, რომ ზეპირად მახსოვს მათი მისამართები, ვისაც ვაუთებო უნდა ვაეგზავნოს. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ეს მისამართები ჩაიწერა. მინდოდა წასვლიყავ, მაგრამ ლენინმა არ გამიშვა. მან დაიწყო გამოკითხვა, თუ როგორია ახალგაზრდობის განწყობილება, რომელ მწერალს კითხულობენ ყველაზე უფრო მეტად, პოპულარობით სარგებლობს თუ არა „ზინიეს“ კრებულები, რა სპექტაკლები ვნახე მოსკოვში — კორმის თეატრში და სამხატვრო თეატრის სცენაზე. ის მიმოდიოდა ოთახში, ხოლო მე ტაბურეტზე ვიჯექი. ნადეჟდა კონსტანტინეს

სულმა თქვა — სადილობის დროაო. ვიფიქრე შემავიანდა-მეთქი და წამოვდექი წასასვლელად, მაგრამ დამტოვეს და სადილზეც მიმიპატივეს. მე განმაცვიფრა უჩვეულო წესრიგმა: წიგნები ვწყო თაროებზე და ვლადიმერ ილიას ძის საწერ მაგიდაზე სრულიად არაფერი არ იყო მიმოფანტული — როგორ არ ჰგავდა აქაური წესრიგი ჩემი მოსკოველი ამხანაგების ოთახებს, ან იმ ბინას, სადაც სავჩინკო და ლიუდმილა ცხოვრობდნენ. ვლადიმერ ილიას ძემ რამდენჯერმე გაუმეორა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს: „აი, პირდაპირ იქიდან არის... იცის რით სუნთქავს და რა ანტერესებს ახალგაზრდობას“.

ლენინის გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ წაეკითხე ნ. კ. კრუსკაიას მოგონებები. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული წერდა, რომ ლენინმა წაიკითხა ჩემი პირველი რომანი: „იცი, ეს ილია ლოხმატი არის (ერვნებურგის მეტსახელი), — აღტაცებით ამბობდა იგი, — კარგი რამ დაუწერია“. მე ვიყავი ვლადიმერ ილიას ძესთან 1909 წლის დასაწყისში; და მე არ ვიცი, რომ თურმე ფიქრებში კვლავ ვესაუბრებოდი მას სიკვდილამდე არც ისე დიდა ხნის წინ — 1922 ან 1923 წელს, როცა ის კითხულობდა ჩემს წიგნს „ხულიო ხურენიტოს“.

რამდენჯერმე მოვესმინე ლენინს კრებებზე, ლაპარაკობდა მშვიდად, უპათოსოდ... ხანდახან ჩაიციენბოდა ხოლმე. მისი სიტყვა ჰგავდა სპირალს: იმის შიშით, რომ მსმენელებმა იქნება ვერ გაიგონო, დაუბრუნდებოდა ხოლმე უკვე გამოთქმულ აზრს, მაგრამ არასოდეს არ იმეორებდა მას, არამედ უმატებდა რაღაც ახალს (ზოგიერთები, რომლებიც შემდგომში ბაძედნენ ლაპარაკის ასეთ მანერას, ივიწყებდნენ, რომ სპირალი ჰგავს წრეს და არცა ჰგავს — სპირალი გრძელდება შემდგომ).

ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალს საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას, სწავლობდა მის ისტორიას, ეკონომიკას, იცნობდა პარიზის

მუშების ყოფა-ცხოვრებას. ის არც კარგად ტო ლაპარაკობდა ფრანგულად, მაგრამ ამ ენაზე სტატიების წერაც შეეძლო.

1909 წლის მაისში მე ვიყავი დემონსტრაციაზე კომუნარების კედელთან. წინ მიდიოდნენ კომუნის მონაწილენი, ისინი ჯერ კიდევ ბევრნი იყვნენ და მხნედ მიაბიჯებდნენ. მე ისინი მომჩვენენ ღრმა მოხუცებად. მე ვფიქრობდი კომუნაზე, როგორც უძველესი ისტორიის ერთ ფურცელზე — ეს ხომ 38 წლის წინ მოხდა! კომუნარების კედელთან დავინახე ლენინი; ის იდგა ბოლშევიკების ჯგუფის შუაში და უცქეროდა კედელს — ქვებიდან გადმოდიოდნენ ფედერატთა აჩრდილები.

მე ვნახე ლენინი სენტ-ენევიევას ბიბლიოთეკაში და მონსურის პარკშიც, გრძელ სკამზე, მოხუცი ქალებისა და ბავშვების წრეში, ვნახე მუშათა თეატრშიც, ვეთეს ქუჩაზე, სადაც მომღერალი მონტეგეუსი ასრულებდა რევოლუციურ სიმღერებს.

როდესაც მე მივედი ვლადიმერ ილიანთან, კონსიერჟამ მკაცრად მითხრა: „გაიწმინდე თეხები“. განა იცოდა ამ ქალმა, თუ ვინ იყო მისი მდგმური? განა იცოდა კაფეს ოფიციალტმა ორლეანის ავენიუსზე, რომ ბატონი, რომელიც შეუკვეთდა ხოლმე ერთ ტოლჩა ლუდს, რვა წლის შემდეგ ალაპარაკებდა მთელ მსოფლიოს? განა ზედებოდნენ ბიბლიოთეკის მკითხველები, რომ კაცი, გულდასმით რომ ამოიწერდა ხოლმე წიგნებიდან ციფრებსა და სახელებს, შესცვლიდა ისტორიის მსვლელობას და მასზე დაიწერებოდა ათათასობით ავტორების წიგნები მსოფლიოს ყველა ენებზე? თუნდაც მე, მოკრძალებით და თავახისცემით რომ ვუცქეროდი ვლადიმერ ილიანს, განა შემეძლო წარმომედგინა, რომ ჩემს წინაშეა ადამიანი, რომელთანაც დავაწმირებულა კაცობრიობის ისტორიის ახალი ეპოქის დაბადება?

ვლადიმერ ილიჩი ცხოვრებაში იყო უბრალო, უაღრესად დემოკრატიული ადამიანი, რომელსაც გულთან ახლოს მიჰქონდა ყველაფერი, რაც მის ამხანა-

გებს ეჭებოდა. მან არ დასცილდა თვით თავხედ ბიქსაც კი... ასეთი უბრალოება და სისადავე ახასიათებს მხოლოდ დიდ ადამიანებს.

„პირველად ღმინინს ჩემი ქალაქი“

ზრანც კოლცაკველი

მე მგონია, 1909 წელი იყო. იმ დროს მე „დრეზდენერ ფოლქსკაიტუნგის“ რედაქტორად ვმუშაობდი. ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, ჩვენს რედაქციაში მოვიდა რუსი ამხანაგი. ეს იყო ლენინი.

ჩვენი საუბარი, რომელიც რედაქციაში მოვაწყეთ, ძალიან საინტერესო იყო. მართალია, ყველაფერი დაწვრილებით არ მახსოვს... ის კი კარგად მახსოვს, რომ ლენინმა მოისურვა დაეთვლიერებინა ქალაქი. მე და კიდევ რედაქციის ერთმა მუშაკმა თავი გაეინთავისუფლეთ სამუშაოსაგან და წავეყვეით ლენინს დრეზდენის ულამაზესი ქუჩების დასათვალიერებლად.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს იმ დღეს ნამდვილად პირველად დავინახე ჩვენი ქალაქი: ქუჩების დათვალიერებისას იოტის ოდენადაც ყურადღებიდან არაფერი გამოჰპარვია ლენინს.

ფრაუენკრიხე, ფიურსტენცუგი, სასახლე, ცეინგერი, ოპერა, კარის ეკლესია, იტალიური სოფელი, სურათების გალერეა — მას ყველაფერი ეს უნდოდა ენახა, — ყოველივე ამის შესახებ რამე შეეტყო. როგორი მოძრავი და მოუღვლევი კაცი იყო იგი! ხანდახან, დაგვიკიდებოდა რამდენიმე ნაბიჯით.

* ფრ. კოლცაკელი (1870-1954) — გერმანელი მწერალი და ჟურნალისტი, გერმანიის მუშათა მოძრაობის ვეტერანი.

ჩერდებოდა რომელიმე შენობის წინ და გვეკითხებოდა მის დანიშნულებასა და წარმოშობაზე. ადვილი არ იყო დამაყაფილებელი პასუხი გავცეცა მის კითხვებზე. წარმოდგენაც კი ძნელია იმისა, თუ რაოდენ უზარმაზარი იყო მისი ცოდნა ისტორიის სფეროში, როგორ ღრმად ერკვეოდა გერმანიის და თვით საქსონიის ისტორიაში.

ჩვენ ვიდექით ბრიულოვის ტერასაზე, რომელსაც ოდესღაც „ვეროპის აივანს“ ეძახდნენ. ლენინმა ქუდი კეფაზე მოივდო და ბალტო გაიხსნა. ცალი ხელით შარვლის ჯიბეში, ის იღვა, დაყრდნობილი ზიდის მოაჯირზე, ოდნავ წინ გადახრილი, და ასე გვიჩვენებდა ავგუსტის ზიდს, ოპერას, კარის ეკლესიას და არქიტექტურის სხვა ძეგლებს, რომლებშიც ის ჩვენზე უკეთესად ერკვეოდა. მისი მსჯელობანი არქიტექტურისა და სკულპტურის შესახებ იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ ჩვენ განცვიფრებული ვიყავით: გვიკვირდა, რომ რუსი რევოლუციონერი ასეთ ყურადღებას იჩენს ფეოდალური წარსულისადმი, მაგრამ მან იცოდა, რომ მთელ ეს კულტურა შეჰქმნეს მუშათა ხელებმა და ყველაფერი ეს ოდესმე გახდება მუშათა კუთვნილება, — ალბათ ასე ფიქრობდა იგი იმ წუთებში, როცა გასცქეროდა სამეფო რეზიდენციის მდიდრულ მოწყობილობას.



რე სჭირდება მყურებელს

ვასილ კახალავი

მხსოვს დიდი საღამო მოგაწყვეთ კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში. მსახიობთა ოთახს უცებ გამოცოცხლება დაეტყო: მოვიდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, გორკისთან ერთად. უცებ გორკი გადმოიხარა ჩემსკენ და მითხრა:

— აი, ვედავები ვლადიმერ ილიას ახალი თეატრალური მყურებლის გამო. ახალი თეატრალური მყურებელი რომ არაფრით ჩამოაჩნება ძველს, პირიქით,

რომ ახალი — უფრო ყურადღებიანია — ეს სადავო არ არის. მაგრამ რა სჭირდება მას? შე ვამტიციებ, რომ მას სჭირდება მხოლოდ პეროია. ლენინს კი ამტიციებს, რომ მას სჭირდება ლირიკაც, ჩეხოვიც, სჭირდება ცხოვრებისეული სიმართლე.

ამ დროს შესვენება დამთავრდა და ვლადიმერ ილია და გორკი დარბაზისაკენ გაეშურნენ.

...რომ ცოტა მაინც დაესვენა

ნიკოლოზ მუხარიაკოვი

ლენინი გამოირჩეოდა ინტერესთა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. საზღვარგარეთ წასვლისას, ეკონომიკური შინაარსის წიგნები რომ წაიღო, მა-

